საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№28 (263)
30 ივლისი – 5 აგვისტო, 2014
საქართველო მსოფლიოში
ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru

20 «ბოინგის» ტრაგედიამ აშშ-ის ფარისევლობა გამოააშკარავა

მთავარმა პროკურატურამ სააკაშვილს ბრალი წაუყენა

«ვარდების რევოლუცია» ვირის აბანოში დასრულდება?

5

ბრალს გიგა ბოკერიასაც წაუყენებენ

8

«ეროსის ნამდვილად ჰქონდა ინფორმაცია და საფუძველი, ეფიქრა, რომ მასზე თავდასხმა მზადდებოდა» 3

9 «უკრაინის დღევანდელი ხელისუფლება არის ნაძირალების, პედოფილების, ნეოფაშისტების ხელისუფლება»

ელისო კილაძე «ქართული ოცნების» წარმომადგენლებს «კუდის» მაღალჩინოსნებთან თანამშრომლობაში ამხელს 12

«ტყვევნა საკვირველი»

მცხეთა-თიანეთის ექსგუბერნატორმა მამამარჩენალი ჩაუშვა

10

რა მოხდა 2007 წლის 4 ნოემბერს შსს-ში?

„ლაპარაკია ამ ბოზების ბოლომდე ჩატ...აზე. შექმნით ჯგუფებს, პირველად რომ დაბეთქავენ ვიღაცას, მერე ისეთ აზარტში შევლენ, ვერ გააჩერებთ. ეს ბევრჯერ გამოვცადეთ. ორი საქმე კეთდება, ბოზები იტ.....ან და ჩვენი რიგები მტკიცდება. არ შეიძლება, ახლა ჩვენ ერთმანეთზე ვეჭვიანობდეთ, ასე გადავჭამთ ერთმანეთს. ამიტომ, ვინც ჩვენიანია, საქმით უნდა დაამტკიცოს. თუ ვინმე ბიზნესმენია შენიშნული ოპოზიციის დაფინანსებაში, აგერ კეზერაშვილს უთხარით და მიხედავს. ეპარქიებთან იმუშავეთ, იმ ბიზნესმენებთან, რომლებიც ეპარქიებს ეხმარებიან, რომ ხალხს სისულელეები არ ელაპარაკონ. მიტინგზე გადახედეთ, ყველას გვყავს ნაცნობი სპორტსმენი, მსახიობი, ეგეთი ტიპები, დაურეკეთ, გადმოიბირეთ, დაარწმუნეთ, შეაშინეთ, თუ გინდათ, მოისყიდეთ, ოღონდ ფული არ მომთხოვოთ...“

შენ ხელი დაადე, ვასოჯან...

13 თავისუფლების ინსტიტუტის პროპაგანდისტული ბუდე სახალხო დამცველის ოფისში

ამერიკასთან შეუთანხმებლად ესენი დაცემინებასაც ვერ ბედავენ 15

«ფერადი რევოლუციების» საკითხებში სპეციალური ინსტრუქტორის აღსარება 26

მესამე მსოფლიო ომის ქართული ფრონტი

6

საერთაშორისო და მსოფლიო

ამბები

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

უკრაინაში დაღუპული მშვიდობიანი მოქალაქეების რაოდენობამ 1100-ს გადააჭარბა

გაეროს ადამიანის უფლებების კომისარიატისა და ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, აპრილის შუა რიცხვებიდან უკრაინაში მოკლულია 1129 მშვიდობიანი მცხოვრები. დოკუმენტში, რომელიც 28 ივლისს გამოაქვეყნა გაერომ და ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ, ნათქვამია, რომ მსხვერპლთა ზუსტი მონაცემების დადგენა ძალიან რთულია, თუმცა იმ ინფორმაციის მიხედვით, რომელიც ამჟამად ხელმისაწვდომია, აპრილიდან 26 ივლისამდე უკრაინაში დაღუპულია 1129 მშვიდობიანი მცხოვრები, 3442 — დაჭრილი.

ოლივერ სტოუნმა დასავლური მედია სუბიექტურობაში დაადანაშაულა

სახელგანთქმული ამერიკელი კინორეჟისორის — ოლივერ სტოუნის („შუაღამის ექსპრესი“, „ნაიარევი სახე“, „ევიტა“, „ალექსანდრე“, „დაწყევლილი ქვა“ და სხვ.) აზრით, დასავლური მასობრივი საინფორმაციო საშუალებების მიერ გავრცელებულ ცნობებს, რომ დონეცკის ოლქში მალაიზიის ავიალაინერის კატასტროფაში დამნაშავე არის სახალხო ლაშქარი და რუსეთი, არ უნდა დავუჯეროთ.

ოლივერ სტოუნმა „ფეისბუქში“ გამოაქვეყნა ინტერნეტმისამართები იმ კორესპონდენტების სტატიებისა, რომლებიც დასავლურ მედიასაშუალებებში მიკერძოებულად აშუქებენ მალაიზიის „ბოინგის“ კატასტროფას და, აშშ-ის ხელისუფლების ზეგავლენით, ამ ტრაგედიაში რუსეთის ხელისუფლებას ადანაშაულებენ.

ოლივერ სტოუნმა სოციალურ ქსელში მალაიზიის „ბოინგის“ ჩამოვარდნის გარემოებების ჟურნალისტური გამოძიების მასალების მისამართებიც გამოაქვეყნა. ამ წერილების ავტორები რობერტ პერი და პეპე ესკობარი ყურადღებას ამახვილებენ, რომ დასავლეთის ბევრი მედიასაშუალება ავიალაინერის დაღუპვის იმ ვერსიაზე წერს, რომელიც აშშ-ის მთავრობამ და პრეზიდენტმა გაავრცელეს. პერი და ესკობარი, აგრეთვე, აღნიშნავენ, რომ აშშ-ის სამხედროებს აქვთ მონაცემები, რომელთა მიხედვითაც, ავიაკომპანია Malaysia Airlines თვითმფრინავი, შესაძლოა, უკრაინელმა სამხედროებმა ჩამოაგდეს.

ოლივერ სტოუნი წერს: **„გთხოვთ, წაიკითხოთ გამოძიებები ჟურნალისტებისა, რომლებიც უფრო ღრმად ჩასწვდნენ საკითხს, ვიდრე „პროპაგანდისტული მეოთხე ხელისუფლება“. ეს მეტისმეტად სახიფათო სიტუაცია აშშ-ის პოლიტიკით არის გამოწვეული“.**

ჩრდილოეთი კორეა აშშ-ს ბირთვული დარტყმით ემუქრება

ჩრდილოეთ კორეა შეერთებულ შტატებს ბირთვული რაკეტებით დაარტყამს, თუ აშშ კორეის ნახევარკუნძულზე მდგომარეობის გართულებას განაგრძობს.

„ფრანს პრესის“ ცნობით, ერთ-ერთმა კორელმა მაღალჩინოსანმა აღნიშნა, რომ, თუ შეერთებული შტატები ქვეყნის სუვერენიტეტს დაემუქრება, ჩრდილოეთ კორეის სამხედრო ძალები ბირთვულ რაკეტებს თეთრი სახლისა და პენტაგონის მიმართულებით ისვრიან.

მდგომარეობა კორეის ნახევარკუნძულზე მას შემდეგ დაიძაბა, რაც შეერთებულმა შტატებმა და სამხრეთ კორეამ ერთობლივი წვრთნები დაიწყეს, რომელშიც ატომური ავიამზიდი მონაწილეობდა.

პოლ კრეიგ რობერტსი:

მსოფლიო დაწყევლილია დასავლეთის უდარდელობით და საეჭვოა, დიდხანს იცხოვროთ!

ევროპის ბრიყვი, სრულიად გონებაჩლუნგი მთავრობები და მასმედია ან ვერ ამჩნევენ, როგორ თამაშობს მათი მომავლით ვაშინგტონი, ან ამის მიმართ გულგრილნი არიან. ამ გულგრილობით მათ დაწყევლეს საკუთარი თავი და კაცობრიობა, — წერს აშშ-ის ფინანსთა მინისტრის ყოფილი მოადგილე, პუბლიცისტი პოლ კრიგ რობერტსი INFOWARS.COM-ზე გამოქვეყნებულ წერილში „მსოფლიო დაწყევლილია დასავლეთის უდარდელობით და საეჭვოა, დიდხანს იცხოვროთ“.

ევროპის ქვეყნების მთავრობები და დასავლური მედია, დართეს რა ვაშინგტონს ნება, ანარმოოს რუსეთის საწინააღმდეგო პროპაგანდა, პლანეტას საფრთხეს უქმნიან. ვაშინგტონმა სიცრუის გამოყენებით წარმატებას მიაღწია რუსეთის დემონიზაციაში — ახალი ჰიტლერის ან სტალინის მმართველობით აგრესიული ქვეყნის წარმოჩენაში.

რეალური დემონები — კლინტონი, ბუში და ობამა — ესენი არიან „განსაკუთრებული“ ადამიანები, რომლებიც დემონიზაციაზე მაღლა დგანან. მათი რეალური საშინელი დანაშაულები შეუმჩნეველი რჩება, ხოლო გამოგონილი დანაშაულები მიეწერება ადამიანებსა და ქვეყნებს, რომლებიც არ არიან „განსაკუთრებულნი“.

მიზეზი, რატომაც ეწევა ვაშინგტონი ლიდერისა და ქვეყნის დემონიზაციას, არის ის, რომ ვაშინგტონს ძალის გამოყენების უფლება მიეცეს.

ყველაფერი ეს იმიტომ არის შესაძლებელი, რომ ვაშინგტონმა მიითვისა ისრაელის ტიტული — „ღმერთის რჩეული“, ტიტულის დაკარგვას კი ისრაელისთვის ხელი არ შეუშლია, თავისი ქმედებები ძველებური ძალისხმევით წარემართა.

ვაშინგტონი ახლა ომის ბორბლებზე დგას.

ევროპის ბრიყვი, სრულიად გონებაჩლუნგი მთავრობები და მასმედია ან ვერ ამჩნევენ, როგორ თამაშობს მათი მომავლით ვაშინგტონი, ან ამის მიმართ გულგრილნი არიან. **ამ გულგრილობით მათ საკუთარი თავი და კაცობრიობა დაწყევლეს.**

ერთადერთი მეთოდი ომის თავიდან აცილების მცდელობისა

«თუკი მსოფლიო ვაშინგტონს კვლავაც მისცემს სიცრუისა და აგრესიის გამოვლენის უფლებას, ეს უბრალო ომს კი არ გამოიწვევს, არამედ პლანეტაზე სიცოცხლეს გაანადგურებს. ვაშინგტონის ვასალებს ევროპაში, კანადაში, ავსტრალიასა და იაპონიაში კი უნდა მივახვედროთ, რომ ისინი ან შეაჩერებენ ვაშინგტონის აგრესიას, ან მასთან ერთად გაინაწილებენ პასუხისმგებლობას მესამე მსოფლიო ომის გაჩაღების გამო!»

არის ის, რომ პუტინმა ეს საკითხი გაეროში განსახილველად გაიტანოს. საკითხის ისე დასმა, რომ მეფე სინამდვილეში შიშველია, ძალიან ძნელი არ უნდა იყოს.

ვაშინგტონისგან განსხვავებით, პუტინი მზად არის, წარმოადგინოს მტკიცებულებები, ვინ რას აკეთებს უკრიანაში; რომ ვაშინგტონის ორგანიზებით მოხდა გადატრიალება, რომლის შედეგად კანონიერი მთავრობა დაემხო; რომ ვაშინგტონი მხარს უჭერს ძალადობას მათ მიმართ, ვინც ეს გადატრიალება არ მოიწონა.

პუტინმა მსოფლიოს უნდა დაანახვოს, რომ ვაშინგტონი განაგრძობს პროვოკაციული ნაბიჯების გადადგმას რუსეთის წინააღმდეგ — რუსეთის საზღვრებთან სამხედრო კონტინგენტის გაძლიერების გზით; პროვოკაციული განცხადებებითა და ბრალდებებით აშშ-ის გენერალიტეტისა და ოფიციალური პირების მხრიდან; იზოლაციაში მოქცევის მცდელობით ეკონომიკური და პოლიტიკური ზარალის გამოწვევის მიზნით.

პუტინმა მსოფლიოს უნდა დაანახვოს, რომ საზღვარი აქვს ობამას პროვოკაციებსაც, რომელთა მოსათმენადაც რუსეთი მზად არის, და რომ რუსეთი მიიჩნევს: ის იმყოფება აშშ-ის პრევენციული ატომური შეტევის საფრთხის ქვეშ.

ჩინეთმაც უნდა გაიღვიძოს! — ჩინეთო, შენ შემდეგი მიზანი ხარ!

პუტინმა მკაფიოდ უნდა განუცხადოს მსოფლიოს, რომ, **თუკი მსოფლიო ვაშინგტონს კვლავაც მისცემს სიცრუისა და აგრესიის გამოვლენის უფლებას, ეს უბრალო ომს კი არ გამოიწვევს, არამედ პლანეტაზე სიცოცხლეს გაანადგურებს.**

ვაშინგტონის ვასალებს ევროპაში, კანადაში, ავსტრალიასა და იაპონიაში კი უნდა მივახვედროთ, რომ ისინი ან შეაჩერებენ ვაშინგტონის აგრესიას, ან მასთან ერთად გაინაწილებენ პასუხისმგებლობას მესამე მსოფლიო ომის გაჩაღების გამო.

მიხეილ სააკაშვილს ბრალდება წაუყენეს

საქართველოს ყოფილ პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს ბრალი დაუსწრებლად წაუყენეს. მის ადვოკატ ოთარ კახიძეს ბრალის დადგენილება უკვე გადაეცა.

როგორც მთავარი პროკურატურიდან გამოსვლის შემდეგ კახიძემ ჟურნალისტებს განუცხადა, მას არ ჰქონია მასალების გაცნობის შესაძლებობა, ვინაიდან, გამომძიებლების განმარტებით, ეს არის მასალების დაახლოებით 80 ტომი თითო ბრალდებულზე და მასალები იდენტურია.

საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცეს. მთავარი პროკურატურის ინფორმაციით, საქმე ეხება 2007 წლის 7 ნოემბერს მომიტინგეთა მასობრივად დარბევას, ტელეკომპანია „იმედში“ შეჭრას და არკადი პატარკაციშვილის ქონების დანაშაულებრივად ხელში ჩაგდებას. ყოფილ პრეზიდენტს 5-დან 8 წლამდე პატიმრობა ემუქრება.

მიხეილ სააკაშვილთან ერთად, ბრალდების დადგენილებები გამოტანილია შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრის — ვანო მერაბიშვილის, ყოფილი გენერალური პროკურორის — ზურაბ ადეიშვილის, თავდაცვის ყოფილი მინისტრის — დავით კეზერაშვილისა და თბილისის ყოფილი მერის — გიგი უგულავას მიმართ.

გიგი უგულავასა და ვანო მერაბიშვილს ბრალი ე. წ. მატროსოვის ციხეში უკვე წარედგინათ.

«არარაობიდან აღმოცენებული კაცი უცებ გუბერნატორი გახდა»

საპარლამენტო უმრავლესობის წევრი გოგი თოფაძე პროკურატურას მოუწოდებს, უმცირესობის დეპუტატ გოგა ხაჩიძის საქმიანობა კარგად შეისწავლოს.

„ლამის ძველბიჭობაზე გადავიდნენ ჩვენი ოპონენტები. ლანძღვა, გინება და შეურაცხყოფა. ეს, ნაწილობრივ, ჩვენი ბრალია იმიტომ, რომ, ნაკლებად ლიბერალური რომ ყოფილიყო ჩვენი ხელისუფლება, აქ ძალიან ბევრი ადამიანი არ იქნებოდა. გოგა ხაჩიძე რომ ბიძინა ივანიშვილზე ირონიით ლაპარაკს დაიწყებს.... არარაობიდან აღმოცენებული კაცი უცებ გუბერნატორი გახდა და, რაც იქ ჩაიდინა, ვინც იმ რეგიონს იცნობს, იცის, რომ 3-4 წლის მერე გამოსაქცევად ჰქონდა საქმე“, — განაცხადა გოგი თოფაძემ. მისივე შეფასებით, „ეს ვაჟკაცუნა“ დააწინაურეს და გარემოს დაცვის მინისტრი გახადეს.

„რა დახვდება ჩვენს ახალ კოლეგას, რომელიც ამ უწყებას ჩაიბარებს, ცოტა ხანში ყველა გაიგებს, თუ რა ჩაიდინა ხაჩიძემ იქ. ამიტომ, მინდა, ვთხოვო პროკურატურას, ყურადღებით შეისწავლოს მისი საქმიანობა,“ — აღნიშნა გოგი თოფაძემ.

ვერსია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„არანაირი საფუძველი არ მაქვს, ვიფიქრო, რომ ჩემი ძმა თავს მოიკლავდა. ხომ შეიძლება გაიხსენო, რომ რაღაცაზე აღელვებული იყო ბოლო პერიოდში ან ზედმეტად ნერვიულობდა, ან თვითკონტროლი ჰქონდა დაკარგული, ან იყო რაღაც გარემოება, რომლის გამოც ჩიხში იყო შესული და გამოსავალს ვეღარ პოულობდა?! მსგავსი არაფერი! ასეთი რამ რომ ყოფილიყო, რა თქმა უნდა, ასე თვითდაჯერებული არ ვიქნებოდი იმ ვერსიის მიმართ, რომ მოხდა დანაშაული“.

ზურაბ კიწმარიშვილი:

ეროსის ნამდვილად ჰქონდა ინფორმაცია და საფუძველი, ეფიქრა, რომ მასზე თავდასხმა მზადდებოდა

ეროსი კიწმარიშვილის გარდაცვალების გარშემო მითქმა-მოთქმა არ წყდება. ვინ იყო დაინტერესებული კიწმარიშვილის მოშორებით? საკმაოდ ვრცელია იმ ადამიანების სია, რომელთაც „ვარდების რევოლუციის“ ერთ-ერთი შემოქმედის სიკვდილი ხელს აძლევდა. რა ეტაპზეა დღეს გამოძიება და რამე ახალი გარემოება ხომ არ გამოიკვეთა? ამ გახმაურებულ საქმეზე „საქართველო და მსოფლიოს“ ეროსი კიწმარიშვილის ძმა, ზურაბ კიწმარიშვილი, ექსკლუზიურად ესაუბრა.

— ეროსის გარდაცვალების გახმაურებიდან რამდენიმე საათში პროკურატურამ გამოძიება თვითმკვლელობის მუხლით დაიწყო, რამაც ჩვენი, ოჯახის წევრების, გაღიზიანება გამოიწვია, მაგრამ მოგვიანებით აგვიხსნეს, რომ გამოძიების პროცესში ეს მუხლი შეიძლება გადაკვალიფიცირდეს. მიზანშეწონილად ჩათვალეს, გამოძიება უფრო ნაკლები დანაშაულის შემცველი მუხლით დაეწყოთ და შემდეგ, თუ უფრო მძიმე მუხლზე გადასვლა იქნებოდა საჭირო, ეს ავტომატურად მოხდებოდა. **ეს მორალურად ჩვენთვის ძალიან მძიმე იყო, თუმცა სიძნელეები გადავლახეთ და ახლა მთავარი აქცენტი გადატანილი გვაქვს იმაზე, რომ სწორად და პროფესიონალურად ჩატარდეს გამოძიება.** მე დავესწარი კრიმინალისტიკური თუ საგამოძიებო სამსახურის ყველა პროცედურას, რომლებიც ტარდებოდა შემთხვევის ადგილზე. **გამოძიებასთან თანამშრომლობისას ვნახე, რომ ყველაფერი, რაც უნდა გაკეთებულიყო, ნამდვილად გაკეთდა.** საკმაოდ ბევრი ადამიანი დაიკითხა, ყველა ნივთმტკიცება შემოწმებულია და ექსპერტიზა — პროფესიონალურად ჩატარებული. გამოძიებას აქვს ყველა მასალა — დაწყებული შემთხვევის ადგილიდან ამოღებული ნივთმტკიცებებიდან, დამთავრებული სატელეფონო საუბრებით თუ ვიდეოკამერის მასალებით იმ ადგილებიდან, სადაც ეროსი გარდაცვალების დღეს და წინა დღეს მოძრაობდა. ანუ, საკმაოდ ვრცელი მასალა არსებობს, რომლის გაშიფვრასაც დრო სჭირდება. თუმცა **ვფიქრობ, დაახლოებით ორ კვირაში ან უფრო ადრეც, ფაქტების შეჯერებით, შეიძლება, რაღაც ვერსია გამოკვეთოს და, შესაბამისად, ინფორმაცია გაავრცელოს გამოძიებამ.** მე ყველაფერი გავაკეთე, რაც შემეძლო, ანუ გამომძიებლებს ვუთხარი ყველაფერი, რაც უნდა სცოდნოდათ, დანარჩენი მათ პროფესიონალიზმზეა დამოკიდებული. საქმეში დაახლოებით 13 გამომძიებელია ჩართული და მათ წარმატებებს ვუსურვებ.

— ენდობით გამოძიებას? ფიქრობთ, ეს საქმე გაიხსნება და არ მიემატება გაუხსნელი პოლიტიკური მკვლელობების სიას? სიტყვა მკვლელობა ვახსენე... თქვენ, რა თქმა უნდა, თვითმკვლელობას გამორიცხავთ...

— იცით, არაფრის მიმართ არ შეიძლება, რომ 100 %-იანი ნდობა არსებობდეს. **ვფიქრობ, საქმე გაიხსნება, მაგრამ ეს შეიძლება არ მოხდეს ამ ათ დღეში.** შესაძლოა, კიდევ რაღაც იყოს საყურადღებო, რასაც შემდგომ პერიოდში კვლევა დასჭირდეს. საბოლოოდ **ეს საქმე აუცილებლად გაიხსნება! არანაირი საფუძველი არ მაქვს, ვიფიქრო, რომ ჩემი ძმა თავს მოიკლავდა. ხომ შეიძლება გაიხსენო, რომ რაღაცაზე აღელვებული იყო ბოლო პერიოდში ან ზედმეტად ნერვიულობდა, ან თვითკონტროლი ჰქონდა დაკარგული, ან იყო რაღაც გარემოება, რომლის გამოც ჩიხში იყო შესული და გამოსავალს ვეღარ პოულობდა?! მსგავსი არაფერი! ასეთი რამ რომ ყოფილიყო, რა თქმა უნდა, ასე თვითდაჯერებული არ ვიქნებოდი იმ ვერსიის მიმართ, რომ მოხდა დანაშაული.** ნამდვილად არ ვთვლი სწორად, პარანორმალური უნარით დაჯილდოებულ ხალხს და ექსტრასენსებს მივმართო, მათ ნამდვილად ვერ ჩავრთავ ამ საქმეში. თუმცა უკვე წავიკითხე, რომ ისინიც ჩართულები არიან — კაკულია, მჟავია და ვიღაცები. ისიც წავიკითხე, ვიღაც ამერიკელმა ჟურნალისტმა რომ ჩაატარა გამოძიება და ორი გვარი დაასახელა, როგორც მკვლელობის დამგეგმავების თუ შემკვეთების. **იმ ორ ადამიანთან ერთად, რომლებიც ჩემთვის უცნობია, გიგა ბოკერიაც იყო ნახსენები... მესმის, რატომ კეთდება ეს ყველაფერი და არ მინდა, რომ ჩემი ძმის გარდაცვალებით ვინმემ ისპეკულანტოს ან ვიღაცას ანგარიში გაუსწოროს, ან თავისი გამოცემის ტირაჟი გაზარდოს.**

— ანუ გამორიცხავთ, რომ თქვენი ძმის მკვლელობაში ბოკერიას ხელი ურევია? არაოფიციალური ვერსიის თანახმად, კიწმარიშვილს დაქირავებულმა მკვლელმა ესროლა, რადგან უახლოეს დღეებში ის პროკურატურაში ვიზიტს აპირებდა იმ ზემოქმედებაზე რეაგირებისთვის, რომელსაც მასზე მისი ძველი მეგობარი „ნაციონალები“ ახორციელებდნენო.

— არ ვიცი, პროკურატურაში უნდოდა წასვლა, უზენაეს სასამართლოში თუ ჰააგის ტრიბუნალის გამოყენება სურდა რაღაცისთვის. დაინტერესებულმა პირმა შეიძლება, ნებისმიერს მოსცხოს ჩირქი. **თუ არის ინფორმაცია, რომ პროკურატურაში უნდოდა მისვლა და რაღაცას აპირებდა ვიღაცის წინააღმდეგ, ამის შესახებ გამოძიება ინფორმირებული იქნება და ის დაადგენს, რას და როგორ აპირებდა და ვისთვის შეიძლებოდა, ხელისშემშლელი გამხდარიყო.**

— ტელეკომპანია „მაესტროს“ ერთ-ერთი მფლობელის ქმარს — კოტე გოგელიასაც დაუკავშირეს ეს მკვლელობა...

— არ ვიცი, შეიძლება, გოგელიაზეც თქვეს. დარწმუნებული ვარ, თუ გამოძიებას კონკრეტულ ადამიანებთან თუ პოლიტიკურ ძალებთან კითხვები გაუჩნდება და ეს 100%-იანი არგუმენტებით არ იქნება გამაგრებული, არაფერს იტყვის. ამის უფლებას ვერ მისცემს თავს. **მე ეჭვი არავისზე მაქვს, გამოვრიცხავ ყველა იმ გვარს, რომლებიც დასახელებულია.**

— ტელეკომპანია „რუსთავი 2“-საც უკავშირებენ თქვენი ძმის გარდაცვალებას...

— ეს ყველაფერი მის სინდისზე იყოს, ვინც ამას მტკიცებულებების გარეშე, ჰაერზე ამბობს. მე ვარ ოჯახის წევრი — ძმა და პირდაპირ ვამბობ, ამ წუთას არავისზე მაქვს ეჭვი.

— არც ის იცით, ბოლო ხანს ვისთან ჰქონდა დაძაბული ურთიერთობა, ვინ ემტერებოდა?

— ვერ ვიტყვი, ისეთი მტრები ჰყავდა, დასდევდნენ და ესროდნენ ერთმანეთს-მეთქი. ასეთი მტრები ეროსის არ ჰყოლია. მას შეეძლო ბევრი რაღაცის ახალი ფურცლიდან დაწყება. **ეროსი თავის საქმეებს აგრძელებდა და არ იყო ჩასაფრებული, რომ ამისა თუ იმის გამო ვინმესთვის ანგარიში გაესწორებინა.** ის ყოველთვის ფიქრობდა რაღაცის კეთებას. ჩვენი ბოლო საუბრებიც მის აქტივობას შეეხებოდა — მთხოვდა, დავხმარებოდი ჩემი რესურსით, ვგულისხმობ ტელევიზიას. სურდა, რაღაც ფორმატით სამაუწყებლო ბაზა შეექმნა. არ ვიცი, ეს როგორი არხი იქნებოდა, მაგრამ ჰქონდა შექმნის სურვილი, ის ამ საქმის პროფესიონალი იყო. ამიტომ ვამბობ, რომ ეროსი საქმეებით იყო დაკავებული და არა იმით, რომ ვიღაცისთვის ანგარიში გაესწორებინა. **ეროსი სერიოზულ პროექტებზე ფიქრობდა.**

— ვიღაცებმა გია ხევიაშვილისკენაც გაიშვირეს ხელი...

— არ მსმენია, ხევიაშვილზე ეჭვი გამოთქმულიყო. ალბათ, რაკი ხევიაშვილმა პირველმა ნახა გარდაცვლილი ეროსი, დაუწერელი კანონია, რომ ეჭვმიტანილია ადამიანი, რომელიც პირველი იპოვის გარდაცვლილს. ხევიაშვილი არის ადამიანი, რომელსაც ეროსისთან მისი სიცოცხლის ბოლო დღეებში ყველაზე აქტიური ურთიერთობა ჰქონდა. ისინი ერთად აკეთებდნენ რაღაცებს. რა ეჭვიც უნდა არსებობდეს გია ხევიაშვილის მიმართ, თეორიულადაც ვერ დავუშვებ, რომ მას დანაშაულის ჩადენა განეზრახა. როგორც ვიცი, იმ საბედისწერო დღეს გიას და ეროსის შეხვედრის კონკრეტული დრო არ ჰქონდათ დათქმული, საღამოს აპირებდნენ შეხვედრას.

— რაც შეეხება იარაღს, მართლა თქვენთვის უნდოდა ეჩუქებინა თუ საფრთხეს ელოდა? თუ იცით, ამ იარაღიდან არის გასროლილი? და კიდევ — როდის მოხდა ავტოსადგომში კამერის შეტრიალება?

— პირველი კითხვის პასუხი ეროსიმ წაიღო იმქვეყნად. **შესაძლოა, ის გრძნობდა საფრთხეს და საჭიროდ ჩათვალა, იარაღი შეეძინა თავის დასაცავად. თუ ეს ასეა, მაშინ ეროსის ნამდვილად ჰქონდა ინფორმაცია და საფუძველი, ეფიქრა, რომ მასზე თავდასხმა მზადდებოდა,** თუმცა მისი ხასიათიდან გამომდინარე, ამას სახალხოდ არ იტყოდა და იმ ახლობლების ინტერესის დასაკმაყოფილებლად, რომლებიც ეკითხებოდნენ, რისთვის სჭირდებოდა იარაღი, შეიძლება, ეს ვერსია მოიფიქრა. როგორც ვიცი, **გამოძიებამ ვერ დაადგინა, როდის მოხდა კამერის შეტრიალება, ამბობენ, რომ ბოლო პერიოდში ეს კამერა ამ პოზიციაში იდგა.** რაც შეეხება ამ იარაღიდან გასროლას, ვიცი, რომ ორი ექსპერტიზა ჩატარდა და პასუხები აქვს გამოძიებას. **თუმცა, თუ დადასტურდა, რომ ამ იარაღიდან გაისროლეს, ვფიქრობ, დიდ ცვლილებას ამ საქმეში მაინც ვერ შეიტანს, მაინც დარჩება ბევრი კითხვის ნიშანი.**

— ტელევიზიის შექმნას გიორგი თარგამაძესთან ერთად აპირებდა და, ავი ენების თქმით, მასაც უნდა მიექცეს ყურადღება...

— ამბობენ, მკვლელობაშია გარეულიო? არსებობს რამე ფაქტორი, რომელმაც შეიძლება ეს ვერსია ცოტათი მაინც გაამყაროს? მე ასეთი რამ არ ვიცი. გიორგიმ თქვა, რომ ბოლო პერიოდში ჰქონდა ეროსისთან ურთიერთობა, განიხილავდნენ ახალი მედიასაშუალების შექმნის საკითხს. გიორგი თარგამაძე, აქედან გამომდინარე, ფიგურირებს ეროსის ბოლო პერიოდის აქტივობებში. როცა ორი ადამიანი რაღაც გეგმებისთვის ერთიანდება, მათ შორის რა უნდა იყოს ისეთი, რომ ერთმა მეორის მკვლელობა შეუკვეთოს? ვიმეორებ, **წარმოდგენა არ მაქვს, რატომ უნდა შეეკვეთა ვინმეს, ვთქვათ, „ნაცმოძრაობის“ რომელიმე წევრს ეროსის მკვლელობა ან, ვთქვათ, მოქმედი ხელისუფლების რომელიმე დაჯგუფება.** გულწრფელად ვამბობ, არავისზე მაქვს ეჭვი.

— ბოლოს როდის დატოვა საქართველო ეროსიმ და ჰქონდა თუ არა ვალები?

— რაც საარჩევნო კამპანია დაიწყო, საქართველოდან არ გასულა. პირადი ვალები, როგორც ვიცი, არ ჰქონია. ჰქონდა რაღაც ვალდებულებები საარჩევნო კამპანიის პერიოდში, რაც ნაწილობრივ დაფარა, აპირებდა საბოლოოდ დაფარა. არ ვიცი, რა თანხებზეა საუბარი, **ეს რომ ყოფილიყო რამდენიმე მილიონი დოლარის ვალი, რომელსაც ეროსის შესაძლებლობები ვერ გასწვდებოდა და მისთვის დამთრგუნველი, ანუ ჩიხში შემყვანი იქნებოდა, აუცილებლად მეცოდინებოდა.**

ესაუბრა
ქეთი ხომერიკი

«რა ეჭვიც უნდა არსებობდეს გია ხევიაშვილის მიმართ, თეორიულადაც ვერ დავუშვებ, რომ მას დანაშაულის ჩადენა განეზრახა...»

«თუ არის ინფორმაცია, რომ პროკურატურაში უნდოდა მისვლა და რაღაცას აპირებდა ვიღაცის წინააღმდეგ, ამის შესახებ გამოძიება ინფორმირებული იქნება და ის დაადგენს, რას და როგორ აპირებდა და ვისთვის შეიძლებოდა, ხელისშემშლელი გამხდარიყო»

ნანა დევდარიანის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

შეერთებული შტატები იმდენად გაათამამა დაუსჯელობამ, რომ დროთა განმავლობაში „მტკიცებულებების“ შექმნაზეც აღარ იწუხებდა თავს და მსოფლიო ჰეგემონის მანტიამოსხმული იმას აცხადებდა, რაც სურდა. დღეს აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი ჯინ ფსაკის ინტელექტის ამარაა დარჩენილი და მისი „მორიგი ფსაკი“ მწყაზარი სახით აცხადებს, რომ სახელმწიფო დეპარტამენტს ინფორმაცია სოციალური ქსელებიდან აქვს და არა მრავალმილიარდიანი ბიუჯეტის მქონე სპეცსამსახურებიდან!

განჭეთქილების ბოინგი

გლობალიზაციის ეპოქამ მოიტანა იმის გაცნობიერება, რომ დედამიწა სინამდვილეში ძალიან პატარაა; თანამემამულეს მეორე ნახევარსფეროში შეგახვედრებს, იქ მომხდარის გამოძახილს აქვე, ყურისძირში გაჩვენებს, მოვლენებისა და ტენდენციების თანხვედრას თვალნათლივ დაგანახებს, თუმცა... ყოველდღიურ საზრუნავს მიყოლილი ადამიანების უმრავლესობა დამთხვევებსა და ანალოგიებს ვერ გრძნობს, ან, უბრალოდ, არც სცალია ამის გააზრებისთვის.

უკრაინული «სუ 25»-ის პილოტმა აღიარა, რომ მალაიზიის ავიახაზების «ბოინგი» სწორედ მან ჩამოაგდო. ამ ინფორმაციას გერმანული გამოცემა Fahrhreit fuer Deutschland ავრცელებს

„ბოინგი“ უდავო ჩემპიონია მსოფლიოში კატასტროფებისა და გაურკვეველი ინციდენტების მხრივ. რამდენიმე თვის წინათ გაუჩინარებული იმავე „მალაიზიის ავიახაზების“ კუთვნილი „ბოინგის“ თაობაზე არაფერი გარკვეულა – ცამ უყო პირი თუ დედამიწამ, უცნობია. **შორეულ 80-იანებში ჩამოგდებული კორეული „ბოინგი“ დიდხანს გამოიყენებოდა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ წარმოებულ პროპაგანდაში და მაშინაც, როგორც ახლა უკრაინის ცაში, მას სამხედრო გამანადგურებელი უმშვენებდა გვერდს. ალბათ, დამთხვევაა!**

უკრაინული „სუ 25“-ის პილოტმა აღიარა, რომ მალაიზიის ავიახაზების „ბოინგი“ სწორედ მან ჩამოაგდო. ამ ინფორმაციას გერმანული გამოცემა Fahrhreit fuer Deutschland ავრცელებს. ოფიციალური კიევის დაჟინებული მტკიცების შემდეგ, რომ სამგზავრო ლაინერი ამბოხებულებმა ჩამოაგდეს, ეს ინფორმაცია ნამდვილ სენსაციად იქცა. **მფრინავმა აღიარა, რომ საბორტო ქვემეხიდან გაისროლა. სწორედ მისი თვითმფრინავი ჩანდა ფოტოებზე, რომლებიც რუსეთის გენშტაბმა წარმოადგინა.**

გაეროს უმაღლესმა კომისარმა ადამიანის უფლებათა საკითხებში — ნავი პილეიმ „ბოინგის“ ჩამოგდებას სამხედრო დანაშაულის კვალიფიკაცია მისცა. „უკიდურესად აუცილებელია გადაუდებელი, სკრუპულოზური, ეფექტური, დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი გამოძიება“, – განაცხადა უმაღლესმა კომისარმა.

ამ ტრაგედიას სამასამდე ადამიანი ემსხვერპლა და ალბათ, არც ერთ სხვა კატასტროფას არ მოჰყოლია ამდენი ვერსია, მისტიფიკაცია თუ ფეიკი. ანალოგიაც ბევრი იყო, 11 სექტემბრის ტერაქტებიდან დაწყებული, ერაყში ინტერვენციის ამერიკული „მტკიცებულებებით“ დასრულებული. პენტაგონში დამდნარი თვითმფრინავის სიახლოვეს აღმოჩენილი ახალთახალი პასპორტები დეჟავიუსავით გამეორდა გრაბოვოსთან ჩამოვარდნილ „ბოინგთან“; ახლაც, როგორც მაშინ, არარსებული მტკიცებულებების ფონზე გაცხადებული ვერსია, რომ ამ ტრაგედიაში დამნაშავე რუსეთია. მერე რა, რომ ერაყში არავითარი მასობრივი განადგურების იარაღი არ არმოჩნდა, შეერთებულმა შტატებმა თავის მიზანს მიაღწია! ტონი ბლერს მთელი ეს ისტორია კინაღამ ძვირი დაუჯდა, რადგან მხურვალედ დაუჭირა მხარი ამერიკულ „ვერსიას“, მაგრამ საბოლოოდ „გამოძვრა“ თუ გამოაძვრინეს და ყველაფერი ასე, ტაატით მიდიოდა.

შეერთებული შტატები იმდენად გაათამამა დაუსჯელობამ, რომ დროთა განმავლობაში „მტკიცებულებების“ შექმნაზეც აღარ იწუხებდა თავს და მსოფლიო ჰეგემონის მანტიამოსხმული იმას აცხადებდა, რაც სურდა. დღეს აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი ჯენ ფსაკის ინტელექტის ამარაა დარჩენილი და მისი „მორიგი ფსაკი“ მწყაზარი სახით აცხადებს, რომ სახელმწიფო დეპარტამენტს ინფორმაცია სოციალური ქსელებიდან აქვს და არა მრავალმილიარდიანი ბიუჯეტის მქონე სპეცსამსახურებიდან!

უკრაინის სამხრეთ-აღმოსავლეთში კი ამასობაში ომი მიმდინარეობს. ტრაგედიაა 300 მგზავრის დაღუპვა, მაგრამ ტრაგედიად არ მიიჩნევენ ძალოვანი ოპერაციის დაწყებიდან, ანუ აპრილიდან დაღუპულ 1129, დაშავებულ 3442 ადამიანს და 100 ათასზე მეტ ლტოლვილს. ისინი უკრაინის მოქალაქეები არიან და არა, მაგალითად, ნიდერლანდებისა.

ნიდერლანდების უშიშროების საბჭო მიიჩნევს, რომ ოფიციალური კიევი ხელს უშლის ტრაგედიის გამოძიებას, არადა, ამ საქმეში ყველაზე დიდი დაინტერესება სწორედ ამ ქვეყანას აქვს, ხოლო გამოძიებისთვის ხელის შეშლა რასაც მოასწავებს, ნათელია. როგორც ჩანს, კიევს რაღაც აქვს დასამალი. ასეც რომ არ იყოს, ნებისმიერი დანაშაულისას, პირველ რიგში, ის უნდა გაირკვეს, თუ ვის აძლევდა ეს ხელს. სრულიად ნათელია, რომ ორი სუბიექტი, რომელსაც არანაირად არ აძლევდა ხელს სამგზავრო ლაინერის ჩამოგდება, მალაიზია და რუსეთია. პირველს იმიტომ, რომ მოკლე ხანში ეს უკვე მეორე მსხვილმასშტაბიანი ტრაგედიაა მის ავიახაზებზე, მეორეს კი იმიტომ, რომ მას ისედაც ადანაშაულებენ უკრაინის მოვლენებში.

მთელი ამ ისტორიის უკან ბაჭიას ყურებივით მოჩანს უკრაინის ხელისუფლების მრჩევლად გამწესებული სააკაშვილის ყურები, რომელსაც რუსეთის დაშლა მიზნად აქვს დასახული და რაც საქართველოს დააკლო, ახლა უკრაინას უსრულებს. მისტიფიკაციების, ფალსიფიკაციების და, უბრალოდ, ტყუილის მიმართ მისი მიდრეკილება უკრაინაშიც კარგად მუშაობს. რა რჩევებსაც აძლევს იგი სახელმწიფო გადატრიალების გზით მოსულ ახალ ხელისუფლებას, ჩვენთვის ნათელი უნდა იყოს; ისიც ამ გზით დაეპატრონა ძალაუფლებას საქართველოში და, როგორც აქ მოიტანა იმ „ხავერდოვანმა რევოლუციამ“ ტერორი, უკრაინაშიც იმავე ტენდენციით ვითარდება მოვლენები. უახლოეს მომავალში უკრაინაში ისეთივე სასტიკეს უნდა ველოდოთ, როგორიც საქართველოში დაამკვიდრა „ნაციონალურმა“ ხელისუფლებამ. ამასობაში კი სააკაშვილის ნარჩენები პარლამენტში უკრაინის საკითხზე რეზოლუციის მიღებას მოითხოვენ. გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციებს არ შეუცვლია, მაგალითად, საქართველოსთვის აფხაზეთის საკითხში რაიმე და რა უნდა შეცვალოს საქართველოს პარლამენტის რეზოლუციამ? თუმცა მთავარი ხომ ეს არ არის, მთავარია, საქართველო-რუსეთის ურთიერთობა დამძიმდეს! ის, რაც დააშავა წინა ხელისუფლებამ, ასე ნაკლებად „იყვირებს“.

„პუტინი მტერია“! – პარლამენტის თავმჯდომარის მიერ სამგზის ნათქვამი ეს ფრაზა ირონიულად ჟღერდა, მაგრამ, ასე იყო თუ ისე, მან სააკაშვილის ნარჩენებს მაინც ასიამოვნა. მართალია, ამ სახის „სიამოვნებას“ ისინი წლების განმავლობაში იყვნენ ნაჩვევი, მაგრამ „ოცნების“ წარმომადგენლისგან წარმოთქმულს სულ სხვა ფასი აქვს, მით უფრო, რომ ეს არც მატებს ქვეყანას რამეს და არც აკლებს, იმასთან შედარებით, რაც მას სააკაშვილის ნარჩენებმა დააკლეს!

კაცმა რომ თქვას, ყველამ თავის „ბოინგს“ რომ მოუაროს, ურიგო არ იქნებოდა; **ამერიკელებმა 1988 წელს ჩამოაგდეს ირანის სამგზავრო თვითმფრინავი, რომელსაც 300 ადამიანი ემსხვერპლა, ანუ იმაზე მეტი, ვიდრე მალაიზიური „ბოინგის“ ჩამოგდებას. ამერიკელებმა შესანიშნავად იცოდნენ, რომ ეს სამგზავრო რეისი იყო, მაგრამ მაინც ჩამოაგდეს.** მაშინ პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა უფროსმა უტიფრად განაცხადა, რომ შეერთებული შტატები ბოდიშს არ იხდის. კომპენსაცია გადაიხადეს და ყველაფერი ამით დამთავრდა. ისე, მართლაც საინტერესოა, ადამიანის სიცოცხლის ღირებულება რამდენად განსხვავდება მისი მოქალაქეობის მიხედვით? რა ღირს ერთი დაღუპული ირანელის სიცოცხლე და რამდენად მაღალია, მაგალითად, ნიდერლანდების მოქალაქის სიცოცხლის საფასური?

ეს ყოველივე, დიდი ხანია, გასცდა ცინიზმის ფარგლებს. როგორც ირკვევა, ცინიზმიც შეიძლება იყოს ზღვარგადასული. მნიშვნელოვანია არა თავად ტრაგედია, არამედ ის, თუ რამდენად მოხერხდება მისი გამოყენება რუსეთის წინააღმდეგ. **„გადამწყვეტი ბრძოლა უკრაინისთვის“ სააკაშვილის ლოზუნგის – „გადამწყვეტი ბრძოლა საქართველოსთვის“ ზუსტი ანალოგია. „მისი ბრძოლა“ მალევე დაემსგავსა „მაინ კამპფს“, ანუ ჰიტლერის ბრძოლას.** რით დამთავრდა ის ბრძოლა, ყველამ იცის. უკრაინაში იგი სწორედ ამ გაკვალული ბილიკით მიდის და სააკაშვილი, რომელიც „ოლიგარქის წინააღმდეგ“ ისვრის დღეს ლოზუნგებს, სულაც არ გრძნობს უხერხულობას იმით, რომ უკრაინაში ყველაზე ოდიოზურ ოლიგარქებს უდგას გვერდით!

ძაღლიშვილია, მაგრამ ჩვენი ძაღლიშვილი! — ქირქილებს მავანი და უკრაინაში დანთებულ ცეცხლზე ხელებს ითბობს. რა „ბოინგი“, რის დაღუპულები! გეოპოლიტიკურ ომში ადამიანები ნაფოტებივით ცვივა, ქვეყანა იშლება, მაგრამ ამერიკელები საკუთარ მიზანს ადგანან: ევროპა მთლიანად მისი კარნახით უნდა იმართებოდეს! აშშ დაჟინებით ითხოვს რუსეთის მიმართ სანქციების გამკაცრებას, ევროპას კიდევ უფრო სერიოზულ კრიზისში შესვლა სულაც არ უხარია, თუმცა მთელ ამ ამბავში ერთი რამ არის მთავარი: თუ აშშ მოახერხებს ევროპისა და რუსეთის საბოლოოდ დაპირისპირებას, მისი ჰეგემონიის ხანა, შესაძლოა, გახანგრძლივდეს კიდეც. „ევროპა ლისაბონიდან ვლადივოსტოკამდე“ შეერთებული შტატებს არათუ ჰეგემონობის, ზესახელმწიფოს სტატუსის დაკარგვით ემუქრება. იგი ცდილობს, არ დაუშვას ეს პროექტი, რომელიც ადამიანური და მატერიალური რესურსებით უმძლავრესი წარმონაქმნი შეიძლება გახდეს. რა არის 300 ადამიანის სიცოცხლე ამასთან შედარებით? ისევე, როგორც ახალი „ჯვაროსნული ომისთვის“ არაფერს წარმოადგენდა 11 სექტემბრის ტერაქტებში დაღუპული სამი ათასი ადამიანის სიცოცხლე! და ამ შემთხვევაში დიდი მნიშვნელობა არა აქვს, ვინ მოაწყო ის ტერაქტები. მთავარია, ადამიანური ტრაგედიის საშენოდ გამოყენება შეძლო. ადრე ადამიანი ჭანჭიკი იყო კომუნიზმის მშენებლობაში, ახლა ადამიანი ნაფოტია გეოპოლიტიკურ ომში.

სიცრუის ტირაჟირების პრაქტიკა ამჯერად აღარ მუშაობს. აღარავის სჯერა აშშ-ის არარსებული მტკიცებულებების. მალაიზიის ყოფილმა პრემიერმინისტრმა მაჰათჰირ მოჰამადმა პირდაპირ განაცხადა, რომ იმედგაცრუებულია აშშ-ისა და ევროკავშირის ქმედებით, რომლებიც გამოძიების დასრულებამდე იშვერენ თითს რუსეთისკენ და ისე იქცევიან, თითქოს საბაბს ეძებენ სანქციებისთვის. მაჰათჰირი კი სააკაშვილი არ არის; მან საკუთარი ქვეყანა ფეხზე დააყენა და არც ერთი ზესახელმწიფოს ინტერესებისთვის არ შეუწირავს სამშობლო.

რუსეთს თავის დაცვა არ გაუჭირდება. ამ წერილის მიზანი სულ სხვაა — სიცრუეს მხარი არ უნდა დაუჭირო, რადგან ხვალ ასეთივე სიცრუის მსხვერპლი შეიძლება აღმოჩნდე. ჩვენ ეს უკვე გავიარეთ, უკრაინა ამ გზას ახლა გადის, თანაც ბრმა და ყრუ მეგზურის კარნახით, რომელმაც საკუთარ ქვეყანას მეოთხედი დააკარგვინა. არც იმას იდარდებს, უკრაინა თუ სულაც დაიშლება; მრჩევლად კიდევ სადმე გაამწესებენ და გზის ფულსაც შეუგროვებენ — ღარიბი ქვეყნის მილიარდერი პრეზიდენტისთვის გზის ფული „პრობლემას“ რომ წარმოადგენს, ესეც იმავე სიცრუის ნაწილია, როგორც სხვა ყველა ეპიზოდი უკრაინის „გაევროპელებაში“.

ახალმა ხელისუფლებამ უკან არ დაიხია და გააკეთა ის, რაც მისი ამომრჩევლების დიდ ნაწილს მთელი გულით სურდა და ისინი ამას, სავარაუდოდ, დაუფასებენ. და კიდევ ერთხელ — ბიძინა ივანიშვილი არასოდეს იწყებს თამაშს, თუ მას უპერსპექტივოდ მიიჩნევს, და თუ აკეთებს სვლას, კომბინაციის გაგრძელებასაც ხედავს.

დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი

www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

«ვარდების რევოლუცია» ვირის აბანოში დასრულდება?

28 ივლისს მოხდა ის, რაზეც ქართული საზოგადოება წლების განმავლობაში მსჯელობდა — მიხეილ სააკაშვილი ბრალდებულის სახით სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცა.
საქმე ეხება 2007 წლის 7 ნოემბერს მომიტინგეთა დარბევას, ტელეკომპანია „იმედში“ შეჭრას და ბადრი პატარკაციშვილის ქონების დანაშაულებრივად ხელში ჩაგდებას.

მთავარი პროკურატურის განცხადებით, **„საქართველოს მაშინდელი ხელისუფლების წარმომადგენლებისა და მისი მეთაურის — მიხეილ სააკაშვილის უკანონო მოქმედების შედეგად, დაირღვა არკადი პატარკაციშვილის ოჯახის საკუთრების უფლება, ხელყოფილ იქნა მოქალაქეთა შეკრებისა და მანიფესტაციის უფლება, მრავალმა მოქალაქემ მიიღო სხეულის სხვადასხვა სახის დაზიანება, მოხდა დამოუკიდებელი მედიის საქმიანობაში უკანონოდ ჩარევა და ხელის შეშლა, რამაც ფიზიკური და იურიდიული პირის, სახელმწიფოს და საზოგადოების კანონიერი უფლებების არსებითი დარღვევა გამოიწვია. მიხეილ სააკაშვილის, ივანე მერაბიშვილის, ზურაბ ადეიშვილის, დავით კეზერაშვილის და გიორგი უგულავას მიმართ გამოტანილია ბრალდების შესახებ დადგენილებები სამსახურებრივი უფლებების გადამეტებისთვის. გამოძიება გრძელდება საქართველოს სისხლის სამართლის 333-ე მუხლის მესამე ნაწილით, რაც სასჯელის სახედ და ზომად თავისუფლების აღკვეთას 5-დან 8 წლამდე ითვალისწინებს“.**

პროკურატურის განცხადებაში, აგრეთვე, აღნიშნული იყო, რომ დასკვნით სტადიაშია შესული გამოძიება სხვა საქმეებზეც, რომლებზეც მიხეილ სააკაშვილი დაბარებული იყო მოწმის სახით. აქ, სავარაუდოდ, იგულისხმება ის საქმეები, რომლებზეც პროკურატურამ სააკაშვილი ოთხი თვის წინათ დაიბარა. შესაბამისად, საუბარი ეხება სანდრო გირგვლიანისა და ლევან ბუხაიძის მიმართ ჩადენილი დანაშაულისთვის მსჯავრდებული პირების შეწყალებას; სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის კუთვნილი 8 837 461 ლარის გაფლანგვას; „რუსთავი 2“-ისა და „მზი“-ს კანონიერი მესაკუთრეებისთვის წილების წართმევას; გია კრიალაშვილის ლიკვიდაციას; კობა ოთანაძისა და ლევან ამირიძისა დაჭრას; სახელმწიფოს კუთვნილი შპს „აგრომეტი“-ს (აგრარული უნივერსიტეტის) ქონების გაფლანგვას; სააკაშვილის ბიძის — თემურ ალასანიასთვის უპირატესობის მინიჭებით სახელმწიფო ქონების უკანონო პრივატიზებას; 2012 წლის თებერვალში ტვ-25-ის საარჩევნო პერიოდში გაკონტროლების მიზნით, მისი დამფუძნებლებისთვის 3 მილიონამდე აშშ დოლარის ღირებულების სახელმწიფოს კუთვნილი უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად — 1 ლარად გადაცემას და „ქართუ“ ბანკის ხელოვნურად გაკოტრების მიზნით, ბანკში იპოთეკით დატვირთული ქონების თვალთმაქცურად გასხვისების გზით გადამალვის ფაქტს. ჯერჯერობით გაუგებარია, მისცემენ თუ არა მიხეილ სააკაშვილს პასუხისგებაში ყველა ჩამოთვლილ ეპიზოდთან დაკავშირებით თუ მხოლოდ ზოგიერთთან, თუმცა, ნებისმიერ შემთხვევაში, აშკარაა, რომ (პირობითად) 7 ნოემბრისა და „იმედის“ ეპიზოდებს მალე სხვაც დაემატება.

აქ სისხლის სამართლის კოდექსი, ალბათ, დროებით გვერდზე უნდა გადავდოთ და შექმნილი ვითარების ერთ საინტერესო ფსიქოლოგიურ ასპექტს შევეხოთ. **„ნაცმოძრაობის“ ხელმძღვანელებს და მათთან დაახლოებულ ექსპერტებსა და პროპაგანდისტებს ყოველთვის ახასიათებდათ ერთი უცნაური თვისება. ისინი მაძსიმალურად ცდილობდნენ, შესაძლო ნეგატიურ შედეგებზე არ ეფიქრათ, მოსალოდნელი საფრთხე სადღაც უკანა ჯლანზე გადაეწიათ და, სულაც, არარსებულად გამოეცხადებინათ.** ასე იბადებოდა შეხდულებები, რომელთა ქვაკუთხედს არა სიტუაციის ობიექტური შეფასება, არამედ ირაციონალური რწმენა წამოადგენდა. მაგალითად, „რუსები არ ჩაერევიან“, „ოპოზიცია ვერ გაიმარჯვებს“, „ისინი ვერ გაბედავენ“ და ა.შ. მათ სავსებით გულწრფელად სჯეროდათ, რომ რაღაც მომენტში მათ თავს დაანებებდნენ, რომ „ქართული ოცნების“ ამომრჩეველი რატომღაც დაინებებდა პრეტენზიებს მათ მიმართ, სამართლიანობის აღდგენაზე ხელს ჩაიქნევდა და სხვა, თუნდაც სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებზე გადაერთვებოდა. მათ სჯეროდათ, რომ დასავლეთის მკვეთრი რეაქციის შიშით ახალი ხელისუფლება ვერ გაბედავდა ამა თუ იმ მაღალჩინოსნის დაკავებას, სააკაშვილის დაკითხვაზე დაბარებას და პასუხისგებაში მიცემას. ხოლო მას შემდეგ, რაც ყოველივე ჩამოთვლილი მოხდა, იმის ნაცვლად, რომ შექმნილი მძიმე სიტუაცია ობიექტურად შეაფასონ, თავს იმით იმშვიდებენ, რომ სამართალდამცავები სააკაშვილის დაპატიმრებას ვერ მოახერხებენ. ვერაფერს ვიზამთ, თუ ადამიანებს გამოგონილ სამყაროში ცხოვრება სურთ და რეალობისთვის თვალის გასწორების ეშინიათ (რაც სიღრმისეული, უიმედო ინფანტილიზმის ერთ-ერთი უტყუარი ნიშანია), მათ მხოლოდ ვიწრო პროფილის თეთრხალათიანი სპეციალისტები თუ დაეხმარებიან. ამდენი ხნის განმავლობაში ერთი მარტივი რამ ვერ გაუგიათ — ბიძინა ივანიშვილი არასოდეს იწყებს თამაშს, თუ გამარჯვების იმედი არ აქვს, და თითოეული მისი სვლა ემოციური ამოფრქვევის შედეგს ნამდვილად არ წარმოადგენს. მისი დამარცხება კი შესაძლებელია მხოლოდ სიტუაციის ობიექტურად შეფასების საფუძველზე, ირაციონალური რწმენა-წარმოდგენები და მათზე დაფუძნებული პოლიტიკური შელოცვები ვერაფერს დააკლებს.

სხვათა შორის, „ქართული ოცნების“ მხარდამჭერების საკმაოდ დიდ ნაწილს არ სჯეროდა, რომ საქმე აქამდე მივიდოდა. ბევრი მათგანი ვარაუდობდა, რომ რაღაც ეტაპზე ახალი ხელისუფლება პროკურატურას დაამუხრუჭებინებდა, ნაწილი კი სამართალდამცავებს ნელი მუშაობისთვის აკრიტიკებდა. მაგრამ, ალბათ, უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ მსგავს შემთხვევებში აჩქარება დაუშვებელია, ხოლო მტკიცებულებების შეგროვება იუველირულ სიზუსტეს მოითხოვს. არ დაგვავიწყდეს, რომ სააკაშვილის გადადგომიდან ვიდრე დღემდე სულ რაღაც 8 თვე გავიდა. სამხრეთ კორეის ყოფილი პრეზიდენტი რო დე უ გადადგომიდან 9 თვის შემდეგ მისცეს პასუხისგებაში, ამდენივე დრო გავიდა პერუს ყოფილი პრეზიდენტის — ალბერტო ფუხიმორის შემთხვევაშიც (ის მოგვინებით, 5 წლის შემდეგ, დააპატიმრეს, სასამართლო პროცესები კი 4 წელიწადს გაგრძელდა). ერთადერთი ლიდერი, რომელმაც ამ მხრივ სააკაშვილს „გაუსწრო“, ტაივანის ყოფილი პრეზიდენტი ჩენ შუიბიანია, რომელიც გისოსებს მიღმა გადადგომიდან 5 თვეში აღმოჩნდა. ასე რომ, საუბარი ქართული პროკურატურის გაუმართლებლად ნელ მოქმედებაზე, ამ მაგალითების გათვალისწინებით, ალბათ, მაინც არაკორექტულია. სააკაშვილის წინააღმდეგ საქმის დაუყონებლივი აღძვრა, სასწრაფო წესით შეკონიწებულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით გაუმართლებელი იქნებოდა, როგორც პოლიტიკური, ისე იურიდიული თვალსაზრისით. ამას, სავარაუდოდ, მოჰყვებოდა გართულებები ურთიერთობებში უცხო ქვეყნებთან (აქ იგულისხმება არა სააკაშვილის ლობისტების რიტორიკული დემარშები, არამედ რეალური პრობლემები). საბოლოო ჯამში, ვადებს განსაკუთრებული მნიშვნელობა არ აქვს, მთავარია, რამდენად სერიოზულ მტკიცებულებებს ეყრდნობა ბრალდება.

ის, რომ მიხეილ სააკაშვილს მალე პრობლემები ექნება, ბევრი დამკვირვებლისთვის ცხადი მას შემდეგ გახდა, რაც თბილისში ცნობილი პროკურორების ჯგუფი ჩამოვიდა, რომელთაც საქართველოს მთავარმა პროკურატურამ გამოცდილების გაზიარება სთხოვა. მოწვეულ კონსულტანტებს შორის იყვნენ აშშ-ის იუსტიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის განყოფილების ყოფილი დირექტორი პოლ კაფი, რომელსაც, სხვა ყველაფერთან ერთად, სერიოზული წვლილი მიუძღვის კოსოვოს ომის დანაშაულების გამოძიებაში; იერუსალიმის ყოფილი მთავარი პროკურორი, შემდგომ კი ისრაელის სახელმწიფო პროკურორი მოშე ლადორი, რომელიც ზედამხედველობდა ეჰუდ ოლმერტის და სხვა პოლიტიკოსების წინააღმდეგ აღძრულ საქმეებს და ბრიტანელი სერ ჯეფრი ნაისი, რომელიც საერთაშორისო სისხლის სამართლის ტრიბუნალის მთავარი პროკურორის მოადგილე გახლდათ და სლობოდან მილოშევიჩის საქმეს უძღვებოდა. იურიდიული სამყაროს „შიდა სამზარეულოში“ ჩახედული ნებისმიერი ექსპერტი დაადასტურებს იმას, რომ ეს სპეციალისტები საეჭვო ავანტიურებში არასოდეს ჩაებმებიან და საკუთარ რეპუტაციას დარტყმის ქვეშ არ დააყენებენ. მათი ჩამოსვლა თბილისში უტყუარი ნიშანი იყო იმისა, რომ მთავარი პროკურატურა ძალზე სერიოზული ნაბიჯისთვის ემზადება.

კანონი კანონია და კანონზე მაღლა არავინ დგას. **თუ სააკაშვილი თავს უდანაშაულოდ თვლის, ის უნდა ჩამოვიდეს და თავისი სიმართლე პროკურატურასთან პაექროგაში დაამტკიცოს, თუმცა საქართველოში, ალბათ, არ მოიძებნება არც ერთი ადამიანი, რომელიც დაიწყებს იმის მტკიცებას, რომ ფიგურანტს ამისთვის გამბედაობა ეყოფა.**

პოლიტიკურ კულუარებში დროდადრო ვრცელდება ხმები იმის თაობაზე, რომ პროკურატურას გადანახული აქვს ერთგვარი „ჯოკერი“, ანუ უძლიერესი, თერმობირთვული სიმძლავრის მტკიცებულება (შესაძლოა, ვიდეოფირი), რომელიც შეიძლება კულმინაციურ მომენტში გამოიყენოს და სააკაშვილის ბრალეულობასთან დაკავშირებით ყველა კითხვა მოხსნას. ძნელი სათქმელია, სიმართლეა ეს თუ არა, მაგრამ, ალბათ, უნდა აღვნიშნოთ, რომ კარგ პროკურორებს სუფთა გამარჯვების მიღწევა მსგავსი „ჯოკერების“ გარეშეც შეუძლიათ. ძალიან მალე ჩვენ ვიხილავთ, რამდენად თავდაჯერებულად გრძნობს თავს მთავარი პროკურატურა და რამდენად გამოადგა უცხოელი ექსპერტების რჩევები.

სააკაშვილი და მისი ლობისტები, დიდი ალბათობით, შეეცდებიან, დისკუსია პოლიტიკის სფეროში გადაიტანონ და, საქმის დეტალებზე მსჯელობის ნაცვლად, ისაუბრონ პუტინის დაკვეთაზე, თავის ცხრაწლიან რეფორმატორულ მოღვაწეობაზე ან თუნდაც უკრაინის კრიზისზე, მოკლედ, ყველაფერზე ბრალდების გარდა. ეს, ერთი შეხედვით, პერსპექტიული ტაქტიკაა, თუმცა, საბოლოო ჯამში, წამგებიანია. ადამიანმა მიტინგის დარბევასთან ან ფულის მოპარვასთან დაკავშირებული ბრალდების საპასუხოდ საუბარი (ერთხელ, მეორედ, მესამედ) პუტინსა და უკრაინაზე რომ დაიწყოს, მის მიმართ კეთილგანწყობილი დამკვირვებელიც კი ადრე თუ გვიან მივა დასკვნამდე, რომ ფიგურანტი ან გიჟია, ან მართლაც დამნაშავე. უბრალოდ, წარმოვიდგინოთ ასეთი დიალოგი:

კითხვა: „შენ წაართვი პატარკაციშვილის ოჯახს „იმედი“?

პასუხი: „დღეს, როდესაც მთელი დემოკრატიული სამყარო უკრაინაში პუტინის იმპერიას ებრძვის, საქართველოში ჩვენ მიერ გატარებულ რეფორმებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს!“

კითხვა: „შენ გაეცი „იმედის“ ჟურნალისტების ცემის ბრძანება?“

პასუხი: „მე არ ვმონაწილეობ ფარსში, რომელიც რუსმა ოლიგარქმა დადგა!“

კითხვა: „შენ მოიპარე 8 მილიონი სახელმწიფო დაცვის ბიუჯეტიდან?“

პასუხი: „მოვა დრო, როდესაც ქართველი ხალხი აღსდგება უსამართლობის წინააღმდეგ და მე დავბრუნდები!“

ადამიანები, რომლებიც თანამოსაუბრეებთან ასეთ სტილში ურთიერთობენ, დალაგებულ ქვეყნებში მაშინვე ფსიქიატრიულ ექსპერტიზაზე მიჰყავთ.

მაგრამ დროებით თავი დავანებოთ სააკაშვილს, თავისი გასაჭირიც ეყოფა. ფაქტია, რომ **ახალმა ხელისუფლებამ უკან არ დაიხია და გააკეთა ის, რაც მისი ამომრჩევლების დიდ ნაწილს მთელი გულით სურდა და ისინი ამას, სავარაუდოდ, დაუფასებენ. და კიდევ ერთხელ — ბიძინა ივანიშვილი არასოდეს იწყებს თამაშს, თუ მას უპერსპექტივოდ მიიჩნევს, და თუ აკეთებს სვლას, კომბინაციის გაგრძელებასაც ხედავს.**

 პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

საქართველოში დიდი გეოპოლიტიკური გარჩევების მიმართ ორი ძირითადი მიდგომა ჩამოყალიბდა. ერთ-ერთის თანახმად, ქვეყანამ აქტიურად უნდა დაუჭიროს მხარი რომელიმე ძლიერ მოთამაშეს და საკუთარი მომავალი მის წარმატებებს დაუკავშიროს. მეორე მიდგომა ფრთხილ მანევრირებას და ნეიტრალიტეტის შეძლებისდაგვარ ერთგულებას გულისხმობს.

პარლამენტის წევრს სამხედრო სამსახურში არ გაიწვევენ

პარლამენტის წევრს სამხედრო სამსახურში არ გაიწვევენ. სამაგიეროდ გაწვევას მეცნიერები და პედაგოგები დაექვემდებარებიან, რომლებიც, ჯერ კიდევ მოქმედი კანონის გათვალისწინებით, იმ პირთა ჩამონათვალში არიან, რომელთაც კანონი სამხედრო სამსახურში გაწვევისგან ათავისუფლებს.

ეს ერთ-ერთი ცვლილებაა ცვლილებათა იმ პაკეტიდან, რომელიც მთავრობამ მოამზადა. პროექტის ავტორი რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროა.

„სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ კანონის თანახმად, სამხედრო სამსახურში გაწვევისგან თავისუფლდებიან: ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო სამხედრო სამსახურისათვის უვარგისად ცნობილი პირი; პირი, რომელმაც სამხედრო სამსახური სხვა სახელმწიფოს სამხედრო ძალებში გაიარა; პირი, რომელიც სისხლის სამართლის მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენისთვის არის ნასამართლევი; პირი, რომელიც გადის არასამხედრო, ალტერნატიულ, შრომით სამსახურს; პირი, რომელსაც მინიჭებული აქვს სამეცნიერო ხარისხი და ეწევა პედაგოგიურ ან სამეცნიერო მუშაობას; ერთადერთი ვაჟი ოჯახში, რომლის ერთი წევრი მაინც დაიღუპა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლებში ან სამხედრო სამსახურის გავლისას. ასევე, პრემიერმინისტრი უფლებამოსილია, სამხედრო ვალდებულების მოხდისაგან გაათავისუფლოს განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული წვევამდელი.

აღნიშნული ჩამონათვალიდან ხდება იმ პირთა ამოღება, რომლებიც პედაგოგიურ ან სამეცნიერო მუშაობას ეწევიან. ჩამონათვალს ემატება „საქართველოს პარლამენტის წევრები“.

მოქალაქის სამხედრო სამსახურში გაწვევის მაქსიმალური წლოვანება 27 წელია; წინა მოწვევის პარლამენტის მიერ კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილებებით, 21 წლამდე შემცირდა სადეპუტატო ასაკის ცენზი.

მესამე მსოფლიო ომის ქართული ფრონტი

ასი წლის წინათ პირველი მსოფლიო ომი დაიწყო. იმედებისა და აღმოჩენების ბრწყინვალე ეპოქა, რომელსაც კაცობრიობის ისტორიაში ანალოგი არ ჰქონდა, სრული კოშმარით დაგვირგვინდა. ამ ეპიკურმა სასაკლაომ შეცვალა პოლიტიკა, ეკონომიკა, სამხედრო საქმე, ხელოვნება და ფსიქოლოგია. იმ დროის მოღვაწეები თავს იმით ინუგეშებდნენ, რომ „ეს ომი ყველა ომს დაასრულებდა“, მაგრამ შემდეგ იყო მეორე მსოფლიო ომიც, დღეს კი გაზეთები მესამე მსოფლიო ომის მოახლოებაზე წერენ, ზოგიერთი ექსპერტი კი უკრაინაში მალაიზიური „ბოინგის“ ჩამოგდებას ერცჰერცოგ ფრანც ფერდინანდის მკვლელობას ადარებს და განიხილავს მას, როგორც შეუქცევადი პროცესების დეტონატორს. რამდენად რეალურია საფრთხე და რას მოუტანს ახალი გლობალური დაპირისპირება საქართველოს?

ქარიშხალი ახლოვდება

არსებობს არაერთი თეორია, რომელთა ფარგლებში მსოფლიო ომი განიხილება, როგორც გლობალური ეკონომიკური კრიზისის გარდაუვალი შედეგი. კრიზისი სახეზეა, ისევე, როგორც ელიტების სრული უუნარობა, გამოიყვანონ ჩიხიდან როგორც ცალკეული ქვეყნები, ისე მთელი მსოფლიო. მსგავსი თეორიების ნიაგადაგზე ხშირად კეთდება უაპელაციო დასკვნები, რომელთა შინაარსი დაახლოებით ასეთია: „ომი გარდაუვალია, მისი დაწყება მხოლოდ დროის საკითხია“. ამავე დროს, არსებობენ ოპტიმისტები, რომელნიც მიუთითებენ, რომ დიდი ომი დიდი კოალიციების ფორმირებას მოითხოვს, ხოლო დღესდღეობით ეს პროცესი დასრულებული არაა. ამასთანავე, ბაზრების გადანაწილების მშვიდობიანი მეთოდები ჯერ-ჯერობით ამოწურული არ არის. და, რაც მთავარია, წინა მსოფლიო ომებისგან განსხვავებით, ძირითადი მოთამაშეები ბირთვულ იარაღს ფლობენ, რომელიც უმნიშვნელოვანეს შემაკავებელ ფაქტორს წარმოადგენს. არის კიდევ ერთი გარემოება — სამხედროების დაბალი მზადყოფნა შესაძლო გლობალური დაპირისპირებისთვის. ეს საკმაოდ საინტერესო საკითხია; თუ პირველი მსოფლიო ომის წინ წამყვანი ქვეყნების სამხედროები მიიჩნევდნენ, რომ ძლიერების პიკზე იმყოფებიან და პოლიტიკოსებს „რაც მალე, მით უკეთესი“ პრინციპიდან გამომდინარე ესაუბრებოდნენ, მეორე მსოფლიო ომის წინ ისინი, პირიქით — ფეხს ითრევდნენ და ამტკიცებდნენ, რომ მზად არ არიან. დღეს საქმე, ალბათ, უფრო მეორე შემთხვევასთან გვაქვს.

გენერლებზე ხშირად ხუმრობით ამბობენ, რომ ისინი „წინა ომისთვის ემზადებიან“, თუმცა იგივე, ალბათ, შეიძლება ითქვას პოლიტიკოსებსა და პოლიტოლოგებზე. მათი წარმოდგენები მსოფლიო ომზე ხშირად პარალელების უხეშ გავლებას ეფუძნება და აუცილებლად ზესახელმწიფოების შეიარაღებული ძალების უშუალო დაპირისპირებას გულისხმობს. **უკრაინისა და სირიის მსგავსი მოვლენები კიდევ ასიოდე ქვეყანაში რომ დაიწყოს, ისინი მაინც არ ჩათვლიან ამას მსოფლიო ომად, არამედ ერთმანეთისგან იზოლირებული ლოკალური კონფლიქტების სერიად, თუნდაც ამ დაპირისპირებებში მილიონობით ადამიანი დაიღუპოს.** თუმცა, ჩვენ ალბათ, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ომების ხასიათი დროთა განმავლობაში იცვლება და არ შეიძლება არსებობდეს შაბლონი, რომელიც ამა თუ იმ შეიარაღებული დაპირისპირების მომენტალური კლასიფიცირების შესაძლებლობას მოგვცემს. **რაღაც მომენტში ზღვარი მსოფლიო ომსა და გლობალურ ქაოსს**

რაღაც მომენტში ზღვარი მსოფლიო ომსა და გლობალურ ქაოსს შორის შეიძლება ძალზე პირობითი გახდეს ან სრულიად წაიშალოს

შორის შეიძლება ძალზე პირობითი გახდეს ან სრულიად წაიშალოს.

მიჩნეულია, რომ (ფარდობითად) სუსტი ქვეყნების პოზიციას წინასაომარ პერიოდში არანაირი მნიშვნელობა არ აქვს და ამ კონტექსტში ჩვენ შეიძლება გავიხსენოთ ბელგია, რომლის ბედი ორივე მსოფლიო ომში მისმა გეოგრაფიულმა მდებარეობამ განსაზღვრა. მაგრამ იმის თქმა, რომ რუმინეთსა და ბულგარეთს (ორივე მსოფლიო ომის წინ) ან უნგრეთსა და ფინეთს (მეორე მსოფლიო ომის წინ) არჩევანისა და მანევრის შესაძლებლობა საერთოდ არ ჰქონდათ, ალბათ, სიტუაციის გაუმართლებელი გამარტივება იქნება. მიუხედავად იმისა, რომ ზესახელმწიფოების ზეწოლა ძალზე სერიოზული იყო და მათ თავისუფლად შეეძლოთ სუსტ სატელიტ ქვეყნებში გადატრიალებისთვის მხარი დაეჭირათ, ჩამოთვლილთაგან თითოეულ სახელმწიფოში დროადრო იხსნებოდა „შესაძლებლობების ფანჯარა“, ჩნდებოდა წინაპირობა დამოუკიდებელი მანევრისთვის და ამ ეპიზოდებში მათ არჩევანს ომის ან მშვიდობის სასარგებლოდ მნიშვნელობა ნამდვილად ჰქონდა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ფართოდ გავრცელებულია ერთგვარი „გეოპოლიტიკური ფატალიზმი“ შესაბამისი განწყობით „ჩვენ მაინც არავინ არაფერს გვეკითხება“, ისტორიული გამოცდილება ცხადყოფს, რომ ყველაზე მრისხანე პერიოდებშიც კი პატარა ქვეყნებს შეუძლიათ თავისი გაიტანონ.

საქართველოში დიდი გეოპოლიტიკური გარჩევების მიმართ ორი ძირითადი მიდგომა ჩამოყალიბდა. ერთ-ერთის თანახმად, ქვეყანამ აქტიურად უნდა დაუჭიროს მხარი რომელიმე ძლიერ მოთამაშეს და საკუთარი მომავალი მის წარმატებებს დაუკავშიროს. მეორე მიდგომა ფრთხილ მანევრირებას და ნეიტრალიტეტის შეძლებისდაგვარ ერთგულებას გულისხმობს. მის ფარგლებში წარმატების მიღწევა უკავშირდება მშვიდობას და არა ომს, დაპირისპირებულ ძალებს შორის შემაკავშირებელი რგოლის შესრულებას. ორივე მიდგომას თავის დროზე საქართველოსთვის, როგორც დიდი წარმატება, ისე მძიმე მარცხი მოუტანია და ქართველებს ერთ-ერთის სასარგებლოდ საბოლოო აჩევანი გაკეთებული არ აქვთ, თუნდაც იმავე ფინელებისგან განსხვავებით, რომელთა აბსოლუტურ უმრავლესობას, „მშვიდობიანი ვარიანტის“ გარდა, სხვა ვარიანტების განხილვა, უბრალოდ, აღარ სურს და დღესდღეობით, როდესაც დასავლური სამყაროს ნაწილი მკვეთრად უპირისპირდება მოსკოვს, უაღრესად ფრთხილად მოქმედებენ. ქართველები კი ჯერჯერობით ყოყმანობენ; საზოგადოების ნაწილი (მცირე და, შესაძლოა, მარგინალური, მაგრამ მაინც) ქვეყნის მომავალ წარმატებას კვლავინდებურად რუსეთთან მკვეთრ კონფრონტაციას უკავშირებს.

არც ომი, არც მშვიდობა

„ქართულმა ოცნებამ“, ყველა მისი მინუსის მიუხედავად, რუსეთთან დაპირისპირების გრადუსის დაგდება მოახერხა და ამომრჩევლებს თანდათან გაუქრა იმის განცდა, რომ ახალი ომი შეიძლება ნებისმიერ წუთს დაიწყოს. მოსახლეობა ამას აფასებს და ეს სოციოლოგიურ მონაცემებშიც აისახება. „ნაციონალური მოძრაობა“, თავის მხრივ, ▶

ამერიკა

მერკელმა დაზვერვას აშშ-ისა და ბრიტანეთისთვის თვალყურის დევნება დაავალა

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ პირველად გერმანიის სპეცსამსახურებს ოფიციალურად დაევალათ აშშ-ისა და ბრიტანეთისთვის თვალყურის დევნება.

გერმანიის კანცლერმა ანგელა მერკელმა გადაწყვიტა, საპასუხო დარტყმა განახორციელოს აშშ-ის ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოსა და დიდი ბრიტანეთის MI-6-ის წინააღმდეგ.

გერმანიის დაზვერვის ფლაგმანი BND (Bundesnachrichtendienst — გერმანიის ფედერალური სადაზვერვო სამსახური) ამიერიდან ვალდებულია, ბერლინს ინფორმაცია მიაწოდოს ვაშინგტონისა და ლონდონის საიდუმლო საქმეების შესახებ.

ბუნდესტაგში ეს ნაბიჯი შეაფასეს, როგორც „მკაფიო სიგნალი მათთვის, ვინც არღვევს ადამიანების უფლებებს“. ანგელა მერკელის აზრით, ეს არის პასუხი ცოტა ხნის წინათ გამოვლენილი, აშშ-ის მიერ გადაბირებული ორი გერმანელი აგენტის მუშაობაზე და რეაქცია სნოუდენის მიერ გამოქვეყნებულ მასალებზე, რომელთა შორისაც იყო მონაცემები აშშ-ის სპეცსამსახურების მიერ გერმანიის კანცლერის მობილური ტელეფონის მოსმენებზე.

ძნელი წარმოსადგენი არაა, რას იზამდა სააკაშვილი, მისი რეჟიმი უკრაინის კრიზისის დაწყებამდე რომ არ დამსხვრეულიყო. დიდი ალბათობით, ის გახსნიდა „მეორე ფრონტს“ ან დონბასში რამდენიმე ათას „მოხალისეს“ გაგზავნიდა, მიაწვდიდა კიევს მოიერიშე თვითმფრინავებს, რათა ნაწილობრივ მაინც აენაზღაურებინა უკრაინული ავიაციის მძიმე დანაკარგები და ა.შ.

 პოლიტიკა

www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

იმის განცდა, რომ ახალი ომი შეიძლება ნებისმიერ წუთს დაიწყოს, გაქრა და ამას ძალიან დიდი ფსიქოლოგიური მნიშვნელობა აქვს. მაგრამ ხელისუფლებას სჭირდება იმის ჩვენება, რომ არაკონფრონტაციულ საგარეო პოლიტიკას სხვა სარგებელიც მოაქვს, რომ ის ნაყოფიერია

რჩება ერთადერთ პოლიტიკურ ძალად, რომელიც რუსეთთან მუდმივ დაპირისპირებას მოითხოვს. გასულ კვირას მან შესთავაზა ხელისუფლებას, მალაიზიურ „ბოინგთან“ დაკავშირებით მკვეთრი განცხადება გაეკეთებინა და რუსეთი ცალსახად დაედანაშაულებინა (და ეს მაშინ, როდესაც დანარჩენი მსოფლიო მოთმინებით ელოდება ექსპერტების დასკვნას) და, აგრეთვე, საქართველოში რუსული არხების მაუწყებლობის აკრძალვის ინიციატივით გამოვიდა. ამ უკანასკნელ წამოწყებას, ერთი შეხედვით, არანაირი აზრი არ აქვს, ხელისუფლებამ მხარი რომც დაუჭიროს (არადა, არ დაუჭერს), ის გადაულახავ წინააღმდეგობაში შევა საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლის შინაარსთან და სულისკვეთებასთან; მსგავსი შეზღუდვის შემოღების შემთხვევაში ნებისმიერ მსურველს შესაძლებლობა მიეცემა, შესაბამისი სარჩელით საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართოს და, დიდი ალბათობით, აკრძალვის გაუქმებას მიაღწიოს. თუმცა აქ, ალბათ, მთავარია სხვა რამ — ყოფილი მმართველი პარტია კვლავინდებურად აქტიურად ცდილობს, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა გაამწვავოს.

ძნელი წარმოსადგენი არაა, რას იზამდა სააკაშვილი, მისი რეჟიმი უკრაინის კრიზისის დაწყებამდე რომ არ დამსხვრეულიყო. დიდი ალბათობით, ის გახსნიდა „მეორე ფრონტს“ ან დონბასში რამდენიმე ათას „მოხალისეს“ გაგზავნიდა, მიაწვდიდა კიევს მოიერიშე თვითმფრინავებს, რათა ნაწილობრივ მაინც აენაზღაურებინა უკრაინული ავიაციის მძიმე დანაკარგები და ა.შ. ყოველივე ამას, სავარაუდოდ, რუსეთის საპასუხო დარტყმები მოჰყვებოდა. სააკაშვილი, რომელიც ოცნებობდა იმაზე, რომ დასავლეთისა და რუსეთის შეიარაღებული დაპირისპირების პროვოცირება მოეხდინა, ასეთ შანსს ხელიდან არ გაუშვებდა. ამერიკელებს რომც შეეჩერებინათ, ადრე თუ გვიან, ალბათ, დაუსხლტებოდა, როგორც ფსიქიატრიულის პაციენტი — ექიმებს, და რაღაცას მაინც იზამდა.

მიუხედავად იმისა, რომ „ქართულმა ოცნებამ“ ეკონომიკაში განსაკუთრებული ვერაფერი შეცვალა და ძველი პრობლემების დიდი ნაწილი კვლავინდებურად მოუგვარებელია, საქართველოს საგარეო პოლიტიკაში პრინციპული ხასიათის ცვლილებები მოხდა. ამომრჩევლები დარწმუნდნენ, რომ ახალი ხელისუფლება აკეთებს ყველაფერს, რათა უცხო სახელმწიფოებთან ურთიერთობაში კონფრონტაცია თავიდან აიცილოს, მაგრამ აქ ერთი საინტერესო პრობლემა გაჩნდა: **იმის განცდა, რომ ახალი ომი შეიძლება ნებისმიერ წუთს დაიწყოს, გაქრა და ამას ძალიან დიდი ფსიქოლოგიური მნიშვნელობა აქვს. მაგრამ ხელისუფლებას სჭირდება იმის ჩვენება, რომ არაკონფრონტაციულ საგარეო პოლიტიკას სხვა სარგებელიც მოაქვს, რომ ის ნაყოფიერია.** წინააღმდეგ შემთხვევაში, ადრე თუ გვიან ამ პოლიტიკას უშედეგოს უწოდებენ, ხოლო საზოგადოების ნაწილში გაჩნდება ლტოლვა სააკაშვილის მსგავსი უპასუხისმგებლო დემაგოგების მიმართ, რომელნიც აგრესიულ რიტორიკას გამოიყენებენ.

ჩვენ შეგვიძლია გავიხსენოთ ფინეთისა და საბჭოთა კავშირის ურთიერთობის დინამიკა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, მაგრამ პარალელების გავლება, ალბათ, უადგილო იქნება, რადგან ფინეთის ხელისუფლებას ნატოში გაწევრიანების საკითხი დღის წესრიგში არ დაუყენებია. წინაღმდეგ შემთხვევაში ის ვერ მიიღებდა უზარმაზარ ეკონომიკურ ბონუსებს მოსკოვისგან, რომელმაც ქვეყნის აყვავებაში ერთ-ერთი მთავარი როლი შეასრულა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ახალი ხელისუფლების პოლიტიკას ხშირად „არაკონფრონტაციულს“ ვუწოდებთ, ეს, ალბათ, მაინც არაკორექტულია. რიტორიკა და პოლიტიკა ერთი და იგივე ნამდვილად არ არის, ხოლო საქართველოს საგარეო პოლიტიკაში ერთ-ერთ ცენტრალურ ადგილს ნატოში გაწევრიანების იდეა იკავებს და ეს მომავალ დაპირისპირებას რუსეთთან პრაქტიკულად გარდაუვალს ხდის. დღეს საკითხი გადაწეულია უკანა პლანზე და, ფაქტობრივად, დაბლოკილია გერმანიისა და ალიანსის „ძველევროპელი“ წევრების პოზიციის გამო, მაგრამ, თუ მომავალში ვითარება შეიცვლება, მოსკოვი შეტევაზე გადმოვა, მიუხედავად იმისა, რა რიტორიკას მიმართავს ჩვენი ხელმძღვანელობა, რადგან საქართველოს ნატოში გაწევრიანებას დაუშვებლად მიიჩნევს. ასეთ ვითარებაში კრემლი არასოდეს მოეპყრობა საქართველოს, როგორც ფინეთს, შესაბამისად, საუბარი რაიმე განსაკუთრებულ ეკონომიკურ შეღავათებზე ან უსაფრთხოების მყარ გარანტიებზე ამ ეტაპზე უადგილოა.

ფინელი ეგერის რჩევა

2002-ში „იზვესტიასთან“ საუბარში ფინეთის ყოფილმა პრეზიდენტმა (1982-1994 წლებში) მაუნო კოივისტომ განაცხადა: „უნდა შევიდეს თუ არა ფინეთი ნატოში და რისთვის? ჩვენ არავინ გვემუქრება. მე ყოველთვის ვიცავდი უსაფრთხოების სფეროში ჩვენი პოლიტიკის ორ პრინციპს. პირველი — ფინეთის არმიას უნდა შეეძლოს საკუთარი ქვეყნის დაცვა; მეორე — ფინეთის ტერიტორია არავინ უნდა გამოიყენოს, როგორც პლაცდარმი რომელიმე სახელმწიფოს წინააღმდეგ“. სხვათა შორის, ჰალსტუხების მოყვარულისგან განსხვავებით, კოივისტომ მშვენივრად იცის, რა არის ომი, 1941-44 წლებში ის ლაური ტერნის ეგერთა ლეგენდარულ დივერსიულ ასეულში მსახურობდა. ომსა და მშვიდობაზე, ფინეთის უსაფრთხოებაზე ძალიან ბევრი აქვს ნაფიქრი, რაც კარგად ჩანს მისი მემუარებიდან და, ვიდრე ამ ორ, ერთი შეხედვით, მარტივ პრინციპამდე მივიდა, ძალიან გრძელი გზა გაიარა.

საინტერესოა, რატომ არის მიუღებელი ეს მიდგომა ქართული ელიტის დიდი ნაწილისთვის? რა არის ამაში ცუდი? ან რატომ უნდა ემსგავსებოდეს ჩვენი არმია სულ უფრო მეტად დამხმარე საექსპედიციო კორპუსს აშშ-სა თუ ევროპული ქვეყნების მისიებისთვის შორეულ „ჯანდაბისტანებში“? რატომ არ შეიძლება, სამხედრო აღმშენებლობაში ფინელებს მივბაძოთ? ასეთი არჩევანი, ალბათ, უფრო მიგვაახლოებს მშვიდობას, ვიდრე ომს, ლოკალური კონფლიქტი იქნება თუ გლობალური მასშტაბის დაპირისპირება.

ფინელმა სამხედროებმა თავისი სიმტკიცით სახელი მთელ მსოფლიოში გაითქვეს, ჩვენ კი ამდენი მარცხის შემდეგ მძიმე დეპრესიაში ჩავვარდით, მაგრამ, ალბათ, უნდა გავიხსენოთ, რომ დიდგორის ბრძოლა ფინელებს როდი მოუგიათ, ხოლო საქართველოს სამხედრო ისტორიაში არსებობს გაცილებით ძლიერ მოწინააღმდეგეზე გამარჯვების არაერთი მაგალითი; ბევრი მათგანი მიღწეულია იმ პერიოდში, როდესაც ფინელები შვედი ფეოდალების შიშით ხმის ამოღებას ვერ ბედავდნენ. მაგრამ შემდეგ ქართველებმა დაკარგეს საკუთარი ძალის რწმენა, ფინელებმა კი, პირიქით, მოიპოვეს. ალბათ, ესაა მთავარი სხვაობა ქართველ და ფინელ პოლიტიკოსებსა თუ სამხედროებს შორის. ჩვენ არ გვჯერა საკუთარი ძალების და წარმატებას მხოლოდ ზესახელმწიფოების სატელიტობას და მათ სამხედრო დახმარებას ვუკავშირებთ. მათ კი თამაში „გეოპოლიტიკურ კაზინოში“ ჯერ კიდევ 1944-ში დაასრულეს და დღესდღეობით საკუთარ ძალებსა და სიტუაციის ობიექტურ შეფასებას ეყრდნობიან. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, როდესაც რუსეთი დასუსტებული იყო, ფინეთს თავისუფლად შეეძლო, ნატოს წევრი გამხდარიყო, მაგრამ ეს არ გაუკეთებია. ის რჩება დასავლური სამყაროს განუყოფელ ნაწილად, მაგრამ უსაფრთხოების სფეროში დამოუკიდებელ პოლიტიკას ატარებს, რომელიც მისი გეოგრაფიული მდებარეობიდან და ისტორიული გამოცდილებიდან გამომდინარეობს.

კოივისტოს მეორე პრინციპზე საუბრისას შეიძლება გაგვახსენდეს ზოგიერთი ქართველი პოლიტიკოსისა და ექსპერტის უცნაური აღტაცება, როდესაც ისინი საქართველოში ნატოს ძალების (ამერიკული რაკეტსაწინააღმდეგო სისტემის ელემენტების და ა. შ.) შესაძლო განლაგებაზე მსჯელობენ (თანაც საქართველოს ალიანსში გაწევრიანების გარეშე). საერთოდ, ცხოვრებაში შეიძლება ყველაფერი მოხდეს, მაგრამ, **ალბათ, არავის უნახავს ადამიანი, რომელიც გედნიერი სიცილით შუბლზე სამიზნეს იხატავს. ფინელები ასე არასოდეს გააკეთებენ და დასვამენ ერთ ძალიან მარტივ კითხვას: რისთვის?**

ძალიან ძნელია შეგუება იმ მოსაზრებასთან, რომ კრიტიკულ მომენტში მოკავშირეები დასახმარებლად არ მოვლენ (ან დაიგვიანებენ), თუმცა, შესაძლოა, ამის შემდეგ კრიტიკული აზროვნების უნარი და საკუთარი ძალების რწმენა დაგვიბრუნდეს. რომელიც, ალბათ, დაგვეხმარება საბოლოო არჩევანის გაკეთებაში საგარეო პოლიტიკის ძირითად პრინციპებთან დაკავშირებით. ჯერჯერობით კი ამაზე საუბარი ნაადრევი ჩანს და, ახალი ხელისუფლების სიფრთხილის მიუხედავად, კვლავინდებურად მაღალია იმის ალბათობა, რომ ქვეყანა ახალი კონფლიქტის ეპიცენტრში აღმოჩნდება.

დიმიტრი ბოინიავა

აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს საიდუმლო ციხეები პოლონეთში

ადამიანის უფლებების ევროპულმა სასამართლომ პოლონეთი დამნაშავედ ცნო ამ ქვეყნის ტერიტორიაზე აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს საიდუმლო ციხის განლაგებაში.

სასამართლოს გადაწყვეტილებაში, რომელიც საბოლოო არ არის, აღნიშნულია, რომ პოლონეთის ხელისუფლებამ ადამიანის უფლებების ევროპული კონვენციის რამდენიმე პუნქტი დაარღვია.

ლაპარაკია მე-2 (სიცოცხლის უფლება), მე-3 (წამების აკრძალვა), მე-5 (უფლება თავისუფლებისა და პიროვნულ ხელშეუხებლობაზე), მე-8 (კერძო და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება) და მე-13 (ეფექტიანი სამართლებრივი დაცვის უფლება) პუნქტებზე.

სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებით, პოლონეთის ხელისუფლებამ თითოეულ მოსარჩელეს 100-100 ათასი ევრო უნდა გადაუხადოს მორალური ზიანის საკომპენსაციოდ.

აშშ-ის სპეცსამსახურის მიერ ტერორიზმში ეჭვმიტანილის სტატუსით დაპატიმრებული საუდის არაბეთის მოქალაქე აბდ რაჰიმ ნაშირი და პალესტინელი აბუ ზუმაიდა (ცნობილია, აგრეთვე, როგორც ზაინ ჰუსეინი) ამტკიცებენ, რომ 2002 წელს გამოამწყვდიეს პოლონეთის ტერიტორიაზე არსებული ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს საიდუმლო ციხეში, სადაც სასტიკად აწამებდნენ.

აშშ-ის ხელისუფლება ზაინ ჰუსეინს თვლის „ალ ქაიდას“ ერთ-ერთ ლიდერად და მას 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტში ადანაშაულებს; ნაშირის კი 2000 წელს ადენის პორტში აშშ-ის სამხედროსაზღვაო ძალების ხომალდზე თავდასხმის ორგანიზებაში სდებდნენ ბრალს.

ნაშირი და ჰუსეინი ამჟამად კუბაზე მდებარე აშშ-ის სამხედრო ბაზა გუანტამოში იმყოფებიან. 2013 წლის თებერვალში ადამიანის უფლებების ევროპულმა სასამართლომ გაასაჯაროა ნასირის საქმის მასალები პოლონეთში საიდუმლო ციხის არსებობის შესახებ. ამის შემდეგ **გამოქვეყნდა მოხსენება „წამების გლობალიზაცია“, რომელშიც ნათქვამია, რომ ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ციხე მდებარეობს სტარე კეიკუტიში, სადაც პოლონეთის სადაზვერვო სააგენტოს სასწავლო ცენტრია.**

ამბავი

მამაკაცმა საავადმყოფოში სროლა ატეხა

24 ივლისს პენსილვანიის შტატის ქალაქ დარბის სამედიცინო დაწესებულებაში მამაკაცმა ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით მოკლა სოციალური სამსახურის წარმომადგენელი ქალი, ხოლო ექიმი-ფსიქიატრი, რომელიც ბოროტმოქმედის დაკავებას საკუთარი იარაღიდან გასროლით შეეცადა, დაჭრა. ექიმი-ფსიქიატრის მიერ მძიმედ დაჭრილი რიჩარდ პლოტსის მდგომარეობა კრიტიკულია. ექიმების თქმით, 30 წლის მამაკაცს ფსიქიკური აშლილობა აწუხებდა. დანაშაულის ჩადენის მოტივი ჯერჯერობით უცნობია.

სროლა ჩიკაგოს ქუჩებში

25 ივლისს ჩიკაგოში, ლექსინგტონ სიტისა და კალიფორნია ავენიუს გადაკვეთაზე, უცნობმა პირებმა ავტომობილიდან სროლა ატეხეს. დაიღუპა 13 წლის ბიჭი, რომელსაც ტყვია თავში მოხვდა. დაღუპული ბიჭის გარდა, სროლის შედეგად დაიჭრა 6 ადამიანი, მათ შორის, სამი 14-15 წლის მოზარდი; მათგან ორი მძიმე მდგომარეობაშია. პოლიციამ დამნაშავეთა დაკავება ჯერჯერობით ვერ შეძლო.

საქართველო და მსოფლიო
სამართალი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„ნაცები“ ამბობენ, სააკაშვილს არ დავაჭერინებთ, ეს პუტინის დაკვეთა და ოცნებაა. მოკლედ, ყველაფერს პუტინს აბრალებენ, მაგრამ ამ სისულელეების უკვე აღარავის სჯერა. ასე რომ, არ გამოვრიცხავ, უცხოელი სპეციალისტების ჩამოსვლის ერთ-ერთი მიზანი სწორედ სააკაშვილის დაპატიმრება იყოს.“

სააკაშვილის კვალდაკვალ ბრალს გიგა ბოკერიასაც წაუყენებენ

საქართველოს მთავარმა პროკურატურამ სისხლის სამართლის მსოფლიოში აღიარებული სპეციალისტების ჯგუფი მოიწვია. საერთაშორისო ტრიბუნალის პროკურორი სერ ჯეფრი ნაისი, აშშ-ის იუსტიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის განყოფილების ყოფილი დირექტორი პოლ კაფი და ისრაელის ყოფილი სამხედრო პროკურორი მოშე ლადორი ყოფილი სახელმწიფო მოხელეების გახმაურებულ საქმეებს უძღვებოდნენ და საერთაშორისო ტრიბუნალის საქმიანობაში აქტიურად იყვნენ ჩართულნი.

«დიდი ეჭვი მიჩნდება, რომ ეროსი კიწმარიშვილი ნაცლიდერების დაკვეთით მოკლეს. მისი მოცილება მხოლოდ «ნაცმოძრაობის» ინტერესში შედიოდა...»

შევეცადეთ, გაგვერკვია, სინამდვილეში რა მიზანს ემსახურება ამ ადამიანების ჩამოყვანა, კონკრეტულად რომელ საქმეებს გამოიძიებენ უცხოელი სპეციალისტები და როგორ აპირებს პროკურატურა სააკაშვილის დაპატიმრებას — ამ თემაზე „საქართველო და მსოფლიო“ რამდენიმე იურისტს ესაუბრა.

გრიგოლ გაგნიძე, ადვოკატი:

— საქართველოს მთავარი პროკურატურა სერ ჯეფრი ნაისის, პოლ კაფისა და მოშე ლადორის გამოცდილებას გაიზიარებს. ისინი საერთაშორისო დონის პროკურორები არიან. სერ ჯეფრი ნაისი 1998-2006 წლებში სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალის მთავარი პროკურორის მოადგილე იყო და პირადად უძღვებოდა სერბეთის ყოფილი პრეზიდენტის, სლობოდან მილოშევიჩის საქმეს; ნაისი იყო ასადის რეჟიმის დანაშაულთა გამომძიებელი; **მოშე ლადორი 2013 წლის გოლომდე ისრაელის სახელმწიფო პროკურორი გახლდათ. იგი არაერთი პოლიტიკოსის წინააღმდეგ აღძრულ და გამოძიებულ საქმეებს ზედამხედველობდა, რომელთა შორისაც იყო ყოფილი პრემიერმინისტრის — ეჰუდ ოლმერტისა და იმჟამინდელი ფინანსთა მინისტრის საქმეც. პოლ კაფი, აშშ-ის მთავარი გამომძიებელი, იუსტიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის განყოფილების დირექტორი გახლავთ. თავის დროზე მუშაობდა კოსოვოს კონფლიქტში დანაშაულების გამოძიებაზე.** ამ უცხოელი პროკურორების ჩამოყვანამ „ნაცმოძრაობაში“ გარკვეული პანიკა გამოიწვია. ამბობენ, სააკაშვილს არ დაგაპატიმრებენებთო. სხვათა შორის, როდესაც დღის წესრიგში დგებოდა სააკაშვილის გასამართლება, მაშინ საზოგადოების გარკვეული ნაწილი ამბობდა, შევარდნაძეც გასამართლდესო. შევარდნაძე გარდაიცვალა და ახლა, რა თქმა უნდა, ამას ვეღარავინ იტყვის. ამ პროკურორების ჩამოყვანა ადგილობრივ არჩევნებში „ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატის დამარცხებასა და შევარდნაძის გარდაცვალებას დაემთხვა, თითქოს ეს ძველი ეპოქა სრულდება და ახალი იწყება. დიახ, ასეთი ინერცია აქვს პოლიტიკურ ვითარებებს. ერთმნიშვნელოვნად შეიძლება ითქვას, რომ უცხოელი პროკურორების მოწვევა დადებითი ნაბიჯია. ჩვენ ვიცით, რომ კუბლაშვილი პერიოდულად ხვდება ევროპის ქვეყნებისა და აშშ-ის მოსამართლეებს. ასე რომ, ხელისუფლების ეს ნაბიჯიც არ არის გასაკვირი.

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, პროკურატურა დღეს გარდამავალ პერიოდშია და არ შეიძლება, ეს ნაბიჯი პროკურატურის სისუსტედ ჩაითვალოს. იურისპრუდენცია და მართლმსაჯულება ყოველთვის საჭიროებს განახლებასა და კვალიფიკაციის ამაღლებას. ოფიციალური ინფორმაცია, რომ ეს პროკურორები ჩვენს პროკურორებს საერთაშორისო პრაქტიკას გაუზიარებენ, ლოგიკასთან ახლოს არის და ვფიქრობ, სიმართლეა. მეორე მიზეზი, რა თქმა უნდა, ისიც შეიძლება იყოს, რომ გახმაურებული საქმეების გამოძიებას დააკვირდებიან, რათა უცხოეთში სანდოობა შეიქმნას ამ მხრივ. მაგალითად, ჩვენ ვიცით, რომ, **როდესაც სააკაშვილისთვის ბრალდება უნდა წაეყენებინათ, ერთი ამბავი ატყდა აშშ-ის მხრიდან, — არიქა, არ დააკავოთო! ამიტომ ახლა ამ უცხოელებს ჩაახედებენ იმ კონკრეტულ საქმეებში, რომლებიც პანიკას იწვევს, უფრო სწორად, რომელსაც „ნაციონალური მოძრაობა“ ქმნის.** ვფიქრობ, შეეცდებიან, დაარწმუნონ მოწვეული საერთაშორისო ექსპერტები, რომ ეს არ არის პოლიტიკური დევნა, თავის მხრივ, შემდეგ ისინი დაარწმუნებენ ამაში უცხოელებს. **დიახ, დაარწმუნებენ თუნდაც სააკაშვილის ლოგისტებს, რომ აქ მაღალჩინოსნებს, იმავე სააკაშვილს, დანაშაულები აქვთ ჩადენილი.**

— ამაში დასარწმუნებლად მაინცდამაინც მათი ჩამოყვანა გახდა აუცილებელი? ისე, ხშირად ისმოდა, რომ პროკურატურის არგუმენტები და ბრალდებები სუსტიაო და ამის ერთ-ერთ მიზეზად არაპროფესიონალიზმი სახელდებოდა.

— ისინი, რა თქმა უნდა, მხოლოდ ჩვენი პროკურორების კვალიფიკაციის ასამაღლებლად არ არიან ჩამოსულნი, მათ უნდა დაანახვონ მსოფლიოს „ნაცმოძრაობისა“ და სააკაშვილის ბრალი. რადგან ამ ადამიანთა მიმართ სანდოობა მსოფლიოში დიდია, მათი ჩამოყვანა მაღალჩინოსნების საქმეების გამოძიებას უფრო გამჭვირვალეს გახდის. არ ვიცით, ხელისუფლება და ეს პროკურორები რაზე შეთანხმდებიან, ანუ მარტო ზეპირ ანალიზს დასჯერდებიან თუ სამართლებრივ დოკუმენტს შექმნიან, როგორიც არის იურიდიული შეფასებები, დასკვნა ამა თუ იმ სისხლის სამართლის საქმეზე, მაგრამ ფაქტია, რომ ეს დადებითი მოვლენაა.

— სხვათა შორის, რამდენიმე დღის წინათ სააკაშვილი დასაკითხად უკვე მეორედ დაიბარა პროკურატურამ და ბრალდებაც წაუყენა... სავარაუდოდ, სააკაშვილი კვლავ არ გამოცხადდება, რა ღონისძიებას მიმართავს ამ შემთხვევაში პროკურატურა?!

— გავიხსენოთ, რა მოხდა საფრანგეთის ექსპრეზიდენტ სარკოზის შემთხვევაში. მას მოწმედ დასაკითხად იბარებდნენ და არ ცხადდებოდა, ამიტომ ბორკილები დაადეს და მართლმსაჯულებას წარუდგინეს. ვფიქრობ, სააკაშვილის შემთხვევაშიც, დიდი ალბათობით, ანალოგიური რამ მოხდება.

„ნაცები“ ამბობენ, სააკაშვილს არ დავაჭერინებთ, ეს პუტინის დაკვეთა და ოცნებაა. მოკლედ, ყველაფერს პუტინს აბრალებენ, მაგრამ ამ სისულელეების უკვე აღარავის სჯერა. ასე რომ, არ გამოვრიცხავ, უცხოელი სპეციალისტების ჩამოსვლის ერთ-ერთი მიზანი სწორედ სააკაშვილის დაპატიმრება იყოს.

აქვე მინდა ეროსი კიწმარიშვილის გარდაცვალებაზეც ვთქვა: ვაკვირდები რა პოლიტიკურ პროცესებს, დიდი ეჭვი მიჩნდება, რომ ეროსი კიწმარიშვილი ნაცლიდერების დაკვეთით მოკლეს. მისი მოცილება მხოლოდ „ნაცმოძრაობის“ ინტერესში შედიოდა, თუმცა არაფერს ვამტკიცებ. გავიხსენოთ გივი თარგამაძის დაპირისპირება კიწმარიშვილთან. „ნაცმოძრაობა“ თავის ლიდერებსაც არ ინდობდა, თუნდაც ჟვანია გავიხსენოთ. თუმცა დაველოდოთ გამოძიებას.

ნონა ფილაური, ადვოკატი:

— სისხლის სამართლის საერთაშორისო სპეციალისტების ჩამოყვანა, ჩემი ვარაუდით, პოლიტიკურად საკმაოდ ეფექტიანი ნაბიჯია. **ყველა იმ საძმეზე, რომლებიც დაკავებულ ან დასაკავებელ ნაცმაღალჩინოსნებს ეხება და „ნაცმოძრაობა“ პოლიტიკურ დევნას უწოდებს, აწი ვეღარ ისაუბრებენ საერთაშორისო დონეზე.**

დიახ, სწორედ ამიტომ მოხდა მათი ჩამოყვანა. ეს პოლიტიკურად გამართლებულია, მაგრამ ჩემთვის გაუგებარია ერთი რამ — როგორ უნდა ითანამშრომლონ მათ გამოძიებასთან. ჩვენ ვიცით, რომ გამოძიებას ჰყავს ბრალდებული და ადვოკატი — ერთი მხარე; მეორე მხარე კი გამომძიებელი, პროკურორი და მოსამართლეა. საქმეში, შეიძლება ჩართულნი იყვნენ ექსპერტები და თარჯიმნები. მოწვეული პროკურორები, როგორც ექსპერტები, ისე თუ ჩაერთვებიან საქმეში, მათთვის ხელმისაწვდომი იქნება კონკრეტული მტკიცებულებები. სხვა შემთხვევაში მათი სამართლებრივი როლი, მათი კონსულტაციები იქნება ზოგადი. თარჯიმნის მეშვეობით, ვიღაც გააცნობს სისხლის სამართლის საქმეს და აქედან გამომდინარე, გააკეთებენ ისინი კონსულტაციას, მაგრამ როგორ, ვერ გავიგე, ანუ ვერ გავიგე, რა ფორმით მოხდება მათი საქმეში ჩართვა და იმედია, მალე ამასაც გაგვაგებინებენ და იმასაც, რომელ კონკრეტულ საქმეზე იმუშავებენ და როგორ მოერგებიან ჩვენს ეროვნულ კანონმდებლობას.

ისე, პოლიტიკური თვალსაზრისით, ეს ცუდი არ არის, რადგან, რა დაამალია და, არაპროფესიონალიზმის ბუმია დღეს პროკურატურაში. მაგრამ ვფიქრობ, ამ ადამიანების ჩამოსვლა ნაცმაღალჩინოსნების დაკავებას უკავშირდება და არ გამოვრიცხავ, რომ კონკრეტულად ექსპრეზიდენტის დაკავებასთანაც იყოს დაკავშირებული.

— საუბარია, ბოკერიას დაკავებაზეც...

— ბოკერიასთვის ბრალის წაყენება არც ისეთი იოლია. აქ საუბარი არა მარტო ბოკერიაზეა, არამედ სააკაშვილზეც, თანაც პროკურატურამ სააკაშვილს ბრალი უკვე წაუყენა.

ესაუბრა
ქეთი ხომერიკი

ამოკრეფა

მკაცრდება კანონი უკანონო აბორტების შესახებ

სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებები შედის, რომლის შედეგადაც მკაცრდება კანონი უკანონო აბორტების შესახებ. კანონპროექტის ავტორია ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარე დიმიტრი ხუნდაძე.

კანონპროექტის მიხედვით, უკანონო აბორტი ისჯება საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომითი ვადით — 120-დან 300 საათამდე, ან თავისუფლების აღკვეთით — ერთიდან ორ წლამდე. ანალოგიური ქმედება, ჩადენილი უკანონო აბორტისთვის მსჯავრდადებულის მიერ, ან რამაც გამოიწვია შვილოსნობის სამუდამო მოშლა, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ორიდან ხუთ წლამდე. ხოლო უკანონო აბორტი, რომელმაც გამოიწვია სიცოცხლის მოსპობა, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ოთხიდან ექვს წლამდე.

„რეალობიდან გამომდინარე, არის საჭიროება, მიდგომა კიდევ უფრო გამკაცრდეს. შესაბამისად, უკანონო აბორტის შემთხვევაში, რომელსაც ზიანი მოჰყვება, სანქციები უნდა გამკაცრდეს. კანონი ითვალისწინებდა სამ წლამდე თავისუფლების აღკვეთას, ხოლო ცვლილების მიხედვით გაიზრდება ორიდან ხუთ წლამდე“, — განაცხადა კახიანმა.

„სულ ახალი მომხდარი იყო ავიაკატასტროფა, როდესაც აშშ-ის პრეზიდენტმა ყველაფერში რუსეთი დაადანაშაულა. ეს ხდება მაშინ, როცა ჯერ გამოძიებაც არ ჩატარებულა.“

ინტერვიუ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ჰამლეტ ჭიპაშვილი:

უკრაინის დღევანდელი ხელისუფლება არის ნაძირალების, პედოფილების, ნეოფაშისტების ხელისუფლება

ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე პოლიტოლოგი ჰამლეტ ჭიპაშვილი გვესაუბრება.

— ბატონო ჰამლეტ, მთავარი პროკურატურის მოწვევით, მსოფლიოში აღიარებული სისხლის სამართლის სპეციალისტების ჯგუფი საქართველოში ჩამოვიდა. პროკურატურის განცხადებით, მათი ვიზიტი ხელს შეუწყობს „საქართველოს ხელისუფლების მხრიდან სამართლიანობის აღდგენისკენ მიმართული ძალისხმევისადმი ნდობის ამაღლებას ქვეყანაში და მის ფარგლებს გარეთ“. ეს ნაბიჯი ხომ არ ნიშნავს, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ წევრების დაპატიმრების სერია დაიწყება?

— არავითარი დაჭერები არ დაიწყება. მოჩვენებითია ყველაფერი, უბრალოდ, ხალხს თვალში „ნაცარს აყრიან“.

ამერიკის შეერთებული შტატებიცა და ევროკავშირიც სააკაშვილს ხელს აფარებენ და იცავენ. ევროკავშირი იცავს არა მხოლოდ სააკაშვილს, არამედ ისეთი დაბალი რანგის ნაძირალებსაც კი, როგორებიც არიან გიგი უგულავა და ვანო მერაბიშვილი.

— თუმცა ამ მიმართულებით ევროპის სახალხო პარტია აქტიურობს...

— ევროპის სახალხო პარტია ევროკავშირის მთავარი მამოძრავებელი ძალაა. ახალი არჩევნების შემდეგ ევროკავშირში ყველაზე მეტი დეპუტატი ევროპის სახალხო პარტიიდან არის წარმოდგენილი.

— პარლამენტის სხდომებზე უმრავლესობის წარმომადგენლები „ნაციონალური მოძრაობის“ წევრებს საჯაროდ უწოდებენკრიმინალებს და სხვადასხვა სერიოზულ დანაშაულში სდებენ ბრალს. თუმცა გვახსოვს, ხელისუფლებაში მოსვლისთანავე, „ქართული ოცნების“ ლიდერები ამბობდნენ, რომ მათი მთავარი ამოცანა „ნაციონალური მოძრაობის“ გადარჩენა იყო...

— ის, რაც ეკა ბესელიამ ჩიორა თაქთაქიშვილს უძახა, პირზე მომდგარი აგრესიის გამოხატულებაა და მეტი არაფერი. **„ქართული ოცნება“ არის გაურკვეველი ამორფული ძალა, რომლის სიტყვა და საქმე ძალიან შორსაა ერთმანეთისგან. დღეს ხელისუფლებას არ აქვს ძალა და შესაძლებლობა, სააკაშვილისა და „ნაციონალური მოძრაობის“ სხვა განდიტების წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღძრას.** „ქართული ოცნების“ წევრების ეს განცხადებები არ ნიშნავს, რომ ხელისუფლება იმას აკეთებს, რასაც დაჰპირდა საზოგადოებას. პირიქით, ამგვარი ქმედებებით ხაზს უსვამს, რომ უსუსურია და მისი დაპირებები ვერბალურ დონეს ვერ გასცდა. გამუდმებით გვესმის „ნაციონალების“ ლანძღვა-გინება და მეტი არაფერი ხდება. **ახალაია და მერაბიშვილი ამ მუხლებით არ უნდა იყვნენ გასამართლებულნი, ან სად არიან ბაჩო ახალაის ძმა, მამა, სხვებს რატომ არ აპატიმრებენ, როდესაც „ნაციონალურმა მოძრაობამ“ ამდენი დანაშაული ჩაიდინა? როდესაც ხალხს „ნაციონალების“ გასამართლებას ჰპირდები და არ ასრულებ, ეს ხელისუფლების მხრიდან ხალხის მოტყუება და დანაშაულია.**

— საქართველოს პრემიერმა განაცხადა, რომ სწორედ დაპირებების შესრულების მიზნით, 7 მინისტრს ცვლის. არ ფიქრობთ, რომ განხორციელებული საკადრო ცვლილებები შედეგს მოიტანს?

— ეს ცვლილებები არის მხოლოდ ერთი კაცის მეორით ჩანაცვლება. **რა დაპირებები უნდა შეასრულოს „ისტერნ პრომოუშენის“ ყმაწვილმა მიხეილ გურგენიძემ, რომელიც ფუნის კეთებას არის დაჩვეული და უცხოური ესტრადის ვარსკვლავები რუსეთში ჩასვლის შემდეგ აქ ჩამოჰყავდა? რა კავშირი აქვს ამას კულტურასთან?** სახელმწიფოებრივი მართვის სისტემა არ გვაქვს და უნიკალური პიროვნებაც რომ დანიშნონ მინისტრის თანამდებობაზე, მეორე დღესვე წავა, რადგან ვერაფრის შეცვლას ვერ შეძლებს. როდესაც პრემიერი 31 წლის კაცია, რომელსაც სახელმწიფო თანამდებობაზე არ უმუშავნია, თუ არ ჩავთვლით, ივანიშვილმა რომ დანიშნა ცოტა ხნით შს მინისტრად, მეტს რას უნდა ელოდო?

— რატომ შეინარჩუნეს დანარჩენმა მინისტრებმა თანამდებობები?

— იმიტომ, რომ ღარიბაშვილს იმის ძალა არ ჰყოფნის, სხვებიც მოხსნას. **ღარიბაშვილს, უპირველესად, თავდაცვისა და საგარეო საქმეთა მინისტრები უნდა შეეცვალა და ეკონომიკური ბლოკი. თუნდაც შს მინისტრი ალექსანდრე ჭიკაიძე სამსახურში დასატოვებელი იყო?** კაცი გამართულად ვერ ლაპარაკობს. ისეთი მინისტრები მოხსნა, რომლებიც არც აშავებდნენ და არც აკეთებდნენ. ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის გათავისუფლება, უბრალოდ, სასაცილოა. არ მესმის, დარახველიძემ რა დანაშაული ჩაიდინა? რატომ არ შეეხო პაატა ზაქარეიშვილს? იმიტომ, რომ რესპუბლიკელია და ხელს ვერ ახლებდა. ეს ცვლილებები მხოლოდ იმიტომ განხორციელდა, რომ ხალხმა ილაპარაკოს.

«ეს არის უსაზიზღრესი ხელისუფლება, რომელიც კი ოდესმე ჰყოლია რომელიმე სახელმწიფოს და, როდესაც ჩვენმა მთავრობამ უკრაინის მხარდასაჭერი რეზოლუცია მიიღო, ეს იყო დანაშაული»

— საქართველოს პრეზიდენტის — გიორგი მარგველაშვილის განცხადებით, მას არც ერთ პარტიულ ღონისძიებაზე არ ეპატიჟებიან და არც ეს საკადრო ცვლილებები ყოფილა მასთან შეთანხმებული. ჩნდება კითხვა, რა ფუნქციებს ასრულებს პრეზიდენტი?

— ამ ხელისუფლების ყველაზე დიდი შეცდომა არის ის, რომ პრემიერისა და პრეზიდენტის ურთიერთობა კინკლაობის დონეზეა. ასე ჩანს, რაც უნდა იძახონ, რომ ნორმალური ურთიერთობა გვაქვსო. გაუთავებლად მიმდინარეობს ლაპარაკი, ვინ მოაწერს ხელს ამა თუ იმ დოკუმენტს. განა ასე რთულია ამ საკითხების ისე გადაჭრა, რომ საქვეყნოდ არ გამოიტანო? ძალიან არასერიოზულია მათი ქმედებები, ამგვარ საქციელს კი ის განაპირობებს, რომ არც ერთ მათგანს სახელმწიფო მართვის არანაირი გამოცდილება არ აქვს.

გასაოცარია, ნიშნავ ვიღაც ვიგინდარას მინისტრად, რომელიც სოფლის მეურნეობის აზრზე არ არის, ფიფიას ვგულისხმობ, შემდეგ ცვლი მას და ისეთივე უცოდინარ კადრს ნიშნავ. როდესაც ქვეყანაში ჯუმბერ პატიაშვილი გყავს, ფიფია უნდა იყოს მინისტრი? როგორ შეიძლება მისი ცოდნა და გამოცდილება არ გამოიყენოს ხელისუფლებამ? რადგან „კომუნისტურ პარტიაში“ იყო, მისი დანიშვნა არსად აღარ შეიძლება? მიუხედავად იმისა, რომ იმხანადაც იყვნენ ხელმრუდები, ვერც ერთ მინიტრს ვერ დავასახელებ, რომელიც კომუნისტური მმართველობის დროს საკუთარ თავს პრემიებს ასე ხელაღებით უწერდა.

— მიხელ სააკაშვილმა გააკრიტიკა საქართველოს ახალი მთავრობა, კონკრეტულად ირაკლი ღარიბაშვილი,— უკრაინას მხარს არ უჭერს და რუსეთთან ურთიერთობის მოგვარება სურსო. რას ცდილობს სააკაშვილი?

— სააკაშვილი ამერიკული პროექტია. ის არის ავანტიურისტი, რომელიც შესანიშნავად ასრულებს ამერიკელების დავალებებს. სააკაშვილს ვერ დაიჭერენ, რადგან მას ამერიკელები, როგორც საკუთარ თავს, ისე უფრთხილდებიან. ეს კაცი არის ცეტი, შეუძლია, ნებისმიერი პიროვნება ან ნებისმიერი ქვეყანა ხელაღებით დაადანაშაულოს და ისეთი რამ განაცხადოს, რაც აშშ-ს აძლევს ხელს. ბევრმა დღემდე ვერ გაიგო, რომ საქართველოს უპირველესი მტერი სააკაშვილი იყო. უკრაინის დღევანდელი ხელისუფლებისთვის მხარდაჭერა საქართველოს ძალიან ცუდად დაუბრუნდება. **ვინაიდან უკრაინის დღევანდელი ხელისუფლება არის ნაძირლების, პედოფილების, ნეოფაშისტების ხელისუფლება. ეს არის უსაზიზღრესი ხელისუფლება, რომელიც კი ოდესმე ჰყოლია რომელიმე სახელმწიფოს და, როდესაც ჩვენმა მთავრობამ უკრაინის მხარდასაჭერი რეზოლუცია მიიღო, ეს იყო დანაშაული.** უკრაინის შესახებ ასეთი ჟივილი-ხივილი არც ერთი ქვეყნის პარლამენტში არ მინახავს.

უკრაინის ხელისუფლებამ ოდესის პროფკავშირების სახლში ხალხი გამოწვა. აღმოსავლეთ უკრაინაში ყოველდღიურად უამრავი ადამიანი იღუპება, სახელმწიფო ჯარი, მშვიდობიან მოსახლეობას „გრადებს“ აყრის თავზე. აღმოსავლეთ უკრაინაში გენოციდი მიმდინარეობს, იქაურობას იქ მცხოვრები რუსებისგან წმენდენ. არადა, ბოლშევიკების ხელგაშლილობის შედეგად აღმოჩნდა ეს ტერიტორია უკრაინის შემადგენლობაში. ყირიმიც რუსეთს ეკუთვნის. საერთო ჯამში, აღმოსავლეთ უკრაინაში 25 მილიონი კაცი ცხოვრობს და აქედან მხოლოდ დონეცკსა და ლუგანსკში — 7 მილიონი, ამიტომ, როდესაც მათ ტერორისტებს უწოდებენ, აბსურდია, **7 მილიონი კაცი არ შეიძლება, ტერორისტი იყოს.**

— უკრაინაში ვითარება კვლავ მძიმეა, კონფლიქტი გაჭიანურდა... რა ბედი ელის ამ ქვეყანას?

— **ეს კონფლიქტი კი არ გაჭიანურდა, ფაქტობრივად, ახლა დაიწყო და კიდევ არაერთ წელს გაგრძელდება, რადგან ეს ამერიკის შეერთებულ შტატებს აძლევს ხელს. აშშ არის სახელმწიფო, რომელსაც მიაჩნია, რომ რუსეთი მისი მეტოქეა. ამიტომ ამერიკა ცდილობს, მაქსიმალურად შეაფერხოს რუსეთის როგორც ეკონომიკური, ისე სამხედრო განვითარება.** ამას ემსახურება ეს გამოგონილი ამბები. ვიქტორია ნულანდმა პირდაპირ განაცხადა, უკრაინის გადემოკრატებაში 5 მილიარდი დოლარი დავხარჯეთო. ეს რაც ოფიციალურად განაცხადეს, რეალურად კი გაცილებით მეტი დაიხარჯა. მათი მიზანი იყო, უკრაინა რუსეთის მტრად ექციათ და ამ პროცესებს გადემოკრატება დაარქვეს. როდესაც პუტინმა ევრაზიულ კავშირზე დაიწყო ლაპარაკი, იმწამსვე თავი წამოყო ახალმა პროექტმა — აღმოსავლეთის პარტნიორობამ. ეს ყველაფერი იმით დასრულდა, რომ უკრაინის ყოფილ პრეზიდენტს მისცეს ასოცირების დოკუმენტი და უთხრეს, ხელი მოაწერეო, როგორც ეს საქართველოსა და მოლდოვას შემთხვევაში მოხდა. ანუ რა გამოდის? აღნიშნული ხელშეკრულებით ჩვენ ვუკავშირდებით ევროკავშირს, მაგრამ იქ მაინც არავინ გვიშვებს და თანაც, სხვა კავშირში გაწევრებასაც გვიშლიან. ასე მოხდა უკრაინის შემთხვევაშიც — უკრაინას, ფაქტობრივად, რუსეთთან კავშირი უნდა გაეწყვიტა.

ამერიკამ მუდამ მოგიზგიზე ცხელი წერტილი შექმნა და რუსეთის ხელისუფლებას სერიოზული პრობლემა გაუჩინა. სწორედ ამ მიზნით გამოიგონეს ისტორია, თითქოს მალაიზიის ავიახაზების კუთვნილი “ბოინგი” სეპარატისტებმა ჩამოაგდეს.

— ვის აძლევდა ხელს “ბოინგის” ჩამოგდება?

— ეს, უპირველესად, ამერიკის ინტერესებში იყო. ლოგიკურად თუ ვიმსჯელებთ, ეს რუსეთს არ სჭირდებოდა.

— **ამერიკას რატომ აძლევდა ხელს?**

— ამერიკამ ამით მსოფლიო საზოგადოებას უთხრა, — შეხედეთ, რა ნაძირალაა რუსეთიო. ევროპას დააწესებინა სანქციები. რუსეთს ისეთი სერიოზული პრობლემები შეექმნა, არ ვიცი, ამას თავს გაართმევს თუ არა. რუსეთს მეზობელი 45-მილიონიანი უკრაინა მტრად ექცა. ამერიკა მღვრიე წყალში იჭერს თევზს. ასეთია მისი პოლიტიკა ახლო აღმოსავლეთში, ლიბიაში, ერაყში. ყველგან ასე იქცევა. ასე უნდოდათ საქართველოშიც.

სულ ახალი მომხდარი იყო ავიაკატასტროფა, როდესაც აშშ-ის პრეზიდენტმა ყველაფერში რუსეთი დაადანაშაულა. ეს ხდება მაშინ, როცა ჯერ გამოძიებაც არ ჩატარებულა. საერთოდაც, არავინ იცის, ეს გამოძიება რამდენ ხანს გაგრძელდება და რა დასკვნას გამოიტანენ. მანამდე კი ამერიკელები აცხადებენ, რომ რუსეთია დამნაშავე და მის იმიჯს არყევენ მსოფლიოში, თუმცა რუსეთის ბრალის დამადასტურებელი მტკიცებულება არ აქვთ. გამორიცხული არ არის, სიმართლე ვერასდროს შევიტყოთ.

ესაუბრა შორენა ციკვაძარაშვილი

შენ ხელი დაადე, ვასოხან...
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ძალოვნების და კულტურის მინისტრის ამგვარი სიმბიოზი საკმაოდ უცნაურად ჩანდა. ზოგადად ვვარაუდობდი, რომ საუბარი იქნებოდა რუსთაველზე მიმდინარე აქციის რაიმე პიარკამპანიით გადაფარვაზე.

მცხეთა-თიანეთის ექსგუბერნატორმა მამამარჩენალი ჩაუშვა

რა მოხდა 2007 წლის 4 ნოემბერს შსს-ში?

ვასილ მაღლაფერიძემ, რომელიც 2007 წლის ნოემბერში მცხეთა-თიანეთის გუბერნატორად მუშაობდა, „ლიბერალს“ 2007 წლის 5 ნოემბერს გაკეთებული ჩანაწერი მიაწოდა. 4-გვერდიან ტექსტში მაღლაფერიძე იხსენებს წინა დღეს, 4 ნოემბერს, მაშინდელი შინაგან საქმეთა მინისტრის, ვანო მერაბიშვილის, კაბინეტში გამართული თათბირის დეტალებს.

ეს თათბირი პროკურატურის მიერ მიხეილ სააკაშვილისათვის ბრალდების წაყენების დოკუმენტში მოხვდა. თავად ვასილ მაღლაფერიძე პროკურატურამ 2 კვირის წინათ დაკითხა. მისი ინფორმაციით, შეკითხვები სწორედ 2007 წლის 4 ნოემბერს შეეხებოდა.

მაღლაფერიძემ „ლიბერალს“ უთხრა, რომ ტექსტის წერისას არ იცოდა, კონკრეტულად ვისთვის აპირებდა მის მიწოდებას. აცხადებს, რომ მაშინდელი სახალხო დამცველისთვის, სოზარ სუბარისთვის, ჩანაწერების მიწოდება მაშინ გადაწყვიტა, როცა დარწმუნდა, რომ ის ერთადერთი სახელმწიფო თანამდებობის პირი იყო, რომელიც ჩანაწერებს ადეკვატურად გამოიყენებდა.

თავად სოზარ სუბარი, უფლებამოსილების ამოწურვამდე, ამ დღის დეტალების გასარკვევად პარლამენტის საგამოძიებო კომისიის შექმნას ითხოვდა.

მაღლაფერიძისავე ინფორმაციით, ეს ტექსტი ითარგმნა და თომას ჰამერბერგსა და პიტერ სემნებს გასაცნობად გაეგზავნა.

ავტორის თხოვნით, ჩანაწერს „ლიბერალი“ უცვლელად გთავაზობთ. ჩვენ ტექსტში მოხსენიებულ პიროვნებებთან დეტალების გადამოწმებასაც შევეცდებით.

«მოკლედ, ისე უნდა გაილახოს, რომ დიდხანს ვერ დადგეს ფეხზე, სახეზე ერიდეთ, არ არის აუცილებელი, ძირითადად, თირკმელებში, მუცელში, ვინც არ იცის, როგორ, გაიარეთ კონსულტაციები ახალაიასთან»

დღეს 2007 წლის 5 ნოემბრის საღამოა, გადავწყვიტე, ქაღალდზე გადავიტანო ის, რის შემსწრეც გავხდი გუშინ და რაზეც, უკვე თითქმის ოცდაოთხი საათია, განუწყვეტლივ ვფიქრობ. ამ თემაზე კიდევ დიდხანს ვიფიქრებ, მაგრამ მიმაჩნია, რომ ვალდებული ვარ, სხვასაც მივცე ამ თემაზე დაფიქრების საშუალება. ამისთვის კი მოვყვები მხოლოდ იმას, რაც ვნახე და მოვისმინე.

მხოლოდ ფაქტი.

გუშინ, 4 ნოემბერს, კვირას, დაახლოებით დილის 11 საათზე, მობილურ ტელეფონზე დამირეკეს სამთავრობო ოთხნიშნა ნომრიდან. ავიღე, ქალბატონმა მითხრა, ელაპარაკეთ შს მინისტრის თანაშემწესო. ახალგაზრდა კაცი წარმომიდგა, ესა და ეს ვარო, გვარსახელი არ მახსოვს, პირველად გავიგე და არც მნიშვნელობა მიმინიჭებია. ძალიან ზრდილობიანად მაცნობა, დღეს, საღამოს ცხრა საათზე მინისტრმა გთხოვათ გუბერნატორებს მოსვლა და ხომ შეძლებთო? დავეთანხმე, მადლობა გადამიხადა და გავთიშეთ ტელეფონები.

გადავურეკე ჩემს მძღოლს, ვუთხარი, მოსულიყო 20:15 წუთზე, ვიფიქრე მიტინგის გამო გზებზე საცობებს არ შეეშალა ხელი, თუმცა, უპრობლემოდ მივედით და დაახლოებით ნახევარი საათი შსს-ს შენობის პირდაპირ, გზის გადაღმა მანქანაში ვიჯექი. დრო რომ მოვიდა, შევედი შენობაში, ლიფტთან შემხვდნენ მეორე შესასვლელიდან შემოსული დავით კირკიტაძე და ზაზა გოროზია. მეხუთე სართულზე ავედით და პირდაპირ შევედით ვანო მერაბიშვილის კაბინეტში. იქ დაგვხვდნენ ვანო მერაბიშვილი, თავდაცვის მინისტრი დავით კეზერაშვილი, გენერალური პროკურორი ზურაბ ადეიშვილი, თბილისის მერი გიგი უგულავა, კუდის ყოფილი უფროსი დათა ახალაია, კულტურის მინისტრი გოკა გაბაშვილი, ამირან მესხელი(?) (ტანმორჩილი ახალგაზრდა, რომელსაც ამირანს ეძახდა ვანო და ვიფიქრე, მესხელი თუ არის-მეთქი), რომლის თანამდებობაც არ ვიცი, სამცხე-ჯავახეთის გუბერნატორი გოგა ხაჩიძე, იმერეთის გუბერნატორი კაკო ბობოხიძე, შიდა ქართლის გუბერნატორი, რომელიც მეორედ ვნახე, და გვარი არ მახსოვს, ქვემო ქართლის გუბერნატორი ზურაბ მელიქიშვილი.

ვანო ჩქარობდა, დავიწყოთო.

ვიღაცამ თქვა, საცაა მიხოცო მოვაო და, მართლაც, ორ წუთში გურიის გუბერნატორი მიხო სიმონიშვილიც მოვიდა. აი, ოქრუაშვილის კიდევ ერთი კადრიც მოვიდა, იხუმრა ვიღაცამ, ეგ, აუცილებლად, გენერალური პროკურორის გვერდით დასვითო (გარკვეული პერიოდის წინ, ივლისაგვისტოში, მიხოზე საუბრები მიდიოდა და არც თუ უსაფუძვლოდ, რომ შეიძლება ოქრუაშვილთან სიახლოვის გამო პრობლემები შეექმნასო. პროკურატურამაც დაუწყო ერთ პერიოდში ჩიჩქნა). მიხომ უხერხულად გაიცინა და მართლაც ადეიშვილის გვერდით დაჯდა.

მელიქიშვილმა თქვა, გია ნაცვლიშვილმა (კახეთის გუბერნატორი) დამირეკა, სართიჭალას გამოვცდიო. კირკიტაძე ეხუმრა, შენ რას გირეკავს, ვიზას ხომ არ გთხოვს, შენს ტერიტორიაზე გამოვლისთვისო. კაკომ საიდანღაც იაპონური ხმალი აიღო, აქეთიქით იქნევდა და, როგორც ყოველთვის, ხმაურობდა. ვიღაცამ უთხრა, დადე, ეგ ხმალი ხომ არ გგონია, ხარაკირის ხანჯალიაო. მაშინ სიცილით ჩემსკენ გამოაცურა მაგიდაზე, მაშინ ეს ვასიკოსთვის დამითმიაო, ჩემმა ყოფილმა მოადგილემ ორი-სამი კვირის წინათ მწვავე განცხადებები გააკეთა პრეზიდენტის ოჯახის წინააღმდეგ და ოპოზიციას შეუერთდა და ამაზე მეხუმრებოდა. მანამდეც გამეხუმრნენ ამ თემაზე ერთი-ორჯერ, ვერ ვიტყვი ბოროტად, თუმცა, ორაზროვნად, (როგორც ეს საერთოდ ხელისუფლებაშია მიღებული). ვანომ გაიცინა, მართალი არ გეგონოს, არ შეშინდეო. არც მეშინია, ჩემგან ერთი გადავიდა და რაც მთავრობიდან და უმრავლესობიდან ხალხი გადავიდა ოპოზიციაში, ჩემამდე იმდენს აქვს ხარაკირი გასაკეთებელი, ჩემამდე ვერც მოაღწევს ეს ხანჯალი-მეთქი, ვეხუმრე მეც. ასეთი ორაზროვანი სიამტკბილობით ვიწყებდით თათბირს.

ვანომ, გვეჩქარება, ვეღარავის დაველოდებით, დავიწყოთო. თან უგულავას უთხრა შეთამაშებული ხუმრობით: ზედმეტებმა დაგვტოვონ, ხელს ნუ გვიშლი, ოტიაშვილთან (თუ უტიაშვილთან — კარგად ვერ გავიგე) გადიო. გიგი ოთახში წინ და უკან დადიოდა და ღლაბუცობდა, ნუ არღვევ ადამიანის უფლებებსო და სვიტრს ვეძებო თუ რაღაც ესეთი. ეს ერთი სვიტრიც რომ შენ დაგიტოვო, შეირჩენ და მე რაღა ვქნაო. მერე მართლაც იპოვა სავარძელზე მიგდებული სვიტრი და გავიდა. გუშინ არ მიფიქრია, დღეს შთაბეჭდილება მრჩება, წინასწარ შეთანხმებულები იყვნენ, რომ იგი ამ ლაპარაკს

ამერიკა

კონგრესმენმა ამერიკელი მაღალჩინოსნები ინდოელებად მიიჩნია

აშშ-ის კონგრესის წარმომადგენელთა პალატის საერთაშორისო საქმეების კომიტეტის სხდომაზე რესპუბლიკელმა კურტ კლოუსონმა მიიჩნია, რომ ორი ამერიკელი, რომლებსაც მაღალი პოსტები უკავიათ სახელმწიფო დეპარტამენტსა და ვაჭრობის სამინისტროში და რომლებიც სხდომას ესწრებოდნენ, ინდოეთის წარმომადგენლები იყვნენ.

„მე ვიცნობ თქვენს ქვეყანას და მიყვარს თქვენი ქვეყანა“, — განაცხადა ახალბედა კონგრესმენმა კურტ კლოუსონმა ნიშ ბისვალისა და არუნ კუმარის მისამართით, რომლებიც აზია-წყნარი ოკეანის რეგიონის საქმეთა ქვეკომიტეტის თავმჯდომარემ სხდომის დასაწყისში წარადგინა, როგორც ამერიკელი მაღალჩინოსნები.

მათი გვარებითა და კანის ფერით შემკრთალმა კლოუსონმა განაცხადა, რომ ინდოეთთან ურთიერთობის გასაუმჯობესებლად ყველაფრისთვის მზად არის და იკითხა, შეუძლია თუ არა მათ (ბისვალისა და კუმარის) მთავრობას ინდოეთში კაპიტალდაბანდებაზე შეზღუდვების შემცირება. სხდომის მიმდინარეობისას მან რამდენიმეჯერ სცადა, თავისი ცოდნის გამომჟღავნება ინდური კულტურის სფეროში — კერძოდ, გაიხსენა საყვარელი ინდური ფილმები.

აღსანიშნავია, რომ კონგრესმენს შეცდომაზე არავინ მიუთითა.

„აი, ასე სხვებთანაც. ეს სასწრაფოდ გასატარებელი ღონისძიებებია, დანარჩენს მერე მოვ....ავთ დედებს, ერთი არ უნდა დაგვრჩეს უყურადღებოდ. მთავარია, მიტინგზე წასვლის შეეშინდეთ, ცემა არის ამის წამალი.“

შენ ხელი დაადე, ვასოხან...
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

რა უნდოდა გოკა გაბაშვილს ძალოვანი მინისტრების საიდუმლო თათბირზე, რომელსაც უგულავაც არ დაასწრეს

არ უნდა დასწრებოდა. ვანომ კიდევ იხუმრასავით (საერთოდ მთელი თათბირი სულ სიცილ-ხითხითით მიმდინარეობდა. **ოღონდ მეორე ნაწილში, რომელიც ახლა იწყება, ბევრ გუბერნატორს აღარ გვეღიმებოდა), კიდევ ვინმე ხომ არ არის ზედმეტიო, მერე გოკას შეხედა და, აი, კიდევ ერთი ზედმეტი, მაგრამ რადგან დარჩი, იყავიო. ახლა ამ ეპიზოდს რომ ვიხსენებ, მგონია, რომ გოკა ვერ მიხვდა, რომ უნდა გასულიყო და მას არ მართებდა იქ დარჩენა, რათა უგულავასავით ფორმალურად „თეთრი ხელთათმანებით“ დარჩენილიყო.**

ცხადია, მათ ვიწრო წრეში მოლაპარაკებული და დალაგებული ჰქონდათ, რაც შემდგომ გვითხრეს, მაგრამ ამდენ ხალხში, ასეთ საჩოთირო თემასთან დაკავშირებით ზედმეტ მოწმედ ყოფნა არაფერში სჭირდებოდა, თუმცა, ვიმეორებ, ეს აზრი შემდგომ გამიჩნდა, მაშინ კი, სხვა რამ მაინტერესებდა, ჩემი გუბერნატორობის ორწელიწად-ნახევრის განმავლობაში არ მომხდარა, ყველა ძალოვანი სტრუქტურის ხელმძღვანელი ერთად შეგვხვედროდა გუბერნატორებს, მეტიც, ამ ხნის განმავლობაში ერთხელაც ვერ მოვახერხე, ტელეფონით დავკავშირებოდი გენერალურ პროკურორს, რომელთანაც საკმაოდ ახლო ურთიერთობა მქონდა, სანამ ჩვეულებრივი ადამიანი იყო. **ძალოვანთა მხრიდან ამგვარი ყურადღება რაღაც ძალიან მნიშვნელოვანთან რომ უნდა ყოფილიყო დაკავშირებული, დიდი მიხვედრა არ სჭირდებოდა, მაგრამ ოდნავ მაბნევდა კულტურის მინისტრის იქ ყოფნა. ძალოვნების და კულტურის მინისტრის ამგვარი სიმბიოზი საკმაოდ უცნაურად ჩანდა. ზოგადად ვვარაუდობდი, რომ საუბარი იქნებოდა რუსთაველზე მიმდინარე აქციის რაიმე პიარკამპანიით გადაფარვაზე.**

მერაბიშვილის სამუშაო მაგიდის მარჯვნივ მართკუთხა მაგიდის ერთ თავში იჯდა ზურაბ ადეიშვილი; მისგან მარცხნივ, კედლის მხარეს — ზურაბ მელიქიშვილი, ოთარ სირაძე (რაჭის გუბერნატორი, რომელიც ზემოთ ჩამოთვლისას გამომრჩა), შიდა ქართლის გუბერნატორი, ამირანი მესხელი(?) და თვითონ ვანო. მაგიდის მეორე თავში ისხდნენ დავით კეზერაშვილი და დათა ახალაია; მეორე მხარეს — დავით კირკიტაძე, აკაკი ბობოხიძე, გოგა ხაჩიძე, მე — ვასილ მაღლაფერიძე (მცხეთა-მთიანეთის გუბერნატორი) და გოკა გაბაშვილი. ჩვენს უკან სკამზე იჯდა ახალგაზრდა ბიჭი, ალბათ, ვანოს თანაშემწე.

დაიწყო ვანომ, ორ საკითხთან დაკავშირებით მინდა თქვენთან საუბარიო. პირველი, უნდა იყოთ ძალიან მხნედ, ყველამ უნდა დაგინახოთ, რომ დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებთ, რაც ქუჩაში ხდებაო. ეს მხიარული (ზუსტად ეს სიტყვა გამოიყენა!) ნაწილია იმისა, რაც უნდა გითხრათ, ახლა კი სერიოზულ ნაწილზე გადავიდეთო და მონოლოგის სახით გვითხრა ის, რაზეც თავშიც ვთქვი, რომ ორი დღეა, ვფიქრობ.

„ეს ნაძირლები ძალიან გაგლატავდნენ, ორ დღეში მოინდომეს იმის წაღება, რისთვისაც ჩვენ ოთხი წელი ვიბრძოდით. მართალია, დიდი არაფერი ძალა არა აქვთ, მაგრამ აუცილებელია პრევენციული ზომების მიღება. კაცმა რომ თქვას, რაიონებიდან მართლაც არ ჩამოსულა ბევრი ხალხი, მაგრამ, ვინც ჩამოვიდა ან აწი ჩამოვა, ყველას უნდა მიხედვა. უკვე დავალებული აქვს კონსტიტუციურს, მაგრამ თქვენც აქტიურად უნდა ჩაერთოდ ამ პროცესში, შეადგინეთ სიები ყველა მიტინგზე ჩამომსვლელის, შეუშვით თქვენი ხალხი მიტინგზე, არც ერთი ადამიანი არ უნდა ჩავიდეს უკან გაულახავი. არა სახალხოდ, სათითაოდ. მაგალითად, გურიიდან ან ზუგდიდიდან ჩამოსულ ადამიანს უკან გზაზე გააჩერებენ ქუთაისთან და დაუნგრევენ თირკმელებს. გენერალური პროკურორი აგერ არის და გვაძლევს ნებართვას (სიცილით!)“.

— მე არაფერი გამიგია, ჩუმად ვარ და, რომ მორჩება ყველაფერი, მერე გეტყვით, რას ვფიქრობ, — **ეს იყო ერთადერთი და ღიმილით წარმოთქმული რეპლიკა, რომელიც ადეიშვილმა ჩემს იქ ყოფნაში თქვა** (თუ მხედველობაში არ მივიღებთ შიგადაშიგ ორიოდე წამოძახილს: „დავიჭიროთ“, „დედა მოვუ..ნათ“).

„მოკლედ, ისე უნდა გაილახოს, რომ დიდხანს ვერ დადგეს ფეხზე, სახეზე ერიდეთ, არ არის აუცილებელი იმიტომ, რომ რაიონებში ჩადიან მიტინგებზე ნამყოფი ადამიანები და იწყებენ იქ ბლატაობას და ხალხის შემოკრებას, გალახული კაცი კიდე არის ჩამორი საქართველოში და კარგავს ეგრევე გავლენას“.

«ეშაადგინეთ სიები ყველა მიტინგზე ჩამომსვლელის, შეუშვით თქვენი ხალხი მიტინგზე, არც ერთი ადამიანი არ უნდა ჩავიდეს უკან გაულახავი. არა სახალხოდ, სათითაოდ. მაგალითად, გურიიდან ან ზუგდიდიდან ჩამოსულ ადამიანს უკან გზაზე გააჩერებენ ქუთაისთან და დაუნგრევენ თირკმელებს. გენერალური პროკურორი აგერ არის და გვაძლევს ნებართვას»

— ეს თვითონაც კარგად იციან და იმიტომ უნდოდათ ჩხორუწყუს გამგებლის გალახვა და არ დავანებეთ, — წამოიძახა გოროზიამ.

— არ დაანებე კი არა ისა, თუ რამის თავი გქონდა, ზუგდიდში გექნა, ახალაია რომ არა, მოდიოდნენ ბედნიერად იქიდან, — ჩემგან მარჯვნიდან ნარევი რეპლიკა: „განსაკუთრებულ შემთხვევაში სახეშიც შეიძლება!“

ვანომ განაგრძო: **„განსაკუთრებულში აუცილებელიც კია, ოღონდ განსაკუთრებულში, ასეთებიც ბევრი ვიცით (იცინის!). ვინც ცოტა „მოშავოა“ ან ეგეთი ტიპი, ჯიბეში ნარკოტიკი და ბაჩოსთან. გარეთ ერთი ახალაია მოუვლით, შიგნით მეორე ახალაია დახვდებათ“.** საკუთარ ამ ხუმრობაზე საკმაოდ იცინა.

შემდეგ გააგრძელა: **„ცემა თებული იქნება, თუ ოპოზიციის კონკრეტული გამონათქვამები კანონის რომელ მუხლს არღვევს“.**

კიდევ რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ ვანომ გააწყვეტინა: „არ არის ახლა ამ სისულელეების დრო, ახლა თეორიების და ჰაერში ფრენის დრო არ არის, ლაპარაკია ამ ბოზების ბოლომდე ჩატ...აზე. შექმნით ჯგუფებს, პირველად რომ დაბეთქავენ ვიღაცას, მერე ისეთ აზარტში შევლენ, ვერ გააჩერებთ. ეს ბევრჯერ გამოვცადეთ. ორი საქმე კეთდება, ბოზები იტ.....ან და ჩვენი რიგები მტკიცდება. არ შეიძლება, ახლა ჩვენ ერთმანეთზე ვეჭვიანობდეთ, ასე გადავჭამთ ერთმანეთს. ამიტომ, ვინც ჩვენიანია, საქმით უნდა დაამტკიცოს. თუ ვინმე ბიზნესმენია შენიშნული ოპოზიციის დაფინანსებაში, აგერ კეზერაშვილს უთხარით და მიხედავს. ეპარქიებთან იმუშავეთ, იმ ბიზნესმენებთან, რომლებიც ეპარქიებს ეხმარებიან, რომ ხალხს სისულელეები არ ელაპარაკონ. მიტინგზე გადახედეთ, ყველას გვყავს ნაცნობი სპორტსმენი, მსახიობი, ეგეთი ტიპები, დაურეკეთ, გადმოიბირეთ, დაარწმუნეთ, შეაშინეთ, თუ გინდათ, მოისყიდეთ, ოღონდ ფული არ მომთხოვოთ (იცინის). ამაზე გამახსენდა, ონაშვილზე რა ქენით?

— ჩემთან მყავდა და მივხედე, ყველაფერი წესრიგშია, — უპასუხა ახალაიამ.

„აი, ასე სხვებთანაც. ეს სასწრაფოდ გასატარებელი ღონისძიებებია, დანარჩენს მერე მოვ....ავთ დედებს, ერთი არ უნდა დაგვრჩეს უყურადღებოდ. მთავარია, მიტინგზე წასვლის შეეშინდეთ, ცემა არის ამის წამალი. გაიგეთ, ვინ არიან მათი ნათესავები, მამა, ბიძაშვილი, ზოგზე ასე ვიმოქმედებთ, ზოგზე — ისე, ზოგი გაილახება, ზოგთან ფინანსური შევა, ზოგს — ჯიბეში ნარკოტიკი. ყოფილი პოლიციელები გამოსულან მიტინგზე, დედებს მოვ.....ვთ, უკვე მოვნახეთ წესიერი და სახელმწიფოებრივად მოაზროვნე პატიმრები, რომლებიც დაწერენ, როგორ აწამებდნენ ის პოლიციელები თავის დროზე. ამათ გავუნახევრებთ, იმათ შევყრით. ახლა არის გადამწყვეტი მომენტი და მთავარია სიმტკიცე. დალაქიშვილს ყოფა აქვს სატირებელი „დვურუშნიკობისთვის“. დაურეკეს და ბლოკების დალაგება უთხრეს, ვითომ დაალაგა. ჯერ ერთი, თუ დებ, ისეთი დადე, ხელით ვერ გაწიონ, თან ორმოცდაათ ადგილას დარეკა და ატეხა პანიკა. ეს არის ჩათლახობა“.

მერე ისევ სიცილით გააგრძელა:

„სულ წუხდა ბობოხიძე და დანარჩენებიც, გუბერნატორებს ფუნქცია და უფლებები არ გვაქვსო. აჰა, უფლებებიც გაქვთ და ფუნქციაც, გამოიყენეთ. რა დრო დაგვიდგა, კაკო, შენი დახმარება რომ გვჭირდება?“

„კაკო“ სიტყვის მასალად თქვა, ადრესატი ყველა გუბერნატორი იყო. **„ხვალიდანვე შეუდექით საქმეს, დაუძახეთ კონსტიტუციურს, პოლიციის უფროსებს და გააკეთეთ შტაბები. თბილისს ჩვენ მივხედავთ. ახლა მოვრჩით, სხვა საქმეები გვაქვს“.**

შეხვედრის დასარულს, შემოვიდა უგულავაც, მაგიდასთან არ მოსულა, ვანოს მაგიდასთან იჯდა და იქიდან გვისმენდა. უკვე ვიშლებოდით, როცა მოვიდა გია ნაცვლიშვილი და იკითხა, რაზე საუბრობდითო. ახლა შენი გულისთვის თავიდან ვერ დავიწყებ, დარჩი და მიხვდებიო.

წამოვედით, დარჩნენ მერაბიშვილი, ადეიშვილი, უგულავა, კეზერაშვილი, ახალაია, გაბაშვილი, კირკიტაძე, ნაცვლიშვილი, შეიძლება ვინმე სხვაც.

2007 წლის 5 ნოემბერი

Liberali.ge
2014 წლის 29 ივლისი

«ყოფილი პოლიციელები გამოსულან მიტინგზე, დედებს მოვ.....ვთ, უკვე მოვნახეთ წესიერი და სახელმწიფოებრივად მოაზროვნე პატიმრები, რომლებიც დაწერენ, როგორ აწამებდნენ ის პოლიციელები თავის დროზე»

ეროვნულ

ჩაჭრილი აბიტურიენტებისთვის გამოცდებზე ხელმეორედ გასვლის წესი იცვლება

„განათლების სამინისტროს გადაწყვეტილებით, ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ჩაჭრილ აბიტურიენტებს მომდევნო წლებში გამოცდაზე განმეორებით გასვლის უფლება აღარ ექნებათ“, — **განაცხადა განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა თამარ სანიკიძემ. მისივე თქმით, ჩაჭრილ აბიტურიენტებს მხოლოდ იმ შემთხვევაში მეცემათ ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მეორედ გასვლის შანსი, თუ ისინი ხელახლა გაივლიან სწავლების ზედა საფეხურს, ანუ სწავლას დაიწყებენ მე-7 კლასიდან და გააგრძელებენ 12 კლასის ჩათვლით.**

„აღნიშნული რეფორმა ხელს შეუწყობს ქვეყანაში განათლების დონის ამაღლებას. მოსწავლეები სასკოლო ასაკშივე გაიცნობიერებენ, რაოდენ მნიშვნელოვანია საფუძვლიანი განათლების მიღება სკოლაში, თუკი მათ სწავლის გაგრძელება უმაღლეს სასწავლებელში სურთ. ასევე, საზოგადოებაში აღარ იქნება უკმაყოფილება იმის შესახებ, რომ აბიტურიენტები უნივერსიტეტებში ჩარიცხვას ადვილად ახერხებენ“, — განაცხადა თამარ სანიკიძემ.

ვერსია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„ეს ადამიანები სააკაშვილის რეჟიმის ძალოვან უწყებასთან თანამშომლობდნენ. ეს ხდებოდა საპარლამენტო არჩევნებამდე კარგა ხნით ადრე და, რა თქმა უნდა, ძალიან საინტერესოა, რა დავალებებს ასრულებდნენ. პეტრე-პავლეს სასაფლაოსთან, ყოფილ სამხედრო ყაზარმაში ხვდებოდნენ სპეცსამსახურების წარმომადგენლებს და იქვე იღებდნენ დავალებებს.“

ელისო კილაძე «ქართული ოცნების» წარმომადგენლებს «კუდის» მაღალჩინოსნებთან თანამშრომლობაში ამხელს

გაზეთ „ქრონიკა+“-ის რედაქტორმა ელისო კილაძემ „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებზე ცოტა ხნის წინათ სკანდალური ინფორმაცია გამოქვეყნა. მასში ნათქვამია, რომ ხელისუფლების სათავეში „ნაცმოძრაობის“ ყოფნის პერიოდში „ქართული ოცნების“ წევრები: დავით საგანელიძე, ირინა იმერლიშვილი, ანი მიროტაძე, ზაქარია ქუცნაშვილი, ირაკლი მელაშვილი, ალი ბაბაევი, არმაზ ახვლედიანი და სხვები თურმე სპეცსამსახურებთან თანამშრომლობდნენ. მიუხედავად იმისა, რომ „აგენტობაში ბრალდებულები“ ამ ინფორმაციას კატეგორიულად უარყოფენ და რამდენიმე მათგანმა პროკურატურაში სარჩელიც კი შეიტანა. ელისო კილაძე დოკუმენტების სინამდვილეში დარწმუნებულია და ამბობს, რომ ამის დამადასტურებელი ვიდეომასალასაც აქვს. როდის გამოქვეყნდება სკანდალური ვიდეოკადრები და რატომ არ მოჰყვა მმართველი კოალიციის რეაგირება გამოქვეყნებულ ინფორმაციას — ამ საკითხზე „საქართველო და მსოფლიოს“ ელისო კილაძე ესაუბრება.

— სპეცსამსახურებთან „ქართული ოცნების“ წარმომადგენლის თანამშრომლობის დამადასტურებელი დოკუმენტების გამოქვეყნებიდან თითქმის ერთი წელი გავიდა. როგორ ფიქრობთ, რატომ არ მოჰყვა რეაგირება თქვენ მიერ გავრცელებულ ინფორმაციას „ოცნების“ ლიდერების მხრიდან?

— დავით საგანელიძემ პროკურატურას ოფიციალურად მიმართა, რის შემდეგაც დამიკავშირდა პროკურატურის გამომძიებელი და მთხოვა, ჩვენება მიმეცა. წარვადგინე გაზეთში გამოქვეყნებული დოკუმენტები. ამის შემდეგ რა ბედი ეწია ამ საქმეს, არ ვიცი, ვინაიდან სხვა საგამოძიებო ქმედებებში ჩემთვის მონაწილეობა აღარ შემოუთავაზებიათ. სასამართლოს მიმართა ალი ბაბაევმაც, თუმცა, პროცესი დაიხურა — მას გრიფი „საიდუმლო“ დაადეს. ეს პროცესი 11 ივლისს უნდა გამართულიყო, მაგრამ გაურკვეველი ვადით გადაიდო.

რაც შეეხება რეაგირებას, ვფიქრობ, დასახელებულ პირთაგან ბევრი პოლიტიკურ პროცესებს, ფაქტობრივად, ჩამოშორდა, მაგალითად, არმაზ ახვლედიანი, თუნდაც დავით საგანელიძე, რომელიც ამბობდა, რომ პოლიტიკიდან წავალო, მაგრამ შემდეგ გადაიფიქრა. **ამ ინფორმაციის გამოქვეყნების შემდეგ პოლიტიკურ პროცესებს, გარკვეულწილად, ელისო ჩაფიძეც ჩამოაშორეს.** გარდა ამისა, მაქვს ინფორმაცია, რომ „ქართულ ოცნებაში“ იყო კულუარული გარჩევები და ბიძინა ივანიშვილმა კატეგორიულად მოითხოვა რეაგირება. ვერ ვიტყვი, რომ ჩემ მიერ გამოქვეყნებულ ინფორმაციას რეაგირება საერთოდ არ მოჰყოლია, თუმცა, საბოლოო ჯამში, ვფიქრობ, მაინც „სირაქლემას პოზაში“ ყოფნა არჩიეს. არადა, მიმაჩნია, რომ ეს ის თემაა, რომელზეც სრულფასოვანი გამოძიება უნდა ჩატარდეს. **ერთია ის დოკუმენტი, რომელიც მე გამოვაქვეყნე და მეორე და უმთავრესი — რა დავალებებს ასრულებდნენ ეს ადამიანები.**

საზოგადოდ, როდესაც საქმე საკუთარი ქვეყნის უსაფრთხოებას ეხება, სპეცსამსახურებთან თანამშრომლობა მიუღებელი და სამარცხვინო არ არის, მაგრამ ახალაიას უწყება, ჩემთვის საქართველოს სპეცსამსახური არ არის. აქედან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ **ეს ადამიანები სააკაშვილის რეჟიმის ძალოვან უწყებასთან თანამშომლობდნენ. ეს ხდებოდა საპარლამენტო არჩევნებამდე კარგა ხნით ადრე და, რა თქმა უნდა, ძალიან საინტერესოა, რა დავალებებს ასრულებდნენ.**

— გარდა ამ დოკუმენტების ასლებისა, რომლებიც გამოაქვეყნეთ, ზემოაღნიშნული ინფორმაციის დამადასტურებელი კიდევ რა მტკიცებულებები გაქვთ?

— მე ვენდობი იმ ადამიანს, რომელმაც ეს მასალები გადმომცა. მათი შეხვედრის ადგილიც ვიცი — **პეტრე-პავლეს სასაფლაოსთან, ყოფილ სამხედრო ყაზარმაში ხვდებოდნენ სპეცსამსახურების წარმომადგენლებს და იქვე იღებდნენ დავალებებს.** მგონია, რომ ხელისუფლებამ „არშემჩნევის პოზა“ აირჩია, რადგან ეს არის თემა, რომლის გამოძიებაც ძალიან ბევრ რამეს ახდის ფარდას...

— თუმცა ეს პირები დღესაც ძველებურად განაგრძობენ კოალიციაში მუშაობას, მაგალითად, როდესაც ეს ინფორმაცია გამოაქვეყნეთ, ჩვენ დავუკავშირდით „ქართული ოცნების“ ერთ-ერთ ლიდერს — მანანა კობახიძეს და ვკითხეთ, რატომ არ მოჰყვა აღნიშნულ ინფორმაციას რეაგირება კოალიციის მხრიდან. ქალბატონმა მანანამ ჩვენთან ინტერვიუში განაცხადა: „თუ კუდის აგენტმა საგანელიძემ არჩევნები მოგვაგებინა, ბარაქალა მაგას, კუდს მისთვის კარგი დავალება მიუცია“ (იხ. „საქართველო და მსოფლიო“, №226). როგორ ფიქრობთ, რატომ არ აღმოჩნდა ეს ინფორმაცია დამაჯერებელი „ქართული ოცნების“ ლიდერებისთვის?

— როგორც ჩანს, ქალბატონმა მანანამ ვერ გაარკვია, საგანელიძის მიმართ არ ყოფილა ბრალდება კუდის აგენტობაზე, მას გაცილებით მძიმე ბრალდება აქვს. **საგანელიძე იყო სამხედრო პოლიციის დაზვერვის ღრმა დაშიფვრის ოფიცერი. აგენტსა და ღრმა დაშიფვრის ოფიცერს შორის დიდი განცხვავებაა და ქალბატონმა კობახიძემ, როგორც იურისტმა, ეს უნდა იცოდეს.** ან რას ნიშნავს, სანგანელიძემ მოაგებინათ არჩევნები? მართლა ჰგონიათ, რომ ან კობახიძემ, ან საგანელიძემ, ან სხვამ მოიგო არჩევნები? არჩევნები მოიგო ბიძინა ივანიშვილმა ქართველი ხალხის მხარდაჭერით, მაგრამ, სამწუხაროდ, კოალიციის შემადგენლობაში ბევრი ისეთი ადამიანი მოხვდა, რომლებიც ამას არ იმსახურებდნენ, თუმცა, ვფიქრობ, მომდევნო პარლამენტში ისინი აღარ იქნებიან.

მაქვს ინფორმაცია, რომ «ნაციონალები» ხელისუფლების წარმომადგენლებს თურქეთში ხვდებოდნენ. ამ შეხვედრებში გიგა ბოკერია, გიორგი მარგველაშვილის ფრთა და ირაკლი ალასანიას წარმომადგენლები მონაწილეობდნენ

შეურაცხმყოფელი გამონათქვამების გამო, საგანელიძის წინააღმდეგ სარჩელი შევიტანე სასამართლოში. მოსამზადებელი სხდომა უკვე გაიმართა, მოსამართლემ მორიგება შემოგვთავაზა, რომელზეც მეორე მხარემ ორი კვირა ითხოვა მოსაფიქრებლად, მე კი მორიგებაზე კატეგრული უარი ვთქვი. **სასამართლო დავა გრძელდება და საგანელიძისგან ვითხოვ ჩვენი მისამართით გამოთქმული ბრალდებების დადასტურებას ან სიმბოლურ თანხას — 41 ლარს.**

დიდხანს ვიფიქრე, გამომექვეყნებინა თუ არა ეს მასალები და, სხვათა შორის, გარკვეული კომპრომისი იყო ჩემი მხრიდან, საპრეზიდენტო არჩევნების წინ მასალების გამოქვეყნების შეწყვეტა, რადგან მქონდა ინფორმაცია, რომ ამას გარკვეული კონფრონტაცია მოჰყვებოდა, რაც, საბოლოო ჯამში, შეიძლება საპრეზიდენტო არჩევნების ჩაშლითაც დამთავრებულიყო. ეს კი ნამდვილად არ ღირდა.

— განაცხადეთ, ვიდეომტკიცებულებებსაც გამოვაქვეყნებო, უკვე საკმაო დრო გავიდა ამ განცხადების შემდეგ, რას აპირებთ?

— დიახ, **ვიდეომტკიცებულებებიც არსებობს, თუმცა, ჯერ არ გადამიწყვეტია, გამოვაქვეყნო თუ არა, ვინაიდან, ქვეყანაში უკიდურესად რთული სიტუაციაა — „ქართული ოცნების“ რეიტინგი კატასტროფულად ეცემა.** ეს ბოლო არჩევნებმაც აჩვენა, როდესაც მოსახლეობის 65% არჩევნებზე, უბრალოდ, არ მივიდა. ასეთ ვითარებაში პოლიტიკური რყევების გამოწვევა ღირს თუ არა, დასაფიქრებელია. არ მინდა, „ნაციონალური მოძრაობის“ წისქვილზე დავასხა წყალი და მათ ხელისუფლებაში დაბრუნებაში შევუწყო ხელი.

ამ ვიდეომტკიცებულებების გამოქვეყნებას გადამწყვეტი მნიშვნელობა, ვფიქრობ, აღარ აქვს, ვინაიდან მომდევნო არჩევნებში ის ადამიანები, რომელთა შესახებაც ინფორმაცია მაქვს, პოლიტიკაში აღარ იქნებიან.

— შეგიძლიათ თქვათ, რა არის ამ ვიდეოფირებზე?

— დეტალებზე არ ვისაუბრებ. ძალიან ბევრი მასალა არსებობს, რომელიც თავის დროზე ჩემამდე მოვიდა და რომელიც ეხებოდა ცნობილი ადამიანების, მათ შორის, „ქართული ოცნების“ წარმომადგენლების, დეპუტატების, მინისტრების პირად ცხოვრებას და **მართლა მიკვირს, რატომ თავად არ ითხოვენ გამოძიებას ეს პირები?! რატომ არ დაისვა არც ერთი პირის პასუხისმგებლობის საკითხი, რომლებიც უშუალოდ იყვნენ ამ ფირების გადაღებაზე პასუხისმგებელნი, მით უმეტეს, ბევრი მათგანი ბოლომდე თანამდებობებზე მუშაობდა.** მაგალითად, კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის პირველი მთავარი სამმართველოს უფროსი — **გიორგი ყავლაშვილი,** რომელიც ზედამხედველობდა ამ გადაღებებს, ბოლო პერიოდამდე სასჯელაღსრულების დეპარტამენტში მუშაობდა; აგრეთვე, დათა ახალაიას ყოფილი მოადგილე — **ვაჟა ლელუაშვილი,** რომელიც დღემდე თავისუფალია და მისი პასუხისმგებლობის საკითხი არ დამდგარა.

ჩემს ხელთ არსებული ვიდეოკადრები ადასტურებს „ქართული ოცნების“ წარმომადგენლების თანამშრომლობას კუდის მაღალჩინოსნებთან.

— ქალბატონო ელისო, როდესაც აღნიშნული დოკუმენტები გამოაქვეყნეთ, საუბრობდნენ, რომ თქვენც თანამშრომლობდით კუდთან, სხვა შემთხვევაში ეს დოკუმენტები მის ხელში ვერ აღმოჩნდებოდაო...

— ამ მასალების ავტორებმა, როგორც ჩანს, ჩემი ისტორია კარგად არ იციან. მე გაზეთშიც დავწერე იმის შესახებ, თუ როგორ შემომთავაზეს სპეცსამსახურებმა თანამშრომლობა. პირველად სამხედრო პოლიციის მაღალჩინოსნებმა შემომთავაზეს თანამშრომლობა, როდესაც ბადრი პატარკაციშვილის საარჩევნო შტაბში ვიყავი. მითხრეს, შექმენი პოლიტიკური პარტია და პარლამენტში მოხვედრა გარანტირებული გექნებაო, მაგრამ უარი ვთქვი. მეორედ ასეთი შემოთავაზება მივიღე 2010 წლის გაზაფხულზე, როდესაც ბადრი პატარკაციშვილის საარჩევნო შტაბის წევრებმა არასამთავრობო ორგანიზაცია დავაფუძნეთ. იმხანად საკმაოდ სოლიდური თანხა შემომთავაზეს. მინდა, განვაცხადო: არ არსებობს კომპრომატი, რომლისაც მეშინია და, საერთოდ, არანაირი მასალა არ არსებობს, რომელსაც ჩემს წინააღმდეგ გამოიყენებენ. არადა, ამის მცდელობა იყო, როგორც ძველი ხელისუფლების, ასევე ახალი ხელისუფლების დროს.

ასე რომ, ამ ჭორების ავტორმა უნდა იცოდეს, რომ აგენტებს ასეთ მასალებს არ აძლევენ. პირადი თემებით სპეკულირება არ მჩვევია, მაგრამ ჩემი მეუღლე პოლიციის მაღალჩინოსანი იყო და სამსახური ვანო მერაბიშვილთან პირადი დაპირისპირების გამო დატოვა. ჩემს შვილზე ზემოქმედებდნენ, ცდილობდნენ, პროვოკაცია მოეწყოთ. დღეს ვინც ჩემზე ასე საუბრობს, მინდა ვკითხო — სად იყვნენ იმ წლებში, როდესაც სააკაშვილის რეჟიმი გააფთრებით ებრძოდა განსხვავებული აზრის მქონე ადამიანებს?

— თქვენ ჯერ ბიძინა ივანიშვილის შესახებ გამოაქვეყნეთ ინფორმაცია, მის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრებაო, შემდეგ ირაკლი ღარიბაშვილის წინააღმდეგ შეთქმულებაზე ისაუბრეთ. რა ვითარებაა ახლა, როცა „ნაციონალების“ საბოტაჟზე ბევრს საუბრობენ, თუ ემუქრება საფრთხე ხელისუფლებას?

— ეს მოხდა 2013 წლის იანვარში, როცა ბიძინა ივანიშვილი ახალი მოსული იყო ხელისუფლებაში და რევანშის საფრთხე ჯერ კიდევ არსებობდა. ერთ-ერთი უწყების სპეცრაზმის ხელმძღვანელი დამიკავშირდა და მომანოდა ინფორმაცია, რომ 25 კაცს ამზადებდნენ ბიძინა ივანიშვილის ლიკვიდაციის მიზნით. კონკრეტული ადგილიც დამისახელა, სადაც მზადება მიმდინარეობდა. მან მითხრა, რომ არ ჰქონდა საშუალება შსს-ში მისულიყო, რადგან სამინისტროში ისევ „ნაციონალების“ ზონდერები მუშაობდნენ და მხოლოდ პრემიერის სიმამრთან შეხვედრა მოითხოვა. ღამის ოთხ საათზე, ჩვენს ოფისში შედგა შეხვედრა და შემდეგ ურთიერთობა ჩემ გარეშე გაგრძელდა, რადგან მიმაჩნდა, რომ ეს იყო ძალიან მნიშვნელოვანი სახელმწიფო საიდუმლოება. **მან დაასახელა იმ პირთა გვარები, რომელთაც ამზადებდნენ, აგრეთვე, რომელთა მეშვეობითაც ხდებოდა მათი მომზადება ივანიშვილის სალიკვიდაციოდ.**

ასევე მქონდა ინფორმაცია, რომ 5 მინისტრი გადადგებოდა და მზადდებოდა შეთქმულება ირაკლი ღარიბაშვილის წინააღმდეგ. მიხარია, რომ ეს სცენარი აღარ გამოვა, რადგან ღარიბაშვილმა მნიშვნელოვანი საკადრო ცვლილებები განახორციელა. **ახლა ღარიბაშვილის მთავრობა სრულ ნდობას მიიღებს პარლამენტისგან და შემოდგომაზე დანარჩენ მინისტრებს, მათ შორის, შეთქმულ მინისტრებსაც, გადააყენებს თანამდებობიდან.**

„ნაციონალური მოძრაობა“ ყველანაირად ცდილობს, ხელისუფლებაში დაბრუნდეს. მაქვს ინფორმაცია, რომ „ნაციონალები“ ხელისუფლების წარმომადგენლებს თურქეთში ხვდებოდნენ. ამ შეხვედრებში გიგა ბოკერია, გიორგი მარგველაშვილის ფრთა და ირაკლი ალასანიას წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. ვფიქრობ, ირაკლი ალასანია შემოდგომაზე აღარ იქნება თანამდებობაზე.

ჩემი ინფორმაციით, ახლა ერთადერთ საფრთხედ ციხეებში არსებული ვითარება რჩება, ვინაიდან, თუ ახალი მინისტრი შეეცდება, ციხეში ვითარება მოაგვაროს და „მაყურებლის ინსტიტუტი“ ალაგმოს, შესაძლებელია, ციხეში ბუნტი დაიგეგმოს. ასეთ შემთხვევაში, ხელისუფლებას „ბეწვის ხიდზე“ გავლა მოუწევს.

ესაუბრა შორენა ციკვარაშვილი

ვერსია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„ეკლესიასთანაც მაქვს პრეტენზია — უკვე დროა, განგაშის ზარები დაარისხონ! ასე თუ გაგრძელდა, შესაძლებელია, ჩვენს ეკლესიებში მეჩეთები გაკეთდეს.“

თავისუფლების ინსტიტუტის პროპაგანდისტული ბუდე სახალხო დამცველის ოფისში

ამჟამინდელ ხელისუფლებას ძალიან სწყინს, როდესაც ამბობენ, მისი და სააკაშვილის რეჟიმის იდეოლოგიაში განსხვავება არ არის, რადგან კოალიცია „ქართულ ოცნებაშიც“ ის ადამიანები არიან, რომლებიც თავისუფლების ინსტიტუტში დაფრთიანდნენო. ამის ნათელი მაგალითია სახალხო დამცველის ოფისის მიერ გამოცემული ჟურნალი „სოლიდარობა“, რომელშიც პირველი ვიოლინოს როლს თეა თუთბერიძე და მისთანები ასრულებენ, ანუ ტენდენცია, რომელსაც თავის დროზე სოზარ სუბარი და გიორგი ტულუში თეა თუთბერიძესთან, დავით დარჩიაშვილსა და ლევან რამიშვილთან ერთად ამკვიდრებდნენ, უჩა ნანუაშვილის ომბუდსმენობის პერიოდშიც არ გამქრალა.
ამ თემაზე გვესაუბრება პოეტი ვაჟა ოთარაშვილი.

«ტენდენცია, რომელსაც თავის დროზე სოზარ სუბარი და გიორგი ტულუში თეა თუთბერიძესთან, გიგი თევზაძესთან, დავით დარჩიაშვილსა და ლევან რამიშვილთან ერთად ამკვიდრებდნენ, უჩა ნანუაშვილის ომბუდსმენობის პერიოდშიც გრძელდება»

— ბატონო ვაჟა, ჟურნალ „სოლიდარობაში“ გამოქვეყნებული მასალები და მათი ავტორების გვარები კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ წინა ხელისუფლებასა და ახალ ხელისუფლებას შორის იდეოლოგიური განსხვავება არ არის.

— ჟურნალი „სოლიდარობა“ სახალხო დამცველის ოფისის გამოცემაა, რომელიც ხელმისაწვდომია ყველასთვის. საჯარო ბიბლიოთეკაში მას ერთი დიდი კუთხე აქვს დათმობილი. მოგეხსენებათ, ბიბლიოთეკის დირექტორი გიორგი კეკელიძეც ერთ-ერთი მათგანია, ვინც ამ ჟურნალს გამოსცემს.

ჟურნალის გამოცემა თავის დროზე დაიწყო სოზარ სუბარმა, რომელიც წინა ხელისუფლების პერიოდში ომბუდსმენი იყო, ახალ ხელისუფლებაში კი ჯერ „პატიმრების მინისტრი“ გახლდათ, შემდეგ კი დევნილთა სამინისტრო ჩაიბარა. სუბარს იმ პერიოდში რედკოლეგიაში ჰყავდა: გიგა ზედანია, გია ნოდია, გიგი თევზაძე, თეა წულუკიანი, სერგო რატიანი, ნინია კაკაბაძე, დავით დარჩიაშვილი, თამარ კინწურაშვილი, აკაკი მინაშვილი, ლევან რამიშვილი, ია ანთაძე, ანა დოლიძე. სუბარი თვითონაც იყო ერთ-ერთი ავტორი და მას აქვს ასეთი წერილი — „საპატრიარქო ხელს აფარებს რელიგიურ ექსტრემიზმს“.

ზემოჩამოთვლილი ადამიანები წლების განმავლობაში თავს იწონებდნენ, როგორც უფლებადამცველები, თუმცა კარგად ვიცით, ვინ როგორი დამცველია. **კარგად დააკვირდით ამ ადამიანების გვარებს და მიხვდებით, შეიცვალა თუ არა ქვეყანაში ხელისუფლება.**

ეს ადამიანები „თავისუფლების ინსტიტუტის“ წევრები იყვნენ. გასაგებია, რომ სააკაშვილის რეჟიმის პერიოდში ამ ინსტიტუტს და ამ ადამიანებს უცხო ძალები აფინანსებდნენ, მაგრამ დღეს? დღეს რატომ არავინ იძიებს ამ ფინანსების წარმოშობისა და წყაროების საკითხს? იმიტომ, რომ წინა და ახალი ხელისუფლებისთვისაც „თავისუფლების ინსტიტუტი“ იდეოლოგიური დასაყრდენია, ისეთივე, როგორიც იყო კომუნისტებისთვის „მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტი“.

დიდი ხანია, რაც უჩა ნანუაშვილთან მაქვს შეკითხვები, თუმცა ამ ჟურნალმა დამარწმუნა, რომ შეკითხვის დასმას აზრი არ აქვს.

— რა შეკითხვები გაქვთ?

— თუ სახალხო დამცველი ადამიანის უფლებებს იცავს, მაშინ რატომ არასოდეს იცავს ის მართლმადიდებელი მრევლის უფლებებს.

— რას გულისხმობთ?

— მარიამობის უდიდეს დღესასწაულზე „კაზანტიპის“ ფესტივალს გვიწყობენ ქართველთა სისხლით მორწყულ მიწა-წყალზე. დიდი ხანია, ქართველთა გენოციდე მიმდინარეობს და ახლა ამ ღონისძიებით ერის საბოლოო გადაგვარებას ცდილობენ. „კაზანტიპის ღორ-ხბო“ ყირიმში იყო მოკალათებული და მას შემდეგ, რაც ყირიმი თავის ისტორიულ ნაწილს — რუსეთს დაუბრუნდა, პუტინმა ამ სიბილწის, ანტირელიგიური ფესტივალის ჩატარება აკრძალა, ჩვენმა მთავრობამ კი სიხარულით მიიღო.

— რატომ გიკვირთ? ახალმა ხელისუფლებამ ჯერ ანტიდისკრიმინაციული კანონი დაამტკიცა და ეს მეორე ეტაპია. ხალხი უარესს ელის. თანაც, თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ ამჟამინდელი ხელისუფლებაც „თავისუფლების ინსტიტუტის“ იდეოლოგიით ხელმძღვანელობს, გასაკვირი რაღაა?

— არასოდეს დამიმალავს, რომ სააკაშვილის ხელისუფლებასა და „ოცნებას“ შორის დიდ განსხვავებას ვერ ვხედავ. მათი საშინაო თუ საგარეო პოლიტიკური კურსი ერთი და იგივეა, ასევეა ეკონომიკურიც, სოციალურიც, კულტურულიც. ასე რომ, გეზი ქვეყნის განვითარებისა შეცვლილი არ არის. უბრალოდ, ქართველი ერის გენოციდის ფორმა შეცვალეს.

ადამიანებს, რომლებიც ხელისუფლებაში იყვნენ, აზრად არ მოსვლიათ, ჩაეტარებინათ იუბილე პირველი ქართული ნაბეჭდი წიგნისა და ა. შ. ასეთი აზრები თავში არც ახალ ხელისუფლებას მოსდის. ერთნაირები არიან და იმიტომ. არც ამათ სურთ, წარმოაჩინონ საქართველო, როგორც უდიდესი კულტურის ქვეყანა. სახელშეცვლილი ხელისუფლებაც, ისევე, როგორც სააკაშვილი, გულზე მჯიღს იცემს და ყველაფერს რუსეთს აბრალებს. იმაზე არავინ ფიქრობს, რომ რუსეთზე დიდი მტერი დედაქალაქში გვყავს.

— რას გულისხმობთ?

— ყოველდღიურ „კაზანტიპს“, რომელიც დავით აღმაშენებლის გამზირზეა. ვეკითხები სახალხო დამცველ უჩა ნანუაშვილს, — რატომ არ იღებს ხმას ამ უმსგავსობაზე? ის ხან გიგი უგულავას იცავს, — არიქა, დაპატიმრებისას დარღვევები არ იყოსო, და ხან — ბაჩო ახალაიას. **ნანუაშვილი თავგამოდებით იცავს გეიაღლუმს, მაგრამ არასოდეს საუბრობს იმაზე, რომ თურქები და არაბები ქართველ გოგონებს აუპატიურებენ. შუაღამისას ჩვენს ქალაქში ვირთხებივით დადიან ურჯულოები, კაფეებზე წარწერებს ცვლიან და ბორდელებად აკეთებენ.**

ჟურნალი „სოლიდარობა“, რომელიც თქვენთან მოვიტანე, სწორედ იმის დასტურია, რომ გეზი და ადამიანები არ შეცვლილა, მხოლოდ სახელი შეიცვალეს და ახლა „ოცნება“ ჰქვიათ. ჩვენი უფლებები ისევ დაუცველია — უჩა ნანუაშვილი და მისი აპარატი ხელფასს ახალგაზრდების გარყვნაზე თვალის დახუჭვაში იღებს.

ამჟამინდელი სახალხო დამცველი არის ქართველი ხალხის უფლებების შემლახველი. **უჩა ნანუაშვილს ერთხელაც არ უხსენებია ის უმსგავსობა, რომელიც დედაქალაქის ცენტრალურ უბნებში ხდება. არავინ იცის, რამდენი ახალგაზრდაა გაუპატიურებული... 14-15 წლის გოგოები, რომლებიც 30-50 ლარისთვის უცხოელებთან ირყვნებიან. ეს ხომ ყველას თვალწინ ხდება?**

მთელი თბილისი გაყიდულია, ტროტუარებიც კი არ არის დარჩენილი. მოგეხსენებათ, თევდორე მღვდლის ქუჩაზე სულ საავადმყოფოებია ჩამწკრივებული, ახლახან შეიტყვეს საავადყოფოების ხელმძღვანელებმა, რომ თურმე მათ წინ მდებარე ტროტუარები გაყიდული ყოფილა — მოვაჭრეებისთვის უფლება მიუციათ, უსაძირკვლო შენობები დადგან, ანუ ჯიხურები, სადაც ცივი სასმელები გაიყიდება. ერთ დღეს, როდესაც სასწრაფოს მანქანით ავადმყოფი მიიყვანეს და საკაცე საავადმყოს კართან გააჩრეს, ვიღაც მივიდა და უთხრა, რომ ეს მისი ტერიტორიაა და გაჩერების უფლება არ აქვთ. ამაზე უჩა ნანუაშვილი ხმას არ იღებს. ნუთუ არ იცის? ყველაფერი კარგად იცის, მაგრამ მისი მოწოდება უბრალო ადამიანების დაცვა არ არის, მას სხვა ვალდებულება აკისრია.

ტენდენცია, რომელსაც თავის დროზე სოზარ სუბარი და გიორგი ტულუში თეა თუთბერიძესთან, გიგი თევზაძესთან, დავით დარჩიაშვილსა და ლევან რამიშვილთან ერთად ამკვიდრებდნენ, უჩა ნანუაშვილის ომბუდსმენობის პერიოდშიც გრძელდება.

თეა წულუკიანი, რომელიც ჟურნალ „სოლიდარობის“ ერთ-ერთი ავტორი იყო, დღესაც იმავე იდეოლოგიას ემსახურება — ჯიქურ მიდის ხალხის წინააღმდეგ. მას შემდეგ, რაც მისი გვარი ამ ჟურნალში წავიკითხე, დავრწმუნდი, რომ ნამდვილად არის თამარ ჩერგოლეიშვილის მეგობარი და ფოტო, რომელიც ინტერნეტში გამოქვეყნდა, ნამდვილია.

ამჟამინდელ მთავრობაში არიან ადამიანები, რომლებიც მოსყიდულნი არიან ქართველი ერის გადასაგვარებლად.

დღეს საქართველოში მეხუთე კოლონა არის ხელისუფლების წარმომადგენლები.

მათ მსოფლიოს მმართველი ორგანიზაციები აფინანსებენ, ქართველი ხალხის გენოციდისთვის აფინანსებენ. დღეს ერთი სახელმწიფო მეორეს ტანკებით, თვითმფრინავებითა და ხმლებით არ იპყრობს, დღეს ქვეყნებს იპყრობენ ფულით. ეს პროცესი მსოფლიოში სტალინის გარდაცვალების შემდეგ დაიწყო. **საკმარისია, მსოფლიოს მმართველმა ოლიგარქებმა მოისყიდონ 150-კაციანი პარლამენტი, 50-კაციანი სამთავროგო გუნდი, ერთი-ორი ტელევიზია და ქვეყანა დაპყრობილია. უკვე წლებია, საქართველოში სწორედ ეს პროცესები მიმდინარეობს.**

დააკვირდით, როდესაც ლაპარაკს იწყებ ლიტერატურაზე, კულტურაზე, ფასეულობებზე, რომლებზეც ჩვენი ქვეყანა დგას, მყისვე რუსეთუმეობასა და აგენტობას გაბრალებენ. ამას ვინ აკეთებს? ზუსტად ის ნანუაშვილები, სუბარები, წულუკიანები, თუთბერიძეები და ა. შ.

ახალი ხელისუფლებისგან სასიკეთოს არაფერს ველი, უარესის მოლოდინი მაქვს. ეს ხალხმა უნდა იცოდეს. არ შეიძლება, ხბოს აღტაცებით ვუყუროთ პრემიერ ღარიბაშვილს და ველოდოთ, რომ რამეს გამოასწორებს! ამის თქმის უფლებას მაძლევს ის, რომ პოლიტიკური გეზი არ შეცვლილა. იმ 64%-ს კი, რომელიც არჩევნებზე არ მივიდა, ნუ ეგონება, რომ ასეთი პროტესტით მთავრობას შეაშინებს, პირიქით, მას ეს ხელს აძლევს, უფრო მეტი თუ გაიბუტება, მისთვის უკეთესია.

დღევანდელ ხელისუფლებას, მაპატიეთ და, ფეხებზე ჰკიდია ხალხის პროტესტი, ისევე, როგორც იმ 14-15 წლის ბავშვების ბედი, რომლებიც ფულის გამო არაბებისა და თურქების საჯიჯგნი ხდებიან; ფეხებზე ჰკიდიათ იმ ადამიანების ბედი, რომლებსაც არ სურთ, ანაკლიაში პედერასტებისა და ლესბოსელების ფესტივალს უყურონ; მათ არ აინტერესებთ ის, რატომ არის ქართველი გოგონების „კაზანტიპზე“ დასწრება უფასო. მთავრობის ერთი წარმომადგენელი მაინც დამისახელეთ, რომელსაც სამშობლო უყვარს. შეიძლება ვინმე შემომედავოს, მაგრამ მე არგუმენტი მაქვს — ანტიდისკრიმინაციული კანონი, ხუდონჰესის მშენებლობა, მიწის გაყიდვა... „კაზანტიპი“, არაბებისა და თურქების თარეში.

ეკლესიასთანაც მაქვს პრეტენზია — უკვე დროა, განგაშის ზარები დაარისხონ! ასე თუ გაგრძელდა, შესაძლებელია, ჩვენს ეკლესიებში მეჩეთები გაკეთდეს.

ერი და ბერი ერთად თუ არ დადგა, ვერ გადავრჩებით. ქვეყნის ყოფნა-არყოფნის საკითხი დგას. ასეთი მძიმე დღეები საქართველოს არასოდეს ჰქონია, ჩვენ ვებრძოდით ხილულ მტერს, მაგრამ არ ვიცით ბრძოლა განვითარებული ტექნოლოგიების წინააღმდეგ, ამიტომ არის ადვილი ჩვენი განადგურება. რასაც ურჯულოები ათეულობით წლებს ანდომებდნენ, ესენი რამდენიმე გადაცემითა და „კაზანტიპით“ ძალიან მალე მოახერხებენ.

მახსოვს, თქვენ გაზეთში იყო ასეთი წერილი „ათი მსგავსება სააკაშვილსა და ივანიშვილს შორის“, მე კიდევ ერთს დავამატებდი: **მიხეილ სააკაშვილიცა და გიორგი ივანიშვილიც ქოსატყუილები არიან, მათ ქართველ ხალხს პირში ჩალა გამოავლეს.**

ესაუბრა
ეკა ნასყიდაშვილი

საქართველო და მსოფლიო
საზოგადოება
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„ოცნების“ აქტიური მხარდამჭერი ვიყავი, სულ ვამბობდი, რომ 5 სექტემბერს შენობის გაყიდვა-გადაფორმება კი მოასწრეს, მაგრამ მოვლენ ახლა „ჩვენები“ და ყველაფერი წესრიგში ჩადგება-თქო“.

«იცით, რომ სკოლებში მათემატიკისა და ფიზიკის სპეციალისტების დეფიციტია?»

მას შემდეგ, რაც ხელისუფლებაში „ოცნება“ მოვიდა, გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“ გამუდმებით წერს გასხვისებულ სამეცნიერო ინსტიტუტებზე, მათი დიდი ნაწილი, როგორც ყველასთვის ცნობილია, ბენდუქიძემ გაასხვისა ან თავად შეისყიდა, ნაწილი გიული ალასანიამ, ნაწილი ბიზნესმენმა ლაურა ღაჭავამ და ა. შ. საუბარი იმაზე, თუ როგორ ინგრეოდა ან ვინ ანგრევდა განათლების სისტემას, შორს წაგვიყვანს და თან ახალსაც ვერაფერს ვიტყვით. ამ თემის გარშემო თუკი რამე იყო სათქმელი, უკვე ითქვა, მაგრამ ამ დრომდე არც ერთი მათგანის ბედი სასიკეთოდ არ გადაწყვეტილა. ერთ-ერთი უკანასკნელი ინსტიტუტი, რომელიც „ნაცებმა“ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ სასწრაფოდ გაყიდეს, იყო გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტი, რომლის ხელმძღვანელობა თანამშრომლებთან ერთად ამ დრომდე ამაოდ იბრძვის სამართლიანობის აღდგენისთვის.

ვახტანგ კვარაცხელია

მიუხედავად იმისა, რომ გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორი ვახტანგ კვარაცხელია მაშინ განათლების მინისტრს, ახლა კი საქართველოს პრეზიდენტს, გიორგი მარგველაშვილს შეხვდა. ეს უკანასკნელი დაჰპირდა, რომ ინსტიტუტის საქმე მოგვარდებოდა, პრობლემა დღესაც გადაუჭრელია. 26 ივლისამდე თანამშრომლები შენობაში შესვლას ახერხებდნენ, ვიდრე დაცვის სამსახურმა არ დაიკავა შენობა და იქ ვინმეს შეშვება არ აკრძალა.

2013 წლის 4 დეკემბერს მოსამართლე მაია სვიანაძემ ინსტიტუტის ადვოკატის შუამდგომლობა დააკმაყოფილა და შენობის მეპატრონეს ინსტიტუტის თანამშრომლების გამოსახლების პროცესი შეაჩერა, დღეს ეს განაჩენი იგნორირებულია. „ჩემი საბუთების გამოტანის უფლებაც არ მაქვს, — გვითხრა ინსტიტუტის დირექტორმა **ვახტანგ კვარაცხელიამ,** რომელიც რედაქციაში პირდაპირ მიტინგიდან მოვიდა, — ყველაფერს მოგიყვებით“.

2012 წლის 5 სექტემბერს გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტი სასწრაფოდ გაიყიდა. მისი გაყიდვის ინიციატორი გახლდათ მაშინლელი ეკონომიკის მინისტრის — ვერა ქობალიას მოადგილე დავით გიორგაძე. შენობით დაინტერესებული იყო და გამუდმებით ქუჩაში დატოვებით გვემუქრებოდა ვინმე გიორგი ზაქაიძე. ეს ის ზაქაიძეა, რომელმაც ვაკის პარკი გაჩეხა და იქ სასტუმროს აშენება სურდა, მისი ფირმის სახელწოდებაა „ტიფლის დეველოფმენტი“.

გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტი 1956 წელს ნიკო მუსხელიშვილის ინიციატივით დაარსდა, ეს შენობა კი 1960 წელს აშენდა. ეს იყო უნიკალური სამეცნიერო ინსტიტუტი მთელს საბჭოთა კავშირში, მისი გაუქმება არაფრით არ შეიძლება, ქართველებს მათემატიკისა და ფიზიკის განსაკუთრებული ნიჭი აქვთ. ის ქვეყანა, სადაც მეცნიერება განვითარებული არ არის, მის კულტურაზე საუბარი ზედმეტია. საზღვარგარეთ როცა მივდიოდი, ვამაყობდი, რომ საქართველოდან ვიყავი. ახლა რას დაემსგავსა ჩვენი ქვეყანა?

— ბატონო ვახტანგ, რა ფასად გაიყიდა შენობა და რა ტერიტორია უჭირავს?

— ეს არის სამსართულიანი შენობა 7 500 კვ. მეტრი ფართობის და ამდენივე ფართის ეზოთი. ეზოში არის სპორტული მოედანი და პატარ-პატარა ნაგებობები. და ეს ყველაფერი 1 მილიონ 770 ათას დოლარად გაიყიდა.

რაც შეეხება შენობის შეფასებას, ეს მთლად ასე მარტივად არ მომხდარა. **„ეკონომიკის მინისტრის მაშინდელმა მოადგილემ დავით გიორგაძემ თბილისში ვერ მოძებნა აუდიტის სამსახური, რომელიც შენობას მათთვის სასურველ ფასს დაადებდა, და გორში ჩავიდნენ. ამის უფლება ჰქონდათ, მაგრამ სასაცილოცაა და კითხვის ნიშნებიც ჩნდება. გორის აუდიტმა გორის მუნიციპალიტეტის დადგენილებით იხელმძღვანელა და შეაფასა ჩვენი ქონება — ერთი კვადრატული მეტრის ფასი გორში არსებული ფასით დადგინდა. და ასე, გორის სტანდარტებით გაყიდეს საბურთალოს ცენტრში არსებული შენობა...“**

— ბატონო ვახტანგ, ინსტიტუტის გაყიდვიდან რამდენიმე დღეში ხელისუფლება შეიცვალა, რა მოხდა ამის შედეგ?

— ძალიან ბევრი რამ მეც მიკვირს. **ჩემთვის გასაგები იყო, რას სჩადიოდა ის მთავრობა, მაშინდელი ეკონომიკის მინისტრის — ვერა ქობალიას მოდგილემ დავით გიორგაძემ ერთპიროვნულად რომ მიიღო მათემატიკის ინსტიტუტის გაყიდვის გადაწყვეტილება, ამაში ყველა დარწმუნებულია. პარლამენტარი ვანო კილურაძე საქმის კურსშია და ცდილობს, დაგვეხმაროს.** ვნახოთ, რა გამოვა ამ საქმიდან. უამრავი წერილი დავწერეთ ჯერ არჩილ კბილაშვილის სახელზე, მერე მის შემცვლელებსაც მივმართეთ, მაგრამ ამ დრომდე პასუხი არ გვაქვს. ახლა წერილი ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის — არჩილ ფრანგიშვილის სახელით შინაგან საქმეთა მინისტრს — ლექსო ჭიკაიძესაც მივწერეთ. ვნახოთ, რა გამოგვივა.

«წელიწად-ნახევრის წინათ ჩვენი საქმის გამომძიებელმა დამირეკა, მითხრა, საქმეს გავეცანი, ძალიან დაუჩაგრიხართო. სხვაგან გადამიყვანეს, ამიტომ თქვენს საქმეს აღარ ვიძიებ, ჩემთან მოდით და დაგაკვალიანებთ, რა უნდა გააკეთოთო. იმ პერიოდში თბილისიდან ვიყავი გასული, მისი ნახვა მაშინვე ვერ შევძელი... მას შემდეგ კი, აღარავის დაურეკავს.

სასამართლო პროცესებზე, რომელიც სულ რამდენჯერმე ჩატარადა, ეკონომიკის სამინისტროს, „ტიფლისი დეველოფმენტისა“ და რეესტრის წარმომადგენლები ერთად სხედან, ჩვენს ადვოკატს ოპონირებას ეკონომიკის სამინისტროს წარმომადგენელი უწევს.

— თქვენ ვის უჩივით?

— ეკონომიკის სამინისტროს, რეესტრს და ბუნებრივია, „ტიფლისი დეველოპმენტს“. შენობა ეკონომიკის სამინისტროს ბალანსზე იყო.

— განათლების სამინისტროს როგორი პოზიცია აქვს? ჩვენი გაზეთი ზოოვეტერინალური უნივერსიტეტის გასხვისების საქმეზე წერდა და მაშინ განათლების მინისტრმა თქვა, რომ ეს მისი საქმე არ არის, ზოოვეტერინარია სოფლის მეურნეობას ეკუთვნის...

— განათლების სამინისტროს შენობისა და ქონების განკარგვის უფლება არ აქვს, თავად მინისტრმა ცუდი შთაბეჭდილება არ დატოვა, ძალიან შეწუხებულია და მხარსაც გვიჭერს.

— ბატონო ვახტანგ, თქვენი მონაყოლიდან ნათლად ჩანს, რომ „ტიფლისი დეველოპმენტის“ დამფუძნებელი ამ საქმეში მარტო, არც წინა ხელისუფლების დროს იყო და არც ახლა არ არის. როგორ ფიქრობთ ამ საქმეს მოიგებთ?

— „ოცნების“ აქტიური მხარდამჭერი ვიყავი, სულ ვამბობდი, რომ 5 სექტემბერს შენობის გაყიდვა-გადაფორმება კი მოასწრეს, მაგრამ მოვლენ ახლა „ჩვენები“ და ყველაფერი წესრიგში ჩადგება. არსებობს სასამართლო და ჩვენს სიმართლეს დავამტკიცებთ-მეთქი, მაგრამ დღეს ვფიქრობ, რომ ხელისუფლებას გადამჭრელი ზომების მიღება მართებს...

როდესაც შენობა გაიყიდა, მათ ძალიან მალე „თელასში“ განაცხადი შეიტანეს, რომ შენობა მათი საკუთრებაა, ეს იმიტომ გააკეთეს, ჩვენ დენის ფულის გადახდის საშუალება არ გვქონოდა. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ხელფასი ძალიან მწირია, მაინც ვახერხებდით ჩვენი ინსტიტუტისთვის მიგვეხედა, ხელფასიდან ყველანი ერთად ვიხდიდით ელექტროენეგროს გადასახადს, მაგრამ ამის საშუალება ბოლოს უკვე აღარ გვქონდა, რადგან შენობა ჩვენს სახელზე აღარ იყო. გენერატორი დავდგით და ასეთ პირობებში ბოლომდე ვახერხებდით, რომ ჩვენი სტატიები და უნიკალური ნაშრომები მსოფლიოს ყველაზე მაღალრეიტინგულ სამეცნიერო ჟურნალებში გამოქვეყნებულიყო.

«წელიწად-ნახევრის წინათ ჩვენი საქმის გამომძიებელმა დამირეკა, მითხრა, საქმეს გავეცანი, ძალიან დაუჩაგრიხართო. სხვაგან გადამიყვანეს, ამიტომ თქვენს საქმეს აღარ ვიძიებ, ჩემთან მოდით და დაგაკვალიანებთ, რა უნდა გააკეთოთო. იმ პერიოდში თბილისიდან ვიყავი გასული, მისი ნახვა მაშინვე ვერ შევძელი... მას შემდეგ კი, აღარავის დაურეკავს»

არაფერს ისეთს არ ვითხოვთ, გვინდა, რომ სასამართლო პროცესს და სამართლებრივ გზას მივყვეთ, დაცვის პოლიციაში ვიყავი მისული, მათ ავუხსენი ჩვენი მდგომარეობა, ვთხოვე შენობაში შესვლის უფლება მოეცათ, ძალიან შეწუხდნენ, ყველაფერს გავარკვევთო, მაგრამ ცოტა ხანში დამირეკეს და მითხრეს, ვერაფერით გიშველითო. ჩვენ კანონმორჩილი ხალხი ვართ, როდესაც სამართლებრივი გზები ამომეწურება და მოსამართლე მეტყვის, რომ მტყუანი ვარ, ყველაფერს თავს დავანებებ, მანამდე იქნებ მუშაობა მაცალონ.

შენობას 50 წელი ვუვლიდი, ჩემი ხელით მაქვს მოპირკეთებული, ვიღაც ზაქაიძეს უფლება მისცეს ფული ნაწილ-ნაწილ გადაეხადა და ჩვენ იმის უფლებაც არ გვაქვს, რომ სასამართლოს დასრულებამდე შენობაში ვიყოთ? დაცვის სამსახური სახელწიფოს ექვემდებარება, ისინი თავის საქმეს აკეთებენ, მაგრამ „ცუდი ადამიანები“ მათ სამსახურს ბოროტად იყენებენ.

ამ ცოტა ხნის წინათ, უნგრეთში ვიყავი სამი თვე, იცით როგორი ბედნიერი ვიყავი იქ რომ ვმუშაობდი? თავს ადამიანად ვგრძნობდი... მეცნიერებასთან ასე მოქცევა არ შეიძლება. თქვენ **იცით, რომ სკოლებში მატემატიკისა და ფიზიკის სპეციალისტების დეფიციტია?** ასეთი ქმედებით მომავალ თაობებს ვღუპავთ, ამ შენობის ადგილას სასტუმროს აშენება რომ უნდა იმ ადამიანსაც ხომ ყავს შვილები?

ესაუბრა
ეკა ნასყიდაშვილი

ამბავი

23-ე ბატალიონი ავღანეთიდან დაბრუნდა

საქართველოს შეიარაღებული ძალების II ქვეითი ბრიგადის 23-ე ბატალიონი ავღანეთიდან სამშობლოში სრულად დაბრუნდა.

თავდაცვის სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, ბატალიონის სამხედრო მოსამსახურეებმა 4 თვის განმავლობაში ბაზა „ლეზერნეკზე“, ამერიკული კონტინგენტის შემადგენლობაში, წარმატებით შეასრულეს ISAF-ის მისია. 23-ე ბატალიონი ბოლო ქართული ქვედანაყოფია, რომელმაც ISAF-ის მისიის ფარგლებში, ჰელმანდის პროვინციაში საბრძოლო დავალებები საქართველოს დროშის ქვეშ შეასრულა.

23-ე ბატალიონის სამხედრო მოსამსახურეები ავღანეთში მისიის შესასრულებლად აპრილში გაემგზავრნენ. II ქვეითი ბრიგადის ჯარისკაცები ავღანეთში საბრძოლო ამოცანას მეორედ ასრულებდნენ. ისინი ორივე მისიის დასრულების შემდეგ საქართველოში უდანაკარგოდ დაბრუნდნენ.

 პოზიცია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„მათი უმეტესობა, ვინც დასავლეთში მიდის ე. წ. გადამზადების კურსებზე, გადაბირებული ბრუნდება საქართველოში — არც ერთი მათგანი არ მუშაობს საქართველოს ინტერესებისთვის. მათ უწყობენ ხელს, უქმნიან პირობებს და სვამენ მაღალ თანამდებობებზე, რათა გაატარონ ის დირექტივები, რომლებსაც აძლევენ“.

ზვიად ირემაძე:

ამერიკასთან შეუთანხმებლად ესენი, მგონი, დაცემინებასაც ვერ ბედავენ

ევროკავშირთან საქართველოს დაახლოების პერსპექტივაზე, სამართლიანობის აღდგენის პროცესსა და სხვა მნიშვნელოვან მოვლენებზე „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება ანტიგლობალიზაციის ცენტრ „ივერიელების“ წარმომადგენელი ზვიად ირემაძე.

— ბატონო ზვიად, ამას წინათ ამერიკულმა კვლევითმა სააგენტომ (icm research) ევროკავშირში უკრაინის, მოლდოვასა და საქართველოს შესაძლო გაწევრებაზე გერმანიაში, დიდ ბრიტანეთსა და საფრანგეთში გამოკითხვა ჩაატარა. კვლევის შედეგმა აჩვენა, რომ სამივე ქვეყნის მოსახლეობის 50 პროცენტი უარყოფითად აფასებს ევროკავშირის გაფართოების პერსპექტივას. ეს ყველაფერი არის თუ არა ჩვენთვის ხელის შემშლელი ფაქტორი ევროინტეგრაციის გზაზე და როგორ ფიქრობთ, რატომ გვარწმუნებენ ხელისუფლების წარმომადგენლები, რომ საქართველოსთვის ამ ორგანიზაციის კარი ღიაა, როცა თვითონ ევროპელებში საპირისპირო განწყობაა?

— ეს გამოკითხვა არის კიდევ ერთი სიგნალი ქართველი ხალხისთვის, რომ ილუზიებს არ აჰყვნენ და არ დაიჯერონ ბლეფი, რომელშიც თავის დროზე სააკაშვილის ხელისუფლება გვარწმუნებდა, ახლა კი „მეოცნებეები“ ცდილობენ, დაგვარწმუნონ. საქართველო ევროკავშირში ვერ შევა და ეს ყველამ კარგად იცის. რაც შეეხება შეკითხვის მეორე ნაწილს, რატომ გვარწმუნებენ პოლიტიკოსები, რომ ჩვენთვის ევროპის კარი ღიაა, ისინი პოლიტიკოსები არ არიან იმიტომ, რომ თვითონ არ აზროვნებენ, ისინი ამბობენ იმას, რასაც დასავლეთიდან კარნახობენ. ეს ხომ ყველასთვის ნათელია?! საერთოდ, **მათი უმეტესობა, ვინც დასავლეთში მიდის ე. წ. გადამზადების კურსებზე, გადაბირებული ბრუნდება საქართველოში. არც ერთი მათგანი არ მუშაობს საქართველოს ინტერესებისთვის. მათ უწყობენ ხელს, უქმნიან პირობებს და სვამენ მაღალ თანამდებობებზე, რათა გაატარონ ის დირექტივები, რომლებსაც აძლევენ.**

— შეგიძლიათ, დაგვისახელოთ კონკრეტული თანამდებობის პირი, რომელიც დასავლეთის ძალებმა მოიყვანეს ხელისუფლებაში და უშუალოდ მათი დირექტივების შემსრულებელია?

— რა დასახელება უნდა ამას, ყველა მათი დასმული არ არის?! რა, რესპუბლიკელები ამერიკელების მიერ ხელდასხმული პოლიტიკოსები არ არიან?! ან ვინ არიან ალასანია, პეტრიაშვილი, ფანჯიკიძე... ვისი მითითებებით მოქმედებენ?! ხომ ყველამ იცის და ხედავს, რომელი ძალების ინსტრუქციებითაც მოქმედებენ ჩვენი მაღალჩინოსნები?!

— თუ ყველამ იცის, როგორ ხელისუფლებასთან გვაქვს საქმე, რატომ არის საზოგადოება ასეთი ინერტული?

— ამას რამდენიმე მიზეზი აქვს. პირველი — მოსახლეობაში ნიჰილიზმი გამეფდა და ხალხს აღარაფრის სჯერა. მეორეც, მათ არ აქვთ უკეთესი არჩევანი, ანუ, ერთი მხრივ, არის „ქართული ოცნება“, რომელმაც მოქალაქეები გააბითურა და, ფაქტობრივად, არც ერთი დაპირება არ შეასრულა, ხოლო, მეორე მხრივ, არის „ნაცმოძრაობა“, რომლის სახელის გაგონებაც არ სურთ ადამიანებს. აი, ამ საფრთხობელის შიშითაა გაჩუმებული ხალხი და ხელისუფლებამ იცის, რომ როგორც კი ეს საფრთხობელა — „ნაცმოძრაობა“— გაქრება, მასაც შეექმნება პრობლემები.

— გამოდის, „ნაციონალების“ პოლიტიკური გარანტორები „მეოცნებეები“ ყოფილან.

— **გარანტორები რომ არიან, იმიტომ მისცა დასავლეთმა ხელისუფლებაში მოსვლის საშუალება, თორემ მართლა გჯერათ, რომ სააკაშვილი ივანიშვილმა გაისტუმრა?!** არა ერთხელ მითქვამს და კიდევ გავიმეორებ: ესენი არიან ერთი და იმავე ძალის პოლიტიკური პირმშოები. ახალს არაფერს ვამბობ, ამას წერს არაერთი გავლენიანი ექსპერტი, რომლებიც არ არიან იმავე დასავლეთის ნაყიდი...

— თუკი „ოცნება“ „ნაცების“ პოლიტიკური მეორე ნახევარია, მაშინ ხელისუფლების ლეგიტიმაცია ავტომატურად დგება კითხვის ნიშნის ქვეშ. არ მეთანხმებით?

— გეთანხმებით და ამიტომ ვამბობ, რომ **ეს სუბიექტები, მთელი პოლიტიკური სპექტრი, რომელთაც ტელევიზიებში იწვევენ და რომლებიც ხშირად ჩანან, არიან სისხლის სამართლის დამნაშავეები.** რაც შეეხება მათ ლეგიტიმაციას, ამაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია. მათ ლეგიტიმაცია რომ არ აქვთ, იმიტომაც ითხოვს ხალხი რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნებს, მაგრამ **ამ ვაიპოლიტიკოსებმა ძალიან კარგად იციან, რა შედეგითაც დასრულდება რიგგარეშე არჩევნები და ცოცხალი თავით არ სურთ მისი ჩატარება.**

— დავუბრუნდეთ ევროინტეგრაციის პერსპექტივას. თქვით, რომ ხელისუფლების წარმომადგენლები ხალხს ატყუებენ და უსაფუძვლოდ ჰპირდებიან ევროკავშირში გაწევრებას. გასაგებია, რომ მათი მხრიდან ასეთი განცხადებები შიგა მოხმარებისთვისაა განკუთვნილი, მაგრამ ევროპელ მაღალჩინოსნებს რა მიზანი აქვთ, როცა ამბობენ, ჩვენი კარი ყველასთვის ღიაა?

— მათ ხელს აძლევთ, რომ საქართველო იყოს მუდმივი ლოდინის რეჟიმში. ჯერ ერთი, ასე უფრო იოლი სამართავი ხარ და მეორეც — პასუხისმგებლობა ნაკლები აქვთ. გარდა ამისა, ჩვენისთანა ვასალ სახელმწიფოებს ასეთი ორგანიზაციები იყენებენ პოლიტიკურ ბერკეტებად. უკრაინის მაგალითი ავიღოთ — ამხელა სახელმწიფო გადააყოლეს აბსურდულ დაპირებებსა და ილუზიას, რომ, თუ უკრაინა ევროკავშირს დაუახლოვდება, თურმე ნათელი მომავალი ელის. ვინ დაიჯერებს ამას?! ნახეთ, ბალტიისპირეთში რა ხდება — ხალხი რეგიონიდან გარბის...

— ჩვენ არ ვართ ევროკავშირის წევრი, მაგრამ ხალხი მაინც მიდის საზღვარგარეთ.

— ერთი რამის თქმა შემიძლია დანამდვილებით: **ჩვენ ევროინტეგრაცია არ „გვემუქრება“, ამიტომ „მედასავლეთეები“ და ევროინტეგრაციის მოწინააღმდეგენი მეტისმეტად ნუ ინერვიულებენ.** აქ გაცილებით სერიოზული პრობლემებია და ისე არ მოგვივიდეს, რომ ხელისუფლებამ რაღაცრაღაცები გვიფრიალოს ცხვირწინ, როგორც კორიდის ხარს და თანაც ძირი გამოუთხაროს სახელმწიფოს.

— რაც შეეხება სამართლიანობის აღდგენის პროცესს, რა აზრის ხართ პროკურატურაში სააკაშვილის გამოძახებაზე? ბევრი თვლის, რომ ამით ხელისუფლება სხვა პროცესების გადაფარვას ცდილობს.

— მგონია, რომ ეს დაბარებები და დაკითხვები სპექტაკლია იმიტომ, რომ, როგორც გითხარით, **„ნაცმოძრაობაც“ და „ქართულ ოცნებაც“ წოდებული ეს გაერთიანებაც დასავლეთიდან მართული ძალები არიან.** ეს არის ხალხის გასაბითურებლად მოგონილი ზღაპარი. ასე რომ არ იყოს, მითხარით, რა მნიშვნელობა აქვს, ადამიანი რომელ პარტიაში ან კოალიციაშია?! თუ დაამავა, მის წინააღმდეგ ადეკვატური ზომები ხომ უნდა მიიღონ?! აბა, მე და თქვენ დავარღვიოთ კანონი, როგორ ფიქრობთ, რამდენი ხანში დაგვიჭერენ? — ძალიან მალე. ჰოდა, **რამდენია დასაჭერი ამ ქვეყანაში, რამდენს აქვს უმძიმესი დანაშაული ჩადენილი, მაგრამ ვინმე ნახეთ პასუხისგებაში მიცემული?!** უგულავა რომ დაიჭირეს, რა ბრალდებებს უყენებენ, ვერ გავიგე. კაცმა ადამიანებს ბიზნესი დაუნგრია და ოჯახები გააუბედურა, ამაზე მოთხოვე პასუხი; მერე კიდევ — **მხოლოდ უგულავა, მერაბიშვილი და ახალაია არიან დამნაშავეები?! მთავარ ოპოზიციურ ძალად რომ წარმოაჩინეს ეს კრიმინალები და პარლამენტის ტრიბუნიდან ჭკუას რომ გვარიგებენ ახლა, ყველანი დამნაშავეები არ არიან?!**

— მაგრამ მთლიანად პარტიას ხომ არ დაიჭერენ?

— პარტია არ იყო ფაშისტური გერმანიის ხელმძღვანელობა, ვინც გადარჩა, ყველა რომ გაასამართლეს?! სწორად გამიგეთ, რის თქმა მინდა, აქ საუბარია იმაზე, რომ კანონი იყოს უზენაესი და ყველასთვის ერთი. ასე რომ არ არის ჩვენს ქვეყანაში, იმიტომაც ვართ ასეთ მდგომარეობაში. საქართველო, როგორც სახელმწიფო, უკვე აღარ არსებობს.

— ამას წინათ ღარიბაშვილმა განაცხადა: არც ერთი გახმაურებული საქმე გამოუძიებელი არ დარჩებაო.

— გითხარით და კიდევ გავიმეორებ, რომ არც ღარიბაშვილი, არც მისი წინამორბედი ივანიშვილი და არც რომელიმე სხვა მაღალჩინოსანი დღეს ასეთ საკითხებს არ წყვეტს, ეს სულ სხვაგან და სხვა დონეზე წყდება.

ამერიკასთან შეუთანხმებლად ესენი, მგონი, დაცემინებასაც ვერ ბედავენ.

— გამოსავალს ხედავთ? რა უნდა გააკეთოს ხალხმა იმისთვის, რომ ვითარება შეიცვალოს?

— ცოტა არ იყოს, რთული შეკითხვაა, მაგრამ ერთი რამ ცხადია: ვიდრე საზოგადოება არ შეიგნებს, რომ ერთიანობის, კონსოლიდაციის გარეშე ქვეყანას მომავალი არ აქვს, სასწაულს ნურავინ ელოდება. ხელისუფლებაში ვინც უნდა მოვიდეს, ყოველთვის შეეცდება, საკუთარი შეხედულებებისამებრ მართოს სახელმწიფო, ამიტომ თითოეულმა მოქალაქემ უნდა იცოდეს, რომ მისი დანიშნულებაა ხელისუფლების კონტროლი. ერთი და ორი კაცი ამას, ცხადია, ვერ გაწვდება და ვერც — ათი ათასი, მაგრამ, თუ ყველა ერთად დადგება, ვერც ერთი ძალა, „ნაცი“ იქნება თუ „ოცნება“, ზედმეტს ვერ გაბედავს. თუ არადა, **ყველა ვხედავთ, რაც გვჭირს — ხელისუფლება თავისთვისაა, ხალხი — თავისთვის, ქვეყანა კი თავზე გვემხობა.**

ესაუბრა ჯაბა ჟვანია

«მხოლოდ უგულავა, მერაბიშვილი და ახალაია არიან დამნაშავეები?! მთავარ ოპოზიციურ ძალად რომ წარმოაჩინეს ეს კრიმინალები და პარლამენტის ტრიბუნიდან ჭკუას რომ გვარიგებენ ახლა, ყველანი დამნაშავეები არ არიან?!»

«თუ ყველა ერთად დადგება, ვერც ერთი ძალა, «ნაცი» იქნება თუ «ოცნება», ზედმეტს ვერ გაბედავს. თუ არადა, ყველა ვხედავთ, რაც გვჭირს — ხელისუფლება თავისთვისაა, ხალხი — თავისთვის, ქვეყანა კი თავზე გვემხობა»

ამჟამად

ერაყს ახალი პრეზიდენტი ჰყავს

ერაყის პარლამენტმა პრეზიდენტად ქურთების ბლოკის წარმომადგენელი ფუად მასუმი აირჩია. 76 წლის პოლიტიკოსმა საკანონმდებლო ორგანოში გამართულ კენჭისყრაზე ყველაზე მეტი ხმა მიიღო.

ადგილობრივი პოლიტოლოგები ფუად მასუმს ახასიათებენ, როგორც ზომიერ პოლიტიკოსს, რომელსაც კარგი ურთიერთობა აქვს სუნიტებთანაც და შიიტებთანაც. პრეზიდენტის პოსტზე ის შეცვლის ჯალალ თალაბანის, რომელიც 2012 წლის დეკემბრიდან გერმანიის ერთ-ერთ კლინიკაში მკურნალობს.

ერაყის კონსტიტუციის თანახმად, სახელმწიფოს მეთაურს 4 წლით ირჩევს წარმომადგენლობითი საბჭო (პარლამენტი). ერაყის პრეზიდენტის როლი წარმომადგენლობითი ხასიათისაა. გადაწყვეტილებებს კი, ძირითადად, პრემიერმინისტრი იღებს.

გეოპოლიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

აღმოსავლეთში, სადაც შემორჩენილია თემური და გვარტომული ცხოვრების წესი, ცალკეული ადამიანის ინტერესები არაფერია. თემის ინტერესები კი — ყველაფერი. არა პირადი თავისუფლება, არამედ თემის შესაძლებლობებისა და რესურსების გამოყენება, უპირველეს ყოვლისა, თემის, საბოლოო ჯამში კი თემის წევრის, საკეთილდღეოდ.

«ფერადი რევოლუციების» სისხლიანი კალო

„ფერადი რევოლუციები“ რომ სახელმწიფო გადატრიალებებია და ეპითეტი „ფერადი“ გასაკეთილშობილებლად აქვს მიწერილი, დემოკრატიულობისა და მშვიდობიანი ხასიათის ფერუმალით გასალამაზებლად, დრომ დაამტკიცა. ბეჭედდასმული ფაქტია.
მამლის ჭრელი ბოლოსავითაა გამოჩრილი. ვერ დაიმალება ისევე, როგორც ერთი ხელწერა „რევოლუციების“ ავტორების, ერთიანი სტილი პოლიტტექნოლოგიების სცენარების ხელგაწაფული „შემოქმედების“.
„ფერადი რევოლუციები“ და „არაბეთის გაზაფხული“, იქვე „ფინიკის რევოლუციები“, ანუ ინდისხურმისა, მრავალი განსხვავებული წახნაგის მიუხედავად, იმ ცოდვის ხის ნაყოფია, რომლის ფესვები ამერიკული ნეოლიბერალიზმის ნიადაგში უნდა ვეძებოთ.
„არაბული გაზაფხული“, ისტორიკოსების დაკვირვებით, „ხალხთა გაზაფხულად“ წოდებულ 1848-1849 წლების ევროპულ პერიოდს ეხმაურება: „ყველაფერი ახალი კარგად დავიწყებული ძველია“. მაგრამ მეოცე საუკუნის დასასრულისა და ოცდამეერთის დასაწყისის „რევოლუციებსა“ თუ გადატრიალებებს, რა თქმა უნდა, მოდერნისტული თავისებურებები ახასიათებს.

დამოუკიდებელი ჟურნალისტებისა და პოლიტოლოგების აზრით, «რევოლუციურ» ახალგაზრდობას ყველგან და ყოველთვის აფინანსებდნენ და აფინანსებენ აშშ-ის მთავრობა, ამერიკის სპეცსამსახურები და არასამთავრობო ორგანიზაციები

„მაშრიყიდან მაღრიბამდე“

„არაბული გაზაფხული“ უწოდეს დემონსტრაციებისა და პუტჩების იმ ტალღას, რომელიც 2010 წლის 18 დეკემბერს ტუნისიდან აგორდა და არაბულ სამყაროს გადაუარა.

ფორმალურ მიზეზად ითვლება 2010-ის დასაწყისში ტუნისელი ბოსტნეულით მოვაჭრე მუჰამედ ბუაზიზის თვითმკვლელობა, რომელმაც ადგილობრივ ხელისუფალთა ბოროტმოქმედების წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად თავი დაიწვა მიყრუებული ქალაქის სიდი ბუზიზის ადმინისტრაციის შენობის წინ.

ყველა დიდი მოვლენის ბიძგივით ესეც შემთხვევითი ფაქტი ჩანს.

მაგრამ ბანალურ თვითმკვლელობას ისეთი მასშტაბური ცვლილებები მოჰყვა, რომელთა შედეგებსაც ანალიტიკოსები ოტომანთა იმპერიის რღვევას ადარებენ. ტუნისის შემდეგ გადატრიალებები მოხდა ეგვიპტესა და იემენში, სამოქალაქო ომები — ლიბიაში (სადაც დაემხო რეჟიმი), სირიაში (სადაც დღემდე გრძელდება), სამოქალაქო აჯანყება ბაჰრეინში, მასობრივი პროტესტები ალჟირში, ერაყში, იორდანიაში, მაროკოში, ომანში და ნაკლებმნიშვნელოვანი არეულობანი — სხვა სახელმწიფოებში.

ყველა მათგანი (მავან ქვეყნებში არსებული რეჟიმის განსხვავებულობის მიუხედავად) რიგი მსგავსი თავისებურებებით ხასიათდება. ქვემოთ მხოლოდ ძირითად მახასიათებლებზე შევჩერდებით.

უპირველესად, მოვლენები ერთი და იმავე, „ფერადი რევოლუციების“ მსგავსი, სცენარით ვითარდებოდა.

მეორე, ჩრდილოეთ აფრიკის სახელმწიფოებში რევოლუციებმა პრაქტიკულად ერთსა და იმავე დროს იფეთქა. რაც, როგორც ცნობილია, გამორიცხავს შემთხვევითობის ელემენტს და მაღალი დონის კოორდინაციის მაჩვენებელია. ან ერთი „რევოლუციური ცენტრიდანაა“ მართული, ან გარე ძალების მიერ დაგეგმილი სპეციალური ოპერაციის შედეგია.

მესამე, ამბოხის მოწყობა პრაქტიკულად შეუძლებელია წინასწარი და ყოველმხრივი მომზადების გარეშე — მოთარეშეთა გადაბირება და საბრძოლო ჯგუფებად მათი გაერთიანება, კოორდინაციის ზუსტი სისტემის დადგენა, მატერიალური უზრუნველყოფა და, რაც მთავარია, **მომავალი კონფლიქტის ზონაში მნიშვნელოვანი საფინანსო საშუალების აკუმულირება „რევოლუციური ბრძოლის“ საჭიროებისთვის.**

ფული რომ გადატრიალების მამოძრავებელი ძალაა, აღიარებული დებულებაა.

მეოთხე. რევოლუციების თანმიმდევრობა, ექსპერტების მტკიცებით, ამორჩევითია და ადასტურებს, რომ მათ ერთი ხელი წარმართავს. ამ მოვლენას თანამედროვე პოლიტტექნოლოგიების ენაზე „მართული ჯაჭვური რეაქცია“ ეწოდება: **ნებისმიერ ერთ ქვეყანაში მომხდარი რევოლუციური აფეთქება, მეორე ქვეყანაში არეულობის მაპროვოცირებელი ხდება. ამ დროს საზოგადოებრიობის სამოქალაქო პოზიციის გააქტიურება კი არ ხდება, არამედ, როგორც წესი, ამოქმედდება პოლიტტექნოლოგების მიერ შემუშავებული გეგმა, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში მზადდებოდა.** ყველა კონკრეტული ქვეყნისთვის ეს წინასწარდასახულობანი განსხვავებულია.

ნიშანდობლივია ამ „ჯაჭვური რეაქციის“ გავრცელების სისწრაფე, რაც შესაძლებელი ხდება განვითარებული მოვლენების მხოლოდ გარედან მაღალი დონის კოორდინაციის პირობებში, როცა ყველა ეპიზოდი ერთიანი გეგმის ჩარჩოში არის მოქცეული, აქვს კონკრეტული მიზნები, ამოცანები და ზუსტადაა განსაზღვრული მათი განხორციელების თანმიმდევრობა.

მეხუთე, „ფერადი რევოლუციების“ ტექნოლოგიების მნიშვნელოვანი ელემენტია უკუკავშირის მექანიზმის არსებობა.

დასასრულ, **მეექვსე** თავისებურება: **ნებისმიერი რევოლუციის აუცილებელი ელემენტის — რევოლუციური იდეოლოგიის არქონა.** ხომ ცნობილია, რომ ჭეშმარიტი რევოლუციური ბრძოლის საფუძველი მაღალი იდეალებია — თავისუფლება, თანასწორობა, ძმობა, სამართლიანობა, ან ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის იდეალები.

„არაბეთის გაზაფხულში“ მსგავსს ვერაფერს აღმოაჩენთ. საპროტესტო მოძრაობა, კი, ბატონო, არის, „პოლიტიკურ ბრბოში“ განსახიერდება. მისი ძირითადი მიზანია არსებული კანონიერი ხელისუფლებისა და მისი ლიდერების დამხობა და „ამერიკული დემოკრატიის დამყარება“.

„რევოლუციური“ ბრბო არავითარ ალტერნატიულ პროგრამას არ ცნობს, არც აქვს. მისი აღშფოთება პერსონიფიცირებულია — რომელიმე კერძო მმართველის წინააღმდეგაა მიმართული. შეიძლება იგი, ეს მმართველი, დიქტატორი იყოს, შეიძლება, — სუსტი პიროვნება, შეიძლება — არც — ერთი, არც — მეორე. მაგრამ ხელს არ აძლევდეს სცენარის ავტორებს თავისი დაუმორჩილებლობის გამო და ამიტომ უარყოფით პერსონაჟად იყოს წარმოდგენილი დაქირავებული პოლიტტექნოლოგების მიერ. ხოლო მათი მხარდამჭერების პოვნა არასოდეს არ არის ძნელი, რადგან, ხელისუფლების სათავეში მოსვლის მსურველები ყველა ქვეყანაში იმდენია, რამდენიც თაფლის წვეთს დასეული ბუზები.

ჩვენს მკითხველებს მაგალითად 2003 წლის „ვარდების რევოლუციად“ წოდებული სახელმწიფო გადატრიალებაც გამოადგებათ.

„არაბული გაზაფხულის“ და „ფერადი რევოლუციების“ ორგანული მსგავსება ამაშიც გამოიხატება, ისევე, სხვათა შორის, როგორც ზემოთ ჩამოთვლილ თავისებურებებში.

ეს აშკარაა.

„ფერადი რევოლუციების“ მკვლევართა აზრით, ჩრდილოეთ აფრიკასა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ამბოხებულთა მასებში რევოლუციური იდეოლოგიის არქონაში ანგლოსაქსებისთვის და მათ მიერ განხორციელებული სპეციალური ფსიქოლოგიური ოპერაციებისთვის დამახასიათებელი ხელწერა შეინიშნება. ხელწერა, რომელიც დასავლეთის ღირებულებებზე ორიენტირებულ ქვეყნებში კარგად „მუშაობს“, მაგრამ უეფექტოა იმ ქვეყნებში, რომელთა მოსახლეობის უმრავლესობა მაჰმადიანია. ცნობილია, რომ ბრიტანელებისა და ამერიკელების მიერ ირანში ახლახან წამოწყებულმა „მწვანე რევოლუციამ“ ფიასკო განიცადა. ამის უმთავრესი მიზეზი ის არის, რომ „ფერადი რევოლუციებისთვის“ დამახასიათებელი შაბლონური ინდივიდუალიზმის ფსიქოლოგია უცხო და მიუღებელია ტრადიციული აღმოსავლური საზოგადოებისთვის: **აღმოსავლეთში, სადაც შემორჩენილია თემური და გვარტომული ცხოვრების წესი, ცალკეული ადამიანის ინტერესები არაფერია. თემის ინტერესები კი — ყველაფერი. არა პირადი თავისუფლება, არამედ თემის შესაძლებლობებისა და რესურსების გამოყენება, უპირველეს ყოვლისა, თემის, საბოლოო ჯამში კი თემის წევრის, საკეთილდღეოდ.**

ამ თვალსაზრისით ტრადიციულ აღმოსავლურ საზოგადოებაში მცხოვრები ადამიანისთვის „ფერადი რევოლუციის“ პიროვნული თავისუფლებისკენ მიმართული აქცენტი რეალური საფრთხის შემცველია.

მიუღებელია, აგრეთვე, დასავლური ლოზუნგი იმის თაობაზე, რომ სამართლიანობა უნდა გამოიხატოს საზოგადოების თითოეული წევრის უფლებაში — მართოს ქვეყანა. ხოლო ძმობა ისლამის მიერაა განსაზღვრულ-გააზრებული და დასავლურ მოდერნიზაციას უთუოდ არ საჭიროებს.

მოკლედ, დასავლეთის პოლიტტექნოლოგებისთვის მაღრიბის ქვეყნები ახალი „რევოლუციების“ გამოცდის პოლიგონად არ გამოდგა, ხელოვნური იდეოლოგიის თავსმოხვევის მცდელობამ აშკარად დაგვანახა გარედან მოსული „დირიჟორის“ და გარე დამკვეთის მცდელობის ამაოება.

გეოპოლიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„ფერად რევოლუციას“ არაფერი აქვს საერთო ხალხის მასების სპონტანურ, უანგარო ამბოხთან, დემოკრატიასთან და ადამიანის უფლებების დაცვასთან. იგი კარგა ხნის წინათ მომზადებული, დეტალურად გათვლილი და დაფინანსებული ორგანიზატორული მუშაობის შედეგია.

ფრანგებმა ერთხელ კიდევ დაამტკიცეს, რომ «ფერადი რევოლუციების» ტრანსნაციონალური ცენტრი ამერიკის ადმინისტრაციის მიერ იმართებოდა

მაღრიბის ქვეყნებში ვერ დამკვიდრდებოდა ამერიკელების მიერ შეთავაზებული ღირებულებები, რათა მათი (არაბული სახელმწიფოების) სოციალური წყობილება თემური, კლანური, გვარტომული წყობილებაა, რომელშიც ეთნიკური ფაქტორი დომინირებს. სამოქალაქო პოლიტიკური რეჟიმები არსებობს ავტორიტარი უცვლელი ლიდერით სათავეში, დამყარებულია მკაცრი იერარქია, არცთუ იშვიათად — საგანგებო მდგომარეობა, სადაც წესრიგისა და ერთიანი იდეოლოგიის დაცვის გარანტი არის არმია და სპეცსამსახურები, ამ ფონზე და ამ რეალურ ვითარებაში დემოკრატია, რომელიც „რევოლუციას“ უნდა მოეტანა, ფეხს ვერ მოიკიდებდა.

დემოკრატიის გავრცელების ლოზუნგი ანგლოსაქსური დამპყრობლური პოლიტიკის შირმაა და საფარი, „კეთილშობილურ“ განზრახულებათა გაცვეთილი ფასადია.

ასეთი პოლიტიკის შედეგად იშლება და ინგრევა სახელმწიფოები, რომლებსაც დემოკრატიის არავითარი ნიშანი არ დაეტყო, სამაგიეროდ ისეთი ქაოსი და არეულობა დამკვიდრდა, როგორც, მაგალითად, ლიბიაში, საიდანაც ვითარების უკიდურესად დაძაბვის გამო 27 ივლისს აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი იძულებული გახდა თავისი საელჩო ტუნისში გაეხიზნა.

შეცდომა იქნებოდა, გვეფიქრა, თითქოს ამერიკელი პოლიტტექნოლოგები არ ითვალისწინებდნენ ამ ლოზუნგის არარეალობას.

მაშ, რატომ გაისარჯნენ?

არსებობს რამდენიმე უმნიშვნელოვანესი მიზეზი, რომელთა გამოც აფრიკა მსოფლიო ეკონომიკისთვის სტრატეგიული მნიშვნელობის კონტინენტად წარმოგვიდგება, მათ შორის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ჩინეთის გეოპოლიტიკური ინტერესებისთვისაც. **მიზეზთა შორის მთავარი ნავთობია. აფრიკის ქვეყნებში ამ წიაღისეულის საერთო მარაგი 16,6 მილიარდი ტონაა, რაც მსოფლიო მარაგის 10 პროცენტია. ამ მონაცემით აფრიკა მხოლოდ ახლო აღმოსავლეთსა და ევრაზიას ჩამორჩება. ახალი საბადოები აქ ყოველწლიურად იხსნება. ამერიკა ცდილობს, რაც შეიძლება ნაკლებად იყოს ენერგოდამოკიდებული ახლო აღმოსავლეთზე, ამიტომ გახდა შავი კონტინენტი აშშ პოლიტიკური განსაკუთრებული ინტერესის საგანი. ხოლო ჩინეთის ნავთობის იმპორტის ერთი მესამედი აფრიკულ ქვეყნებზე მოდის.**

ამრიგად, აფრიკა და ახლო აღმოსავლეთი დღეს ორი გიგანტის — აშშ-ისა და ჩინეთის დემოკრატიული რესპუბლიკის ინტერესების გადაკვეთის წერტილად იქცა. სწორედ აქ, ამ წერტილში დაუპირისპირდნენ ისინი ერთმანეთს და არც ერთი უკანდახევას არ აპირებს.

„ფერადი რევოლუციების“ საიდუმლოებანი

კაცმა რომ თქვას, ახალი არაფერია — „ფერად რევოლუციებად“ იწოდება კორპორაციული რევოლუციები. ამ ტერმინით აღნიშნავენ ქუჩის მასობრივ არეულობებს, მოსახლეობის საპროტესტო გამოსვლებს, რომელთა სცენარები დაწერილია დასავლეთის გავლენიანი პიარკომპანიების პროფესიონალების მიერ და უმეტეს შემთხვევაში იწვევს რეჟიმების შეცვლას იმ ქვეყნებში, რომლებიც ამ არეალში მოხვდება (პოსტსაბჭოთა სივრცე, ჩრდილოეთ აფრიკა, ახლო აღმოსავლეთი, სამხრეთ ამერიკა), სამხედრო ჩარევის გარეშე, მაგრამ ძალადობით.

„ფერადი რევოლუციების“ შედეგად ამ ქვეყნებში მყარდება პროამერიკული რეჟიმები (ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში — ანტირუსული რიტორიკის საფუძველზე). აშშ აშკარად მხარს უჭერს ამ რეჟიმებს, რომელთა სათავეში აწინაურებენ ინგლისურის მცოდნე, ამერიკაში ნასწავლ ახალგაზრდებს, რომლებიც, როგორც წესი, გადაბირებული ჰყავს ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოს. საქართველოში ასეთები გაერთიანებულები იყვნენ ახალგაზრდულ ორგანიზაციაში, როგორიცაა „კმარა“, უკრაინაში — „პორა“, ყირგიზეთში — „კელ-კელ“, რომლებსაც კურირებდნენ დასავლეთის სპეცსამსახურები.

სცენარები კალკირებულია: ამა თუ იმ ქვეყანაში არჩევნების ჩატარებისთანავე საერთაშორისო ორგანიზაციები, ისეთები, როგორიცაა „ევროპის საპარლამენტო ასამბლეა“ და ეუთო, საჯაროდ აცხადებენ, რომ ისინი გაყალბებულია, და იფეთქებს მასობრივი არეულობა. ზოგიერთ შემთხვევაში ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს სნაიპერები იწყებენ დემონსტრანტების გამოხშირვას (როგორც, მაგალითად, კიევის მაიდანზე), ხოლო მასმედია სისხლის სამართლის ამ დანაშაულებრივ ქმედებაზე პასუხისმგებლობას მთავრობას და ადგილობრივ პოლიციურ ძალებს (მაგალითად, იმავე უკრაინაში „ბერკუტს“) აკისრებს.

იქმნება სიტუაცია, რომელიც თავის დროზე ოტო ფონ ბისმარკს ასე აქვს დახასიათებული: „არასოდეს იმდენს არ ცრუობენ, როგორც ომის დროს, ნადირობის შემდეგ და არჩევნებამდე“.

„ფერად რევოლუციას“ არაფერი აქვს საერთო ხალხის მასების სპონტანურ, უანგარო ამბოხთან, დემოკრატიასთან და ადამიანის უფლებების დაცვასთან. იგი კარგა ხნის წინათ მომზადებული, დეტალურად გათვლილი და დაფინანსებული ორგანიზატორული მუშაობის შედეგია, რომელსაც წინ უძღვის ტიპიური ფსიქოლოგიური ომი და ტვინის გამორეცხვა დეზინფორმაციის მასშტაბური პროპაგანდისტული ციკლების მეშვეობით.

დამოუკიდებელი ჟურნალისტებისა და პოლიტოლოგების აზრით, „რევოლუციურ“ ახალგაზრდობას ყველგან და ყოველთვის აფინანსებდა და აფინანსებს აშშ-ის მთავრობა, ამერიკის სპეცსამსახურები და არასამთავრობო ორგანიზაციები, ისეთები, როგორიცაა „Freedom House“, „დემოკრატიის ეროვნული ფონდი“ და კერძო ინსტიტუტებია (მაგალითად, ჯორჯ სოროზის „ღია საზოგადოება“).

ვიქტორია ნულანდმა განაცხადა (ცნობილი ფაქტია), რომ უკრაინის მაიდანი ამერიკას 5 მილიარდი დოლარი დაუჯდა. ჯერ კიდევ 90-იან წლებში უკრაინა მსოფლიოში მესამე ქვეყანა იყო, რომელსაც აშშ-მა, ისრაელისა და ეგვიპტის შემდეგ, ყველაზე დიდი რაოდენობით გაუწია ფინანსური დახმარება. საქართველო ასევე მსოფლიოში მესამე ქვეყანა იყო ერთ სულ მოსახლეზე გაღებული ამერიკული დახმარებით.

მაგრამ 2000-იანი წლების დასაწყისში, ვაშინგტონის აზრით, ორივე ქვეყანა პროამერიკულ კურსს ასცდა, ამიტომ „იუსაიდმა“ მკვეთრად შეამცირა ამ ქვეყნების დახმარების ოდენობა და გაზარდა არჩევნების მომზადებისთვის და ოპოზიციური პოლიტიკური პარტიებისთვის გაწეული ფინანსური დახმარების დონე. ცხადია, არსებული ხელისუფლების ჩამოცილების მიზნით.

თუ 2001 წელს ამ მიზნების განსახორციელებლად უკრაინელი ოპოზიციონერები 2,29 მილიონ დოლარს იღებდნენ, ქართველები კი 0,62 მილიონს, 2003 წლისთვის შესაბამისად — 5,04 მილიონს და 2,72 მილიონ დოლარს.

ამასთან დაკავშირებით პოლიტოლოგიის პროფესორი **მაიკლ მაკფოლი** (აშშ ელჩი რუსეთში) 2004 წლის 21 დეკემბერს „ვაშინგტონ პოსტში“ გამოქვეყნებულ სტატიაში წერდა: **„ერეოდნენ თუ არა ამერიკელები უკრაინის საშინაო საქმეებში? დიახ. ამერიკული გავლენის აგენტები ამჯობინებენ სხვა სახელი უწოდონ ამას (ჩარევას) — დემოკრატიული თანადგომა, დემოკრატიის დახმარება, სამოქალაქო საზოგადოების დახმარება და ა.შ., მაგრამ მათი მიზანი, რა სახელითაც გინდა მოიხსენიონ, უკრაინაში პოლიტიკური ცვლილებების განხორციელება იყო.“**

„იუსაიდმა“ 2006 წლის ანგარიშში პირდაპირ ჩაწერა: „შეერთებულმა შტატებმა ძირითადი წვლილი შეიტანა საქართველოსა და უკრაინაში მშვიდობიანი დემოკრატიული გარდაქმნების საქმეში“.

რამდენად „მშვიდობიანი“ და „დემოკრატიული“ გარდაქმნები მოჰყვა „ვარდების რევოლუციასა“ და „ნარინჯისფერ რევოლუციას“ საქართველოსა და უკრაინაში, ბევრიც დაწერილა, ჩვენ ხომ საკუთარ თავზე გადავიტანეთ, ამიტომ ამაზე სიტყვას არ გავაგრძელებ.

ვის აძლევს ხელს „ფერადი რევოლუციები“?

ამ კითხვაზე პასუხის გაცემას შეეცადნენ ფრანგი ექსპერტები სადაზვერვო პრობლემების კვლევის ავტორიტეტულ ცენტრ CF2R-იდან.

მათ მიიჩნიეს, რომ აღმოსავლეთ ევროპასა და არაბულ სამყაროში რევოლუციურ გარდაქმნათა ადგილობრივმა აქტივისტებმა „არაძალადობრივი რევოლუციების“ სტრატეგიაში სერიოზული მომზადება გაიარეს სერბეთში გამართულ სემინარებზე. სწავლება ორგანიზებული იყო CANVAS-ის მიერ, რომელიც აღმოცენდა 2001 წელს სერბეთის ოპოზიციური პოლიტიკური ფორმირებიდან სახელწოდებით „ოტპორი“. ეს უკანასკნელი კი ჩამოყალიბებული იყო „არაძალადობრივი აქციების“ მომზადების ცენტრის მიერ.

დღეს ეს აქტივისტები, საქართველოს სინამდვილით თუ ვიმსჯელებთ, სახელმწიფო სტრუქტურებში არიან დასაქმებულნი, ხოლო ისეთი ოდიოზური, უსწავლელი და გაუნათლებელი ფიგურა, როგორიც თეა თუთბერიძეა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორია. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში მწარედ ხუმრობენ — არ გაგვიკვირდება, აკადემიკოსობა რომ მოინდომოსო.

კმარელების ერთ-ერთი უსახო, მაგრამ დიდი ამბიციების მქონე ლიდერი გიორგი უგულავა, თბილისის ყოფილი მერი, წინასწარ პატიმრობაში იმყოფება ათეულ მილიონობით საბიუჯეტო სახსრების მითვისების ბრალდებით.

და ასე შემდეგ.

ექსპერტების კვლევის საგანი გახდა CANVAS-ის „კონსულტანტების“ როლის გარკვევა საქართველოში „ვარდების რევოლუციის“, უკრაინაში „ნარინჯისფერი რევოლუციის“ მომზადების საქმეში. ფრანგებმა დაადგინეს მათი კავშირი ბელარუსულ ორგანიზაცია „ზუბრთან“, რომელიც 2001 წელს შეიქმნა ლუკაშენკოს რეჟიმის დასამხობად. დადგენილია CANVAS-ის ურთიერთობაც ვენესუელის ოპოზიციასთან. 2011 წლის ზამთარში ეგვიპტელი სტუდენტები „მოძრაობა 6 აპრილიდან“ კაიროს ქუჩებში დემონსტრაციების დროს აფრიალებდნენ დროშებს CANVAS-ის ემბლემით, რომლებიც მათ „ოტპორიდან“ მემკვიდრეობით ერგოთ.

ფრანგებმა ერთხელ კიდევ დაამტკიცეს, რომ „ფერადი რევოლუციების“ ტრანსნაციონალური ცენტრი ამერიკის ადმინისტრაციის მიერ იმართებოდა.

მათი ეს დასკვნა ეფუძნება მეცნიერულ კვლევებსა და საფუძვლიან ანალიზს, რომელიც არაერთი მიმართულებით ჩატარდა. მათ შორის უმთავრესად შეიძლება ჩაითვალოს მსოფლიოს მოდებული ამ ორგანიზაციების დაფინანსების წყაროების დადგენა. **CF2R-ის სპეციალისტებმა უტყუარად დაადგინეს, რომ CANVAS-ის დამფინანსებელია ორი ამერიკული ორგანიზაცია — Internacional Republican Institute და Freedom House.**

მათგან პირველი პოლიტიკური ორგანიზაციაა, რომელიც აშშ რესპუბლიკურ პარტიასთან არის დაკავშირებული და აღმოცენებულია პრეზიდენტ რეიგანის იდეის — საზღვარგარეთ „დემოკრატიის ინფრასტურქტურის“ შექმნის ფესვებიდან. ფინანსდება აშშ მთავრობსი მიერ (სახდეპის ხაზით). ხოლო საერთაშორისო განვითარების სააგენტო USAID-ის დემოკრატიის მხარდაჭერის ეროვნული ფონდის მოღვაწეობა „პოლიტიკური პარტიების ყოველმხრივ მხარდაჭერასა და მათი აქტივისტების სწავლებას“ ითვალისწინებს.

დაკვირვებულმა ფრანგმა ექსპერტებმა დაამტკიცეს, რომ Internacional Republican Institute აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს შირმაა და სხვა არფერი. მათ მიერაა დადგენილი ისიც, რომ კიევის მაიდნის „აქტივისტი“, რუსოფობიით დაციკლული სენატორი **მაკკეინი** არა მხოლოდ აშშ რესპუბლიკური პარტიის წარმომადგენელია, არამედ აღნიშნული ინსტიტუტის ქომაგი და მხარის დამჭერიც გახლავთ.

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, დასკვნის გაკეთება მკითხველს მივანდოთ.

„ფრიდომ ჰაუსიც“ მისი (ინსტიტუტის) ალიკვალია და მისი („ფრიდომ ჰაუსის“) მოღვაწეობის ძირითადი მიმართულება „ამერიკულ ღირებულებათა ექსპორტია“. დანარჩენი თვალის მოსატყუებელი ზიზილპიპილოებია. მისი ბიუჯეტის 60-80 პროცენტი, ამტკიცებენ ფრანგები, აშშ-ის მთავრობის გრანტებით ივსება. 2005 წლამდე მას ხელმძღვანელობდა ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ყოფილი დირექტორი ჯონ ვულსი, რაც, CF2R-ის ექსპერტების აზრით, პირდაპირ მიგვითითებს „ფრიდომ ჰაუსის“ პირდაპირ კავშირზე აშშ-ის სპეცსამსახურებთან.

გასაკვირია, რომ დასავლეთის პრესა ამ ყველაფერზე ხმას არ იღებს, არაფერს ამბობს „ფერადი რევოლუციების“ ამერიკელი „კონსულტანტების“ შესახებ.

მაგრამ გამონაკლისი აქაცაა. რამდენიმე წლის წინათ ქართულ პრესაში გამოქვეყნდა ფრანგი ჟურნალისტების მიერ გადაღებული ფილმის საგაზეთო ვარიანტი, რომელშიც დადასტურებულად იყო ნაჩვენები „ვარდების რევოლუციის“ ქართველი აქტივისტების (მაგალითად, გიგა ბოკერიას) კავშირი აშშ-ის სპეცსამსახურის კონკრეტულ მოხელესთან.

მოამზადა
არმაზ სანებლიძემ

P.S. „ფერადი რევოლუციები“, გინდა — ნარინჯისფერი, გინდა — ვარდების, გინდა — ტიტების და ა. შ. ბოლოს და ბოლოს სისხლისფრად ტრანსფორმირდება, „მშვიდობიანი“ რევოლუციები „სისხლის ღვრის რეჟიმში“ გადადის.

საქართველოს მაგალითი გაიხსენეთ — ქუჩებში დახვრეტილი ახალგაზრდებით და ციხეებში დაღუპული ადამიანებით. ციხის ამბოხის ჩახშობის ერთი ფაქტი რად ღირს.

აღარაფერს ვამბობ არაბული გაზაფხულის პერმანენტულ გადატრიალებაზე და კიევის მაიდნის სისხლიანი კოშმარზე და ოდესის ნეონაცისტების მიერ მოწყობილ კატინის ტრაგედიაზე.

მშვიდობიანი რევოლუციები...

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„საბჭოთა რეჟიმისა და სტალინის როლის ობიექტურად შეფასებას დაჟინებით გვკარნახობს საშინელი, შემაძრწუნებელი აწმყო — მსოფლიოს მეორე ზესახელმწიფოს სტატუსის დაკარგვა, ათასწლიანი იმპერიის ნგრევა, ეკონომიკის რყევა, ბედის ანაბარად დარჩენილი მეცნიერება, მრავალი მილიონი ადამიანის უმუშევრობა, ხალხის გონებიდან ნაციონალური ცნობიერების ამოშლა... მხოლოდ ახლა ხდება ნათელი, რა გააკეთა ქვეყანამ სტალინის მეთაურობით; მხოლოდ ახლა შეგვიძლია, მთელი სისავსით შევაფასოთ მის მიერ ჩადენილი გმირობა.“

გენერალისიმუსის პორტრეტისთვის

სტალინის «მემკვიდრეები»

სტალინის გარდაცვალებისთანავე, ამერიკის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს უმაღლესი ინსტანციების მიერ შეგროვებულ მასალებზე დაყრდნობით, დაიწერა მოხსენება: „სტალინის სიკვდილისა და სკკპ-ის სათავეში მალენკოვის მისვლის შესაძლებელი შედეგები“. მოხსენება ქვეყნის ხელმძღვანელ პირთა ყველაზე ვიწრო წრისთვის იყო განკუთვნილი, რომელშიც სტალინის შესახებ შავით თეთრზე ეწერა: „სიკვდილმა საქმეებს, მოვალეობებს ჩამოაცილა ადამიანი, რომელიც ნახევრად ღმერთი გახდა, ბევრი ადამიანისთვის ის იყო ფოლადის კაცი, რომელმაც რუსეთი სამრეწველო და სამხედრო სახელმწიფოდ აქცია, რომელმაც მოიგერია გერმანელთა შემოსევა და რომელმაც სსრკ-ის ხალხები რუსეთის ისტორიაში უდიდეს გამარჯვებამდე მიიყვანა. წინდაუხედაობა იქნებოდა გამოთქმა ვარაუდისა, თითქოს ახალი საბჭოთა რუსეთი და მისი ხელმძღვანელობა ფლობდეს დიდი ომის თავიდან აცილების სტალინურ ხელოვნებას. გარკვეული ხნის განმავლობაში სტალინის ვერც ერთი მემკვიდრე ვერ შეძლებს საერთაშორისო კომუნისტურ მოძრაობაში, თუნდაც სიმბოლურად, მისი ადგილის დაკავებას და მის შეცვლას“.

სტალინი და ნიკიტა ხრუშჩოვი, 1936 წ.

«ხრუშჩოვი ჩვენი იმედი იყო, მე აღსარებასავით მინდოდა მეთქვა მისთვის ლიტერატურაში შექმნილი მდგომარეობის შესახებ, რადგან ვფიქრობდი, რომ გამიგებდა. მაგრამ როგორც კი ხმა ამოვიღე, ზურგს უკან ვიგრძენი, როგორ ცდილობდა ჩემს შეჩერებას ვილაც. მე მაინც განვაგრძე ლაპარაკი. ზურგს უკან გავიგონე მიკროფონში: «ამხანაგო ვოზნესენსკი“. მე ვთხოვდი არ გაეწყვეტინებინათ. «ბატონო ვოზნესენსკი! — მიღრიალეს ისევ, — გაეთრიეთ ჩვენი ქვეყნიდან, გაეთრიეთ!»

1943 წელს თეირანის კონფერენციაზე ინგლისის პრემიერმინისტრმა უინსტონ ჩერჩილმა აშშ-ის პრეზიდენტ რუზველტთან შეთანხმებით წამოაყენა წინადადება, რომ ამიერიდან სტალინს ეწოდოს დიდი სტალინი. წინადადებას სტალინმა სარკაზმით უპასუხა — ჩვენ ერთი „დიდიც“ გვეყოფა (იგულისხმებოდა პეტრე დიდი) და მეტჯერ ეს საკითხი არც განხილულა.

დიდმა ინგლისელმა საზოგადო მოღვაწემ და მწერალმა **როჟე გაროდიმ** საქვეყნოდ განაცხადა: „მიმაჩნია, რომ ადამიანური თვალსაზრისით სტალინიზმი ჩვენ ძალიან ძვირი დაგვიჯდა, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ევროპა დღეს თავისუფალი თუა, ეს სტალინითა და სტალინგრადითაა თავისუფალი“.

ყველა პოსტიდან მოხსნილი და შინაპატიმრობაში მხოლოდ თავის ძაღლთან დარჩენილი ნიკიტა ხრუშჩოვი კი უბადრუკ მოგონებებში წერს: „მიკვირს, ზოგიერთი დიდი მხედართმთავრისა, რომლებსაც უნდათ, თავიანთ მოგონებებში გაამართლონ სტალინი და ის ხალხის მამად წარმოადგინონ; დაამტკიცონ, რომ, თუ ის არ იქნებოდა, ჩვენ ომს ვერ მოვიგებდით და ფაშისტების უღელქვეშ მოვექვეოდით. ეს სულელური მსჯელობებია, მონური გაგება. რა, ახლა, როცა სტალინი აღარ არის, ჩვენ გერმანიის, ინგლისის ან ამერიკის გავლენის ქვეშ მოვექცევით? არა, არასოდეს!“.

ისტორიამ სასაცილოდ აქცია ხრუშჩოვის „წინასწარმეტყველებანი“. პარტიისა და მთავრობის ნგრევამ, რომელიც „კულტთან ბრძოლის“ ნიღბით დაიწყო, ქვეყანა საშინელ კატასტროფამდე მიიყვანა.

ცამდე მართალია ვ. ნილოვი, როდესაც წერს: საბჭოთა რეჟიმისა და სტალინის როლის ობიექტურად შეფასებას დაჟინებით გვკარნახობს საშინელი, შემაძრწუნებელი აწმყო — მსოფლიოს მეორე ზესახელმწიფოს სტატუსის დაკარგვა, ათასწლიანი იმპერიის ნგრევა, ეკონომიკის რყევა, ბედის ანაბარად დარჩენილი მეცნიერება, მრავალი მილიონი ადამიანის უმუშევრობა, ხალხის გონებიდან ნაციონალური ცნობიერების ამოშლა... მხოლოდ ახლა ხდება ნათელი, რა გააკეთა ქვეყანამ სტალინის მეთაურობით; მხოლოდ ახლა შეგვიძლია, მთელი სისავსით შევაფასოთ მის მიერ ჩადენილი გმირობა.

სტალინის გარდაცვალების შემდეგ ხელისუფლებაში მოყვანილი, უცხოეთის დაზვერვის მიერ მოსყიდული ნიკიტა ხრუშჩოვი, მიზანმიმართულად ანგრევდა იმ ძირითად საყრდენებსა და ფასეულობებს, რომლებზეც იდგა მეორე ზესახელმწიფოს ძლიერება და ავტორიტეტი, მან შეგნებულად თუ შეუგნებლად გამოააშკარავა ქვეყნის საიდუმლო სამსახური, რომელიც შიშის ზარს სცემდა მსოფლიოს, ქაოსი შეიტანა შეიარაღებულ ძალებში და ნაცარტუტად აქცია, როგორც ქვეყნის ზემძლავრი მრეწველობა, ასევე ინდუსტრიალიზაციის გზაზე დამდგარი სოფლის მეურნეობა. ანეკდოტის დონეზე დაიყვანა საბჭოთა კულტურა, ხელოვნება, არქიტექტურა, მშენებლობა და სხვა მრავალი დარგი.

უფრო ნათელი რომ გავხადოთ, თუ ვინ მოვიდა სტალინის შემდეგ ხელისუფლებაში და ვინ გახდა სტალინის აშენებული ზესახელმწიფოს მეთაური, წარმოგიდგენთ რამდენიმე პასაჟს ხრუშჩოვის პორტრეტისთვის.

1961 წელს საქართველოს სტუმრად ეწვია წყეული ნიკიტა ხრუშჩოვი. მან თბილისში ჩამოსვლისთანავე მკაცრად გაკიცხა და გააკრიტიკა საქართველოს კომპარტიის ცკ-ის პირველი მდივანი ვასილ მჟავანაძე სპორტის სასახლის, ფილარმონიის დარბაზის, მტკვრის სანაპიროების გაგრძელების, მეტროს მშენებლობის აღდგენის და სხვა უამრავი პროექტისთვის, რომლებიც ქვეყნის განვითარებისთვის გაკეთდა, რომ არაფერი ვთქვათ იმაზე, როგორ ემუქრებოდა საქართველოს ვაგონების ჩამოყენებით და ხალხის ციმბირში გადასახლებით.

ერთ-ერთი შეხვედრა საგარეჯოს რაიონის სოფელ მანავში შედგა. მანავის ღვინის ქარხნიდან გამოსულ ხრუშჩოვს ორდენებით მკერდდამშვენებული გიგა სიმონიშვილი მიეგება და შინ შეიპატიჟა. სტუმარი დათანხმდა, ეზოდან პირდაპირ მარნისკენ აიღეს გეზი. გიგას მეუღლემ კი ქმარს უსაყვედურა, საპატიო სტუმარს მარანშირატომ ეპატიჟები, შინ შემოუძეხიო და ნიკიტაც სახლისკენ გაეშურა.

ვიდრე სტუმრები სუფრას შემოუსხდებოდნენ, ხრუშჩოვს პირადმა დიეტოლოგმა თერმოსით ბორშჩი და ალუბლის წვენი შეუტანა, მაგრამ ნიკიტამ დაუტატანა და უკანვე წააღებინა დიეტური საჭმელი. ნიკიტამ ცალი თვალი შინნახად ჭაჭის არაყს დაადგა:

— ვიდრე ეს სულელი დაბრუნდება, დამისხით თქვენი ჭაჭა, — უთხრა მასპინძელს, 200-გრამიანი ჭიქა გაუწოდა და ცეცხლივით არაყი სულმოუთქმელად გადაჰკრა, შემდეგ ხელი გულზე ჩამოისვა და ცერა თითი აჩვენა მასპინძელს აღტაცების ნიშნად.

მთელი დღის მოშიებული ნიკიტა გამგელებული ეცა გემრიელ კერძებს — ღორის მწვადსა და ხაშლამას, ჩაქაფულსა და შემწვარ ვარიებს. კარგად რომ დანაყრდა, მასპინძელს გაუბა საუბარი.

— რამდენ ცენტნერ სიმინდს იღებს თქვენი მეურნეობა?

— საშუალოდ 40 ცენტერს, — მიუგო მასპინძელმა.

— ეს ძალიან ცოტაა. აი, ამ ვაკე ადგილას რომ ვენახი გაგიშენებიათ, ამოძირკვეთ, კარგი სიმინდი მოვა!

ეს ის ნაკვეთი იყო, რომელზეც ჯერ კიდევ თეიმურაზ მეორემ ზვარი გააშენა და ახლა საქვეყნოდ ცნობილი „მანავის მწვანე“ მოჰყავთ. ბედის ირონიაც ეს არის — **1889 წელს რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე მესამემ ეს ადგილები რომ მოინახულა, აღტაცება ვერ დამალა, საბჭოთა კავშირის ჭკუანაღრძობმა საჭეთმპყრობელმა კი შვილივით ნაზარდი ვაზის ამოძირკვა ურჩია კახელებს.**

შეზარხოშებულმა ნიკიტამ ბევრი აცინა თავისი თითლიბაზობითა და უკბილო ხუმრობით თანამეინახენი. გარეთ მას უამრავი „მნახველი“ ელოდა. ყველას აინტერესებდა „რუსთხელმწიფის“ ნახვა, რომელზეც არაერთი ანეკდოტი დადიოდა ხალხში. „რაც მთავარია, ეს ხალხი ნიკიტა ხრუშჩოვის ხსენებაზე „ფუი, ეშმაკს“ დააყოლებდა და ცივ წყალს სვამდა „მალენკოვის სტაქნით“, — იგონებს თვითმხილველი ალექსანდრე ელერდაშვილი.

აი, როგორ აღწერს ევგენი ნოსოვი ხრუშჩოვის სახეს ნარკვევში „რას გარდავქმნით?“:

ნიკიტა ხრუშჩოვმა ბრძანება გასცა, მთლიანად შეესყიდათ კოლმეურნეებისგან მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი. ამ გზით მან შეძლო სახელმწიფო მფლობელობაში გადაეყვანა რამდენიმე მილიონი სული პირუტყვი, მაგრამ აცივებისთანავე კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები პრობლემის წინაშე აღმოჩნდნენ — პირუტყვის დასაბინავებლად და გამოსაკვებად მზად არ იყვნენ, ამიტომ გარკვეული ნაწილი დაკლეს. სოფლად კი აღარც ძროხა დარჩა და აღარც ხბო...

გავიხსენოთ საბედისწერო დადგენილება ცხენების შესახებ: ეს ცხოველები გამოაცხადეს მუქთამჭამელებად, სხვისი საკვების მიმტაცებლებად, რომლებიც არცხვენდნენ სოციალისტურ რუსეთს უაზრო ჭიხვინითა და ურმის ჭრიალით, მაგრამ აქ საქმე მარტო „ურმის ჭრიალში“ როდი იყო. **ვიღაცამ ჩააწვეთა ხრუშჩოვს ყურში, რომ, თუ დაკლავდნენ რამდენიმე მილიონ ცხენს, საკვების ეკონომიას გასწევდნენ და ამას დაემატებოდა დიდი რაოდენობით ტყავი — ქამრებისა და ფეხსაცმლის ლანჩისთვის. და კოლმეურნეობები, სურდათ ეს თუ არა, იძულებულნი გახდნენ, ცხენები სასაკლაოზე გაესტუმრებინათ...**

დღეისათვის რძე ფერმიდან სოფლის საბავშვო ბაღამდე მისაბმელიანი ტრაქტორით გადააქვთ, მაშინ, როდესაც თვით მოტორიზებულ ამერიკას ყოველდღიური სამუშაოებისთვის 10 მილიონი ცხენი ჰყავდა გამოყოფილი.

„ახლა დეკორატიული აგროქალაქები? ხდებოდა ხოლმე, რომ ასეთი თეატრალური ცხოვრებისათვის ადამიანებს ძალით, მილიციის დახმარებით მიერეკებოდნენ ღობის ძირში მიდგმული საერთო ტუალეტიანი მრავალბინიანი სახლებისაკენ, ამასობაში კი მიტოვებული სოფლები არაპერსპექტიულად ცხადდებოდა; ეზოებს ძეძვი ედებოდა, რადიოს ბოძები ირყეოდა, ჭები იქცეოდა“... ამ სურათებმა ჩემ თვალწინ გაიარა. **1961 წელს მარტო დაბა წყნეთში მოსახლეობას ჩამოერთვა 1200 სულზე მეტი ძროხა და საბჭოთა მეურნეობებს გადაეცა. აქედან 160 სული ჩვენ — მარტყოფის მებოსტნეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობას მოგვცეს, მაგრამ ფერმებისა და საკვების უქონლობის გამო იძულებული გავხდით, ძროხები ხორცკობინატში ჩაგვებარებინა**. მახსოვს, ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე როგორ გვართმევდნენ ცხენებსა და სახედრებს.

ვუყურებდით, როგორ ინგრეოდა და იშლებოდა ნალოლიავები და ნაკონიწები ემტე-ეს-ები და ნადგურდებოდა სარემონტო სახელოსნოების და კადრების გარეშე დარჩენილი კოლმეურნეობებზე გადაცემული სატრაქტორო პარკები, როგორ ნადგურდებოდა სასელექციო ნაკვეთები.

ახლა ვნახოთ, რა ხდებოდა მწერლობაში. მოვუსმინოთ საქვეყნოდ სახელგანთქმულ პოეტ **ანდრეი ვოზნესენსკის**, რომელიც თავის წიგნში „ისტორიის თვალები“ ამბობს: „კრემლში გამართული გახმაურებული შეხვედრისას მან გამიხმო ტრიბუნაზე.

ხრუშჩოვი ჩვენი იმედი იყო, **მე აღსარებასავით მინდოდა მეთქვა მისთვის ლიტერატურაში შექმნილი**

▶

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ისტორიამ სასაცილოდ აქცია ხრუშჩოვის „წინასწარმეტყველებანი“. პარტიისა და მთავრობის ნგრევამ, რომელიც „კულტთან ბრძოლის“ ნიღბით დაიწყო, ქვეყანა საშინელ კატასტროფამდე მიიყვანა.

«სტალინის გარდაცვალების შემდეგ ხელისუფლებაში მოყვანილი, უცხოეთის დაზვერვის მიერ მოსყიდული ნიკიტა ხრუშჩოვი მიზანმიმართულად ანგრევდა იმ ძირითად საყრდენებსა და ფასეულობებს, რომლებზეც იდგა მეორე ზესახელმწიფოს ძლიერება და ავტორიტეტი, მან შეგნებულად თუ შეუგნებლად გამოააშკარავა ქვეყნის საიდუმლო სამსახური, რომელიც შიშის ზარს სცემდა მსოფლიოს, ქაოსი შეიტანა შეიარაღებულ ძალებში და ნაცარტუტად აქცია, როგორც ქვეყნის ზემძლავრი მრეწველობა, ასევე ინდუსტრიალიზაციის გზაზე დამდგარი სოფლის მეურნეობა. ანეკდოტის დონეზე დაიყვანა საბჭოთა კულტურა, ხელოვნება, არქიტექტურა, მშენებლობა და სხვა მრავალი დარგი»

მდგომარეობის შესახებ, რადგან ვფიქრობდი, რომ გამიგებდა. მაგრამ როგორც კი ხმა ამოვიღე, ზურგს უკან ვიგრძენი, როგორ ცდილობდა ჩემს შეჩერებას ვიღაც. მე მაინც განვაგრძე ლაპარაკი. ზურგს უკან გავიგონე მიკროფონში: „ამხანაგო ვოზნესენსკი!“. მე ვთხოვდი არ გაეწყვეტინებინათ. „ბატონო ვოზნესენსკი! — მიღრიალეს ისევ, — გაეთრიეთ ჩვენი ქვეყნიდან, გაეთრიეთ!“

ჯერ — დაბნეული, ხოლო შემდეგ გაბრწყინებული სახეების დანახვისას ვიგრძენი, რომ ჩემს ზურგს უკან რაღაც საშინელი ხდებოდა. მივტრიალდი. ჩემგან რამდენიმე მეტრის მოშორებით იღრინებოდა ბრაზისაგან სახემოქცეული ნიკიტა: „ბატონო ვოზნესენსკი, გაეთრიეთ! ამხანაგი შელეპინი გამოგიწერთ პასპორტს!“. ამას მოჰყვა სრულიად გამაოგნებელი სიტყვათა ნიაღვარი.

რისთვის? რა დავაშავე? ხომ არ გადაირია? „დამთავრდა, ყველაფერი დამთავრდა“, — მივხვდი მე. ჭკუაზე რომ არ გადავედი, ალბათ, იმან მიშველა, რომ ჩემი გამოსვლების დროს ყველაფერს ვიყავი მიჩვეული.

დარბაზიდან, რომელიც ახლა უკვე ჩემს ზურგს უკან მოექცა, ისმოდა ხმაშეწყობილი შეძახილი: „გავაგდოთ!“, „სირცხვილი მას!“.

თანაგრძნობის ძებნაში პრეზიდიუმს მოვავლე თვალი და კოზლოვის ყინულიან მზერას გადავაწყდი. რანაირად გინდა, რომ შეაჩერო ეს საშინელება? ამ ღრიანცელში მაინც მივაწვდინე დარბაზს ხმა და ვთქვი, ლექსებს წავიკითხავ-მეთქი.

„არავითარი ლექსები! ვიცით! ჩამოდით! გაეთრიეთ!“ — მესმოდა უკნიდან. დარბაზს სისხლი სწყუროდა.

და აქ ხელმძღვანელის სიბრაზისგან შეშლილ სახეზე დავინახე, თითქოს იგი უცბად რაღაცამ შეძრა, გონება გაუნათდა და თითქოს ამ აღტაცებულ ბრბოში თავისი მომავალი დამსამარებელი დაინახა; იგრძნო კონტროლიდან გამოსული ნომენკლატურის სტიქიური ძალა, რომელიც ერთი წლის შემდეგ კისერს მოუგრეხდა მას. მან ბოღმით წარმოთქვა: „არა, წაიკითხოს!“. კითხვისას, ჩვეულებისამებრ, ხელი მაღლა მქონდა აწეული და ლექსის რითმას ვაყოლებდი, როდესაც დავამთავრე, დარბაზში კანტიკუნტი ტაში გაისმა, შემდეგ — „აგენტო! აგენტო!“„ახლა ამიყვანენ!“ — გავიფიქრე. ის კი ისევ გაჰყვიროდა, მაგრამ უფრო დაბალ ხმაზე: „რა ხელებსა სწევთ მაღლა? ვითომ რაო, გზა გინდათ გვიჩვენოთ? თქვენ რა, თავი ბელადი ხომ არ გგონიათ?“. ნახევარსაათიანი ყვირილის შემდეგ ერთიანად გაოფლილმა ხელი დარბაზისკენ გაიშვირა.

— **ახლა კი, აგენტო, აქეთ მობრძანდი! თქვენ, სათვალიანო, წითელ პერანგში, იმპერიალიზმის აგენტო! — კოტიტა თითს იშვერდა დარბაზის შუაგულისაკენ, სადაც ახალგაზრდა მხატვარი ილარიონ გოლიცინი იჯდა, თავადთა შთამომავალი, ფავორსკის მოწაფე, თურმე ის მიკრავდა ტაშს”**...

ეს ყველაფერი კი იმას მოჰყვა, რომ ხრუშჩოვთან ვიღაცამ ვოზნესენსკი დაასმინა, თითქოს იგი დაუფარავად გამოთქვამდა კრიტიკულ შენიშვნებს.

შოლოხოვის თქმით კი, როდესაც ის ფადეევთან ერთად ესწრებოდა პოლიტბიუროს გაფართოებულ სხდომას, რომელიც სტალინს მიჰყავდა, ლაზარ კაგანოვიჩმა მკაცრად გააკრიტიკა რამდენიმე მწერლის მხატვრული ნაწარმოები, რასაც ფადეევის სწრაფი რეაქცია მოჰყვა: „ლაზარ მაისეევიჩ, ლიტერატურისა არაფერი გაგეგებათ და თქვენი აზრები კი გინდათ თავს მოგვახვიოთ“. სხდომაზე სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა, სტალინს გაეცინა, რაც სხდომის ყველა მონაწილეს გადაედო, ყველა იცინოდა, მათ შორის კიბორჩხალასავით გაწითლებული ლაზარ კაგანოვიჩიც.

იმაზე, რაც ხელოვნებაში ხდებოდა იმხანად, მიხაილ რომი წერს თავის მოგონებებში: „ოთხი შეხვედრა ნ. ხრუშჩოვთან“.

„იგი თანდათან იგზნებოდა, შმაგდებოდა და თავდაპირველად ერნსტ ნეიზვესტნის დააცხრა. დიდი გასაჭირი ადგა. მე გამაკვირვა იმ თვითდაჯერებულობამ, რომლითაც იგი საუბრობდა ხელოვნებაზე ისე, რომ ინჩი-ბინჩი არ გაეგებოდა. თანაც ცდილობდა, განემარტა, რა არის მშვენიერი და რა — არა; რა არის გასაგები ხალხისთვის და რა — გაუგებარი; რომელი მხატვრები ილტვიან კომუნიზმისაკენ და რომლები არ ეხმარებიან კომუნიზმს. და რა ცუდია ერნსტ ნეიზვესტნი. **დიდხანს ეძებდა შედარებას, რათა რაც შეიძლება მარტივად აეხსნა, ვინ არის ერნსტ ნეიზვესტნი. ბოლოს, როგორც იქნა, მიაგნო და ძალიან გაუხარდა: „თქვენი ხელოვნება, აი, რასა ჰგავს: მაგალითად, ადამიანი რომ შევიდეს ტუალეტში, დაჯდეს ორმოზე, იქიდან იყურებოდეს ზემოთ და ამ დროს იმ ორმოს თავზე ვინმე დაჯდეს. ორმოში მყოფი სხეულის მხოლოდ ერთ ნაწილს დაინახავს ქვემოდან. აი, იმავეს ხედავთ თქვენც, ამხანაგო ნეიზვესტნი, აი, რა არის თქვენი ხელოვნება. ეს არის თქვენი პოზიცია, თქვენ ორმოში ზიხართ!“**

მიხეილ შოლოხოვი

შოლოხოვის თქმით, როდესაც ის ფადეევთან ერთად ესწრებოდა პოლიტბიუროს გაფართოებულ სხდომას, რომელიც სტალინს მიჰყავდა, ლაზარ კაგანოვიჩმა მკაცრად გააკრიტიკა რამდენიმე მწერლის მხატვრული ნაწარმოები, რასაც ფადეევის სწრაფი რეაქცია მოჰყვა: «ლაზარ მაისეევიჩ, ლიტერატურისა არაფერი გაგეგებათ და თქვენი აზრები კი გინდათ თავს მოგვახვიოთ». სხდომაზე სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა, სტალინს გაეცინა, რაც სხდომის ყველა მონაწილეს გადაედო, ყველა იცინოდა, მათ შორის კიბორჩხალასავით გაწითლებული ლაზარ კაგანოვიჩიც

ის კი განაგრძობდა: „თანაც ეს რანაირი გვარია ნეიზვესტნი? საიდან აიღეთ ფსევდონიმი — უცნობად გინდათ დარჩეთ? ჩვენ კი გვინდა, რომ თქვენ შესახებ ყველაფერი ვიცოდეთ!“

ნეიზვესტნი პასუხობს:

— ნეიზვესტნი ჩემი გვარია...

და ასეთ რეპლიკებში, ზოგჯერ გამომწვევ შეპასუხებებში გავიდა ორი თუ სამი საათი. ყველა დაიღალა. ვხედავთ, რომ არც ევტუშენკოს, არც ერენბურგის, არც შჩიპაჩოვის გამოსვლები არავითარ შთაბეჭდილებას არ ახდენს, კედელზე ცერცვის შეყრაა და მეტი არაფერი. თავისი ხაზი აქვს აღებული და მიჰყვება იმას.

ბოლოს შემაჯამებელი სიტყვით გამოვიდა. რამდენიმე ფრაზა დამამახსოვრდა.

დაიწყო ისევ მშვიდად. აი, ჩვენ აქ, რა თქმა უნდა, მოგისმინეთ, ვისაუბრეთ, მაგრამ ვინ უნდა გადაწყვიტოს? ჩვენს ქვეყანაში ვინ უნდა გადაწყვიტოს? ხალხმა. ხალხი კი ვინ არის? — ეს არის პარტია. პარტია ვინ არის? პარტია ჩვენ ვართ. ესე იგი, ჩვენ უნდა გადავწყვიტოთ — მე უნდა გადავწყვიტო. გასაგებია?

— გასაგებია.

— ახლა სხვანაირად აგიხსნით. მაგალითად, შეკამათდებიან პოლკოვნიკი და გენერალი. პოლოვნიკი დამაჯერებლად უმტკიცებს რაღაცას, გენერალი უსმენს, უსმენს და ბოლოს, პოლკოვნიკი თავს რომ მოაბეზრებს, ესეც ადგება და მიახლის: „იცი, რას გეტყვი? შენ პოლკოვნიკი ხარ, მე — გენერალი. აბა, ნახევარბრუნით მარჯვნისაა-კენ, ნაბიჯით იარ! პოლკოვნიკიც დაემორჩილება ბრძანებას — მიტრიალდება და წავა. ასე რომ, თქვენ პოლკოვნიკები ხართ, მე კი, უკაცრავად, — გენერალი. ასე რომ, აბა, ნახევარბრუნით მარჯვნისაა-კენ, ნაბიჯით იარ!

აი ასეთი იყო დასასრული.

ხელოვნებისადმი დამოკიდებულების ნათელ სურათს წარმოადგენს სტალინის ურთიერთობა კარიკატურისტ ბორის ეფიმოვისადმი. ბორის ეფიმოვი ხშირად ხატავდა იაპონელი სამურაების კარიკატურებს, რომლებსაც დიდი კბილები და გადმოგდებული ენები ჰქონდათ, ისე, როგორც იმპერიალისტებს შეჰფეროდათ. ერთხელ სტალინმა ეფიმოვი გამოიძახა და უთხრა: — მე მომწონს თქვენი კარიკატურები, ეს ფრიად საჭირო ხელოვნებაა, მაგრამ გთხოვთ, ეშვებიან სამურაებს ნუ დახატავთ, ეს ეროვნული ღირსების შელახვაა. ეფიმოვმა მეორე შენიშვნა სურათზე წარწერისთვის მიიღო. ამ სურათზე გამოსახული იყო კლასობანას მოთამაშე რუსი ბავშვები, რომლებსაც თავზე გერმანულმა „მესერშმიტებმა“ გადაუფრინა. ქვეშ კი წარწერა ჰქონდა: „გერმანელებმა გადაუფრინეს“. სტალინმა სიტყვა გერმანელები გადაშალა და მის მაგიერ ფაშისტები მიაწერა — „ფაშისტებმა გადაუფრინეს“. შენიშვნაში კი მიაწერა: „გერმანელები ბავშვებს არ ხოცავენ“.

ფულტონში ჩერჩილის გამოსვლაზე ეფიმოვის მიერ შექმნილ ჩერჩილის კარიკატურას კი მინაწერი თვითონ სტალინმა გაუკეთა — „ყბედი“.

ძვირფასო მკითხველო, ალბათ, მიხვდით, ვინ როგორ მართავდა ქვეყანას.

P.S. მომდევნო წერილების თემა იქნება: სტალინი და ბრეჟნევი, სტალინი და გორბაჩოვი, სტალინი და ელცინი, სტალინი და პუტინი.

ცნობისათვის
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ავიაკატასტროფები გრძელდება

ავიაკომპანია Air Algerie-ს ავიალაინერმა, რომელიც ბურკინა-ფასოს დედაქალაქ უაგადუგუდან ალჟირში მიფრინავდა და რომელიც მალის საჰაერო სივრცეში რადარებიდან გაქრა, კატასტროფა განიცადა. რეის AH5017-ს ასრულებდა ალჟირის ავიახაზი, რომელსაც 1996 წელს დამზადებული თვითმფრინავი ესპანური Swiftair-ისგან ჰქონდა დაქირავებული. ავიალაინერი ბურკინა-ფასოდან ალჟირში მიფრინავდა და აფრენიდან 50 წუთის შემდეგ მალის საჰაერო სივრცეში რადარებიდან გაქრა. თვითმფრინავის ბორტზე მყოფი 116-ვე ადამიანი დაიღუპა, მათ შორის იყვნენ საფრანგეთის, გფრ-ის, ლიბანის, ალჟირისა და ბურკინა-ფასოს მოქალაქეები.

ლექსიკონი Hello Kitty ბავშვებს ადამიანის მკვლელობის აფრიკულ მეთოდზე მოუთხრობს

9 წლის გოგონას დედამ საბავშვო ლექსიკონი უყიდა იმ იმედით, რომ წიგნი ბავშვს ახალი სიტყვების მნიშვნელობის გაგებასა და მართლწერის გაუმჯობესებაში დაეხმარებოდა, მაგრამ ქალმა წიგნის ფურცლებზე იპოვა ინფორმაცია, რომელიც ბავშვს ნამდვილად არ უნდა წაეკითხა.

ქალაქ სტოქტონის (დარემის საგრაფო, დიდი ბრიტანეთი) მცხოვრებმა, 27 წლის სამანტა როლინსმა თავისი 9 წლის გოგონა კეისისთვის ლექსიკონი Hello Kitty იყიდა, რომელშიც 7000 სიტყვის ახსნა-განმარტებაა.

ლექსიკონის ყდაზე წერია, რომ წიგნი ბავშვებს დაეხმარება საშინაო დავალებების შესრულებაში, შეასწავლის ახალ სიტყვებს, მისცემს რჩევებს გრამატიკაში, ორთოგრაფიასა და პუნქტუაციაში, აგრეთვე, მნიშვნელოვნად გაუუმჯობესებს მართლწერას.

„ლექსიკონი რომ ვიყიდე, დარწმუნებული ვიყავი, ეს წიგნი ფუმფულა ფისუნიების ფოტოებით იქნებოდა სავსე, მაგრამ ამის ნაცვლად ერთ-ერთ გვერდზე შოკისმომგვრელ ინფორმაციას წავაწყდი," — ამბობს სამარტა როლინსი. შოკისმომგვრელ ინფორმაციაში კი სამანტა სიტყვა „სამკაულის" აღწერას გულისხმობს. პირველ ვერსიაში მითითებულია, რომ ეს არის საიუველირო ნაკეთობა, რომელსაც ქალი ყელზე იკეთებს, ალტერნატიული ახსნა-განმარტება კი ასეთია: „ასე უწოდებენ სამხრეთ აფრიკაში ბენზინით გაპოხილ საბურავს, რომელსაც ადამიანს ყელზე წამოაცვამენ, შემდეგ კი ცეცხლს უკიდებენ იმისათვის, რომ ეს ადამიანი მოკლან".

„ეს დაუჯერებელი იყო! წარმოიდგინეთ, ათვალიერებთ წიგნს, რომელშიც კატების, თაგვებისა და ყვავილების ფოტოებია და უცებ ხვდებით, რომ მკვლელობის საშინელი მეთოდის აღწერას კითხულობთ. ნუთუ ეს ინფორმაცია ბავშვებისთვის არის განკუთვნილი?! ვიცი, რომ ვიღაცები იტყვიან, მეორე ვარიანტიც სწორი განმარტებააო, მაგრამ ბავშვებმა რატომ უნდა იცოდნენ ადამიანის მკვლელობის მეთოდები?!" — ამბობს სამანტა როლინსი, რომელმაც სასამართლოში სარჩელი შეიტანა საგამომცემლო კომპანია Harper Collins-ის წინააღმდეგ.

ახლახან ლექსიკონ Hello Kitty-ის ყველა ეგზემპლარი კომპანიამ მაღაზიათა ქსელიდან ამოიღო.

აივან ელანდი: «ბოინგის» ტრაგედიამ აშშ-ის ფარისევლობა გამოააშკარავა

კალიფორნიის დამოუკიდებელი ინსტიტუტის ანალიტიკოსმა, ეროვნული უსაფრთხოების საკითხების ექსპერტმა აივან ელანდმა აშშ-ის ხელისუფლება და მასმედია ორპირობასა და ისტორიის უცოდინარობაში დაადანაშაულა. ის Huffington Post-ში გამოქვეყნებულ სტატიაში მკითხველს ახსენებს, რომ, როცა თვითონ აშშ-მა ჩამოაგდო უცხო ქვეყნის სამგზავრო ავიალაინერი, ბოდიშიც კი არ მოუხდია.

«ხედავს რა, როგორ ინგრევა მისთვის უმნიშვნელოვანესი ბუფერული ზონა, რუსეთი ცდილობს, გადაარჩინოს ყველაფერი, რისი გადარჩენაც შეუძლია... და ფარისევლობა ამერიკისა, როელიც რუსეთს ბუფერული ზონის გამაგრებისთვის აკრიტიკებს, პირდაპირ განსაცვიფრებელია»

„ახსოვთ კი ამერიკელებს ირანის სამოქალაქო თვითმფრინავი, რომელიც ამერიკელებმა ურთულესი სისტემა Aegis-ის გამოყენებით ჩამოაგდეს სპარსეთის ყურის თავზე, როცა 1980-იან წლებში ირან-ერაყის ომში სადამ ჰუსეინის მხარდასაჭერად ჩაერივნენ? რა თქმა უნდა, არა, რადგან ამერიკელებს, სამწუხაროდ, ისტორია არ აინტერესებთ", — წერს ელანდი.

ავტორი განცვიფრებულია იმით, რომ მალაიზიის თვითმფრინავი საომარი მოქმედებების თავზე დაფრინავდა. მისი აზრით, იმ პირობებში, როდესაც შესაძლებელია ტრაგიკული შემთხვევა მოხდეს, დასავლეთის მხრიდან ყვირილი „სამხედრო დანაშაულზე" უადგილოა, **„მომხდარში დამნაშავე უკრაინის ხელისუფლებაა, რომელმაც რატომღაც არ დახურა საჰაერო სივრცე სამოქალაქო თვითმფრინავებისთვის, თუმცა ამერიკულმა მედიასაშუალებებმა რეფლექსურად დაიწყეს რუსეთის დადანაშაულება — ეს ხომ „იოლი საქმეა". შედეგად აშშ-მა კვლავ დაანახა მსოფლიოს თავისი საგარეო პოლიტიკის ორპირობა",** — წერს ანალიტიკოსი.

„აშშ-ში, — აღნიშნავს ანალიტიკოსი, — რუსეთ-აშშ-ის ურთიერთობაზე თვალსაზრისი ასეთია: ცივი ომის დასრულების შემდეგ აშშ-მა „გულმოწყალედ" შეუშვა რუსეთი „დიდ რვიანში" და მას „ექსპერტებიც" მიაშველა დემოკრატიის ასაშენებლად, მაგრამ რუსებმა „მკაცრ" ვლადიმერ პუტინს „უფლება მისცეს" დემოკრატიის ექსპორტირების ყველა მცდელობა ჩანასახშივე მოესპო.

„ამერიკელები თავს უარყოფილად მიიჩნევენ იმიტომ, რომ რუსებს სურთ, ჩვენ დაგვემსგავსონ", — წერს ელანდი. ამასთანავე, ის აშშ-ს „ამნეზიის" ქონაში ადანაშაულებს: აშშ-მა დაივიწყა, რა როლს თამაშობდა ამერიკა-რუსეთის ურთიერთობის გაუარესებაში. ცივი ომის დასრულების შემდეგ დასავლეთი კვლავინდებურად უნდობლობით ეკიდებოდა რუსეთს და არ სურდა მისი გაერთიანება ნატოსა და ევროკავშირში. **ბერლინის კედლის დაცემის შემდეგ პრეზიდენტი ჯორჯ ბუში (უფროსი) დაჰპირდა მიხეილ გორბაჩოვს, რომ ნატო არ გაფართოვდებოდა აღმოსავლეთით, მაგრამ ეს დაპირება არ შესრულდა. ამასთანავე, აშშ ცდილობდა, გაეფართოებინა თავისი გავლენა ენერგორესურსით მდიდარ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებზე შუა აზიაში.**

რამდენიმე წლის წინათ, — იხსენებს ელანდი, — **აშშ დაეხმარა „კოსოვოს განმათავისუფლებელ არმიას" სერბეთისგან (რუსეთის ტრადიციული მოკავშირის) კოსოვოს მოწყვეტაში. გარდა ამისა, რუსეთმა თავი მოტყუებულად იგრძნო, როდესაც მის მიერ მოწონებული გაეროს რეზოლუცია დასავლეთმა მუამარ კადაფის დასამხობად გამოიყენა.**

ამ ყველაფერთან ერთად აღსანიშნავია **აშშ-ის ცენტრალური სამმართველოს მონაწილეობა** მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში **მოწყობილ სახელმწიფო გადატრიალებებში, მათ შორის უკრაინაში,** — წერს სტატიის ავტორი.

„შემაკავებელი წრის" დავიწროება ბრძნული გადაწყვეტილება არ იყო. ხედავს რა, როგორ ინგრევა მისთვის უმნიშვნელოვანესი ბუფერული ზონა, რუსეთი ცდილობს, გადაარჩინოს ყველაფერი, რისი გადარჩენაც შეუძლია... და ფარისევლობა ამერიკისა, რომელიც რუსეთს ბუფერული ზონის გამაგრებისთვის აკრიტიკებს, პირდაპირ განსაცვიფრებელია!" — წერს ამერიკელი ანალიტიკოსი.

რატომ შეუშვა უკრაინამ მალაიზიის «ბოინგი» საომარი მოქმედებების ზონაში?

„ვაშინგტონ პოსტის" ჟურნალისტებმა ჩაატარეს გამოძიება და გაარკვიეს, რომ უკრაინა თავისი საჰაერო სივრცის უცხო ქვეყნების ავიაკომპანიებისთვის დათმობის გამო 200 მლნ დოლარს იღებს.

უკრაინამ თავისი საჰაერო სივრცის გადაკვეთის ნება დართო მალაიზიის ავიალაინერს, მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნის აღმოსავლეთში საომარი მოქმედებები მიმდინარეობდა.

„ვაშინგტონ პოსტის" ჟურნალისტების ცნობით, სხვა ქვეყნების საჰაერო სივრცის გადაკვეთისთვის საფასურის გადახდა საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის 1944 წლის კონვენციით არის გათვალისწინებული. უკრაინა კი თავისი საჰაერო სივრცის დათმობისთვის უცხო ქვეყნების ავიაკომპანიებისგან ყოველწლიურად 200 მლნ დოლარს იღებს.

2014 წელს მსოფლიოში მომხდარი ავიაკატასტროფები

*** 11 თებერვალს** ალჟირში, დასახლებულ პუნქტ უმ-ელ-ბავაკისთან ახლოს, კატასტროფა განიცადა სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავმა. დაიღუპა 119 ადამიანი.

*** 16 თებერვალს** ნეპალის ქალაქ პოკჰარას აეროპორტიდან აფრენილი Nepal Airlines თვითმფრინავი 15 წუთის შემდეგ გაქრა რადარებიდან. თვითმფრინავის ბორტზე 18 ადამიანი იმყოფებოდა, მათ შორის, ბავშვიც.

*** 21 თებერვალს** კატასტროფა განაცხადა ლიბიის სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავმა „ან-26"-მა, რომელიც ტუნისში მიფრინავდა, დაიღუპა 11 ადამიანი.

*** 7 მარტს** მალაიზიის ავიაკომპანია Malaysia Airlines თვითმფრინავი 227 მგზავრითა და ეკიპაჟის 12 წევრით, რომელიც მალაიზიის დედაქალაქ კუალა-ლუმპურიდან პეკინში მიფრინავდა, რადარების ეკრანებიდან გაქრა.

*** 17 ივლისს** უკრაინაში ავიაკატასტროფა განიცადა მალაიზიის „ბოინგ777"-მა, რომელიც ამსტერდამიდან კუალა-ლუმპურში მიფრინავდა. დაიღუპა 298 ადამიანი, მათ შორის, 85 ბავშვი და ეკიპაჟის 15 წევრი.

*** 23 ივლისს** ავიაკომპანია TransAsia Airways-ის თვითმფრინავი ტაივანში ჩამოვარდა. დაიღუპა 47 ადამიანი.

*** 24 ივლისს** კატასტროფა განიცადა ალჟირის ავიალაინერმა, რომელიც ბურკინა-ფასოს დედაქალაქ უაგადუგუდან ალჟირში მიფრინავდა. დაიღუპა 116 ადამიანი.

ცნობისათვის
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

აშშ-ის კონგრესმა, შესაძლოა, მხარი დაუჭიროს ობამას გასამართლებას

ინტერნეტგამოცემა Politico-ს ცნობით, აშშ-ის კონგრესის წარმომადგენლობით პალატაში, შესაძლოა, გაიმართოს კენჭისყრა პრეზიდენტ ბარაკ ობამას წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელის შეტანის თაობაზე. რეზოლუცია, რომელიც ასეთი ნაბიჯის გადადგმას ითვალისწინებს, უკვე მოიწონა სარეგლამენტო პროფილურმა კომიტეტმა.

კანონმდებლებს განზრახული აქვთ, ობამა პასუხისგებაში მისცენ უფლებამოსილების გადამეტების გამო. „ეს არ არის ის გზა, რომლითაც ვითარდება ჩვენი სისტემა. კანონები — ეს არ არის სია წინადადებებისა, რომლებსაც სახელმწიფოს მეთაური სურვილისამებრ ირჩევს“, — განაცხადა კონგრესმენმა რესპუბლიკური პარტიიდან — პიტ სეშნსმა. რესპუბლიკელები უკმაყოფილონი არიან იმით, რომ პრეზიდენტი, რომელსაც კონგრესში ხშირად უწყობენ ობსტრუქციას, თავის პოლიტიკას განკარგულებებით ახორციელებს.

ობამას მიერ სექსუმცირესობებისთვის შეღავათების დანესებამ ამერიკელი მორწმუნეები აღაშფოთა

აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ, 21 ივლისის ბრძანებულებით, ისე, რომ არც დაელოდა საკანონმდებლო ორგანოს მიერ შესაბამისი კანონის დამტკიცებას, აკრძალა დისკრიმინაცია იმ თანამშრომლებისა, რომლებიც თავს გეებად, ლესბოსელებად, ტრანსსექსუალებად მიიჩნევენ. ბრძანებულება შეეხება 24 ათასი კომპანიის 28 მლნ თანამშრომელს, რომლებიც ქვეყნის დასაქმებული მოსახლეობის მეხუთედს წარმოადგენენ.

ობამამ უხერხულ მდგომარეობაში ჩააგდო რელიგიური ორგანიზაციები, რომლებისთვისაც ბრძანებულება გამონაკლისს არ ითვალისწინებს. ბრძანებულებაზე ნაჩქარევი ხელმოწერით პრეზიდენტს სურდა, ეჩვენებინა, რომ სახელმწიფო მოსახლეობის ყველა ფენაზე ზრუნავს. პოლიტიკური კრიზისის პირობებში ერთ-ერთი წინასაარჩევნო დაპირების შესრულებით ობამას ხელისუფლებას იმედი აქვს, რომ სექსუალურ უმცირესობებს მიიმხრობს.

თუმცა ახლა, როგორც მემარჯვენერელიგიური მიმართულების ანალიტიკური ცენტრის — „ოჯახის შესწავლის საბჭოს“ თანამშრომელი პიტერ სპრიგი ამბობს, **ობამა თავიდან ვერ აიცილებს რელიგიური ჯგუფების ნეგატიურ რეაქციას**.

„ასეთი საკითხები ღია უნდა იყოს საზოგადოებისთვის, ადამიანებმა გადაწყვეტილება დემოკრატიული გზით რომ მიიღონ, მაგრამ ამ შემთხვევაში საკანონმდებლო ორგანოდ მხოლოდ ერთი კაცი წარმოგვიდგა, რაც ძალიან სახიფათოა“, — განაცხადა ქრისტიან-ფუნდამენტალისტმა, პასტორმა ტერი ჯონსმა. მისივე თქმით, **რელიგიური ჯგუფების წარმომადგენლებს არ სჯერათ, რომ ჰომოსექსუალიზმი „ღვთიური საქმეა“.**

„მორწმუნეები ჰომოსექსუალების კი არა, მათი ცხოვრების წესის წინააღმდეგ გამოდიან. მაგრამ ახლა სახელმწიფო ცდილობს, მიუთითოს ეკლესიას, რა უნდა იწამოს, ეს კი უამრავ პრობლემას ქმნის“, — აღნიშნავს პასტორი ჯონსი.

«ობამას ადმინისტრაციის აზრით, ჰომოსექსუალების უფლებები უპირატესია ყველა დანარჩენის, მათ შორის, რელიგიური ჯგუფების უფლებებზე»

რელიგიური ჯგუფების ლიდერებმა, მათ შორის, ევანგელისტური ეკლესიის (Saddleback) დამფუძნებელმა და უფროსმა პასტორმა რიკ უორენმა, უკვე მისწერეს ობამას წერილი და მოუწოდეს, რომ ქრისტიანული რელიგიური ორგანიზაციებისთვის დაეშვა გამონაკლისი და მათ უფლება ჰქონოდათ, არ მიეღოთ სამუშაოდ სექსუალური უმცირესობის წარმომადგენლები, თუნდაც მღვდლის რანგში.

როგორც ტოდ სტარენსი თავის წიგნში „ღმერთი პატარაა ამერიკაზე“ წერს, **„ობამას ადმინისტრაციის აზრით, ჰომოსექსუალისტების უფლებები უპირატესია ყველა დანარჩენის, მათ შორის, რელიგიური ჯგუფების უფლებებზე“.**

ტოლერანტობის პოლიტიკამ უკვე გააჩინა პირველი პრობლემები. ქრისტიანი ფოტოგრაფი ნიუ მექსიკოს შტატიდან გაასამართლეს სექსუალური უმცირესობის წარმომადგენელთა დისკრიმინაციისთვის, რომელიც ახალდაქორწინებული გეებისთვის ფოტოს გადაღებაზე უარის თქმაში გამოიხატებოდა.

მეორე მხრივ, პრეზიდენტის ბრძანებულებას ძალიან თბილად შეხვდნენ მემარცხენე-ცენტრისტული ორგანიზაციების წარმომადგენლები, რომლებიც სახელმწიფოსგან ეკლესიის გამოყოფას მოითხოვენ.

„ეკლესიისა და სახელმწიფოს განცალკევებისთვის ამერიკული კავშირის“ ხელმძღვანელი მარი ლინი მიიჩნევს, რომ რელიგიურ ჯგუფებს „დისკრიმინაცია ახალი სახეობების მოგონების“ უფლება არ აქვს. მათ იმავე წესებით უნდა ითამაშონ, როგორც ყველა დანარჩენმა. ისინი გამონაკლისის დაშვებას არ იმსახურებენ“.

ექსპერტთა აზრით, ობამას ახალმა განკარგულებამ შეიძლება, მნიშვნელოვანი ეკონომიკური სირთულეები გამოიწვიოს, რადგან ამ ბრძანებულებით სახელმწიფო ბიზნესს, ფაქტობრივად, უკრძალავს არაკვალიფიციური თანამშრომლების გათავისუფლებას, თუკი ისინი განაცხადებენ, რომ სექსუალურ უმცირესობას მიეკუთვნებიან.

„ბერლინის კედლის დაცემის შემდეგ პრეზიდენტი ჯორჯ ბუში (უფროსი) დაჰპირდა მიხეილ გორბაჩოვს, რომ ნატო არ გაფართოვდებოდა აღმოსავლეთით, მაგრამ ეს დაპირება არ შესრულდა. ამასთანავე, აშშ ცდილობდა, გაეფართოებინა თავისი გავლენა ენერგორესურსით მდიდარ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებზე შუა აზიაში. აშშ დაეხმარა „კოსოვოს განმათავისუფლებელ არმიას“ სერბეთისგან (რუსეთის ტრადიციული მოკავშირის) კოსოვოს მოწყვეტაში.

გარდა ამისა, რუსეთმა თავი მოტყუებულად იგრძნო, როდესაც მის მიერ მოწონებული გაეროს რეზოლუცია დასავლეთმა მუამარ კადაფის დასამხობად გამოიყენა.

ამ ყველაფერთან ერთად აღსანიშნავია

აშშ-ის ცენტრალური სამმართველოს მონაწილეობა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მოწყობილ სახელმწიფო გადატრიალებებში, მათ შორის უკრაინაში“.

«მემარჯვენე სექტორის» ლიდერს ინტერპოლი ეძებს

ინტერპოლმა ძებნა გამოაცხადა უკრაინის ნაციონალისტური მოძრაობა „მემარჯვენე სექტორის“ ლიდერ დიმიტრი იაროშზე, რომელსაც ექსტრემიზმისკენ მოწოდებასა და მასმედიის გამოყენებით ტერორისტულ საქმიანობაში ადანაშაულებენ.

42 წლის მემარჯვენე-რადიკალური ნაციონალისტური მოძრაობის ლიდერ დიმიტრი იაროშის მონაცემები შეტანილია ინტერპოლის ბაზაში, რომლის ნახვაც შეგიძლიათ ამ ორგანიზაციის ვებგვერდზე. რუსეთის სამართალდამცველმა ორგანოებმა მიმდინარე წლის გაზაფხულზე მიმართეს ინტერპოლის ხელმძღვანელობას იაროშზე ძებნის გამოცხადების შესახებ. რუსი გამომძიებლები „მემარჯვენე სექტორის“ ლიდერს ექსტრემიზმისა და მასობრივი საინფორმაციო საშუალების გამოყენებით ტერორისტული აქტების ჩადენაში ადანაშაულებენ.

უკრაინელი ნაციონალისტების ლიდერზე, რომელიც უკრაინის ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ საპრეზიდენტო არჩევნებში ერთ-ერთ კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარა, საერთაშორისო ძებნა მას შემდეგ გამოაცხადა, რაც სოციალურ ქსელში განცხადებით მიმართა ჩეჩენი „ბოევიკების“ ლიდერებს და რუსეთთან ომის წარმოებაში დახმარება სთხოვა. უკრაინელი ნაციონალისტი, აგრეთვე, იმუქრებოდა რუსეთისა და ევროპის შემაერთებელი გაზსადენის აფეთქებით.

უკრაინელი რადიკალების ჯგუფი „მემარჯვენე სექტორი“ უკრაინაში სახელმწიფო გადატრიალების წინ ჩამოყალიბდა.

იაცენიუკის გადადგომა უკრაინის კრახით არის გამოწვეული

უკრაინის უზენაეს რადაში კოალიცია „ევროპული არჩევანის“ დაშლის შემდეგ უკრაინის პრემიერმინისტრი არსენი იაცენიუკი თანამდებობიდან გადადგა. უკრაინის კონსტიტუციის თანახმად, პრემიერმინისტრის გადადგომის შემდეგ მინისტრთა კაბინეტიც უნდა გადადგეს.

ექსპერტთა აზრით, უკრაინის პრემიერმინისტრის გადადგომის მიზეზი არის ის, რომ მისი მმართველობის პერიოდში უკრაინა, ფაქტობრივად, კრახის ზღვარზე აღმოჩნდა.

„საქმე ის არის, რომ იმ ხუთი თვის განმავლობაში, რაც იაცენიუკი პრემიერმინისტრის პოსტზე იმყოფებოდა, უკრაინა, ფაქტობრივად, სრული კრახის ზღვარზე აღმოჩნდა. დაპირებული მასშტაბური კრედიტები ქვეყანას არ მიუღია, ხოლო რაც მიიღო, ძირითადად, ქვეყნის აღმოსავლეთში ომის უზრუნველსაყოფად დახარჯა. რუსეთიდან ბუნებრივი აირის მიღების შესახებ ხელშეკრულება გაუქმებულია, სახელმწიფო ბიუჯეტი აღარ ივსება, ამასთანავე, უკრაინის არმია დიდ დანაკარგებს განიცდის ქვეყნის აღმოსავლეთში. და კიდევ — პროვოკაცია, რომელიც ვაშინგტონის ხელმძღვანელობით კიევმა განახორციელა მალაიზიის „ბოინგის“ ტრაგედიიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანი ფაქტორი აღმოჩნდა გადადგომის გადაწყვეტილების მისაღებად. იაცენიუკი ხვდება, რომ, თუკი მთავრობის ხელმძღვანელის პოსტზე დარჩება, წერტილს დაუსვამს თავის პოლიტიკურ კარიერას“, — ასეთია ექსპერტთა აზრი იაცენიუკის გადადგომაზე.

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

გაეროს გენერალური სამდივნოს ყოველწლიურ ანგარიშში აღნიშნულია, რომ მრავალ რეგიონში, მათ შორის ავღანეთსა და ერაყში, ბავშვების წვალებისა და მკვლელობის შემთხვევები მნიშვნელოვნად გახშირდა. გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ასევე აღნიშნავენ, რომ აღრიცხული აქვთ არმიაში ბავშვების ძალით წაყვანის 4000-ზე მეტი შემთხვევა.

ძალადობის ბაზარი და «ბოევიკების» თურქული ექსპორტი

თურქეთისა და სირიის საზღვარი, რომლის სიგრძეც 950 კილომეტრს შეადგენს, გამაგრებულია დანაღმული ველებით და ეკლიანი მავთულის ბადეებით, მაგრამ ეს დაბრკოლებები საკმარისი არ არის იმისთვის, რომ შეიქმნას სხვადასხვა სახის — ისტორიული, გეოგრაფიული, ეკონომიკური, კულტურული, ეთნიკური, იდეოლოგიური იდენტურობისთვის ბარიერები. შედეგად პოლიტიკური საზღვრის არსი ქრება, ქვეყნის პოტენციალი კი, იქცეს ქაოსის შემადგენელ ნაწილად, იზრდება.

თურქეთი განაგრძობს „ბოევიკების“ ფართო ასორტიმენტის ექსპორტს სირიასა და ერაყში. თუ ამ სიტუაციას ქურთებთან დაკავშირებით განვიხილავთ, ძალზე ნიშანდობლივი სურათი გამოიკვეთება. თურქეთის მოქალაქეობის მქონე ქურთებს შორის იდეოლოგიური განხეთქილება ბოევიკების ექსპორტზეც აისახება.

მასმედიაში ყველაზე ფართოდ გაშუქდა სირიელი ქურთების ნაციონალური პარტიის — „დემოკრატიული კავშირის“ რიგების შევსება. ეს პარტია დაკავშირებულია ქურთისტანის მშრომელთა პარტიასთან. ქურთების მნიშვნელოვანი რაოდენობა — თურქეთის მოქალაქეები — გადავიდნენ საზღვარზე და სირიისკენ გაემართნენ საომრად.

ქურთული წარმომავლობის თურქეთის მოქალაქეებს შორის საკმაოდ აქტიურნი არიან ისინიც, ვისი მიზანიცაა „ერაყისა და ლევანტის ისლამური სახელმწიფოს“ (ელის) ან „ძმები მუსლიმანების“ მხარეს მებრძოლი „ანნუსრას“ მსგავს დაჯგუფებებში ბრძოლა. უფრო მეტიც, არის ისლამური დაჯგუფებები, რომლებიც მხარს უჭერენ და იცავენ ასადს, გაუხმაურებლად კი — ირანს. ეს განხეთქილება ჩანს იმ პროპაგანდისტული ომების დროს, რომლებიც მთელი ინტენსივობით გრძელდება ვირტუალურ სამყაროში.

უცხოელი ბოევიკების პრობლემების კონტექსტში განხილული უნდა იქნეს თურქეთის მოქალაქეთა მეორე ჯგუფიც — არაბული წარმომავლობის ალავიტები. საიდუმლო არ არის, რომ ყველა, ვინც ამ ჯგუფში შედის, ასადის რეჟიმს უჭერს მხარს. დიდი ძალიასხმევა არ არის საჭირო იმის დასადგენად, რომ ზოგიერთი მათგანი სირიის სამოქალაქო ომში მონაწილეობს.

მესამე ჯგუფს წარმოადგენენ თურქული და სხვა წარმომავლობის მოქალაქეები. თუ სუნიტების ერთი ნაწილი უპირატესობას ანიჭებს ელისსა და ან-ნუსრას ფრონტს, სხვები გაცილებით უფრო ზომიერნი არიან და სირიელი თურქმენების შეიარაღებულ დაჯგუფებებში შედიან. ამასთან, არა არაბული, არამედ თურქული წარმომავლობის ალავიტები ოდნავ განსხვავებული გზით მიდიან.

ვინაიდან თურქეთმა მთელი თავისი ყურადღება მიმართა მომავალი საპრეზიდენტო არჩევნებისკენ, მას ნაკლებად აინტერესებს მსგავსი საკითხები. მაგრამ ისტორიული გამოცდილება თვალნათლივ აჩვენებს: **თუ თურქეთის მოქალაქეები საზღვრის მიღმა, სადაც არ არსებობს სუვერენული პოლიტიკური მმართველობა, რომელიმე ქვეყნის იდეოლოგიისთვის აწარმოებენ ბრძოლას და ამ საქმის იმდენად სჯერათ, რომ მზად არიან, სიცოცხლეც კი გაწირონ, ეს ნიშნავს, რომ პერსპექტივაში თურქეთსაც დიდი პრობლემები ელის.**

გახდებიან რა კიდევ უფრო რადიკალურები, ეს ადამიანები ოდესმე თურქეთში დაბრუნდებიან. იმ დროისათვის, როდესაც ომი მათ საბოლოოდ ჩამოაშორებს რეალობას, ძალის გამოყენება მათსავე აზროვნებაში ლეგიტიმურობას შეიძენს. მათ ხელი მიუწვდებათ იარაღსა და ასაფეთქებელ ნივთიერებებზე სირიასა და ერაყში.

საომრად შექმნილ ქსელში ჩართულ რელიგიურ და ეთნიკურ ღირებულებებზე აღზრდილი ეს ადამიანები დაბრუნდებიან სამშობლოში და მოინდომებენ, საკუთარ ტერიტორიაზე განაგრძონ ომი, ანუ აკეთონ ის, რაც იციან და შეუძლიათ...

Milliyet

რატომ იხოცება შეიარაღებულ კონფლიქტებში ამდენი ბავშვი

ბოლო დროს კონფლიქტებში განსაკუთრებით ბავშვები ზარალდებიან. 50-ზე მეტი პალესტინელი პატარა უკვე შეეწირა ღაზაზე ისრაელის დარტყმებს, თავად ღაზაში კი, როგორც ცნობილია, პროვოცირებულ იქნა სამი ებრაელი მოზარდის გატაცება და მკვლელობა. როგორც The New York Times-ი წერს, სამი პალესტინელი ბიჭის დაღუპვა პლაჟზე „ღაზას სექტორზე ისრაელის დარტყმების ნამდვილ სიმბოლოდ იქცა, დარტყმებისა, რომელთაც ამ ღატაკ და მჭიდროდ დასახლებულ სანაპირო რეგიონში უდანაშაულოები ეწირებიან“.

მსოფლიოს ამ ნაწილში ნარკოვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლა განსაკუთრებულ დარტყმას აყენებს ბავშვებს, რომლებიც სულ უფრო ხშირად ხვდებიან ფრონტის ხაზზე. სალვადორში ბავშვები სულ უფრო ხშირად იღუპებიან იმ ფონზე, რომ საერთო ჯამში სისხლისღვრა, ადგილობრივ ბანდებს შორის შერიგების შემდეგ, შემცირდა.

არ შეიძლება ყურადღების გარეშე დავტოვოთ ნიგერიის ჩრდილოეთში მოქმედი მოძრაობა „ბოკო ხარამი“, რომელმაც საყოველთაო ყურადღება მიიპყრო მიმდინარე წლის აპრილში 223 მოსწავლის გატაცების შემდეგ. ამ ბავშვების უმეტესობა ჯერაც ფანატიკოსთა ხელშია.

გაეროს გენერალური სამდივნოს ყოველწლიურ ანგარიშში აღნიშნულია, რომ მრავალ რეგიონში, მათ შორის ავღანეთსა და ერაყში, ბავშვების წვალებისა და მკვლელობის შემთხვევები მნიშვნელოვნად გახშირდა. გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ასევე აღნიშნავენ, რომ აღრიცხული აქვთ არმიაში ბავშვების ძალით წაყვანის 4000-ზე მეტი შემთხვევა.

მაგრამ რატომაა, რომ დღევანდელი ომები ბავშვებისთვის უფრო მომაკვდინებელია, ვიდრე სხვა ომები იყო? როგორც The New Yorker Times-ში აღნიშნავენ, საქმე ისაა, რომ თანამედროვე კონფლიქტები სულ უფრო ხშირად მიმდინარეობს საზღვრებს შიგნით და არა სახელმწიფოებს შორის. ახლა ბრძოლები მიმდინარეობს ქალაქების ქუჩებში, სადაც საცხოვრებელი რაიონებია — გასართობი მოედნები და საბავშვო ბაღები.

გაეროს ბოლოდროინდელი ანგარიშით, რომელიც ავღანეთში არსებულ მდგომარეობას ეხებოდა, შარშან ავღანეთში მსხვერპლთა შორის ქალებისა და ბავშვების რაოდენობა უფრო სწრაფად გაიზარდა, ვიდრე ზრდასრული მამაკაცების. რა არის მიზეზი? ის, რომ საომარი ტექნიკის თვითნაკეთი ბომბებით აფეთქებამ ადგილი დაუთმო შეიარაღებულ შეტაკებებს მჭიდროდ დასახლებულ რაიონებსა და ქალაქებში. **საერთო ჯამში, დღეს ბრძოლებში უფრო ნაკლები მშვიდობიანი მოსახლე იღუპება, ვიდრე ადრე, თუ შესადარებლად ოცდაათწლიან ომს ან დრეზდენის დაბომბვას ავირჩევთ...**

მიუხედავად ამისა, ბავშვების დახოცვა უკვე შემთხვევითი დანაკარგი აღარ არის.

ცენტრალური ამერიკის დამნაშავეობრივი ორგანიზაციების მოღვაწეობის ამსახველი ანგარიშების მიხედვით, ეს ორგანიზაციები შეგნებულად ირჩევენ სამიზნეებად ბავშვებს: ისინი მათგან ან ახალ ჯარისკაცებს ზრდიან, ან მშობლების დასაჯელად და მათთვის ფულის გამოძალვისთვის იყენებენ. „ბოკო ხარამში“ მშვენივრად ესმით, რომ სკოლის მოსწავლეების გატაცება ორგანიზაციას მსოფლიოში გაუთქვამს სახელს.

ერთი თვის წინათ დახოცილი ისრაელელი მოზარდები, აბსოლუტურად ცხადია, რომ გამიზნული ძალადობრივი ქმედებების მსხვერპლად იქცნენ. იგივე შეიძლება ითქვას საპასუხოდ მოკლულ ახალგაზრდა პალესტინელზეც. **„ერაყისა და ლევანტის ისლამურმა სახელმწიფომ“ ქურთული რაზმების წინააღმდეგ ბრძოლაში შეგნებულად ამოიღო მიზანში ოჯახები და ბავშვები. სირიის არმიაც დაადანაშაულეს ბავშვებზე შეგნებულ შეტევებში...**

ამჟამინდელ მსოფლიოში ბავშვები სისხლისღვრების მხოლოდ შემთხვევითი მსხვერპლნი არ არიან.

Slate.fr

ამერიკელთა მესამედი მიიჩნევს, რომ რელიგია „დაბერდა“, ასე რომ, ეს, თავის მხრივ, ნიშნავს, რომ რწმენა ნელა, მაგრამ მტკიცე ნაბიჯებით „გადადის მოდიდან“.

მსოფლიო

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

გელაპის ინსტიტუტი რელიგიის წინააღმდეგ

საზოგადოებრივი აზრის კვლევის გელაპის ინსტიტუტმა ამერიკელები რელიგიის აღსასრულის უნებლიე მაცნეებად აქცია. ინსტიტუტმა ათას ადამიანს შესთავაზა, პასუხი გაეცათ შეკითხვაზე: თვლიან თუ არა, რომ რელიგიას ყველა თანამედროვე პრობლემის გადაჭრა შეუძლია, თუ ის უმეტესად ძველმოდური და არააქტუალური გახდა?

გამაოგნებელია, მაგრამ მხოლოდ ადამიანთა 13%-მა შეიკავა თავი პასუხის გაცემისგან. გამოკითხულთა 57%-მა განაცხადა, რომ რელიგიაში არის პასუხი ნებისმიერ კითხვაზე, 30%-ს კი მიაჩნია, რომ ის ძველმოდურია.

ორი პასუხი და ორი უკიდურესობა. რესპონდენტთა უმეტესობა, ალბათ, უპასუხებდა: „ერთიც და მეორეც“, თუ პასუხების შესაძლო ვარიანტებში ამგვარ ფორმულირებას აღმოაჩენდა. „მოძველებული“ და „სასარგებლო“ ურთიერთგამომრიცხავი მცნებები არ არის, სხვადასხვა რელიგიის სხვადასხვა მიმდინარეობა, შესაძლოა, მოიცავდეს ერთ-ერთ ვარიანტს ან არც ერთს, ან პირიქით — ორივეს.

გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია ის, რომ პასუხების ამგვარი ვარიანტები თავისი არსით უაზრობაა. როდესაც ხედავ ფრაზას — „ყველა თანამედროვე პრობლემა“, პირველ რიგში, ფიქრობ, კონკრეტულად რას გულისხმობდნენ ამის ავტორები: პოლიტიკას, ამერიკული ჯანდაცვის არაეფექტურ სისტემას ლოზუნგით „მეტი ფული!“ სიმდიდრისკენ სწრაფვას? თავად მცნებები — „დაბარებული“ და „არათანამედროვე“ საგანგაშოა: ისინი ეფუძნება კონკრეტულ ისტორიულ იდეას, რომლის თანახმადაც ადამიანთა ცივილიზაცია ვითარდება თანამედროვე ეპოქისკენ მომავალი ხაზით. საფუძველში დევს ვარაუდი, რომ სეკულარიზაციის იდეის თეორეტიკოსები რაღაცაში მართალნი არიან: **რელიგია არის რაღაც მოძველებული, თანამედროვეობამდელი ან სულაც ანტითანამედროვე.**

ამგვარი გამოკითხვა ნათლად მიანიშნებს, რომ რელიგიასთან დაკავშირებით ეჭვები და ამასთან ერთად, სეკულარიზაციაც, უდავოდ მზარდი ტენდენციაა. **ამერიკელთა მესამედი მიიჩნევს, რომ რელიგია „დაბერდა“, ასე რომ, ეს, თავის მხრივ, ნიშნავს, რომ რწმენა ნელა, მაგრამ მტკიცე ნაბიჯებით „გადადის მოდიდან“. მაგრამ ამგვარი მტკიცება მართებულია მხოლოდ ზოგადი თვალსაზრისით: როდესაც 2012 წელს კვლევითი ცენტრი PEW-ის გამოკითხვის მონაწილეებს ჰკითხეს, სწამდათ თუ არა ღმერთი ან სულიწმიდა, გამოკითხულთა 92%-მა დადებითად უპასუხა, 7%-მა — უარყოფითად და მხოლოდ 2%-ს გაუჭირდა პასუხის გაცემა.** როდესაც კითხვა დაისვა სხვაგვარად — **რომელ აღმსარებლობას მიაკუთვნებთ თავს და მიაკუთვნებთ თუ არა საერთოდ რომელიმეს?** — 2%-ზე ცოტა მეტმა ადამიანმა საკუთარ თავს ათეისტი უწოდა, 3%-მა აგნოსტიკი და 14%-მა კონკრეტულად ვერანაირად ვერ დაახასიათა საკუთარი თავი ამ მიმართულებით.

როგორც იმ პერიოდში მკვლევარებმა აღნიშნეს, ამგვარი მდგომარეობა ასახავს რელიგიურად არაპარტიული ადამიანების ზრდას — **ხუთ წელიწადში ათეისტების, აგნოსტიკებისა და განუსაზღვრელი რწმენის ადამიანების რაოდენობა 4%-ით გაიზარდა.** ამდენად, მტკიცება, რომ გელაპის ინსტიტუტის მონაცემები ასახავს ასეთსავე საერთო მიმართულებებს აშშ-ის რელიგიურ დინებებში, თავისთავად მცდარი არ არის. მაგრამ Pew-ის მიერ ჩატარებული უფრო საგულდაგულოდ ფორმულირებული გამოკითხვის შედეგად დადგინდა, რომ აღმსარებლობის შესახებ მონაცემების შეგროვებას მრავალი პრობლემა ახლავს: ორმა უმნიშვნელოდ განსხვავებულმა კითხვამ, რომლებიც ერთი და იმავე კვლევის ფარგლებში დაისვა, აბსოლუტურად სხვადასხვაგვარად ასახა პროცენტებში ქვეყანაში ურწმუნოთა რაოდენობა: **ადამიანთა 7%-მა განაცხადა, რომ არ სწამთ ღმერთი, მაგრამ მხოლოდ 2%-მა უწოდა საკუთარ თავს ათეისტი.**

ეს ორაზროვნება მსგავსი გამოკითხვების გრაფიკებში არსად ფიგურირებს. თეორიულად გელაპის სოციოლოგები თავს ძალზე კომფორტულად იგრძნობდნენ, დაუშვებდნენ რა ყველანაირი ნაკლოვანების არსებობას სოციოლოგიაში, როგორც მეცნიერებაში.

თანამედროვე გამოკითხვების უკიდეგანო ოკეანეში ეს მხოლოდ ერთი ანკეტის ერთი კითხვაა. ეს არის მშვენიერი მაგალითი განსაკუთრებული სურვილისა, გაიზომოს რწმენისა და იდეოლოგიის ყოველი ასპექტი, თითქოს ემპირიული სოციოლოგია მსოფლიოზე რაღაც ცოდნის მიღების ერთადერთი კანონიერი საშუალება იყოს.

The Atlantic

თუ არსებობს სამართლიანი ომი, რატომ არ არსებობს სამართლიანი ტერორიზმი?

უკვე მერამდენე ათწლეულია, გაერო ვერ განსაზღვრავს ტერორიზმს. ახლახან ბრიტანეთის უმაღლესმა სასამართლომ დაადასტურა, რომ მიღებული საერთაშორისო განსაზღვრება არ არსებობს. საქმე ისაა, რომ დასავლურ ხელისუფლებებს სჭირდებათ განსაზღვრება, რომელშიც არ მოხვდებოდნენ სახელმწიფოები და სახელმწიფო ორგანოები. თავის მხრივ, მთელ რიგ ისლამურ ქვეყნებს სჭირდებათ, რომ ტერორიზმის განსაზღვრებაში არ ხვდებოდნენ გარკვეული ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობები.

ადვოკატი დევიდ ანდერსონი, რომელიც ხელისუფლების დამოუკიდებელ ექსპერტად მუშაობს ანტიტერორისტული კანონმდებლობის მიმართულებით, თავის უკანასკნელ ანგარიშში აღნიშნავს: „ამ საკითხების ნაწილის გადაუჭრელი ხასიათი დამარცხების გრძნობას უნერგავს მათ, ვინც ცდილობს, ბოლოს და ბოლოს განსაზღვროს ტერორიზმი“.

აღმოსავლეთ იერუსალიმის მკვიდრი ფსიქიატრი და ფსიქოთერაპევტი **სამახ ჟაბრი** საშუალო ფენის წარმომადგენელი განათლებული პალესტინელია და დარწმუნებულია, რომ სიტყვა „ტერორიზმი“ გარდაიქმნა მოსახერხებელ, ხშირად გაუაზრებლად გამოყენებად პოლიტიკურ ლანძღვად, რომელიც ძალადობისა და ოკუპაციის კანონიერი წინააღმდეგობის დისკრედიტაციისთვის იხმარება.

ის, რასაც ხშირად ტერორიზმს უწოდებენ, ჟაბრის აზრით, მორალური ვალდებულებაა, „რატომ უწოდებენ ტერორისტებს მათ, ვინც თვითნაკეთ ბომბებს ისვრიან, და არა სახელმწიფოს, რომელიც საკუთარი ბატონობის გარანტირებას ახერხებს ბირთვული იარაღითა და სხვა საერთაშორისოდ დაგმობილი საშუალებებით?“ მისი აზრით, ძალადობრივი მეთოდებით წინააღმდეგობას თავდაცვის ფარგლებში შეიძლება მიმართო, როგორც უკანასკნელ საშუალებას. ამასთან, მნიშვნელოვანია, განასხვავო სამხედრო და სამოქალაქო მიზნები. „ამერიკული პრესა თავისუფლებისკენ ჩვენს მისწრაფებას ტერორიზმს უწოდებს. არადა, გაეროს წესდების 50-ე მუხლი, რომელშიც თავდაცვაზეა საუბარი, შეიარაღებული ბრძოლის გზით თვითგანსაზღვრებას აღიარებს“.

ცოტა ხნის წინათ რადიოთერით აღნიშნულ თემებზე საუბრისას ერთ-ერთი სასულიერო პირის სიტყვებს იმის თაობაზე, რომ წინააღმდეგობა შეიძლება გამართლებული იყოს, აღშფოთების ტალღა მოჰყვა. კერძოდ, მას აუხსნეს, რომ, როგორც სასულიერო პირს, უფლება არ აქვს, ასე თვლიდეს. ამ დროს ქრისტიანი მოაზროვნეები ბევრს მსჯელობდნენ სამართლიანი წინააღმდეგობის იდეაზე. რეფორმაციამ გააჩინა იმ ტექსტების ტალღა, რომლებიც მორალური კუთხით ამართლებს სახელმწიფოსთვის წინააღმდეგობის გაწევას იმ შემთხვევებში, როდესაც სახელმწიფო ცდილობს, თავის ქვეშევრდომებს რელიგიური რწმენის საკუთარი აღქმა მოახვიოს თავს.

სინამდვილეში თანამედროვე პოლიტიკური თეორიის დიდი ნაწილი სახელმწიფოს როლისა და მისი ძალაუფლების საზღვრების თაობაზე ეფუძნება XVI-XVII საუკუნეების პოლიტიკურ თეოლოგიას და იმ ადამიანების მოღვაწეობას, რომლებიც, დღევანდელი კანონმდებლობის თვალსაზრისით, ტერორისტებად გამოიყურებიან. მაგალითად, ოლივერ კრომველს ახლა უდავოდ ტერორისტად გამოაცხადებდნენ. თუ კარგად დავფიქრდებით, იგივე შეიძლება ითქვას მოსეზეც — გავიხსენოთ მისი სახელგანთქმული და ძალიან სისხლიანი დაპირისპირება ეგვიპტურ სახელმწიფოსთან. სხვათა შორის, ორივე შემთხვევაში ტერორიზმი რელიგიურადაც მოტივირებული იყო, მაგრამ, თუ არსებობს სამართლიანი ომები, რატომ არ არსებობს სამართლიანი ტერორიზმი?

ჩვენ გვსმენია ასიმეტრიულ ომზე, ახლა კი სახეზეა ასიმეტრიული მორალი, რომელიც ხშირად ოკუპაციის სასარგებლოდ მუშაობს, ეს კი უსამართლობაა...

The Guardian

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

იმ მეთოდებზე უარის თქმა, რომლებიც 1985 წლისთვის ბავშვების სამ მეოთხედს და მოზრდილების ნახევარს კურნავდა, შესაძლოა, ძალიან ცუდად დასრულდეს, რადგან ახლა არავინ იცის, რა შედეგს მოგვცემს გრძელვადიან პერსპექტივაში გენეტიკაზე დაფუძნებული მკურნალობის მეთოდები.

პაციენტები — ფარმაცევტების საცდელი ბოცვრები

თუ ადრე ცდილობდნენ, პაციენტებისთვის ეფექტური და მათ საჭიროებებზე ადაპტირებული მკურნალობა შეეთავაზებინათ, ახლა მათ კლინიკურ ცდებში მოუწევთ მონაწილეობა. ამგვარი შემაშფოთებელი პრაქტიკა, სამწუხაროდ, დღეს გახშირდა. ახლა საფრანგეთში, გარშის საავადმყოფოში არიან სიმსივნით დაავადებული ბავშვები, რომლებსაც მომავალში სტანდარტული სამედიცინო პროტოკოლების შესაბამისად უმკურნალებენ, ეს პროტოკოლები კი კლინიკურ ცდებსაც მოიცავს.

მკურნალობის კარგად ცნობილი მეთოდის გარჩევა თერაპიული ცდების პროტოკოლისგან საკმაოდ იოლი საქმეა. ფესვგადგმული მეთოდი უკვე გამოიყენებოდა პრაქტიკაში, მასზე გამოქვეყნდა სამეცნიერო პუბლიკაციები, ის იცვლებოდა, დროის პარალელურად განიცდიდა ევოლუციას. ის წარმოადგენს „მეცნიერების მიმდინარე მდგომარეობას“. მისი თანმდევი რისკების შესახებ, ისევე, როგორც მკურნალობის შედეგების შესახებ, ყველაფერი ცნობილია და ნებისმიერ ადამიანს შეუძლია, მოიძიოს მისთვის საინტერესო ინფორმაცია.

კლინიკური ცდები მიმართულია გადაუჭრელი საკითხებისათვის პასუხების მოსაძებნად. მისი შედეგები და რისკები ცნობილი არ არის, რადგან საუბარია, სულ მცირე, ნაწილობრივ ექსპერიმენტულ მკურნალობაზე.

ამგვარი ცდების დიდი ნაწილი ტარდება პაციენტების ორ ჯგუფად გაყოფის გზით. ერთ ჯგუფს სტანდარტულად მკურნალობენ, მეორეს კი ახალ კურსს უნიშნავენ. შედეგები შესაძლებლობას იძლევა, იოლად დადგინდეს განსხვავება მკურნალობის ამ ორ სახეობას შორის. სწორედ ამგვარ ექსპერიმენტში არიან ჩართულნი სიმსივნით დაავადებული ბავშვებიც.

ოჯახები იბრძვიან იმისათვის, რომ ბოლომდე ინფორმირებულნი იყვნენ და ისე გააკეთონ არჩევანი ტრადიციულ მკურნალობასა და კლინიკურ ცდებს შორის. ამის უფლება ნებისმიერ ადამიანს აქვს.

ცდების ფაზები შემდეგნაირად იყოფა: მესამე ფაზაში ჩართულნი არიან სიმსივნით დაავადებული ბავშვების უმეტესობა, მეორე ფაზაში ცდილობენ იმ დაავადებების განსაზღვრას, რომლებზეც შეიძლება იმოქმედოს პრეპარატმა, პირველ ფაზაში კი ადგენენ ახალი მედიკამენტის მაქსიმალურ დასაშვებ დოზას.

მიუხედავად ამ ფაზებისა, უფროსები სულ უფრო ხშირად აკეთებენ არჩევანს თერაპიული ინოვაციის გამოცდის სასარგებლოდ (მის ხარჯებს ყოველთვის 100%-ით და დროულად ფარავს სოცუზრუნველყოფა). გარდა ამისა, სულ უფრო მეტი ბავშვი გადაჰყავთ მოკლე პერიოდში ცდის პირველ ფაზაზე, თანაც ეს კეთდება პრეპარატების ცხოველებზე გამოცდის დასრულებისთანავე.

ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინათ ამგვარი რამ წარმოუდგენელი იყო. იმისათვის, რომ ადამიანმა ზუსტად იცოდეს, საკუთარი ნებართვის გარეშე ხომ არ ჩართეს რომელიღაც ცდაში, უნდა მოითხოვოს პროტოკოლის გამოქვეყნებული შედეგები. ამასთან, დაწვრილებით უნდა გაეცნოს მკურნალობის სქემას და დარწმუნდეს, რომ ის არ მოიცავს შემთხვევით შერჩევას.

თერაპიის დროს აუცილებელია შედეგების პერმანენტული შესწავლა მკურნალობის გასაუმჯობესებლად. ეს საყოველთაო პრაქტიკაა. თუ მკურნალობა უშედეგოა, ის უნდა შეიცვალოს და ამ საქმეში წინსვლა მხოლოდ პაციენტზე ყურადღებით დაკვირვების შედეგადაა შესაძლებელი. 1960-იან წლებში გამოიგონეს ადამიანების დიდ ჯგუფზე ცალკეული სპეციალისტის ან ჯგუფის აღმოჩენის გამოცდა და იმ დროს ეს თეორიული პროგრესის მაჩვენებელი იყო, მაგრამ შემდეგ ახალი პრეპარატის ან მკურნალობის მეთოდის ეფექტურობის შეფასება აბსოლუტურ მიზნად იქცა და ყველას დაავიწყდა მეთოდის ნაკლი — პაციენტისგან მოწყვეტით მისი მკურნალობა. ცდა მხოლოდ ამოწმებს შედეგს, ის არაფერს ქმნის და არაფერს გამოიგონებს.

დღეს მთელი მკურნალობა „პროტოკოლებითაა“ გაწერილი და პაციენტს ყოველთვის როდი ეუბნებიან, რა სახის მკურნალობას უნიშნავენ. ძალიან ხშირად ავადმყოფს აჯერებენ, რომ ის, რასაც სთავაზობენ, „ჩვეულებრივი, სტანდარტული მკურნალობაა“ და „ასე აკეთებს ყველა“. დეზინფორმაციის მსხვერპლნი ხშირად მედიკებიც კი ხდებიან. სიმსივნესთან დაკავშირებით დამკვიდრებულია, რომ ექიმებს ან საერთოდ არ უნდა გააცნონ, ან მათ გაცნობისთანავე უნდა დაინიშნოს სტანდარტული მკურნალობა. ზოგიერთები სტუდენტ მედიკებს იმასაც კი ეუბნებიან, რომ სამი წლის წინანდელი სტატიების კითხვა არ არის რეკომენდებული, რადგან ისინი უკვე მოძველდა.

იმ მეთოდებზე უარის თქმა, რომლებიც 1985 წლისთვის ბავშვების სამ მეოთხედს და მოზრდილების ნახევარს კურნავდა, შესაძლოა, ძალიან ცუდად დასრულდეს, რადგან ახლა არავინ იცის, რა შედეგს მოგვცემს გრძელვადიან პერსპექტივაში გენეტიკაზე დაფუძნებული მკურნალობის მეთოდები.

ახლა ევროპის სასამართლოებში შეტანილია უამრავი სარჩელი, რადგან სიმსივნის, და არა მხოლოდ სიმსივნის, მკურნალობის პრაქტიკაში ექსპერიმენტული პრაქტიკის ჰეგემონია პაციენტების მხრიდან თანხმობის გარეშე არ შეესაბამება სამართლებრივი სახელმწიფოს სტატუსს, რომელიც ოფიციალურად აქვთ ევროპის ქვეყნებს.

უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი ცდა აუცილებელია, მიუხედავად იმისა, რომ, ეთიკური თვალსაზრისით, შესაძლოა, სადავოდაც კი გამოიყურებოდეს. მაგრამ ნებისმიერი ცდისას გამოცდები ტარდება მცირე რაოდენობით ადამიანებზე, რომლებიც ცუდად ასახავენ იმ მოსახლეობის საერთო მდგომარეობას, რომელიც საბოლოო ჯამში მიიღებს პრეპარატს. გარდა ამისა, ცდებში უნდა მონაწილეობდნენ მხოლოდ დაავადების ბოლო სტადიაზე მყოფი პაციენტები და მხოლოდ საკუთარი თანხმობის საფუძველზე.

მესამე ფაზის ცდებმა უნდა დაადგინოს პრეპარატის რეალური ეფექტურობა, ტოქსიკურობა, სხვა პრეპარატებთან ერთად მიღებისას შესაძლო რეაქციები. ამ შედეგებმა უნდა დაიცვას მომავალი პაციენტები უსარგებლო ან სახიფათო წამლებისგან. სამწუხაროდ, ფირმებმა, რომლებიც ექიმებს ფულს უხდიან ცდების ჩატარებისთვის, ხელისუფლებებიც დაარწმუნეს, რომ ცდების შედეგები ყოველგვარი დამოუკიდებელი კონტროლის გარეშე მათთან უნდა დარჩეს, როგორც „ინტელექტუალური საკუთრება“. ამის ხარჯზე ისინი ახერხებენ, არა მხოლოდ არ გამოაქვეყნონ მათთვის არახელსაყრელი მონაცემები, არამედ ცდის მთელი შედეგებიც გააყალბონ. ამის დასტურია პრეპარატ VIOXX-სთან დაკავშირებული ნამდვილი სანიტარული კატასტროფა, რომელსაც აშშ-ში 23 ათასი ადამიანი ემსხვერპლა.

ვიდრე პრეპარატი ფართოდ არ გამოიყენება, მის უსაფრთხოებაზე სრული დარწმუნებით საუბარი შეუძლებელია. **ფარმაცევტულ კომპანიებზე საჭიროა მკაცრი კონტროლი, მაგრამ მთელ რიგ ქვეყნებში ეს კონტროლი მხოლოდ ქაღალდზე რჩება.** ხელისუფლება, რომელიც ნამდვილად ზრუნავს სანიტარულ უსაფრთხოებაზე, დააწესებდა თანასაკუთრებას კლინიკური ცდების ჩატარებაზე და მიაღწევდა სრულ გამჭვირვალობას. ვინაიდან ეს არ ხდება, სავარაუდოდ, მომავალში კიდევ იქნება სანიტარული კატასტროფები. მით უფრო, რომ წამლების წარმოებასა და ბაზარზე გატანას იმაზე მეტად არავინ აკონტროლებს, ვიდრე ლაზანიას გამოცხობას...

სამწუხაროდ, ფარმაცევტული ინდუსტრია მხოლოდ მოგებაზეა ორიენტირებული და მას ეს მშვენივრად გამოსდის, რადგან მოგება მასში შემავალი კერძო კომპანიების ბრუნვის მეოთხედს შეადგენს. მიისწრაფიან რა, კიდევ უფრო გაზარდონ მოგება, ისინი ერთ-ერთი უმთავრესი კორუფციონერები ხდებიან და ათასგვარი მეთოდით (ფული, ძალაუფლება, გავლენა, დასაქმება და ასე შემდეგ) მოისყიდიან სახელმწიფოს, მის ხელმძღვანელობას და ექსპერტებს. საქმეში ტრიალებს ძალზე მნიშვნელოვანი თანხები. მაგალითად, იტალიის ჯანდაცვის სამინისტრომ 600 მილიონი ლირა მიიღო იმისათვის, რომ 3 ჰეპატიტის ვაქცინაცია საყოველთაოდ გამოეცხადებინა. ამგვარი მდგომარეობა, უბრალოდ, სულს ხდის ნებისმიერ დამოუკიდებელ კვლევას, რომელიც შეიძლებოდა პროგრესის წყარო გამხდარიყო. სახელმწიფო და კერძო სტრუქტურების აქტიურმა თანამშრომლობამ, ფაქტობრივად, გააქრო დამოუკიდებელი კვლევები.

რაც შეეხება ექიმების მოსყიდვას, ის ათასგვარი ფორმით ხორციელდება და მოიცავს როგორც ფინანსებს, ასევე საპატიო წოდებებს, კარიერასა და გავლენას. თუ ვიღაც ერთგულებას შეჰფიცებს მსხვილ ფარმაცევტულ კომპანიას, ეს მნიშვნელოვნად წასწევს წინ მის კარიერას, რადგან საშუალება მიეცემა, გამოვიდეს დაფინანსებულ ყრილობებზე, გახდეს იმ სამეცნიერო შრომების ნაყოფიერი ავტორი, რომლებსაც საჭიროების შემთხვევაში სხვები დაუწერენ და შემდეგ ცნობილი გამოცემები გამოაქვეყნებენ, შესაძლოა, აირჩიონ მასნავლებლის ან პროფესორის თანამდებობაზეც. დიდი კომპანიები ყურადღებას მიაქცევენ, რომ მან მაქსიმალური გავლენა მოიპოვოს სამეცნიერო წრეებში და სახელმწიფო უწყებებში. ეს ყველაფერი ბუნებრივიცაა, რადგან ამ შემთხვევაში პირი უფრო ეფექტურად ემსახურება ფარმაცევტულ კომპანიას. ▶

ამბავი

ერდოღანს ობამასთან საუბარი აღარ სურს

თურქეთის პრემიერმა რეჯებ ტაიპ ერდოღანმა გადაწყვიტა, რომ აშშ-ის პრეზიდენტ ბარაკ ობამასთან სატელეფონო საუბარი აღარ გამართოს. მან უარი თქვა ამერიკის ლიდერთან სატელეფონო მოლაპარაკებებზე სირიასა და ღაზის სექტორში შექმნილ ვითარებაზე განსხვავებული თვალსაზრისის გამო.

ერდოღანი აშშ-ს სირიაში მიმდინარე პროცესებისადმი არაადეკვატური პოზიციის, აგრეთვე, პალესტინასა და ისრაელს შორის კონფლიქტში ისრაელის მხარდაჭერისთვის აკრიტიკებს. ერდოღანი ღაზის სექტორში ასობით პალესტინელის დაღვპვას „გენოციდს“ უწოდებს.

„ადრე ობამას პირდაპირ მივმართე, მაგრამ, რადგან სირიაში იმ შედეგს ვერ ვხედავ, რომელსაც ველოდი, ამიერიდან მოლაპარაკებებში ჩვენი საგარეო საქმეთა მინისტრები ჩაერთვებიან“, — განაცხადა ერდოღანმა თურქულ ტელეარხ ATV-ისთვის მიცემულ ინტერვიუში.

ერდოღანსა და ობამას შორის ბოლო სატელეფონო საუბარი ამა წლის 20 თებერვალს გაიმართა.

მიუხედავად უამრავი კვლევისა, რომლებმაც დაადასტურა შაქრისა და ნახევარფაბრიკატების მავნეობა, ხელისუფლებები პრაქტიკულად არაფერს აკეთებენ ამ პროგლემასთან საბრძოლველად. გამონაკლისია ფინეთი, რომლის მოსახლეობამაც 1970-იან წლებში გულის დაავადებებით სიკვდილიანობის მაჩვენებელი 80%-ით შეამცირა მხოლოდ და მხოლოდ კვების კულტურაში განხორციელებული ცვლილებების ხარჯზე.

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ახალი მკვლელი ნარკოტიკი — საკვები

ადამიანებმა დღემდე ვერ გადაჭრეს ჭარბწონიანობის პრობლემა. მართალია, ტკბილ, გაზიან სასმელებზე გადასახადების დაწესება უდავოდ საჭიროა, მაგრამ ეს თავისთავად ვერ მოაგვარებს პრობლემას. საჭიროა სრულმასშტაბიანი კულტურული ძვრა — რაღაც, რასაც ვერც ერთი ხელისუფლება ვერ ახერხებს. არადა, ყოველდღიურად ამერიკაში 13 ადამიანი კვდება არასწორი კვებით გამოწვეული დაავადებების შედეგად.

ფაქტები შემაშფოთებელია: გაერთიანებულ სამეფოში სტაციონარის ყოველი მეშვიდე პაციენტი დიაბეტით ავადობს. მთელი ქვეყნის მასშტაბით დიაბეტი აქვს 3,8 მილიონ ადამიანს. გაერთიანებული სამეფოს ყოველი მესამე მოქალაქე ჭარბწონიანია, ყოველ მეოთხეს კი სიმსუქნე აღენიშნება; 11 წლის ასაკის ბავშვების 37% ჭარბწონიანია.

ამ მხრივ ბრიტანეთი მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე არაჯანსაღი ქვეყანაა. ზომიერი გაცხიმოვნებაც კი სიცოცხლის ხანგრძლივობას სამი წლით ამცირებს. დაავადებები კი, რომლებიც არასწორი კვების შედეგია, იწვევს გულის პრობლემებს, სიმსივნეებს, ინსულტს, ღვიძლისა და კანის დაავადებებს და თვით კიდურების ამპუტაციასაც კი. ეს იმას ნიშნავს, რომ საავადმყოფოები უზარმაზარ თანხებს ხარჯავენ პაციენტებისთვის დამატებითი ადგილების შესაქმნელად, საოპერაციო მაგიდების, ინვალიდთა სავარძლებისა და სხვა აღჭურვილობების დასამატებლად. ამჟამად კვებასთან დაკავშირებული დაავადებები ადამიანებს უფრო ხშირად კლავს, ვიდრე სიგარეტი. საუბარიც აღარ არის ქმედუნარიანობა დაკარგული ადამიანების უზარმაზარ რაოდენობაზე.

საუბარი რომ სიმსივნეს ან შიდსს შეეხებოდეს, საჭირო იქნებოდა ამ დაავადებების განსაკურნებელი წამლების შესაქმნელად განსაკუთრებული ძალისხმევის გამოჩენა, მაგრამ ამ შემთხვევაში, უბრალოდ, საჭიროა შეიცვალოს ჭამასთან დაკავშირებული ძველი ჩვევები.

ბევრს, ალბათ, ახსოვს, რომ ჯერ კიდევ 30 წლის წინათ სიმსუქნით ძალიან ცოტა ადამიანი იტანჯებოდა. 50 წლის წინათ კი ასეთი ადამიანები არც კი არსებობდნენ. მაშინ ქალებისთვის ნორმა იყო ტანსაცმლის 44 და 46 ზომა, ახლა კი ნორმად ითვლება 48 და 50 ზომა. ადრე ადამიანები დღეში სამჯერ იკვებებოდნენ, ჩაის ტკბილეულთან ერთად კი მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში მიირთმევდნენ. ადრე ადამიანები მკაცრად განსაზღვრულ დროს მიირთმევდნენ საუზმეს, სადილსა და ვახშამს და მხოლოდ სასადილო ოთახში.

ეს უბრალო ფაქტი მნიშვნელოვან პრობლემას ქმნის კვების ინდუსტრიისა და მასთან დაკავშირებული ქიმიკოსების არმიისთვის. ისინი ქმნიან პროდუქტებს, რომლებიც ადამიანებს ავიწყებს დანაყრების შეგრძნებას და ნარკოტიკივით მოქმედებს, ანუ შთააგონებს მომხმარებელს, რომ კიდევ ერთი ნაჭერი მისთვის უბრალოდ აუცილებელია.

შაქარი, მარილი და ცხიმი ადრე იმდენად მცირე რაოდენობით გამოიყენებოდა, რომ მათ შეზღუდვაზე არავინ ფიქრობდა; ამჟამად კი მათ იმდენს მოიხმარს ადამიანი, რომ, თუ შევადარებთ, მრავალ ძლიერ ნარკოტიკზე ნაკლებად არ მოქმედებს ორგანიზმზე.

ახლა ყველაფერი ადამიანის წინააღმდეგ მუშაობს. ყოველწლიურად გაერთიანებულ სამეფოში კვების მრეწველობა მილიარდ ფუნტ სტერლინგზე მეტს ხარჯავს მარკეტინგულ კამპანიებზე, სახელმწიფო კი მხოლოდ 14 მილიონს ახარჯებს გაცხიმოვნებასთან ბრძოლის კამპანიებს. კვების მრეწველობის წარმომადგენლებს საშუალება აქვთ, სუპერმარკეტებში საუკეთესო ადგილები შეიძინონ, რათა ყველაზე მაცდუნებელი პროდუქტები მუდამ თვალშისაცემი იყოს. ნარკოტიკებისათვის თავის დანებება გაცილებით ადვილია, ვიდრე კვების მავნე ჩვევებზე უარის თქმა, რადგან ადამიანისთვის კვება სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხია და მასში ყოველდღიურად სწორი არჩევანის გაკეთება არც თუ იოლი საქმეა.

პროდუქტებმა, რომლებიც მოყვანილია არა მზის სხივებქვეშ, არამედ რაღაც მილებში, ლაბორატორიებსა და აპარატებში, განაპირობა ჯანმრთელობის კრიზისი, რომელიც კონტროლს უკვე აღარ ექვემდებარება

მიუხედავად უამრავი კვლევისა, რომლებმაც დაადასტურა შაქრისა და ნახევარფაბრიკატების მავნეობა, ხელისუფლებები პრაქტიკულად არაფერს აკეთებენ ამ პრობლემასთან საბრძოლველად. გამონაკლისია ფინეთი, რომლის მოსახლეობამაც 1970-იან წლებში გულის დაავადებებით სიკვდილიანობის მაჩვენებელი 80%-ით შეამცირა მხოლოდ და მხოლოდ კვების კულტურაში განხორციელებული ცვლილებების ხარჯზე.

გარემო, რომელშიც ახლა ცხოვრობს მსოფლიო მოსახლეობის უმეტესობა, ცალსახად არაჯანსაღია კვების თვალსაზრისით. მით უფრო, როდესაც საუბარი ღარიბულ რაიონებს ეხება. საჭმელი იყიდება ყველგან — ჯიხურებში, ავტოფარეხებში, კინოთეატრებში, აფთიაქებშიც კი. კარტოფილი ფრი ან შაქარლამა კი არც ისე ძვირი ღირს, რომ ამ „სიამოვნებაზე“ უარის თქმად ღირდეს. როგორც წესი, **ღარიბები გაცილებით უფრო მსუქნები არიან, ვიდრე მდიდრები და ეს ლოგიკურიცაა — ხარისხიანი საკვები ძვირია.**

ამერიკელი ექიმი, ავტორი წიგნისა „დიდი ცხიმოვანი კრიზისი“ დებორა კოენი ამბობს, რომ საჭიროა რადიკალური ზომების მიღება: მაღაზიებს, რომელთა სპეციალიზაციაც არ არის საკვები პროდუქტებით ვაჭრობა, სასუსნავების გაყიდვა საერთოდ უნდა აეკრძალოთ.

გლობალური კვების ინდუსტრია შემოსავლების გაზრდის მიზნით არა მხოლოდ პლანეტას აბინძურებს, არამედ ხოცავს ადამიანებს.

პროდუქტებმა, რომლებიც მოყვანილია არა მზის სხივებქვეშ, არამედ რაღაც მილებში, ლაბორატორიებსა და აპარატებში, განაპირობა ჯანმრთელობის კრიზისი, რომელიც კონტროლს უკვე აღარ ექვემდებარება.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ხელმძღვანელი მარგარეტ ჩენი გაცხიმოვნებას აისბერგის მწვერვალად მიიჩნევს და ამბობს, რომ მალე მსოფლიოს მოუწევს იმ კატასტროფასთან ბრძოლა, რომლის შედეგადაც სერიოზული ქრონიკული დაავადებებით შეპყრობილი მილიონობით ადამიანის პრობლემები გახდება გადასაჭრელი. მაგრამ, მისივე თქმით, პრობლემის მიზეზები სცილდება ჯანდაცვის სფეროს და იმ საარაკოდ მდიდარ ადამიანებს უკავშირდება, რომლებიც საუკეთესო ადვოკატებს ქირაობენ მაშინვე, როგორც კი არაჯანსაღი საკვების წინააღმდეგ ვინმე გაილაშქრებს. თვით ამერიკის პრეზიდენტი იძულებული გახდა უკან დაეხია და ეღიარებინა, რომ კეტჩუპი და პიცა მცენარეული საკვებია, ოღონდ კი შეემცირებინა ზეწოლა იმ აქტივისტების მხრიდან, რომლებიც სასკოლო სადილებში ბოსტნეულის მომატებას მოითხოვდნენ.

ასე რომ, **გასუქება და ჭარბწონიანობა, ნებისყოფის არქონის გამოხატულება კი არა, პოლიტიკური ნების უმაღლესი გამოვლინებაა...**

The Guardian

ინტერესთა კონფლიქტი ეხება მრავალ სახელმწიფო უწყებას და არა მხოლოდ წამლის სააგენტოს, არამედ მათაც, ვინც უშუალოდ არიან დაკავშირებული სანიტარულ უსაფრთხოებასთან. თავისი სტრუქტურის გამო ისინი ინტერესთა კონფლიქტის რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, რადგან მათი ბიუჯეტები გარკვეულწილად დამოკიდებულია იმ საწარმოებზე, რომლებსაც, წესით, თავადვე უნდა აკონტროლებდნენ. საიდუმლო ინტერესებისა და კავშირების მქონე მათი ექსპერტები საბოლოოდ მარხავენ მათსავე რეპუტაციას. მაგალითად, ანტიკორუფციული კანონის ეფექტურობა ეჭვქვეშ დადგა იმ დოკუმენტის გამო, რომელიც საფრანგეთის ჯანდაცვის მინისტრმა მარიზოლ ტურენმა 2013 წელს ფარმაცევტული ლაბორატორიის კარნახით შეადგინა.

ყველა ანტიკორუფციულმა ორგანიზაციამ ერთხმად გამოხატა აღშფოთება იმ სამთავრობო დადგენილებების გამო, რომლებმაც კანონს ყოველგვარი აზრი დაუკარგეს, მაგრამ ყველაფერი ამაო აღმოჩნდა. დღეს თუ ექიმი რაიმეს იღებს „კომერციული შეთანხმების“ ფარგლებში, აბსოლუტურად არაა ამის თაობაზე ვინმესთან ანგარიშვალდებული. გარდა ამისა, ფულის მიღება დიდი კომპანიებისგან შეიძლება სარეკლამო სააგენტოების გავლითაც, რადგან მათი მუშაობაც არ ექვემდებარება ანგარიშვალდებულებას.

პაციენტის ინფორმირებულობა ნებისმიერი ექიმისა და მეცნიერის მოვალეობაა. განა ავადმყოფი ოდესმე მოინდომებს, რომ მისი მკურნალობის შესახებ გადაწყვეტილება შემთხვევითი შერჩევის გზით იქნეს მიღებული და არა მისი კონკრეტული შემთხვევის გათვალისწინებით? **დიდი კომპანიები და მათ მიერ მოსყიდული ექიმები, ექსპერტები და პოლიტიკოსები ჯერ კიდევ ცდილობენ დიდი ექსპერიმენტების ჩატარებას, რათა ამისგან დიდი ფული და უპირატესობა მიიღონ. მათ არ სჭირდებათ, რომ ავადმყოფებმა სულ მცირე რამ მაინც გაიგონ ამის შესახებ. ამის გამოა, რომ პედიატრიული ონკოლოგიის განყოფილებაში ბავშვები ლამის საპატიმრო სისტემის ანალოგიური დაცვისა და კამერების კონტროლს ექვემდებარებიან და ნებისმიერი ვიზიტორი მხოლოდ წერილობითი ნებართვით დაიშვება მათთან.**

ამბობენ, რომ დროა, ჯანდაცვის სამინისტროს სახელი შეეცვალოს და ფარმაცევტული მრეწველობისა და კერძო დაზღვევის სამინისტროდ გადაკეთდეს.

Atlantico

უკრაინელებმა დონეცკს ფოსფორის ბომბები დაუშინეს

26 ივლისს, დილით, დონეცკზე მორიგი შეტევისას, უკრაინელმა სამხედროებმა კვლავ გამოიყენეს საერთაშორისო კონვენციით აკრძალული საბრძოლო მასალები. სახალხო ლაშქრის წარმომადგენელთა განცხადებით, უკრაინელმა სამხედროებმა თეთრფოსფორიანი ყუმბარები დაუშინეს დონეცკის პეტროვსკის რაიონს და მანდრიკინოს რკინიგზის სადგურს.

ჟენევის 1980 წლის კონვენციით, აკრძალულია ცეცხლგამჩენი საშუალებების გამოყენება მოსახლეობის წინააღმდეგ. უკრაინის სამხრეთ-აღმოსავლეთში ბოლო ორი თვის განმავლობაში ფოსფორის ბომბებისა და ყუმბარების გამოყენების უკვე რამდენიმე ფაქტია აღრიცხული: 12 ივნისს უკრაინელმა სამხედროებმა ფოსფორის ბომბები სლავიანსკზე შეტევისას გამოიყენეს; 21 ივლისს ასეთივე ბომბები გამოიყენეს კრამატორსკშიც; 29 ივნისს დაბომბეს დასახლებული პუნქტი სემიონოვკა, 7 ივლისს — ლისიჩანსკი. 23 ივლისს კი უკრაინის ავიაციამ ფოსფორის ბომბები დონეცკში ჩამოყარა.

გეოპოლიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ოპოზიცია გადატრიალებისთვის მზადების პერიოდში გულმოდგინედ მალავდა, ვისი ფულის წყალობით ღვივდებოდა „ხალხის პროტესტი“, მაგრამ „ბელადების“ ვიწრო წრეში ამერიკელ კურატორებს პირდაპირ ასახელებდა. თბილისში დაბრუნებული ვლადიმერი სხვებთან ერთად მიიღო აშშ ელჩმა საქართველოში.

ერთჯერადი ნაბავი,

ანუ «ფერადი რევოლუციების» საკითხებში სპეციალური ინსტრუქტორის აღსარება

მას ვლადიმერი ჰქვია. გვარს გასაგები მიზეზების გამო არ ვასახელებთ. იგი ისეთ საკითხებზე ლაპარაკობს, რომ გამორიცხული არ არის დაინტერესებული ძალების მიერ მისი ლიკვიდაცია. ორ ე. წ. ფერად რევოლუციაში მონაწილეობდა, „ვარდების რევოლუციაში“ — საქართველოში და „ნარინჯისფერ რევოლუციაში“ — უკრაინაში, თანაც არა როგორც რიგითი აქტივისტი, არამედ როგორც ერთ-ერთი ორგანიზატორი. აშშ-ის სპეცსამსახურების უშუალო ხელმძღვანელობით მუშაობდა, ერთგულად ასრულებდა მათგან მიღებულ დავალებებს. კარგა ხანია, ახალგაზრდულ ასაკს გადააბიჯა — ეს ჭაღარაშერეული კაცი თავის 49 წელზე გაცილებით უფროსად გამოიყურება. წლების განმავლობაში დაძაბულმა ცხოვრებამ თავისი დაღი დაამჩნია. პრესასთან კონტაქტს ყოველთვის ერიდებოდა, მაგრამ ჩვენმა დაჟინებამ თავისი გაიტანა. ვლადიმერი ინტერვიუზე დაგვთანხმდა.

თბილისელი მეკავშირე

პოლიტიკაში ვლადიმერი შემთხვევით მოხვდა. 1965 წელს დაიბადა ზუგდიდში, რუსულ-ქართულ შერეულ ოჯახში. ჩვეულებრივი ბიოგრაფია აქვს: დაამთავრა სკოლა, მსახურობდა არმიაში, სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც მამამისი ლექციებს კითხულობდა.

მისი მდორედ მიმდინარე ცხოვრების ახალი ეტაპი საბჭოთა კავშირის დაშლის წინადღეს დაიწყო. მამამისი კარგად იცნობდა ქართული პოლიტიკის ამომავალ ვარსკვლავს — ზურაბ ჟვანიას, რომელმაც ვლადიმერის პატრონობა იკისრა — 1990 წელს სამუშაოდ მიიწვია ახლადჩამოყალიბებულ „მწვანეთა“ მოძრაობაში. მაგრამ ეს ახლადგამომცხვარი ეკოლოგი, ბუნების გადარჩენაზე ზრუნვის ნაცვლად, **ჟვანიას დავალებით კონფიდენციური შეხვედრების ორგანიზებითა და სხვადასხვა სახის კონფიდენციური საკითხების გადაწყვეტით იყო დაკავებული.**

1995 წელს, მას შემდეგ, რაც ზურაბ ჟვანია „მოქალაქეთა კავშირის“ წარდგენით საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარედ აირჩიეს, ვლადიმერს პოლიტიკოსის პირადი დავალებების შესრულების „საპატიო მისია“ დაეკისრა. გაფართოვდა მისი მოღვაწეობის არეალი, მისი მივლინებების გეოგრაფიამ დასავლეთ ევროპისა და ბალკანეთის ქვეყნები მოიცვა.

მაგრამ იგი მაინც შიკრიკად, დავალებების შემსრულებელ ხელისბიჭად რჩებოდა. მხოლოდ მას შემდეგ, რაც ვლადიმერმა სერბეთის ტერიტორიაზე მოწყობილ ბანაკში „კვალიფიკაციის ამაღლების კურსები“ გაიარა, კარიერის კიბის უფრო მაღალ საფეხურზე შეძლო ასვლა.

„სერბეთში, — იხსენებს ვლადიმერი, — ხალხის რისხვის ორგანიზების მეთოდიკას გვასწავლიდნენ. ამას შემდეგ „ფერადი რევოლუციები“ უწოდეს. გვმოძღვრავდნენ ამერიკელები, სერიოზულად გვწვრთნიდნენ. იქ გავიცანი სემი — სამუელ გრინბერგი, ასე წარმოგვიდგინეს იგი, ერთ-ერთი ხელმძღვანელი. ამ სემმა შემიყვანა სერბულ „ოტპორში“. შემდეგაც არ გაგვიწყვეტია კავშირი ერთმანეთთან, ხშირად ვურეკავდი“.

თბილისში ვლადიმერი 2002 წელს დაბრუნდა. ამ დროს ჟვანია პარლამენტის თავმჯდომარეობიდან უკვე გადამდგარი იყო და „გაერთიანებულ დემოკრატებს“ ხელმძღვანელობდა, ორგანიზაციას, რომელსაც ამერიკელები ყურადღებასა და მხარდაჭერას არ აკლებდნენ.

ხალხის რისხვის კურატორები

„გლობალური საორგანიზაციო საქმეებით დაკავებული არ ვყოფილვარ, — საუბრისას რამდენიმეჯერ გაიმეორა ვლადიმერმა, — არც — ლიდერი. მასწავლეს ახალგაზრდობასთან მუშაობა, საპროტესტო ღონისძიებების, თუ შეიძლება მათ ეს სახელი ვუწოდოთ, მოწყობა. ეს საქმე გამომდიოდა. ასე მიმაჩნია“.

2003 წელს იგი ოპოზიციონერი ახალგაზრდების ორგანიზაცია „კმარას“ აქტივისტებთან ერთად ვაშინგტონში მიიწვიეს.

ქართველების დელეგაციას ზემოთ ნახსენები გრინბერგი შეხვდა. კურატორმა ვლადიმერს თავისი ამერიკელი კოლეგები — მაიკლი და თომასი გააცნო. დაწვრილებით გამოჰკითხა საქართველოს ამბები, მომავალი საპროტესტო აქციების მზადყოფნის დონე, რევოლუციის გამარჯვების შემდეგ ქვეყნის პოლიტიკური მოწყობის გეგმებზეც ელაპარაკა.

„გვაძლევდნენ საყურადღებო მითითებებს, ფსიქოლოგიურად როგორ უნდა გვემუშავა ხალხთან...“

მითითებების გარდა, საქართველოდან ჩასულ სტუმარს უამრავი დაპირება აღუთქვეს. უთხრეს, რომ ვლადიმერი „ძალიან ეხმარება მათ დემოკრატიის გაკეთებაში“ და ამიტომ შეიძლება ჰქონდეს აშშ-ში კარგად მოწყობის იმედი, სამუშაოსაც უშოვნიან და პირველ ჯერზე ფულსაც მისცემენ; ნაწილი — ხუთი ათასი დოლარი, უცებვე ჩაუთვალეს. იმ დროს ფულის ეს რაოდენობა თბილისელებისთვის წარმოუდგენლად დიდ თანხად ითვლებოდა (პატიოსანი ქალაქელებისთვის დღესაც ასეა. — რედ.).

რამდენი „მწვანე“ მისცეს სხვა რევოლუციონერებს, ვლადიმერმა არ იცის. „კოლეგათა-გან“ ბევრს იგი შემდეგ საქართველოს სახელმწიფო სტრუქტურებში დასაქმებულებს შეხვდა.

საქართველოში აქტიურად მუშაობდნენ Freedom Foundation-ის არაფორმალური წარმომადგენლები, მათგან ერთ-ერთი მომავალ „რევოლუციონერებთან“ მოლაპარაკებას ესწრებოდა.

ოპოზიცია გადატრიალებისთვის მზადების პერიოდში გულმოდგინედ მალავდა, ვისი ფულის წყალობით ღვივდებოდა „ხალხის პროტესტი“, მაგრამ „ბელადების“ ვიწრო წრეში ამერიკელ კურატორებს პირდაპირ ასახელებდა. თბილისში დაბრუნებული ვლადიმერი სხვებთან ერთად მიიღო აშშ ელჩმა საქართველოში. ამ მიღებაზე, რომელსაც სააკაშვილი და ჟვანიაც ესწრებოდნენ, „პროფესია ამაღლებულმა“ ვლადიმერმა დაწვრილებით ილაპარაკე სერბეთში გავლილი წვრთნისა და ამერიკაში მოგზაურობის შესახებ.

ვაშინგტონის მიერ გაცემული ავანსის დაბრუნება იმავე წლის ნოემბერში გახდა აუცილებელი. ვლადიმერი ჩვეულებრივ „ჟვანიას საკითხების“ მოგვარებით იყო დაკავებული. ამჯერად საქმე ოპოზიციურ „კმარას“ ეხებოდა. რანგით დაბლა მდგომი ფუნქციონერები ამერიკელი ფუნქციონერების ფულით ამზადებდნენ მაისურებს, ქუდებს „რევოლუციური“ წარწერებით, ბეჭდავდნენ და სტუდენტებთან ერთად ავრცელებდნენ ფურცლებს. ვლადიმერს, ამას გარდა, სერიოზული პროექტების განხორციელებაც უწევდა: რადიოში, გაზეთებში, ინტერნეტქსელში აქვეყნებინებდა სააგიტაციო მასალებს. ჰონორარებს უხდიდა მოსყიდულ ჟურნალისტებს ზოგჯერ პირადად — კონვერტებში, ზოგჯერ — ოფიციალურად, „სარეკლამო მასალებად“ წოდებული ტექსტებისთვის. ფულს ჟვანიასგან და მისი თანაშემწისგან — გოგისგან იღებდა. ჩატარებული მუშაობის შესახებ ანგარიშს სემს წარუდგენდნენ.

2003 წლის ოქტომბერში, თბილისში გრინბერგის ჩამოსვლის წინ ჟვანიამ ვლადიმერს 20 ათასი დოლარი გადასცა ოპოზიციური პრესის მობილიზაციის მიზნით: პატრონისთვის უნდა წარედგინათ ამბოხისთვის გამზადებული თბილისის მოსახლეობის სულისკვეთების დამადასტურებელი სურათი. სემუელის ჩამოსთვლისთვის თბილისი აივსო გაზეთებით, რომლებშიც დაბეჭდილი იყო მრისხანე წერილები ხელისუფლების წინააღმდეგ. გრინბერგი კმაყოფილი დარჩა და ვლადიმერს ჟვანიას თანდასწრებით 3 ათასი დოლარი ჯილდოდ გადასცა.

პროტესტის ბუღალტერია

კონვერტებში ჩადებული ფული და „ქუჩის“ ფართო უფლებამოსილება ვლადიმერს „ვარდების რევოლუციის“ გამარჯვებისთანავე ამოეწურა. ყოფილ თანამებრძოლებს, ასევე, მათ ამერიკელ უფროსებს აღარ დასჭირდათ ეს კაცი. მართალია, ჟვანია კვლავ უხვად აძლევდა წვრილ-წვრილ დავალებებს, მაგრამ მის კარიერულ პერსპექტივაზე არაფერს ეუბნებოდა. სემი და მაიკლი წუწუნებდნენ, რომ არნახულად იყვნენ დატვირთულები.

ბოლოს და ბოლოს, 2004 წლის მარტში ვლადიმერი აშშ-ში გამოიძახეს.

„რატომღაც მოსკოვში ჩავედი და მხოლოდ იქიდან გადავფრინდი შტატებში, ვაშინგტონში. იქ კურატორ გრინბერგს შევხვდი. ვისაუბრეთ კარს მომდგარ მოვლენებზე — უკრაინაში გასამართ არჩევნებზე. შემდეგ მან Freedom Forum-ში წამიყვანა, გამაცნო იქ ფონდის ხელმძღვანელი ჯეკ მარშალი და ვინმე უფლებადამცველი ჟურნალისტი. ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ ეს კაცი იმავე კანტორიდან იყო, საიდანაც — გრინბერგი, იცოდა ყველაფერი, რაც საქართველოში ხდებოდა, და იმაზეც ილაპარაკა, რაც უკრაინაში უნდა მომხდარიყო, თანაც — დეტალურად“.

უკრაინაში ჟვანიას დავალებით გაემგზავრა. „ფერადი რევოლუციის“ ორგანიზება იქ გაკვალული გზითა და დამუშავებული მეთოდიკით მიმდინარეობდა. ვლადიმირ იუსოვთან ერთად ვლადიმერმა სრული ძალითა და შესაძლებლობით აამოქმედა საპროტესტო მოძრაობა „პორა“. ისევე, როგორც თბილისში, მუშაობდა ახალგაზრდობასთან, აწყობდა კარვების „მაიდანს“, კრებდა ხალხს და ფულით არწყულებდა აქტივისტებსა და პრესის წარმომადგენლებს.

უკრაინაში ამერიკელები გულუხვად იხდიდნენ ფულს, გაცილებით მეტს, ვიდრე საქართველოში. 30-40 ათასი დოლარი ვლადიმერს სახარჯოდ ჰქონდა.

„ორი ძირითადი მიმართულება მქონდა დავალებული, — იხსენებს ვლადიმერი, — პირველი, ფულის დარიგება მაიდანზე მოპიკეტეებისთვის; მეორე, მასალების გამოქვეყნება პრესაში და ტელეეთერში, აგრეთვე, სოციალურ ქსელში. ორი მოადგილე მყავდა, მათ სახელებს შეგნებულად არ ვიტყვი. წესიერი ბიჭები არიან. ერთი მათგანი რუსულ პრესაში ათავსებდა მასალებს. ფულით, ბუნებრივია...“

უკრაინაში რევოლუცია ამერიკელების მიერ იყო დაფინანსებული

„საქართველოდან დიდი ფული გადიოდა უკრაინაში. გზა ასეთი იყო: ამერიკელები-ჟვანია-იუშჩენკო და — „პორა“. ამას არც უკრაინელები, არც ჟვანია არ გვიმალავდნენ...“

ვლადიმერი ეჭვობს, რომ ამ თანხის ერთი პატარა ნაკადი რუსეთში მიწანწკარებდა. უკრაინაში, „ნარინჯიფერთა“ შტაბს რამდენიმეჯერ ჩააკითხა ბორის ნემცოვმა, თუმცა ეს თვალსაჩინო რუსი ოპოზიციონერი ფულის გამო არ ემხრობოდა მაიდნელებს. საქმე ძალაუფლების მოპოვებას ეხებოდა. ნემცოვი არც ამერიკელებისთვის იყო უცხო კაცი, მაგრამ მას გრინბერგი კი არ უკავშირდებოდა, არამედ ვინმე ბორის აბრამოვიჩი. ბერეზოვსკისთან ურთიერთობდა იულია ტიმოშენკოც: „დეკემბრის პირველ რიცხვებში „პორას“ აქტივისტებთან შეხვედრის დროს ტელეფონის ზარის ხმა გაისმა. იულიამ უპასუხა: „გისმენთ, ბორის აბრამოვიჩ! აი, ვურთიერთობ „პორას“ აქტივისტებთან“.

„ნარინჯისფერების“ გამარჯვების შემდეგ, როგორც მოსალოდნელი იყო, ვლადიმერი საქმეებს ჩამოაცილეს. 2005 წლის 3 თებერვალს მისი მფარველი ზურაბ ჟვანია გაურკვეველ გარემოებაში გარდაიცვალა.

ამერიკელები, რომლებიც ვლადიმერს სიამოვნებით ესაუბრებოდნენ, ამჯერად მის სატელეფონო ზარს აღარ უპასუხებდნენ. იმ ფულით, რაც „ქუჩის ბრძოლებში“ დააგროვა, ვლადიმერი ევროპაში გაემგზავრა. ერთ ხანს გერმანიაში ცხოვრობდა, შემდეგ შვეიცარიაში გადაბარგდა. ბოლოს, ამერიკაში ჩავიდა.

ცივად მიიღეს. რამდენიმე თვის განმავლობაში ამაოდ ცდილობდა გუშინდელ კურატორებთან შეხვედრას. ტელეფონით საუბრისას დაპირებები შეახსენა... გრინბერგმა უბრძანა, მოეცადა. ამ განკარგულების შესრულება ვლადიმერმა, მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, ვერ შეძლო.

2006 წლის თებერვალში ამერიკის ვიზას ვადა გაუვიდა, ერთი თვის თავზე კი პოლიციამ მიაკითხა.

„დეპორტაციის ორდერი პოლიციელებს არ ჰქონდათ. ოფიციალური ვერსიით, შემთხვევით მომაგნეს, — აღნიშნა ვლადიმერმა, — გაუგებარია, საიდან ჰქონდათ ჩემი მისამართი. ეტყობა, გრინბერგმა მიაწოდა...“

ორი მომდევნო თვე ვლადიმერმა არალეგალების სატუსაღოში გაატარა.

„ეს იყო ჯოჯოხეთი, გახსენებაც არ მინდა. სწორედ იქ, ციხეში ყოფნისას მივხვდი, რომ მე გამოყენებული მასალა ვიყავი“.

ჩატარდა გამოძიება და ვლადიმერი საქართველოში დააბრუნეს, მაგრამ „ვარდების რევოლუციაში“ გამარჯვებული ქვეყანა ყოფილ ინსტრუქტორს პურმარილით არ დახვედრია.

„ჟვანიას გარდაცვალების შემდეგ, ბევრისთვის მე, რბილად რომ ვთქვა, არასასურველი პერსონა გავხდი. არც უკრაინაში გახარებიათ ჩემი ჩასვლა — საქმის აღძვრასაც კი შეეცადნენ“.

დღეს ვლადიმერი ერთ-ერთ მეზობელ ქვეყანაში დაფუძნდა და დროდადრო ჩამოდის სამშობლოში.

„დღეს აღარავის არ ვაინტერესებ, არც ვინმესთვის ვარ საშიში. ამერიკელების უგულობასაც შევეგუე. იმათ კი, ვინც ამერიკელებთან კონტაქტის დამყარებას ცდილობენ, ვეუბნები — ჩვენ მათთვის მხოლოდ ერთჯერადი ნაგავი ვართ. გამოგვიყენებენ და გადაგვყრიან“.

მოამზადა
არმაზ სანებლიძემ

ობოლაძისა და მის უკან მდგომი ტელეკომპანიის ხელმძღვანელობის გარდა, ფაშისტურ სულისკვეთებას, სამწუხაროდ, ქართველი საზოგადოების ერთი ნაწილიც იზიარებს. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი საზოგადოების ეს სამარცხვინო ნაწილი რაოდენობრივად ძალიან მცირეა, იგი, ისევ და ისევ ჩვენდა სავალალოდ, აკადემიურ, საუნივერსიტეტო წრეებს განეკუთვნება.

ფოსტა

www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

კოლორადოში 4 ადამიანი ჭირით დაავადდა

ინფიცირებულ ძაღლთან კონტაქტის შემდეგ კოლორადოს შტატის კიდევ სამ მცხოვრებს დაუსვეს დიაგნოზი „ჭირი“. ამ ძაღლის პატრონი პირველი დაავადდა სიცოცხლისთვის საშიში სნეულებით.

გასულ კვირას კოლორადოს შტატის საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და ეკოლოგიის დეპარტამენტმა გავრცელა ინფორმაცია, რომ კოლორადოს ჩრდილოეთი ოლქის მცხოვრებს, რომელიც ძაღლის ჭირისგან გარდაიცვალა, დაუდგინეს დიაგნოზი: ფილტვის ჭირი. ეს ძალიან სახიფათო დაავადებაა.

ფილტვის ჭირი დაავადების ისეთი სახეობაა, რომელიც ადამიანს ჰაერწვეთოვანი გზით გადაეცემა ადამიანისგან. ჭირის გამომწვევი ბაქტერია ბუდობს აშშ-ის დასავლეთ ნაწილში, ძირითადად, კალიფორნიაში, ნიუ-მექსიკოში, არიზონასა და კოლორადოში.

ბოლო 10 წლის განმავლობაში კოლორადოში ფილტვის ჭირის 12 შემთხვევაა აღრიცხული.

85 წლის ქალმა მძარცველები აიძულა, ჩაებუქნათ

ინდოეთის ქალაქ რათლამის მცხოვრებმა, 85 წლის ქალმა წინააღმდეგობა გაუწია მასთან სახლში შეპარულ ორ მძარცველს.

ნესრიგის დამცველთა მოსვლამდე ქალი ბოროტმოქმედებისგან თავს ვედროთი და ჯოხით იცავდა. პოლიციაში ამოცნობის პროცედურაზე კი თავდამსხმელები აიძულა, სასჯელად რამდენიმეჯერ ჩაებუქნათ.

დაზარალებულმა სამართალდამცველებს განუცხადა, რომ მარტო ცხოვრობს. სახლში მძარცველების შეჭრამ გააღვიძა და მათ თავდაპირველად ვედრო ესროლა, შემდეგ კი ერთ-ერთს ხელში ჩააფრინდა და ჯოხით ცემა.

ფრთხილად, ფაშისტები უნივერსიტეტში!

ევრაზიის ინსტიტუტმა, რამდენიმე სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციასთან ერთად, დაგმო ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის ეთერში გასული დიმა ობოლაძის ფაშისტური განცხადება: „ყველა რუსი ღორია! არც ერთი რუსული სიტყვა აღარ გავიგო ამ სტუდიაში!“

მაგრამ ობოლაძისა და მის უკან მდგომი ტელეკომპანიის ხელმძღვანელობის გარდა, ფაშისტურ სულისკვეთებას, სამწუხაროდ, ქართველი საზოგადოების ერთი ნაწილიც იზიარებს. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი საზოგადოების ეს სამარცხვინო ნაწილი რაოდენობრივად ძალიან მცირეა, იგი, ისევ და ისევ ჩვენდა სავალალოდ, აკადემიურ, საუნივერსიტეტო წრეებს განეკუთვნება.

მას შემდეგ, რაც ევრაზიის ინსტიტუტმა განცხადების ტექსტი თავის „ფეისბუქის“ გვერდზე გამოაქვეყნა, „მიშისტები“ და სხვა მარგინალური ელემენტები ჩვეულებისამებრ გააქტიურდნენ და კომენტარებში გააჩაღეს რუსეთის, მართლმადიდებლობისა და ჩვენი მოკრძალებული ორგანიზაციის ლანძღვა-გინება. ბუნებრივია, ისინი მთლიანად ამართლებდნენ ობოლაძის ფაშისტურ განცხადებას. მაგრამ ამ ოდიოზურ კამპანიაში თვალში მოგვხვდა რამდენიმე უნივერსიტეტელი, რომელიც საკუთარი სახელითა და გვარით ხელს აწერს ობოლაძისაზე კიდევ უფრო მძიმე და სამარცხვინო განცხადებებს. ჩვენ გადავწყვიტეთ, ფართო საზოგადოებას გავაცნოთ რამდენიმე მათგანი და თან დავურთოთ მათივე განცხადებების ტექსტები. მაშ, ასე:

ალექსანდრე მახარაძე, თსუ: „რა თქმა უნდა, რუსები ღორები არიან, ვინც პუტინით და მისი საქმიანობით არიან კმაყოფილნი და აღფრთოვანებულნი, მაგრამ ის უფრო დიდი ღორია, ვინც ამ ღორების დაცვას ცდილობს“.

გენადი სონღულია, თსუ: „დიმამ მართალი თქვა! დავაზუსტებ: 99,99% ღორები არიან!!!“

გია მერაბიშვილი, ტელეკომპანია „იმედი“: „ეგ კომპლიმენტი იყო, როგორ ვერ გაგიგიათ...“

ზაზა გვალია, თსუ: „ახალი ამბავი, ეს რა თქვა ობოლაძემ. რუსები უბრალო ღორები კი არა, დედა მ-ლი ღორები არიან“.

ნანა ჩიძოვანი, სოციალური მომსახურების სააგენტო: „თქვენი ტ-კი მიაყენეთ, მართლა რა უკვე... ღორების სასტავი ხართ მართლაც“.

ალექსანდრე პავლიაშვილი, სამედიცინო უნივერსიტეტი: „ლუსტრაცია და დეპორტაცია მათ — საყვარელ რუსეთში, მეტი მაგათ არაფერი ეშველებათ“.

თეიმურაზ გვალია, ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი: „ამ გაზეთის გამომშვებს ეს გაზეთი ნაკუწ-ნაკუწ უნდა აჭამო“ *(იგულისხმება ევრაზიის ინსტიტუტის ვებგვერდი — ავტ.).*

გესო ბიბინეიშვილი, საქართველოს პარლამენტი: „Чтобы вам понятнее было – пошли вы с русским языком в попу...“

ზოგი მათგანი ცდილობს, საკუთარი ფაშისტური განწყობა რუსებს გადააბრალოს:

ლამარა კერვალიშვილი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი (ქალბატონ ლამარას საქართველოს პირველი პრეზიდენტის პორტრეტი უყენია ე. წ. ავატარად): „ამათ ეტყობა, ახალგაზრდები არიან და არ გაუგიათ ასტაფიევის და რასპუტინის შესახებ, ქართველებს ავადმყოფი ერი რომ გვიძახეს. მაშინ ინტერნეტი არ იყო, სამაგიეროდ, იყო უამრავი პრესა რუსულად, არც ერთ რუსს ან ე. წ. რუსულ ინტელიგენციას ხმა არ ამოუღია. მაშინ დაამტკიცეს, რომ ნამდვილი ღორები არიან. წადით ახლა, მიჩივლეთ, სადაც გინდათ“.

აი, ასეთია კომენტარები საუნივერსიტეტო წრეების წარმომადგენელთა მხრიდან, პლუს ერთი ტელეკომპანიისა და ორი სახელმწიფო დაწესებულების წარმომადგენლები. მაგრამ ჩვენ ყველამ კარგად ვიცით, რომ 200 წლის მანძილზე ქართველები რუსეთში პრივილეგირებულ მდგომარეობაში იყვნენ და ცუდზე უფრო მეტი მაინც კარგი გვაქვს გასახსენებელი. დღესაც უამრავი ჩვენი თანამემამულე რუსეთიდან უგზავნის საკუთარი შრომით მოპოვებულ ფულს უმუშევრად დარჩენილ ნათესავებს საქართველოში, ხოლო თუკი ვინმე ქართველმა დიდი ფული იშოვა საზღვარგარეთ, ეს საზღვარგარეთი ისევ და ისევ რუსეთია, მხოლოდ და მხოლოდ რუსეთი!

მაშ, რა ხდება, რამ გააგიჟა განათლებულ ქართველთა თუნდაც მცირე ნაწილი? ეს საკითხი ცალკე გამოკვლევასა და განალიზებას საჭიროებს, მანამდე კი ყველანი უნდა გავერთიანდეთ ფაშიზმის გამოვლინების წინააღმდეგ, განსაკუთრებით, უმაღლეს სასწავლებლებში. მივმართავთ ზემოთ ნახსენები უნივერსიტეტებისა და დაწესებულებების ხელმძღვანელობას, გამოიტანონ სწორი დასკვნები და ლაგამი ამოსდონ მოფაშისტო ელემენტებს.

ისე კი, იმასაც მივაქციოთ ყურადღება, რომ ე. წ. ცივილიზებული სამყაროს წარმომადგენელი საელჩოები და მათი მომსახურე ქართული არასამთავრობო ორგანიზაციები ჯიუტად სდუმან და ყურადღებას არ აქცევენ „რუსთავი 2“-ის მიერ ტირაჟირებულ ქსენოფობიას. აბა, გეებზე გვეთქვა რამე აუგი, ასეთი დუმილი წარმოუდგენელი იქნებოდა.

ევრაზიის ინსტიტუტის პრესსამსახური

ჩინეთის პროვინციაში მექრთამე მაღალჩინოსნები დააპატიმრეს

ანტიკორუფციული კომპანიის შედეგად გუანდუნის პროვიცნიის 850-ზე მეტი მაღალჩინოსანი იძულებული შეიქნა, პოსტი დაეტოვებინა.

პროვინციის მთავრობის მიერ ჩატარებულმა გამოძიებამ კორუფციაში ჩართული 2190 ადამიანი გამოავლინა, მათგან 866-ს პოსტი დაატოვებინეს.

გუანდოუში კორუფცირებული მაღალჩინოსნების დიდი რაოდენობა აიხსნება იმით, რომ ეს პროვინცია ჰონგკონგს ესაზღვრება და ტრადიციულად აქვს ემიგრაციის მაღალი დონე სამხრეთ აზიაში, ევროპასა და აშშ-ში.

ჩინეთის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლება ბოლო წლებში გულმოდგინედ ებრძვის კორუფციას. **ჩსდრ-ს ხელმძღვანელობამ მაღალჩინოსნებს აუკრძალა საჩუქრების მიღება და გაამკაცრა კონტროლი მათ საზღვარგარეთულ მივლინებებზე. სახელმწიფო მოხელეებს აკრძალული აქვთ ჩარტერული რეისებით, აგრეთვე, კერძო თვითმფრინავებით მოგზაურობა უცხოეთში.**

გაზეთ „უენმინ უიშაოს“ მონაცემებით, მიმდინარე წლის ექვს თვეში ქრთამის აღებისა და სახელმწიფოს სახსრების დატაცების ბრალდებით სისხლის სამართლის საქმე აღიძრა 6343 სახელმწიფო მოხელეზე, მათ შორის, მმართველობის უმაღლესი ეშელონის 182 პირზე. ჩინეთის პროკურატურას ვერ დაემალნენ უცხოეთში ემიგრირებული ყოფილი მაღალჩინოსნებიც.

მალაიზიის „ბოინგი“, შესაძლოა, უკრაინის ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის ქვედანაყოფმა ჩამოაგდო

17 ივლისს, მალაიზიის ავიალაინერის კატასტროფის დღეს, უკრაინაში ქვეყნის ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის დანაყოფები გადიოდნენ წვრთნას, რომლის მიმდინარეობისას, შესაძლოა, შექმნილიყო ისეთი სიტუაცია, რომელიც „ბოინგის“ კატასტროფის მიზეზი იქნებოდა, — განუცხადა უკრაინის ერთ-ერთი ძალოვანი უწყების წარმომადგენელმა სააგენტო „რია ნოვოსტის“.

„17 ივლისს უკრაინის 156-ე საზენიტო-სარაკეტო პოლკის მეთაურს დავალებული ჰქონდა დონეცკთან ახლოს წვრთნის ჩატარება, რომლის მიზანიც იყო სახმელეთო ჯარების დაცვა საზენიტო-საცეცხლე წერტილების მეშვეობით. მეთაურს უნდა განელაგებინა დივიზიონები და შეესრულებინა ყველა ალგორითმი საზენიტო-სარაკეტო კომპლექს „ბუკ-M1“-ის რაკეტებით პირობითი მიზნების გასანადგურებლად“, — განაცხადა უკრაინის ძალოვანი უწყების თანამშრომელმა, რომლის ვინაობასაც სააგენტო არ ასაჯაროებს. მისი თქმით, მიუხედავად იმისა, რომ ბატარეის მეთაურებს გადასცეს რაკეტის გასაშვები მოწყობილობის განბლოკვის გასაღები, 9M38M1 რაკეტების გაშვება დაგეგმილი არ ყოფილა.

„წვრთნაში მონაწილეობისთვის ავიაბაზა კულბაკინოს ტაქტიკური ავიაციის 229-ე ბრიგადიდან დნეპროპეტროვსკში გაიგზავნა ორი თვითმფრინავი „სუ-25“. მათი ამოცანა საჰაერო დაზვერვა და დონეცკის დასავლეთით, ანტიტერორისტული ოპერაციის რაიონში საკონტროლო მიზნების აღნიშვნა იყო.

მას შემდეგ, რაც ერთ-ერთი თვითმფრინავი შევიდა ზონაში, სადაც საზენიტო-სარაკეტო კომპლექს „ბუკს“ მისი აღმოჩენა შეეძლო, სამხედრო-საჰაერო აპარატს მიაცილებდა (მის ტრაექტორიას თვალყურს ადევნებდა) ბატარეა, რომელიც განლაგებული იყო დასახლებულ პუნქტ ზაროშჩენსკოეში. როგორც ჩანს, ტრაგიკული შემთხვევითობით, დროის რაღაც მონაკვეთში მალაიზიის „ბოინგის“ და „სუ-25“-ის მარშრუტები ერთმანეთს დაემთხვა და სამხედრო და სამგზავრო თვითმფრინავები რადარების ეკრანებზე ერთ წერტილად ჩანდა, რომელიც დამღუპველი აღმოჩნდა სამოქალაქო ავიაციის თვითმფრინავისთვის — ერთ აზიმუტში მიზნების შერწყმისას გაცილების სისტემა ავტომატურად გადაერთვება იმ მიზანზე, რომელსაც მეტი ფართობი აქვს“, — განაცხადა ინკოგნიტო წყარომ, რომელმაც ვერ დაასახელა მიზეზი, რომლის გამოც რაკეტის გაშვების ბრძანება გაიცა: „ამ საკითხს სწავლობს უკრაინის უშიშროების სამსახური, რომელმაც დასაკითხად წაიყვანა ბატარეის მეთაური და მისი მებრძოლები“.

ქრონოგრაფი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ქოლესტერინი დიდი რაოდენობითაა ცხოველური წარმოშობის ცხიმიან პროდუქტში (ღორის ხორცი, ცხვრის ხორცი, ლორი, შებრაწული კანი). ბევრი ქოლესტერინია კვერცხის გულში, ნაღების კარაქში, არაჟანში, მაგარ ყველში და ხაჭოში. სამწუხაროა, მაგრამ შოკოლადშიც ბლომად მოიპოვება.

ყველაფერი ქოლესტერინის შესახებ

ამ სახელით ისევე გვაშინებენ, როგორც ბავშვებს – ბუათი, თუმცა, ბუასგან განსხვავებით, ქოლესტერინი ბუნებაში ნამდვილად არსებობს და, თუ მას მეტისმეტად დიდი რაოდენობით არ დავაგროვებთ, არაფერს გვავნებს. პირიქით, უიმისოდ უჯრედები გარსის, ორგანიზმი კი ზოგიერთი მჟავის, ვიტამინის, თირკმელზედა ჯირკვლისა და სასქესო ჰორმონების გარეშე დარჩებოდა.

ქოლესტერინი ცხიმოვანი ცვლის აუცილებელი შემადგენელი ნაწილია, მონაწილეობს ყველა ორგანოსა და ქსოვილის უჯრედების მემბრანების შენებაში; არეგულირებს ტემპერატურის ცვალებადობის მიმართ მდგრადობას, ქოლესტერინისგან სინთეზირდება მთელი რიგი ჰორმონები. მაგრამ ამ ყველაფრისთვის ორგანიზმს ბევრი ქოლესტერინი არ სჭირდება, ქოლესტერინის ჭარბი რაოდენობა კი ზრდის ათეროსკლეროზისა და მასთან დაკავშირებული გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებების განვითარების რისკს.

ქოლესტერინი ცხიმის ნაირსახეობაა, რომლის მცირე ნაწილს ადამიანი საკვებთან ერთად იღებს, დანარჩენი კი ორგანიზმშივე წარმოიქმნება. მას სისხლის ჩვეულებრივ ელემენტთა რიცხვს მიაკუთვნებენ. მის ბიოსინთეზში მონაწილეობს თითქმის ყველა ორგანო, უმთავრესად კი — ღვიძლი.

ზედმეტი ქოლესტერინი ზედმეტ პრობლემებს გვიჩენს. ის უადგილო ადგილას — არტერიების კედლებზე წარმოქმნის ცხიმოვან (ე. წ. ათეროსკლეროზულ) ფოლაქებს და, რა თქმა უნდა, სისხლძარღვის სანათურს ავიწროებს, თუმცა ეს პრობლემის მხოლოდ ნაწილია. უსწორმასწორო კედლები თრომბების წარმოქმნასაც უწყობს ხელს და შესაძლოა, სისხლის მიმოქცევის სისტემის რომელიმე უბანი სრულად დაახშოს. თუ ასეთი რამ გულის სისხლძარღვებში მოხდა, ინფარქტი განვითარდება, თუ ტვინის სისხლძარღვებში – ინსულტი.

რისკის ჯგუფებს წარმოადგენენ მწეველები, ჭარბწონიანი ადამიანები, რომელთაც მოძრავი ცხოვრების წესი არ აქვთ; ისინი, ვინც ამჯობინებენ ქოლესტერინის მაღალი შემცველობით გამორჩეულ პროდუქტს, ტკბილეულს. ალკოჰოლისადმი მიდრეკილების შემთხვევაში ქოლესტერინული რისკი იზრდება; მაღალია ქოლესტერინის შემცველობა ნივთიერებათა ცვლის დარღვევების დროს — შაქრიანი დიაბეტის, ფარისებრი ჯირკვლის დაავადებების, ჰორმონალური პრობლემების დროს.

თუ ადამიანის ყოველდღიურ რაციონში ცხიმის შემცველობა დიდია, სისხლში ქოლესტერინის დონე იმატებს, თუმცა ზოგჯერ მისი მატება ქოლესტერინით ღარიბი საკვების მიღების დროსაც აღინიშნება. ეს ორგანიზმის მიერ ქოლესტერინის გაძლიერებული გამომუშავების ბრალია. **მედიცინას ჯერჯერობით ვერ აუხსნია, რატომ იმატებს ერთი და იმავე ოდენობისა და შემადგენლობის საკვების მიღებისას ქოლესტერინის დონე ზოგის ორგანიზმში უფრო მეტად, ზოგისაში კი — ნაკლებად.**

სისხლში ქოლესტერინის დონე ან მილიმოლებით ლიტრზე (მმოლ/ლ), ან მილიგრამებით დეცილიტრზე (მგ/დლ) იზომება. ნორმალურად ითვლება, თუ საერთო ქოლესტერინი არ აღემატება 200 მგ/დლ-ს (5,2 მმოლ/ლ). აუცილებელი რაოდენობის 80%-ს ჩვენი ორგანიზმი თავად გამომუშავებს. შესაბამისად, 20% გარედან უნდა მიიღოს. ზოგი სპეციალისტი მიიჩნევს, რომ სასურველია, ქოლესტერინის დონე 3.9 მმოლ/ლ-ზე ქვემოთ შევინარჩუნოთ. 5.2 მმოლ/ლ უკვე საშიში ზონაა, შემდგომი მატება – კიდევ უფრო საშიში. სტატისტიკოსებმა გამოთვალეს, რომ მისი დონის ყოველი 1.3 მმოლ/ლ-ით გაზრდისას ინფარქტის საფრთხე ორჯერ იმატებს, მაგრამ ქოლესტერინის მხოლოდ დონის განსაზღვრა საფრთხის ან უსაფრთხოების შესახებ სრულ სურათს არ ქმნის, საქმე გაცილებით რთულადაა.

მედიცინას ჯერჯერობით ვერ აუხსნია, რატომ იმატებს ერთი და იმავე ოდენობისა და შემადგენლობის საკვების მიღებისას ქოლესტერინის დონე ზოგის ორგანიზმში უფრო მეტად, ზოგისაში კი – ნაკლებად

ვერც ქოლესტერინი და ვერც ცხიმი, ისევე, როგორც ლიპიდების უმეტესობა, ვერ ეგუება წყალს. არადა, თუ არ გაიხსნა, სისხლში მოგზაურობას ვერ მოახერხებს. ამისთვის ცილებთან (პროტეინებთან) ამყარებს ალიანსს და ე. წ. ლიპოპროტეინებს ქმნის.

დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეინების 55% ქოლესტერინია, ამიტომაც მათ ის არ ენანება და უხვად ფანტავს. ანომალიურ ვითარებაში კი ქოლესტერინის მარაგს არტერიებში, გლუვი კუნთების ბოჭკოებს შორის ალაგებენ. რაღა გასაკვირია, რომ ასეთ ქოლესტერინს „ცუდი“ უწოდეს.

მაღალი სიმკვრივის ლიპოპროტეინების ნახევარი ცილაა, ქოლესტერინი კი — სულ 13%. ეს ის შემთხვევაა, როცა რიცხვი 13 ცუდს არაფერს მოასწავებს. ლიპოპროტეინებს ზედმეტი ქოლესტერინი უჯრედებიდან გამოაქვს და ღვიძლში მიაქვს. ასეთ ქოლესტერინს „კარგს“ უწოდებენ.

საშიში ქოლესტერინი კი არაა, არამედ მისი სიჭარბე, არასწორი ცხოვრების წესი და კვება. ძალიან ცოტა ადამიანს აქვს გენეტიკური დაავადება, რომელიც ქოლესტერინის კრიტიკულად მაღალ დონეს აჩვენებს და საჭიროა მუდმივი თერაპია. უმრავლეს შემთხვევაში, ქოლესტერინის დონე კორექტირებას ექვემდებარება და ამისთვის ჩვეული არასწორი ცხოვრების წესის შეცვლაც კი საკმარისია.

ლიპიდების ცვლას ნებაზე ნუ მიუშვებთ. თუნდაც არაფერი გაწუხებდეთ, ხუთ წელიწადში ერთხელ მაინც გადაამოწმეთ. მამაკაცებმა ასეთი ანალიზის კეთება 35 წლიდან უნდა დაიწყონ, ქალებმა – 45 წლიდან. თუ ეწევით, დიაბეტი გაქვთ ანდა გენეტიკურად ხართ მიდრეკილნი გულის დაავადებებისკენ, ტესტირებას 20 წლიდან შეუდექით.

გადახრა თუ დაფიქსირდა, ნუ შეშფოთდებით. საქმის გამოსწორება შეიძლება. ჭარბ ქოლესტერინს დიეტით, ვარჯიშით და, თუ საჭიროა, წამლებითაც ებრძვიან. პირველი ორი არც მაშინ იქნება ზედმეტი, როცა რკინის ჯანმრთელობით ტრაბახობთ და თქვენს ლიპიდებს საშველი არაფერი სჭირდეს.

ქოლესტერინი დიდი რაოდენობითაა ცხოველური წარმოშობის ცხიმიან პროდუქტში (ღორის ხორცი, ცხვრის ხორცი, ლორი, შებრაწული კანი). ბევრი ქოლესტერინია კვერცხის გულში, ნაღების კარაქში, არაჟანში, მაგარ ყველში და ხაჭოში. სამწუხაროა, მაგრამ შოკოლადშიც ბლომად მოიპოვება.

საექიმო ნორმების მიხედვით, ორგანიზმი დღეში 300 მგ ქოლესტერინზე მეტს არ უნდა იღებდეს. მაგალითისთვის: 100 გრამ საქონლის ხორცში 94-98 მგ ქოლესტერინია, ერთი კვერცხის გულში კი – 250 მგ.

ლიპიდების ცვლის დარღვევა და ჭარბი წონა განუყრელი მეგობრები არიან. ასე რომ, გახდომა ქოლესტერინთან ბრძოლის საქმეში ერთ-ერთი მთავარი მიზანია. ზოგადი წესები ასეთია: ცხიმის ხარჯზე დღიური კალორიების 30%-ზე ნაკლები უნდა მოდიოდეს, ამათგან ნაჯერ ცხიმებზე – მხოლოდ მესამედი, ანუ 8-10%. რაც შეეხება ქოლესტერინს, მის დღიურ ნორმას შეიცავს ერთი კვერცხის გული, ანუ ერბოში შემწვარი ომლეტი მეტისმეტია, მით უმეტეს, თუ იმ დღეს სხვა ცხოველური პროდუქტიც მიიღეთ.

შეიყვარეთ ბოსტნეული, ხილი, მიირთვით წყალზე მომზადებული შვრიის, ნიწიბურას, მანანისა და ბრინჯის ფაფები, ვეგეტარიანული სუპები. კერძისთვის მხოლოდ მცენარეული ცხიმი გამოიყენეთ. ნებადართულია ძროხისა და ხბოს მჭლე, ინდაურისა და ქათმის კანგაცლილი თეთრი ხორცი, ნებისმიერი სახის თევზეული, გარდა ხიზილალისა. ღორის, ცხვრის, ბატისა და იხვის ხორცზე, ასევე ღვიძლზე, თირკმელებზე, ენაზე, ტვინზე, ძეხვზე, სოსისსა და შაშხზე უარის თქმა მოგიწევთ. რძის ნაწარმიდან უპირატესობა ნაკლებ-ცხიმიან პროდუქტებს – ხაჭოს, ნადუღს, ყველს, მაწონს, კეფირს, რძესა და იოგურტს მიანიჭეთ, ცხიმიანი რძე, არაჟანი, ნაღები, ნაყინი, ნამცხვარი, გუდის, ჰოლანდიური და შებოლილი ყველი კი საერთოდ ამოიღეთ რაციონიდან.

დიეტური კვება ქოლესტერინის დონის კორექციის საუკეთესო ხერხია. რაციონში ჩართეთ ზეითუნის, სიმინდის ზეთი; ტკბილეული მშრალი ხილით, თაფლით, თხილითა და ნიგვზით ჩაანაცვლეთ; შეცვალეთ საკვების მომზადების წესი — მოერიდეთ შემწვარ-მოხრაკულს; უარი თქვით ყავაზე.

პროცესი ძალიან რბილად, ნელ-ნელა უნდა მიმდინარეობდეს, ნახტომები დაუშვებელია, კვებისა და ცხოვრების წესის მკვეთრი გარდაქმნა კარგს არაფერს მოიტანს.

რაც შეეხება ამ სენისგან თავის დაღწევის ფიზკულტურულ მეთოდებს, როგორც **საყოველთაოდ ცნობილია, ვარჯიში ნებისმიერ ასაკში სასარგებლოა, მისი ზოგიერთი სახეობა კი განსაკუთრებით რგებს გულ-სისხლძარღვთა სისტემას. სახელდობრ, აერობული ვარჯიში ანუ ვარჯიში, რომელიც კუნთთა დიდი ჯგუფის ამოქმედებას მოითხოვს და 20 წუთს მაინც გრძელდება.**

გაგიკვირდებათ და ფიზიკური აქტივობა, გარდა უამრავი სხვა გამაჯანსაღებელი ეფექტისა, ლიპიდურ ცვლაზე უშუალოდ მოქმედებს: მაღალი სიმკვრივის ლიპოპროტეინების დონე იზრდება, ტრიგლიცერიდებისა კი მცირდება. გულის გაჯანსაღებისთვის კვირაში სამ-ხუთჯერ ვარჯიშს ურჩევენ. ძუნძული, ველოსპორტი, თხილამურებით სრიალი, ცურვა აერობული ვარჯიშის ნიმუშებია.

დამტკიცებულია, რომ ვარჯიში აძლიერებს ორგანიზმის უნარს, გაწმინდოს სისხლი ჭამის შემდეგ. თუ ცხიმი სისხლში დიდიხნით არ ჩერდება, მას უფრო ცოტა დრო აქვს სისხლძარღვების კედლებზე დასალექად. აუცილებელი არ არის, ყოველდღე მარათონული დისტანციის დაფარვა და რეკორდების მოხსნა სავარჯიშო დარბაზში. უბრალოდ, **ფეხით სიარულს მიეჩვიეთ, მეტი ისეირნეთ და ესეც იკმარებს.**

თუ ზემოხსენებულმა ზომებმა სასურველი შედეგი ვერ მოიტანა, დარწმუნებული იყავით, თანამედროვე მედიცინას ძალუძს, გაგიხანგრძლივოთ სიცოცხლე. არსებობს პრეპარატების ჯგუფი, რომლებიც დაბლა სწევს სისხლში ქოლესტერინის დონეს.

ცხადია, თავადაც მიხვდებით, რომ პრეპარატების შემთხვევაში დამოუკიდებელი მოქმედება დაუშვებელია, მათი მიღების საკითხი და ყველა დეტალი ექიმთან ერთად უნდა გადაწყვიტოთ.

დასასრულ, მოკლე ვადაში ქოლესტერინის რაოდენობის შემცირება ვერ მოხერხდება. რაც წლობით, ნელ-ნელა გროვდებოდა, ასევე ნელა წავა. გარდა ამისა, სასურველი შედეგის შემდეგაც არ ღირს ცხოვრების ძველ წესთან დაბრუნება — ჩიპსებით, შემწვარ-მოხრაკულითა და შოკოლადის ფილებით თავის განებივრება. უსაფრთხოებისთვის ცხოვრების წესი სამუდამოდ უნდა შეიცვალოს.

უნივერსიტეტის პროფესორი ლექციაზე გაშიშვლდა

ინგლისში, იორკშირის საგრაფოში, Leeds Metropolitan -ის უნივერსიტეტში სტუდენტები უჩვეულო სანახაობის მომსწრენი გახდნენ — პროფესორი იან ლამონდი ლექციის დროს მთლიანად გაშიშვლდა. ამ უჩვეულო ამბავში ყველაზე საოცარი 51 წლის პროფესორის განმარტებაა — თურმე აუდიტორიის წინაშე გაშიშვლება მოტივაციისთვის არის სასარგებლო. რასაკვირველია, დარბაზში ამ სანახაობას სიცილი მოჰყვა, ვიდეო კი სოციალურ ქსელებში აიტვირთა, სადაც მომხმარებლებმა უარყოფითი კომენტარები არ დაიშურეს. მსგავსი საქციელის მიუხედავად, ლემონდი უნივერსიტეტიდან არ გაუგდიათ; ინციდენტზე გამოძიება უკვე დაწყებულია.

ქრონოგრაფი

www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

პარიზის ჯოჯოხეთური ღამის კლუბი

პარიზი ითვლება მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ ქალაქად და ტურისტულ ცენტრად. საფრანგეთი კი ძალიან მდიდარია თავისი არქიტექტურული ნიმუშებით.

დღესდღეობით ადგილი, სადაც ახალგაზრდები ღამ-ღამობით ერთობიან, ეს ღამის კლუბებია, ადრე კი კაბარეები იყო ამისთვის. ცოტამ თუ იცის, რომ 1890 წელს პარიზში იყო ღამის ველური ცხოვრება და არსებობდა ჯოჯოხეთური კაბარეები, რომლებიც დიდი პოპულარობით სარგებლობდა ხალხში.

ფოტოსურათებზე აღბეჭდილია „Cabaret de lEnfer“ (ჯოჯოხეთური კაბარე), რომლის ინტერიერი საშიშს უფრო ჰგავს, ვიდრე გასართობს.

განქორწინების ყველაზე უჩვეულო მეთოდები

გასაკვირია, მაგრამ ფაქტია, რომ მე-18 საუკუნის დასასრულამდე უელსში განქორწინება ხდებოდა ჩვეულებრივი ცოცხის მეშვეობით. განქორწინება შესაძლებელი იყო მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მეუღლეებიდან ერთ-ერთი გადაახტებოდა სახლის შესასვლელში დადებულ ცოცხს.

აფრიკის სანაპიროსთან არის ერთი პატარა კუნძული. ამ კუნძულის მცხოვრებლებს განქორწინების ყველაზე მარტივი წესი აქვთ: განქორწინების საკითხს აქ მხოლოდ ქალი წყვეტს. არასასურველი ქმრის თავიდან მოსაცილებლად საკმარისია, ქალმა ქმრის ნივთები სახლიდან გარეთ გამოყაროს.

სინგაპურელმა და მალაიზიელმა რელიგიურმა პირებმა განაცხადეს, რომ სატელეფონო ტექსტურ გზავნილებს უკვე იურიდიული ძალა აქვს. მუსლიმანისთვის ახლა საკმარისია, სამჯერ გაგზავნოს მესიჯი ქორწინების გაუქმების შესახებ; შემდეგ განქორწინებას, უბრალოდ, დაადასტურებს შარიათის სასამართლო.

ძალიან უცნაური ჩვეულება იყო ძველად ჩერნოგორიაში: მოწმეების თანდასწრებით ცოლ-ქმარი ხელში იღებდა ქამრის ან თოკის ორ სხვადასხვა ბოლოს და მას შუაზე ჭრიდა. ამის შემდეგ ისინი უკვე მეუღლეები აღარ იყვნენ.

აფრიკაში მცხოვრებ ნარაგუს ტომსაც განსაკუთრებული ტრადიცია აქვს: ქორწილის შემდეგ ახალდაქორწინებულებმა უნდა გაიკეთონ ნიღაბი და მისი მოხსნის უფლება არ აქვთ ერთი წლის მანძილზე. თუ ერთი წლის შემდეგაც ისინი ნიღბებს არ მოიხსნიდნენ, ითვლებოდა, რომ ეს ქორწინება უკვე გაუქმებული იყო.

კუნძულ იავაზე ყველაფერი გაცილებით მარტივია: თუ ადამიანს განქორწინება უნდა, მნიშვნელობა არ აქვს, კაცია თუ ქალი, უბრალოდ, უნდა დარგოს ხუთი ხე.

ძველ ინგლისში განქორწინებისთვის აუცილებელი იყო ცოლის გაყიდვა. ამასთანავე, ფასი ერთ შილინგზე ნაკლები არ უნდა ყოფილიყო. თუ ცოლს ვინმე იყიდდა, ქორწინება გაუქმებულად ითვლებოდა. რაოდენ საოცარიც უნდა იყოს, ასეთი შემთხვევები აქ დღესაც ხდება: ერთმა ფერმერმა, ჯოზეფ ტომპსონმა, თავისი ცოლი 12 შილინგად გაყიდა. საინტერესოა, რომ მან ცოლის კუთვნილი ძაღლიც იმავე ფასად გაყიდა.

როგორ გამოვიცნოთ ყველაზე გონიერი ადამიანები?

თითოეულ ჩვენგანს სურს, იყოს ყველაზე ნიჭიერი და გონიერი. ეს სურვილი განპირობებულია იმ სიამაყის გრძნობით, რომელიც, დასმულ კითხვებზე პასუხების არსებობის შემთხვევაში, გვეუფლება. მიუხედავად ამისა, გონიერება, ისევე, როგორც სხვა ყველაფერი, შეფარდებითია და ამიტომ რეალურად არ არსებობს დახასიათება — მსოფლიოში ყველაზე ჭკვიანი.

რა თვისებებით გამოირჩევიან შედარებით გონიერი ადამიანები?

ისინი არასოდეს ლაპარაკობენ ბევრს, რადგან იციან, მოსმენის უნარი არანაკლებ მნიშვნელოვანია.

გარდა საკუთარ საქმეში უდავო პროფესიონალიზმისა, მათ აქვს საკმაო ზოგადი განათლება.

ისინი კონცენტრირებულნი არიან სამსახურში, სახლსა და ნებისმიერ ურთიერთობაში, რადგან შედეგს ყველა სიტუაციაში 100%-იანი ჩართულობით იღებენ.

ისინი გაცნობიერებულები არიან სოციალურ მედიაში. მართალია, მედიას დიდ დროს არ უთმობენ, მაგრამ ცდილობენ, არ ჩამორჩენ სამყაროში მიმდინარე მოვლენებს.

ისინი იღიმიან იმ შემთხვევაშიც კი, თუ პრობლემები აქვთ. გონიერების წყალობით მათ არ უჭირთ ალტერნატიული გზების გამონახვა.

მათ იციან, რომ ადამიანთა ამა თუ იმ წრეში ყველაზე გონიერები არიან, მაგრამ საკუთარ შესაძლებლობებზე აქცენტს არასოდეს აკეთებენ.

მენეჯერის ფუნქციის შეთავსებისას ისინი თანამშრომლების გაწვრთნასა და გუნდური გარემოს შექმნას ცდილობენ.

მათ აქვთ ისეთი უნარიც, რომელსაც არ იყენებენ განსაკუთრებული შემთხვევების გარეშე.

ისინი, ძირითადად, კარგი უნივერსიტეტების კურსდამთავრებულები არიან.

ისინი თავს არასოდეს წარმოაჩენენ სულელად, რადგან იციან, რომ ეს საკუთარი პიროვნების შეურაცხყოფაცაა.

ახალი ცოცხალი ბარბი

ზოგიერთ ადამიანს სურს, ისეთი გარეგნობა ჰქონდეს, როგორც თოჯინას. ზოგიერთი ამისთვის პლასტიკურ ოპერაციებსაც კი იკეთებს. ახალი ცოცხალი თოჯინის, ლოლიტა რიჩის, შემხედვარე ვერ იფიქრებთ, რომ ის სინამდვილეში ცოცხალი ადამიანია. მისი სხეულის პროპორციები იდეალურად ემთხვევა თოჯინა ბარბის სხეულის ზომებს.

ქრონოგრაფი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

8-საათიანი ძილი მავნებელია

აქამდე ვიცოდით, რომ ადამიანს დღეში მინიმუმ რვა საათი უნდა ეძინოს, მაგრამ გამოქვეყნდა კვლევა, რომლის შედეგადაც დადგინდა, რომ შვიდი საათი სრულიად საკმარისია ძილისთვის და უფრო მეტი ხნით ძილი, შესაძლოა, ჯანმრთელობისთვის საზიანო აღმოჩნდეს. კალიფორნიის უნივერსიტეტში ექიმმა დენიელ კრიპკემ გამოიკვლია, რომ ადამიანებში, რომლებსაც 6-დან 7-საათამდე ეძინათ, სიკვდილიანობის რისკი ნაკლებია, ვიდრე მათში, ვისაც უფრო ცოტა ან უფრო მეტი სძინავს. გარდა ამისა, ზედმეტ ძილს სხვა გვერდითი ეფექტებიც ახლავს: დიაბეტი, სიმსუქნე და გულის დაავადებები.

პოლიტიკოსებად ქცეული პორნოვარსკვლავები

ცნობილ პორნოვარსკვლავებს შორის არიან ისეთები, რომლებმაც გადაწყვიტეს, პორნო ფილმების გადაღების მოედნიდან დიდ პოლიტიკაში გადასულიყვნენ და იქ მოესინჯათ ბედი.

ფრედერიკა ზარი — იტალიელი პორნოვარსკვლავი, სილვიო ბერლუსკონის მეგობარი ქალი, რომელიც პოლიტიკაში წავიდა.

მილი დ'აბრაჩიო — ასევე იტალიელი პორნოვარსკვლავი, რომელიც 2010 წელს პარლამენტში შევიდა.

მერი კერიმ 2003 წელს კალიფორნიის გუბერნატორად იყარა კენჭი.

მიმი მიიაგი 2006 წელს ნევადის შტატის გუბერნატორად იყრიდა კენჭს.

ჩიჩოლინამ ჯერ კიდევ 70-იან წლებში დაიწყო პოლიტიკური კარიერა, დღესდღეობით მას აქვს საკუთარი პარტია და ერთ-ერთი იტალიური ქალაქის მერიც გახლავთ.

მერილინ ჩემბერსმა ქვეყნის ვიცეპრეზიდენტობამდეც კი მიაღწია, მაგრამ 2009 წელს გარდაიცვალა ანტიდეპრესანტების გადაჭარბებული დოზით მიღებისას.

დოლი ბასტერი — ცნობილი პორნოვარსკვლავი, პორნორეჟისორი, პორნოსცენარისტი, რომელმაც 2004 წელს ევროპარლამენტში იყარა კენჭი.

ლიტლ ჯოდი ავსტრალიელი პორნოვარსკვლავია, რომელიც 2004 წელს ავსტრალიის სენატში შევიდა.

მიუხედავად იმისა, რომ **საშა გრეის** არც ერთ პოლიტიკურ არჩევნებში კენჭი არ უყრია, იმდენად ხშირად იღებს მონაწილეობას პოლიტიკურ რეკლამებში, რომ ნამდვილად იმსახურებს ამ სიაში ბოლო ადგილს მაინც.

ყველაზე მაღალი თინეიჯერი

17 წლის თურქი თინეიჯერის — რუმეისა გელჯის სიმაღლე 2 მეტრი და 13 სანტიმეტრია.

იგი უკვე შეიყვანეს გინესის მსოფლიო რეკორდების წიგნში, როგორც ყველაზე მაღალი. მოსწავლე მეთერთმეტე კლასშია. მისი მშობლებიცა და დედამამიშვილებიც ნორმალური სიმაღლისანი არიან. რუმეისას დაავადებას Weaver-ის სინდრომი ჰქვია; ეს არის იშვიათი გენეტიკური დაავადება, რომელიც სწრაფად ზრდას იწვევს.

„მომწონს, სხვებისგან რომ განვსხვავდები“, — ამბობს გოგონა.

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ერთოთახიანი ბინა 1,8 მილიარდად

მსოფლიოს ყველაზე ძვირადღირებულ ერთოთახიან ბინად შეფასდა ტოკიოს ცენტრში ყველაზე ძვირადღირებულ და ელიტურ რაიონში — მინამუ-აზადიში მდებარე ბინა „The House“, რომლის საერთო ფართი 411,932 კვადრატული მეტრია. ამ ბინის ღირებულება 1,8 მილიარდი იენია, რაც 21,8 მილიონ დოლარს უდრის.

ბინაში არსებული ყველა ავეჯი ინდივიდუალურად დამზადდა პროექტით Cecotti Collezioni. კედლები და კარები დამზადებულია იტალიური ნატურალური ქვითა და ხით.

სასადილო ოთახი მოწყობილია სამზარეულოში იაპონურ Ryotei-ს სტილში, რათა მზარეულმა პირდაპირ მიართვას ცხელი სადილი ოჯახის წევრებსა და სტუმრებს.

ბინის კედლები ცნობილი დიზაინერის — ხიროში სენდ-ჟუს მიერაა მოხატული. ავეჯის ნაწილი კი შეძენილია ფირმა La Cornue-ში.

ბინას აქვს 2 აბაზანა და 1 საპირფარეშო.

სახლის დერეფნის მოძრავი კედლები იღება, მათ მიღმა ჩაშენებული კარადებია, რომლებშიც 200 წყვილი ფეხსაცმელი, უამრავი ტანსაცმელი და ჭურჭელია.

სახლს ასევე აქვს ტერასა ფრანგულ დახვეწილ სტილში, რომელიც გადაჰყურებს გარე სამყაროსგან იზოლირებულ შიდა ბაღს.

სპილო მონობიდან გათავისუფლების შემდეგ ატირდა

სპილო, სახელად რაჯუ, 50 წლის განმავლობაში ტყვეობაში იმყოფებოდა. იგი ჯაჭვით იყო დაბმული და ამ ხნის განმავლობაში არაერთხელ უცემიათ. განსაკუთრებით სასტიკი აღმოჩდა მისი ბოლო პატრონი, რაჯუს საკვების პრობლემაც ჰქონდა და მხოლოდ მაშინ ნაყრდებოდა, როდესაც მის სანახავად მისული ტურისტები აჭმევდნენ.

რაჯუს ბედ-იღბლით ცხოველთა დაცვის ორგანიზაცია Wildlife SOS დაინტერესდა, ყურადღება მიაქცია სპილოს მძიმე მდგომარეობას და გადაწყვიტა, რომ გასაცოდავებული არსება ტყვეობიდან გათავისუფლებინა.

„ის ისე ჰყავდათ ჯაჭვით დაბმული, რომ ძალიან მძიმე ტკივილს განიცდიდა. ჩვენი წარმომადგენლები მასთან ხილით მივიდნენ და ეფერებოდნენ, რათა რაჯუ მიმხვდარიყო, რომ ჩვენ აქ მის დასახმარებლად ვიყავით. და სწორედ ამ დროს სპილოს თვალებიდან ცრემლები გადმოსცვივდა და მთელი სახე დაუფარა“.

ამჟამად რაჯუ სპილოებისთვის განკუთვნილ სამაშველო ცენტრშია გადაყვანილი, სადაც მას თავისუფლად გადაადგილების და სხვა სპილოებთან კონტაქტის საშუალება ექნება.

კოკა-კოლას საიდუმლო ინგრედიენტი

უამრავი ადამიანის საყვარელი „კოკა-კოლას“ საიდუმლო ინგრედიენტი კოკა-ს ფოთლების მაგივრად კოშენილის ჭიების სხეულიდან მიღებული პიგმენტი აღმოჩნდა.

ამ დასკვნამდე თურქი მეცნიერები იმის შემდეგ მივიდნენ, რაც „კოკა-კოლა“-ს ცენტრალური დირექციისგან საიდუმლო რეცეპტის გამჟღავნება მოითხოვეს, რადგანაც თურქეთის ტერიტორიაზე დეტალური შემადგენლობის გარეშე საკვების გაყიდვა კანონით აკრძალულია.

კოშენილის მწერებისგან პიგმენტის მიღება პირველად გასული საუკუნის 20-იან წლებში მექსიკაში დაიწყეს, მაგრამ ამ საღებავზე ინფორმაცია უძველესი დროიდან მოიძიება. მაგალითად, ბიბლიაში ნახსენებია პიგმენტი, რომელიც შინდისფერი ჭიის სხეულიდან მიიღება. ნატურალური საღებავი — კარმინი (Carmin, ინდექსი-E120), პატარა ტკიპისებრი, თბილ ქვეყნებში მობინადრე დედალი მწერების სხეულებიდან მიიღება. ის სამედიცინო, კვებით და პარფიუმერიულ მრეწველობაში ფართოდ გამოიყენება.

ახლა ჩვენ ზუსტად ვიცით, თუ რა მწერებს იყენებენ იმ გემოს მისაღებად, რომელიც ბავშვობიდან გვახსოვს.

«შავი ყუთების» მონაცემებით დასტურდება, რომ მალაიზიის «ბოინგს» რაკეტა მოხვდა

მალაიზიის „ბოინგის“ შავი ყუთების გაშიფვრის შედეგები ჯერ ოფიციალურად არ გამოქვეყნებულა, მაგრამ, ზოგიერთი ექსპერტის აზრით, გაშიფრული ინფორმაცია მიუთითებს, რომ თვითმფრინავს რაკეტა მოხვდა. ამის მტკიცებულებები ნაპოვნია კატასტროფის ადგილზეც. რუსეთის თავდაცვის სამინისტროს განცხადებით, აშშ-მა ირიბად აღიარა უკრაინის ჰაერსაწინააღმდეგო სისტემების მუშაობა „ბოინგის“ ჩამოვარდნის დღეს.

მალაიზიის „ბოინგ-777“-ის შავი ყუთების გაშიფვრის შესახებ ინფორმაცია 27 ივლისს გავრცელდა. თვითჩამწერებიდან ამოღებული ინფორმაცია, აგრეთვე, კატასტროფის ადგილზე ნაპოვნი მტკიცებულებები მოწმობს, რომ თვითმფრინავი აფეთქებული რაკეტის ნამსხვრევებით დაზიანდა.

„რაკეტამ გააკეთა თავისი საქმე, რისთვისაც ის დაამზადეს. მან თვითმფრინავი ჩამოაგდო“, — განუცხადა ამერიკულ ტელერადიოკომპანია CBS-ს აერონავიგაციის უსაფრთხოების ევროპული ორგანიზაციის წარმომადგენელმა, რომლის ვინაობაც არ სახელდება.

საერთაშორისო ექსპერტებმა, რომლებიც „ბოინგის“ კატასტროფის ადგილზე მუშაობენ, იპოვეს მტკიცებულება იმისა, რომ თვითმფრინავის ფიუზელაჟი რაკეტის ნამსხვრევებით არის დაზიანებული.

რუსეთის თავდაცვის მაღალჩინოსნის განცხადებით, აშშ-მა ირიბად აღიარა, რომ უკრაინის ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემები განლაგებულია კატასტროფის რაიონში, რითაც დაადასტურა რუსეთის თანამგზავრების მონაცემები. მაღალჩინოსანმა კომენტარი გააკეთა თეთრი სახლის ოფიციალური წარმომადგენლის — ჯოშ ერნესტის განცხადებაზე, რომ რაკეტა, რომელმაც მალაიზიის „ბოინგი“ ჩამოაგდო, სახალხო ლაშქრის კონტროლს დაქვემდებარებული ტერიტორიიდან იყო გაშვებული, და იმ მომენტში უკრაინის ჰაერსაწინააღმდეგო დანადგარები არ მუშაობდა.

„აშშ-ის ოფიციალურმა წარმომადგენელმა ჯოშ ერნესტმა ირიბად აღიარა დონეცკის რაიონში 4 უკრაინული ჰაერსაწინააღმდეგო საშუალების არსებობა. მან თქვა, რომ ეს საშუალებები კატასტროფის მომენტში არ მუშაობდა, თუმცა ჩვენ მიერ რამდენიმე დღის წინათ გამართულ ბრიფინგზე წარმოვადგინეთ მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებს, რომ დონეცკთან ახლოს განლაგებული 4 უკრაინული საზენიტო-სარაკეტო კომპლექსი „ბუკ M1“-ის რადიოსალოკაციო სადგურები „ბოინგის“ კატასტროფის მომენტში ინტენსიურად მუშაობდნენ.

რუსეთის თავდაცვის სამინისტრო: აშშ-ის ელჩის მიერ ინტერნეტში განთავსებული გამოსახულება ფალსიფიკაციაა

უკრაინაში აშშ-ის ელჩის — ჯეფრი ჰაიეტის მიერ „ტვიტერში“ გავრცელებული გამოსახულება, რომელიც თითქოს მოწმობს რუსეთის ტერიტორიიდან უკრაინული სამხედრო ნაწილების დაბომბვას, ფალსიფიკაციაა“, — განაცხადა რუსეთის თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელმა.

რუსეთის სამხედრო უწყების წარმომადგენლის, გენერალ-მაიორ იგორ კონაშენკოს თქმით, „ეს გამოსახულება შემთხვევით არ არის განთავსებული „ტვიტერში“, რადგან მისი აუთენტურობის დამტკიცება უკიდურესად ცუდი ხარისხის გამო ძალიან ძნელია და ლაპარაკი არ არის მის გამოყენებაზე „ფოტომტკიცებულებად“.

კიევის ხელისუფლებას ასეთი სურათები ადრეც არაერთხელ წარმოუდგენია საკუთარი მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ რეაქტიული არტილერიისა და სხვა მძიმე შეიარაღების გამოყენების გასამართლებლად.

გასულ პარასკევს უკრაინის თავდაცვის მინისტრი კიდევ ერთხელ წარუმატებლად ცდილობდა, ანალოგიური ფოტოკოლაჟი სენსაციად გაესაღებინა უკრაინის მასმედიაში, მაგრამ ორი დღის შემდეგ საქმეში ოპერატიულად ჩაერია უკრაინაში ამერიკის ელჩი, რომელმაც თანამგზავრიდან გადაღებული მსგავსი ფოტოები ინტერნეტში განათავსა, რითაც ამ თემას უკრაინის მედიის ყურადღება დაუბრუნა. ამ სქემას საინფორმაციო კარუსელი ეწოდება.

საიდუმლო არავისთვის აღარ არის, რომ ასეთ ფეიკებს (ცრუ ინფორმაცია, რომლის რეალურ ინფორმაციად გასაღებასაც ცდილობენ) ამზადებს კიევში უკრაინის უშიშროების სამსახურის შენობაში მოკალათებული ამერიკელი მრჩევლების ჯგუფი, გენერალ რენდი კის ხელმძღვანელობით“, — განაცხადა იგორ კინაშენკოვმა.

პოლონეთში ამზადებენ ადამიანებს, რომლებმაც აზერბაიჯანში «ფერადი რევოლუცია» უნდა მოაწყონ

აზერბაიჯანული ინტერნეტგამოცემა haqqin.az-ი, საერთაშორისო ჟურნალისტიკის ცენტრის ინფორმაციასა და გამოკვლევის შედეგებზე დაყრდნობით, აქვეყნებს მასალას პოლონეთის დედაქალაქ ვარშავაში არსებული სპეცსკოლის შესახებ, სადაც ამზადებენ აქტივისტებს პოსტსაბჭოთა ქვეყნებსა და, კერძოდ, აზერბაიჯანში პოლიტიკური ვითარების დესტაბილიზაციისთვის.

ზემოაღნიშნულ სასწავლო დაწესებულებას ეწოდება „აღმოსავლეთ ევროპის სტუდია“ (CBE) და ის 1990-იანი წლებიდან მოქმედებს. თუმცა ამ სასწავლებლის ისტორია ჯერ კიდევ 1990-იანი წლებიდან იწყება, როცა მის სათავეებთან იდგნენ იმხანად იატაქვეშა ორგანიზაცია „სოლიდარობის“ ისეთი აქტივისტები, როგორებიც არიან ანჯეი ანანიჩი, იან მალიცკი და თადეუშ მაიდა. ამბობენ, რომ სკოლა უშუალოდ არის დაკავშირებული პოლონეთისა და აშშ-ის სპეცსამსახურებთან და აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოდან ფინანსდება, თუმცა ოფიციალურად ის ვარშავის უნივერსიტეტის ავტონომიური ქვეგანყოფილებაა. უკვე 20 წელიწადია, ამ სკოლას ხელმძღვანელობს იან მალიცკი, „ცნობილი პოლონელი ნაციონალისტი, რომელიც აღმოსავლეთ ევროპის საზღვრების მასშტაბური გადასინჯვისკენ მოუწოდებს“.

„სტუდია არჩევს და ამზადებს დსთ-სა და აზერბაიჯანის მოქალაქეებს ოპერატიული მუშაობისთვის თავიანთ ქვეყნებში. მისი ძირითადი ამოცანაა ადამიანების მომზადება CBE-ს მიზნების განსახორციელებლად. გაკვეთილების სტრუქტურა და ლექტორები, რომელთა შორისაც ბევრია სპეცსამსახურების მოძმედი და ყოფილი თანამშრომელი, მოწმობს, რომ CBE-ში სწავლება — ეს არის მზვერავებისა და დივერსანტების მოსამზადებელი კომპლექსური კურსი.

„სტუდიაში“ შემუშავებულია სპეციალური კურსი აზერბაიჯანისთვის. მას ეწოდება „მ.ე. რასულზადესა და ი. პილსუდსკის სახელობის სტიპენდია“. ეს პროგრამა შექმნილია აზერბაიჯანის მოქალაქეებისთვის, რომლებმაც ქვეყანაში „ფერადი რევოლუცია“ უნდა მოამზადონ დასავლეთის ფორპოსტის გადასატანად „რუსეთის მუცელში“.

წერილში აღნიშნულია, რომ ამ სკოლაში სწავლობდნენ საქართველოს, უკრაინის, მოლდოვის, სერბეთის, ავღანეთისა და აზერბაიჯანის სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლები.

უკრაინელი სამხედროების ორგანოების «ინტეგრაცია» ევროპელთა სხეულებში

ევროპულ მედიასაშუალებებში ცხელ თემად იქცა ადამიანის ორგანოებით ვაჭრობა უკრაინაში. ამ „ბიზნესში“ ჩართული აღმოჩნდა „ნარინჯისფერი პრინცესის“, იულია ტიმოშენკოს თანამებრძოლი, უზენაესი რადას ყოფილი დეპუტატი, ადვოკატი სერგე ვლასენკო.

ბერძენმა ჟურნალისტებმა წარმოადგინეს ჰაკერების მიერ გატეხილი მიმოწერა ადვოკატ ვლასენკოსა და გერმანელ ექიმ ოლგა ვიმპერს შორის, რომელიც, სპეცსამსახურების მონაცემებით, ორგანოებით ვაჭრობის საერთაშორისო კრიმინალურ ქსელთან არის დაკავშირებული.

გამოქვეყნებული ჩანაწერების მიხედვით, უკრაინელი ჯარისკაცების ორგანოებით ვაჭრობა მასშტაბურია — უკრაინის არმიის მძიმედ დაჭრილი მებრძოლების ჯანმრთელი ორგანოების ამოჭრასა და ევროპული კლინიკებისთვის გადაცემაში, ვლასენკოს გარდა, ბატალიონ „დონბასის“ მეთაური სემიონ სემენჩენკო და უკრაინის უშიშროების სამსახურის ხელმძღვანელი ვალენტინ ნალივაიჩენკოც მონაწილეობდნენ.

ლაპარაკია, სულ ცოტა, 2 ათეულ გულზე, 50 თირკმელზე, 30 ღვიძლსა და ფილტვზე, აგრეთვე, კუჭქვეშა ჯირკვალზე, კონსპირაციის მიზნით თანამოსაუბრენი იყენებდნენ ორგანოების პირველ ასოებს ლათინურ ენაზე: „cor“ (გული); „nep“ (თირკმელი), „hep“ (ღვიძლი), „pan“ (კუჭქვეშა ჯირკვალი), „pul“ (ფილტვი)...

უკრაინაში ისევე, როგორც ადრე იუგოსლავიაში, ადამიანის ორგანოებით ვაჭრობა რომ მიმდინარეობს, მიუთითებს საშინელი ნაპოვნი მთა ყარაჩენის („შავი სიკვდილი“ — თურქ.) მისასვლელთან, აგრეთვე, სამების ტაძართან არსებულ სასაფლაოზე დონეცკის ოლქში. პირველ შემთხვევაში ლაპარაკია 180 დაღუპული სამხედრო მოსამსახურის ნეშტზე, მეორეში — 300-ზე. ისინი არა დამარხულები, არამედ უბრალოდ, ჩაყრილი იყვნენ ორმოებში, გაფატრული მუცლებითა და ამოცლილი ორგანოებით.

Politrus.com

მოგემსახურებით მსუბუქი კომფორტული ავტომობილით სახლიდან სახლამდე
თბილისი — ბათუმი — თბილისი.
ტელ. 585-79-99-69

მკურნალობა მამაკაცებისთვის

პოტენციის დაქვეითება, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდვის შეკავება, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, ორგანიზმის წმენდა უჯრედულ დონეზე სოკოვანი და მიკრობული ინფექციებისგან, რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, ნევროზი) ღვიძლის ფუნქციის აღდგენა-მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით უკუჩვენების გარეშე.

მკურნალობა — ინდივიდუალური დანიშნულებით, იმუნიტეტის გაძლიერებით, 100%-იანი შედეგით.

**ტელ. 558-15-63-87;
218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა**

საქართველო
ყოველკვირეული გაზეთი
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
http://www.geworld.ge
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება კადამიანის უფლებები ისტორია

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru

ISSN 2233-3894
9 772233 389009